ნინო მოდებაძე ნინო ნახუცრიშვილი
შორენა ძამუკაშვილი თამარ მიქელაძე
ანა გიგაური ნათია გაბაშვილი

პროექტმეთოდის გამოყენების კვლევა დაწყებითი განათლების საფეხურზე კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების მაგალითზე

მონოგრაფია

იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო მოდებაძე ნინო ნახუცრიშვილი
შორენა ძამუკაშვილი თამარ მიქელაძე
ანა გიგაური ნათია გაბაშვილი

პროექტმეთოდის გამოყენების კვლევა დაწყებითი განათლების საფეხურზე კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების მაგალითზე

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2024

მონოგრაფია მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი გრანტით დაფინანსებული პროექტის -„პროექტმეთოდის გამოყენების კვლევა დაწყებითი განათლების საფეხურზე კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების მაგალითზე“ფარგლებში. მონოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს.

მონოგრაფია ეფუძნება პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ სწავლებაში ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის ანალიზს და კვლევის დროს მიღებულ შედეგებს, რომელიც მოიცავდა კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების პედაგოგების, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების (თესაუ, თსუ, ილიაუნი, ზსუ, ბსუ, აწსუ, სსუ, გსუ) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვას.

ავტორები:

ნინო მოდებაძე,	განათლების დოქტორი, პროფესორი
ნინო ნახუცრიშვილი,	განათლების დოქტორი, პროფესორი
შორენა ძამუკაშვილი,	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
თამარ მიქელაძე,	განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ანა გიგაური,	განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ნათია გაბაშვილი,	განათლების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი — ასოცირებული პროფესორი შორენა ძამუკაშვილი, განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი

რედაქტორი — პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

რეცენზენტები : მანანა ბოჭორიშვილი, განათლების მეცნიერებების დოქტორი

ნატო ქობულაძე, განათლების დოქტორი

რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება — სოსო მეზვრიშვილი

© ნ. მოდებაძე, ნ. ნახუცრიშვილი, შ. ძამუკაშვილი, თ. მიქელაძე, ა. გიგაური, ნ. გაბაშვილი, 2024

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2024

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-899-1

გაწეული მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით:

- განათლების, მეცნიერებათა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტს კახეთის რეგიონის საჯარო სკოლებში დაწყებითი განათლების საფეხურის მასწავლებლებთან კვლევის განხორციელების ნებართვის მოცემისათვის.

- თელავის, ლაგოდეხის, ყვარელის, ახმეტის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გურჯაანის, საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების ხელმძღვანელებს გაწეული დახმარებისთვის.

- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ შალვა ჭკადუას, ამავე უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეს სამეცნიერო დარგში, ქალბატონ ნუნუ გელდიაშვილს, საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსში განათლების მეცნიერებათა დარგობრივი მიმართულებით პროექტის მხარდაჭერისთვის, რამაც საშუალება მოგვცა, გამოგვეკვლია მნიშვნელოვანი საკითხი სწავლებაში, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და საგანმანათლებლო თეორიის პრინციპებს, რაზედაც დგას საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა.

- კვლევაში მონაწილე საჯარო სკოლების ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს და დირექციის წარმომადგენლებს, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების განათლების მიმართულების ფაკულტეტების ადმინისტრაციას, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს, რომელთა მონაწილეობის გარეშე ეს კვლევა სათანადოდ ვერ განხორციელდებოდა.

რეცენზია

მონოგრაფია „**პროექტმეთოდის გამოყენების კვლევა დაწყებითი განათლების საფეხურზე კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების მაგალითზე“,** მომზადდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ნაშრომი წარმოადგენს ვრცელ, სისტემურ ანალიზს, რომელიც მიზნად ისახავს პროექტზე დაფუძნებული სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლას.

მონოგრაფია ექვსი თავისაგან შედგება და მოიცავს: პროექტმეთოდის თეორიულ საფუძვლებს და მეთოდურ ჩარჩოს; პროექტზე დაფუძნებული სწავლების ისტორიასა და უცხოელი მკვლევრების შეხედულებებს; პროექტზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკულ მაგალითებს სხვადასხვა ქვეყნიდან; კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების გამოცდილების რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას; სტუდენტთა მომზადებისა და ცოდნის კვლევას პროექტმეთოდის გამოყენების საკითხზე და ნიმუშების მიმოხილვას. ასეთი სტრუქტურა ნაშრომს მეტ სიღრმესა და პრაქტიკულ ღირებულებას სძენს.

მონოგრაფია ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და მიმოიხილავს თანამედროვე სწავლების მეთოდების საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ პროექტმეთოდი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ოცდამეერთე საუკუნისათვის საჭირო უნარების და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. მონოგრაფიის სამეცნიერო ღირებულება რამდენიმე ასპექტში ვლინდება:

თეორიული ჩარჩოს განვითარება: ნაშრომში გაანალიზებული პროექტმეთოდის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკული გამოყენება ხელს უწყობს ამ მიდგომის უკეთ გაგებას და მეთოდის დამკვიდრებას დაწყებით განათლებაში.

ლიტერატურის მიმოხილვა: ნაშრომი მოიცავს როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის ანალიზს, რაც მკითხველს საშუალებას აძლევს, უკეთ გაითავისოს პროექტმეთოდის განვითარების ისტორია და მისი გამოყენების ასპექტები.

ემპირიული მონაცემების წვლილი: ნაშრომი ემყარება კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი განათლების მასწავლებლების, მოსწავლეების, რვა უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სტუდენტების კვლევის შედეგებს, რაც მნიშვნელოვანს ხდის კვლევით კომპონენტს.

პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესება: მონოგრაფია იძლევა პრაქტიკულ რეკომენდაციებს პროექტმეთოდის ეფექტური გამოყენების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე განათლების პოლიტიკისთვის.

ინოვაციური მეთოდების პოპულარიზაცია: კვლევა ხელს უწყობს პროექტმეთოდის, როგორც ინოვაციური და ეფექტური სწავლების მეთოდის, პოპულარიზაციას, რაც თანამედროვე განათლებისთვის უმნიშვნელოვანესია.

კვლევის კომპონენტი მოიცავს როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ ნაწილებს:

ლიტერატურის მიმოხილვა — მონოგრაფიაში მიმოხილულია პროექტზე დაფუძნებული სწავლების თეორიული საფუძვლები, საერთაშორისო კვლევები და ისტორია. **რაოდენობრივი კვლევა** — ჩატარებულია კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი განათლების მასწავლებლების რაოდენობრივი კვლევა. კვლევა აჩვენებს მასწავლებლების მოსაზრებებსა და გამოცდილებას პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ, რაც საშუალებას იძლევა, შეფასდეს მისი ეფექტიანობა ადგილობრივ, რეგიონულ კონტექსტში.

თვისებრივი კვლევა — ეს ნაწილი მოიცავს ინტერვიუებს და დაკვირვებას, რაც პროექტმეთოდის შესახებ უფრო ღრმა ინტერპრეტაციებსა და ანალიზს უზრუნველყოფს. **საკვლევი შედეგების ანალიზი** — მიღებული რაოდენობრივი და

თვისებრივი მონაცემების ანალიზი წარმოაჩენს კვლევის შედეგებს და სხვადასხვა მეთოდოლოგიური და თეორიული თვალსაზრისით განიხილავს მათ. **შედეგების შეჯერება და რეკომენდაციები** — კვლევის კომპონენტის საბოლოო ნაწილი წარმოადგენს მიღებული შედეგების შეჯერებას და რეკომენდაციების ფორმირებას, რომელიც შეიძლება გამოიყენონ, როგორც პედაგოგებმა, ასევე განათლების მკვლევრებმა.

მონოგრაფიაში ხაზგასმულია კვლევის შეზღუდვები — კვლევა მხოლოდ კახეთი რეგიონის ფარგლებში განხორციელდა და იგი ვერ განზოგადდა მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც, შესაძლოა, სტიმული აღმოჩნდეს განათლების სფეროს მკვლევრებისთვის და გაიზარდოს კვლევის გეოგრაფია.კვლევით კომპონენტში გამოყენებული მრავალმხრივი მიდგომა უზრუნველყოფს საკითხის კომპლექსურ და სიღრმისეულ ანალიზს, რაც ზრდის მონოგრაფიის სამეცნიერო ღირებულებას.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და დასკვნები ხაზს უსვამს პროექტმეთოდის სასწავლო პროცესში დანერგვის აუცილებლობას. რეკომენდაციები ზრდის მასალების ღირებულებას როგორც აკადემიური წრეებისთვის, ასევე პრაქტიკული პედაგოგიკისთვის. მონოგრაფია მნიშვნელოვანი რესურსი იქნება, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე განათლების მკვლევრებისთვის.

მანანა ბოჭორიშვილი
განათლების მეცნიერებების დოქტორი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. განათლების E სახლის პროგრამის საგანმანათლებლო რესურსების ტექსტების რედაქტორი

რეცენზია

მონოგრაფია „პროექტმეთოდის გამოყენების კვლევა დაწყებითი განათლების საფეხურზე კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების მაგალითზე“, აქტუალური კვლევაა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან რესურსს როგორც მოქმედი, ისე მომავალი მასწავლებლებისათვის.

კვლევის ღირებულებას ზრდის, ის ფაქტი რომ კვლევა განხორციელდა საუნივერსიტეტო გრანტის ფარგლებში, რაც ზრდის უნივერსიტეტისა და აკადემიური პერსონალის მზაობასა და კომპეტენციას.

მონოგრაფია იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ზოგადი განათლების საფეხურზე პროექტმეთოდის გამოყენების ეფექტურობის შესახებ. კვლევა ეფუძნება კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების პედაგოგების, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტების (თესაუ, თსუ, ილიაუნი,ზსუ, ბსუ, აწსუ, სსუ, გსუ) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვას, ასევე, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის ანალიზს და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებებს.

ნაშრომში საინტერესოდაა შესწავლილი და გაანალიზებული მასწავლებლების მიერ განხორციელებული პროექტები. აღნიშნული პროექტების განხილვებისა და ინტერვიუების შედეგად მასწავლებელთა რეფლექსიებიდან გამოიკვეთილია პროექტმეთოდის პრაქტიკაში განხორციელების ასპექტები, გამოწვევები თუ მიღწევები.

კვლევამ გამოავლინა მნიშვნელოვანი მიგნებები, რომლებიც ადასტურებს, რომ პროექტმეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეებსა თუ სტუდენტებისათვის პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების გასავითარებლად. გამოიკვეთა ასევე, რომ პროექტუ-

ლი სწავლების დანერგვა-განხორციელება მოითხოვს სათანადო კომპეტენციების ფლობას მასწავლებლებისა თუ აკადემიური პერსონალისაგან.

მონოგრაფიის ფარგლებში შესწავლილი საკითხი, პროექტმეთოდის გამოყენება სწავლებაში, არის როგორც ზოგადი, ასევე უმაღლესი განათლების სფეროს მიმართ თანამედროვე მოთხოვნების რეალიზების ერთ-ერთი საუკეთესო მიდგომა, რაც დასტურდება როგორც ისტორიული, ასევე ბოლო პერიოდისა და მონოგრაფიაში ასახული კვლევებით. მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტების მხარდაჭერითა და თანამშრომლობით გაგრძელდეს საკითხის კვლევა და უფრო სიღრმისეულად იქნას შესწავლილი პროექტსწავლების მეთოდის დანერგვის მხარდამჭერი გზები/საშუალებები საბაზო და უმაღლესი განათლების საფეხურებზე.

ნატო ქობულაძე
განათლების დოქტორი
აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

შინაარსი

შესავალი 11

Introduction 20

თავი 1. პროექტმეთოდით სწავლების საფუძველი და მეთოდური ჩარჩო..... 29
1.1. პროექტზე დაფუძნებული სწავლების ისტორიიდან 29
1.2. პროექტმეთოდი, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული და ინტერაქტიული სწავლების ეფექტური მეთოდი 41
1.3. პროექტმეთოდით სწავლებისას გასათვალისწინებელი ასპექტები..... 60
1.4. როგორ განვასხვავოთ პროექტზე დაფუძნებული სწავლა და „პროექტის კეთება“..... 69
1.5. პროექტზე დაფუძნებული სწავლება მესამე თაობის ესგ-სა და დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტებში..... 83

თავი 2. პროექტზე დაფუძნებული სწავლების კვლევა — შედეგები და რეკომენდაციები (უცხოური ქვეყნების გამოცდილება) 98

თავი 3. სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების გამოცდილების კვლევა (რაოდენობრივი)..... 121

თავი 4. სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების

დაწყებითი საფეხურების მასწავლებლების გამოცდილების კვლევა (თვისებრივი) 142

თავი 5. პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ სტუდენტთა მომზადებისა და ცოდნის კვლევა 256

თავი 6. პროექტების ნიმუშების მიმოხილვა 273

დასკვნა 285

დანართები 292

შესავალი

„მითხარი რამე და დამავიწყდება,
მაჩვენე და მე შევძლებ გახსენებას,
ჩამრთე და მე ყველაფერს გავიგებ“
(ჩინური ანდაზა)

საუკუნის წინ, როდესაც ცნობილი ამერიკელი მეცნიერი, პედაგოგი ჯონ დიუი აყენებდა საკითხს პრაქტიკული, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის უპირატესობასა და საჭიროებაზე, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, თუ რამდენად ღირებული და აქტუალური იქნებოდა იგივე საკითხი ასი წლის შემდეგაც.

თანამედროვე მოთხოვნებით ზოგადი განათლების მთავარი ორიენტირი არის მოსწავლეზე, მის განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომის განხორციელება, მოსწავლეთა მოტივაციის და სასწავლო პროცესში მათი ჩართულობის გაზრდა. განათლება მიმართული უნდა იყოს მოსწავლეთათვის რიგი უნარების ჩამოყალიბება-განვითარებაზე, რის შედეგადაც მას მოტივირებულად შეეძლება საგნობრივ საკითხთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად გააზრება, გაანალიზება და სხვადასხვა სიტუაციაში გამოყენება, პრობლემების გადაჭრა, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა. ეს კი მიიღწევა სწავლის პროცესში რიგი ინოვაციური მეთოდების მიზამიმართული გამოყენებით. ამ მხრივ გამორჩეულად ღირებულია აქტიური სწავლება, რა დროსაც მოსწავლეთა მოტივაცია, როგორც წარმმართველი ძალა, პირდაპირ განსაზღვრავს მოსწავლეთა აქტიურ და ნაყოფიერ ჩართულობას სასწავლო პროცესში და შემდგომში სწავლის მაღალ შედეგებს. მასწავლებლის დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ სწავლების პროცესი მოსწავლეთა საჭიროებებს მოარგოს, საინტერესო მეთოდები და სტრატეგიები შესთავაზოს და საგანმანათლებლო პროცესები ბევ-

რად პროდუქტიული გახადოს. ამ მიზნით კი უნდა გამოიკვეთოს პროექტზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც სასწავლო პროცესში მოსწავლის მოტივაციის ზრდასა და, შესაბამისად, აქტიურ ჩართულობას განაპირობებს.

მიდგომის ღირებულებიდან გამომდინარე, დიდია მკვლევართა დაინტერესება ამ საკითხის მიმართ და უამრავი ლიტერატურა, მასწავლებელთა პრაქტიკის კვლევა, სატრენინგო მასალა, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების ანგარიშები, სამაგისტრო და სადოქტორო შრომები ეძღვნება ამ სტრატეგიის აღწერას, მის განხორციელებასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს, თეორიულ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს მეთოდის სარგებლიანობაზე, გამოწვევებზე პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის. საკითხის შესწავლით დასტურდება, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლების განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ყოველთვის არ ხორციელდება სათანადო დონეზე.

რა ფაქტორები განსაზღვრავს ამ მიდგომის წარმატებულ განხორციელებას, რა ასპექტები უნდა იქნეს გათვალისწინებული პროექტმეთოდის გამოყენებისას. ამ და მასთან დაკავშირებული რიგი აქტუალური საკითხების კვლევა გახდა მონოგრაფიაში აღწერილი ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის მთავარი მიზანი, რის შედეგადაც მიღებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით, კვლევის ჯგუფმა შეიმუშავა საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური გზები და რეკომენდაციები.

მონოგრაფია აგებულია შემდეგი სტრუქტურით: თავი 1. — პროექტმეთოდით სწავლების საფუძველი და მეთოდური ჩარჩო, მოიცავს ხუთ პარაგრაფს, სადაც განხილულია პროექტმეთოდის გამოყენება და მნიშვნელობა სწავლებაში, მისი გამოყენებისას გასათვალისწინებელი ასპექტები; ცალკე პარაგრაფად შემოთავაზებულია საკითხი, თუ როგორ არის ასახული პროექტზე დაფუძნებული სწავლება მესამე თაობის ესგ-სა და დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტებში.

მოცემულ თავში განიხილულია აქტიური სწავლების არსი და მასთან მიმართებით შემოთავეზბულია პროექტზე დაფუძნებული სწავლება, როგორც ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ძალზე ეფექტური და მრავალფუნქციური მეთოდი, რომელიც მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებასა და ეფექტურ თანამშრომლობას მოიცავს.

მეთოდის არსის გასარკვევად მონოგრაფიაში ასევე შემოთავაზებულია სხვადასხვა მკვლევრის თუ კვლევის ჯგუფის მიერ გამოკვეთილი მეთოდის უპირატესობები, მისი განხორციელების ეტაპები. განხილულით დგინდება, რომ ყველა აღიარებს პროექტ მეთოდის, როგორც მეტად აქტიური და სასარგებლო მიდგომის, ღირებულებას მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობის გასაზრდელად, თუმცა, ამავდროულად, აღინიშნება, რომ ზოგჯერ პედაგოგებს ყურადღების მიღმა რჩებათ ის გამოწვევები და სიძნელეები, რომლებსაც, შესაძლოა, წააწყდნენ ამ მეთოდის განხორციელებისას. ამ საკითხთან დაკავშირებით სასარგებლოა აქ მოცემული ინფორმაცია ამ მეთოდის გამოყენებისას გასათვალისწინებელი ასპექტების შესახებ; აქვე განხილულია პროექტმეთოდის ტიპები, გამოყენების პრინციპები და განხორციელების ეტაპები.

პროექტზე დაფუძნებული სწავლის არსის გარკვევა გრძელდება შემდეგ პარაგრაფშიც: როგორ განვასხვავოთ პროექტზე დაფუძნებული სწავლა და „პროექტის კეთება“, რომელიც ისტორიულ ჭრილში განიხილება. „პროექტების კეთების“ და პროექტზე-დაფუძნებული სწავლების შეპირისპირებით მკითხველი იღებს ამომწურავ ინფორმაციას ამ უკანასკნელის არსის შესახებ. ღირებულია საკითხების: პროექტის ტიპები, პროექტის დაგეგმვა/დიზაინი, პროექტის პროდუქტი, სხვადასხვა ტიპის პროექტში მამოძრავებელი შეკითხვის მაგალითები, პროექტის ფაზები, განხილვაც, რითაც მეტად საჭირო ინფორმაციას იღებს მკითხველი მეთოდის გამოყენების დროს ყურადღების გასამახვილებელ ას-

პექტებზე. საინტერესო და ინფორმაციულად სასარგებლოა აგრეთვე ის თემები, რომლებიც: პროექტზე დაფუძნებული სწავლის/სწავლების კვლევის ისტორიას, შედეგებს და რეკომენდაციებს უკავშირდება და ცალკე პარაგრაფად განიხილება ამავე თავში. ასევე პროექტზე დაფუძნებული სწავლების გამოყენების ანალიზი სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემების მაგალითზე, ცალკე თავად არის შემოთავაზებული მონოგრაფიაში.

ამავე თავში ცალკე პარაგრაფად შემოთავაზებული საკითხი — პროექტზე დაფუძნებული სწავლება მესამე თაობის ესგ-სა და დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტებში, მკითხველს სრულ ინფორმაციას აწვდის იმის შესახებ, თუ როგორ არის ასახული აღნიშნულ მარეგულირებელ დოკუმენტებში და საგანთა გზამკვლევებში პროექტზე დაფუძნებული სწავლების, როგორც დაწყებით საფეხურზე ამ მიდგომის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდელის, დამკვიდრების მიმართ მოთხოვნები.

მონოგრაფიის მეორე თავი მთლიანად ეძღვნება პროექტზე დაფუძნებული სწავლების შესახებ უცხოელ მკვლევართა შეხედულებებს, რომელთა ფონზეც ფართედაა გაშუქებული პროექტზე დაფუძნებული სწავლების არსი. ამავე თავში მკითხველი მიიღებს ამომწურავ ინფორმაციას პროექტზე დაფუძნებული სწავლის/სწავლების კვლევის ისტორიის, მისი შედეგების და მკვლევართა მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციების შესახებ. საკითხის სიღრმისეული ჩაშლით, რაც მოიცავს: პროექტზე დაფუძნებული სწავლების თანამედროვე განმარტებას, კონსტრუქტივიზმს, სიტუაციურ სწავლას, სოციალური ურთიერთქმედებას, შემეცნებით ინსტრუმენტებს, პროექტზე-დაფუძნებული სწავლების ოქროს სტანდარტს, გაანალისებულია ის ფაქტები და საინტერესო ინფორმაცია რომელიც პროექტზე დაფუძნებული სწავლების ისტორიას უკავშირდება.

ნაშრომში ყველაზე საინტერესო ნაწილს წარმოადგენს ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები და რეკო-

მენდაციები, რაც საკმაო მოცულობითაა ასახული მე-3 და მე-4 თავებში: სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების გამოცდილების კვლევა (რაოდენობრივი), სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების გამოცდილების კვლევა (თვისებრივი). კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ დადასტურდა ამ მეთოდის ღირებულება და, ამავდროულად, გამოვლინდა რიგი აქტუალური საკითხები და მათი გადაწყვეტის საჭიროება.

რაოდენობრივი კვლევისთვის 451 რესპოდენტის შეირჩა სკოლების სისტემური შერჩევის საფუძველზე, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, კახეთის რეგიონის რვა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 3586 პედაგოგიდან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რიგი გამოწვევები და მიგნებები.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევისას დადასტურდა პედაგოგთა დადებითი დამოკიდებულება და შეფასება პროექტმეთოდის შესახებ (პროექტმეთოდით სწავლება ზრდის მოსწავლეების მოტივაციას, ჩართულობას სასწავლო პროცესში, მისი გამოყენების შედეგად მოსწავლეები ხდებიან ბევრად დამოუკიდებლები, უმაღლდებათ თვითშეფასება და სხვ.), გამოვლინდა უარყოფითი შედეგებიც. უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი ყველაზე დასაფიქრებელი მიგნება — პროექტმეთოდით სარგებლიანობის დაბალი მაჩვენებელი, რომ გამოკითხულ პედაგოგთა 54% არ ახორციელებს პროექტმეთოდით სწავლებას. ეს, ვფიქრობთ, მნიშვნელოვნად ყურადსაღები მაჩვენებელია და საჭიროებს დროულ გადაწყვეტას.

რესპოდენტებმა დაასახელეს ხელისშემშლელი ფაქტორები და გამოწვევები, რაც ახლავს მეთოდის აქტიურ გამოყენებას სწავლებაში. ეს ძირითადად არის დროის დეფიციტი როგორც პედაგოგების, ისე მოსწავლეთა მხრიდან. ამავდროულად, რადგან პროექტმეთოდით სწავლება მოითხოვს

დიდ დროს, სხვა საკითხებზე სამუშაოდ პედაგოგებს რჩებათ ნაკლები დრო.

უნდა აღინიშნოს რესურსების დეფიციტიც, რაც ასევე ხელისშემშლელ ფაქტორად დასახელდა რესპოდენტების მიერ.

მიღებული შედეგების საფუძველზე, მონოგრაფიაში შემოთავაზებულია რაოდენობრივი კვლევის ანალიზი, საიდანაც, ამავდროულად, გამოიკვეთა კვლევის საჭიროებაც, თუ რამდენად ეფექტიანად და სწორი მიდგომებით იყენებენ პედაგოგები პროექტმეთოდს სწავლებაში, რადგან კვლევისას გამოვლინდა, რომ უმრავლეს შემთხვევაში ამ მეთოდის გამოყენება ორიენტირებულია ისეთი უნარების განვითარებაზე, რომელიც ტიპური საგაკვეთილო პროცესისგან არ განასხვავებს მას, რაც არასასურველ შედეგებს იწვევს.

კვლევის პროცესში გამოვლინდა რიგი სხვა საჭიროებები, რაც ვრცლად არის შემოთავაზებული მონოგრაფიაში. მაგალითად, პროექტმეთოდების ბანკის შექმნის საჭიროება, რაც გამოცდილებების გაზიარების შესაძლებლობებს მისცემთ პედაგოგებს, მასწავლებელთა ინფორმირებულება და მათთვის ტრენინგების ჩატარების საჭიროება პროექტმეთოდით სწვლებასთან დაკავშირებით და სხვა.

კვლევის შედეგების ანალიზსა და მიგნებებზე დაყრდნობით, მონოგრაფიის ამ ნაწილში შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც დადებითად წაადგება პროექტმეთოდის გამოყენებას შედეგების ამაღლებისთვის.

რაც შეეხება **თვისებრივ კვლევას,** რომლის მიზანიც იყო პროექტმეთოდის განხორციელების კონკრეტული მაგალითების შესწავლა-განხილვა, განხორციელდა 12 პედაგოგის გამოკითხვა-ინტერვიუ/ჩაღრმავებული ინტერვიუ ნახევრადსტუქტურირებული კითხვარის დახმარებით. პედაგოგები შეირჩნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით რაოდენობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იმ რესპოდენტებიდან, ვინც დააფიქსირეს პროექტმეთოდის გამოყენების ფაქტები. მონოგრაფიაში საკმაოდ ამომწურავადაა აღწერილი რესპოდენტთა (12 რესპოდენტი) ნარატივები, კვლევის

შედეგები, დასკვნები და მათთვის შეთავაზებული რეკომენ-დაციები, რაც იძენს თეორიულ და პრაქტიკულ დატვირთვას და ერთგვარ მეთოდური გზამკვლევის როლსაც შეასრუ-ლებს ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

თვისებრივი კვლევის დროს ყველა პედაგოგმა დააფიქსი-რა პროექტმეთოდის მნიშვნელობა და ეფექტიანობა სწავლება-ში. ამავდროულად, აღინიშნა ამ პროცესში დირექციის და მშო-ბელთა ჩართულობის მნიშვნელობა; თუ გარკვეულ შემთხვევა-ში, როგორც დირექციის წარმომადგენლები, სხვა პედაგოგები თუ მშობლები, აქტიურად არიან ჩართულები პროცესში, ნაწი-ლი რესპოდენტებისა აღნიშნავს, რომ მშობელთა ჩართულობა იყო მინიმალური და რიგი პრობლემების, საკითხების გადაწ-ყვეტა მოუწიათ მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით, რაშიც არ უაქტიურიათ დირექციის წარმომადგენლებს. ინტერვიუს დროს აღინიშნა მოსწავლეთა სხვადასხვა ინსტრუმენტის გა-მოყენებით შეფასების და წახალისების აუცილებლობა, თუმცა დადასტურდა შემთხვევებიც, როცა პედაგოგის მიერ არ ხდე-ბოდა პროექტის შუალედური და საბოლოო შეფასება. ამავ-დროულად, გამოიკვეთა ფაქტები, როცა დაუგეგმავად ხდება პროექტმეთოდის განხორციელება და არც რაოდენობრივად აქვთ დაგეგმილი პედაგოგებს, თუ რამდენი უნდა განეხორციე-ლებინათ წლის განმავლობაში.

პროექტების დაგეგმვისას არ ხდება კონკრეტული მო-სალოდნელი შედეგების, გამოწვევების და შესაძლო სირთუ-ლეების წინასწარ განჭვრეტა, რომელთა გათვალისწინებით მეთოდის განხორციელება ბევრად შედეგიანი იქნება. ამ პროცესშიც მოსწავლეთა ჩართულობა, უდავოდ, გაზრდის მათ დაინტერესებას და მობილიზებას; მართალია, გამოიკვე-თა, რომ პროექტების კონკრეტული მიზნები და შედეგები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და შედეგების თან-ხვედრია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგ შემთხვევაში პრო-ექტი არ არის მოსწავლეთათვის კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაზე ორიენტირებული.

კვლევამ გვიჩვენა რესურსების საჭიროებაც, რასაც პე-

დაგოგთა გარკვეული ნაწილი თავად აგვარებდა საკუთარი ფინანსებით და გამოკვეთა დროის დეფიციტის ფაქტორი. კვლევის პროცესში აუცილებელი გახდა რიგი საკითხების დადგენის საჭიროება, რაც ეხებოდა არა მარტო მოქმედ, არამედ მომავალ პედაგოგთა მზაობის კვლევას ამ მიმართულებით. იგი ასახულია ცალკე თავში (თავი 5) — პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ სტუდენტთა მომზადებისა და ცოდნის კვლევა.

მსგავსად ზემოთ მითითებული კვლევებისა, ამ შემთხვევაშიც რესპოდენტები შეირჩნენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით — სხვადასხვა საჯარო უნივერსიტეტის სტუდენტების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 2657 სტუდენტიდან და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ე.წ. 60 კრედიტიანი სასწავლო პროგრამა) 576 სტუდენტიდან შეირჩა სულ 111 რესპოდენტი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა ძირითადი საჭიროებები მიგნებების სახით, რაც თან ახლავს კვლევას: პროექტმეთოდის სწავლების საჭიროება საგანმანათლებლო პროგრამებით, პროექტმეთოდის დაგეგმვის უზრუნველყოფა სტუდენტების მიერ საუნივერსიტეტო პრაქტიკების თუ თეორიული ცოდნის მიღების პროცესში; მოქმედი თუ მომავალი პედაგოგებისთვის, მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ცოდნის გაღრმავებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების დაუფლების მიზნით, დამატებით კურსების დაგეგმვა-განხორციელება და სხვა.

ამდენად, აღნიშნული კვლევის შედეგადაც გამოიკვეთა რიგი მიგნებები და შემუშავდა რეკომენდაციები, რაც სრულად არის ასახული მონოგრაფიის ამ ნაწილში.

მკითხველისთვის საინტერესო და ღირებული იქნება მე-6 თავში შემოთავაზებული პროექტების ნიმუშების მიმოხილვაც.

მონოგრაფიაში აღწერილი კვლევის შედეგები დასრულებულია კვლევის ჯგუფის მიერ შემოთავაზებული დასკვნებით, რომელიც შემუშვებულია მყარ და სანდო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. რეკომენდაციები კი მკაფიოდ გა-

მოკვეთს კვლევაში ჩართული მკვლევრების შეჯერებულ პოზიციას ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებებისა და პერსპექტივების შესახებ, რათა სასწავლო პროექტების განხორციელების იდეა ინიცირდეს და დაიგეგმოს მოსწავლეების მიერ, ის მიმართული იყოს ახალი ცოდნის შეძენასა და მის ტრანსფერზე რეალურ ცხოვრებაში, ყოველი საპროექტო იდეა თუ აქტივობა იყოს მოსწავლეთა მზაობის შესაბამისი, მათ ინტერესებს თუ საჭიროებასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე მორგებული და ა. შ.

ძირითადი მიგნებების, აღმოჩენებისა და შედეგების შეჯამება, დარგში კვლევის წვლილის განხილვა და რეკომენდაციების შეთავაზება მომავალი კვლევისთვის, ჩვენი აზრით, ნაშრომს სძენს მეტ ღირებულებას.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ პროექტმეთოდის გამოყენება სწავლებაში არის ზოგადი განათლების სფეროს მიმართ თანამედროვე მოთხოვნების რეალიზების ერთ-ერთი საუკეთესო მიდგომა, რაც დასტურდება როგორც ისტორიული, ისე ბოლო პერიოდის და მონოგრაფიაში ასახული კვლევებით. ამ მეთოდის გამოყენების ცალკეული ასპექტების განხორციელება უცილობლად საჭიროებს უფრო სიღრმისეულ კვლევას და გარკვეულ პროგრესულ ცვლილებებს. პროექტმეთოდის ეფექტურად განხორციელების მიზნით, საჭიროა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა როგორც მოქმედი, ისე მომავალი პედაგოგების მზაობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რომლის ერთ-ერთ მაგალითსაც წარმოადგენს შემოთავაზებული მონოგრაფია.

INTRODUCTION

"Tell me something and I will forget,
show me something and I may remember,
involve me and I will understand" (Chinese proverb)

A century ago, when the famous American scientist and educator John Dewey emphasized the necessity and benefits of practical, student-oriented teaching, he could not have imagined how relevant and valuable this issue would remain even a hundred years later.

According to modern educational requirements, the primary goal of general education is to implement an approach focused on the students, their development, and the enhancement of their motivation and involvement in the learning process. Education should aim at forming and developing specific skills in students, enabling them to critically and holistically understand and analyze facts and phenomena related to the subject, apply this knowledge in various situations, solve problems, and cultivate critical and creative thinking, communication, and collaboration skills. All these goals can be achieved through the intentional use of innovative methods during the learning process.

In this regard, active learning is exceptionally valuable, as students' motivation—acting as a driving force—directly determines their active and fruitful involvement in the study process, leading to higher academic performance. The purpose of the teacher is to tailor the learning process to students' needs, offer engaging methods and strategies, and make the educational process more productive. To this end, the use of project-based learning should be highlighted, as it boosts students' motivation and consequently promotes active participation in the learning process.

Given the value of the approach, researchers' interest in this issue is substantial. A significant body of literature, including

teachers' action research, training materials, local and international research reports, and MA or PhD theses, is dedicated to describing the strategy, addressing issues related to its implementation, and providing theoretical and practical recommendations on the benefits of the method, as well as the challenges faced by students and teachers. Studies show that the implementation of project-based teaching in public schools is not at the desired level.

What factors contribute to the successful implementation of this approach? What aspects should be considered when applying the project-based method? These questions, along with other related issues, are the main focus of the research described in this monograph. Based on the analysis of the information gathered, the research team developed optimal strategies and recommendations for addressing the problem.

The structure of the monograph is as follows:

Chapter 1: Bases and Methodological Framework of the Project Method This chapter includes five sections that discuss the use and importance of project-based learning (PBL) in teaching and the key aspects to consider when using PBL. Additionally, a separate section addresses how well project-based learning is reflected in the third-generation national curriculum and in the subject standards of primary education.

In this chapter, the essence of active learning is explored, with project-based learning proposed as one of the most effective and versatile methods of interactive learning. This method involves the active participation of students, the execution of various activities, and effective collaboration.

To clarify the method's essence, the monograph also presents the advantages of the method as identified by different researchers or research groups and outlines the stages of its implementation. The reviewed research highlights the widespread recognition of the project method as a highly active and beneficial approach for

enhancing students' cognitive activity. However, it is also noted that teachers sometimes overlook the challenges and difficulties that may arise during the implementation of this method. The monograph addresses this by providing useful information on the key considerations when using the method, the types of project methods, principles of use, and stages of implementation.

The clarification of the essence of project based learning continues in the following paragraphs: how can we differentiate project based learning and "doing project" which is discussed in the historical viewpoint. By contrasting "doing projects" and project based learning, readers get full information about the essence of the last one. The following issues are worth to pay attention: project types, project planning/design, project product, examples of key questions in various projects, project phases. The topics are also informative and interesting which are connected to the history of project based learning/teaching research, results and recommendations and are discussed as a separate paragraphs in the same second chapter. Analysis of using project based learning on the example of educational systems in various countries are offered as a separate chapter in the monograph.

A separate section in the same chapter, **Project-Based Learning in the Third-Generation National Curriculum and Elementary-Level Subject Standards**, provides comprehensive information on how these regulatory documents and subject guides outline the requirements for establishing project-based learning as an important model for implementing this approach at the primary level.

The second chapter of the monograph is fully dedicated to of foreign researchers' viewpoints about project based learning, providing a deep understanding of the essence of project-based learning. This chapter offers comprehensive information about the history of project-based learning research, its results, and the recommendations proposed by researchers. The chapter covers the following topics: the modern definition of project-based learning,

constructivism, situated learning, social interaction, cognitive tools, and the gold standard of project-based learning. It also provides an in-depth exploration of facts and interesting information from the history of project-based learning.

The most important part of the monograph lies in the research findings and recommendations presented in Chapters 3 and 4: **Research on the Experience of Primary School Teachers in the Kakheti Region Regarding the Use of the Project-Based Approach in Teaching (Quantitative)** and **Research on the Experience of Primary School Teachers in the Kakheti Region Regarding the Use of the Project-Based Approach in Teaching (Qualitative)**. The research confirmed the value of this method while also revealing several pressing issues that require solutions. For the quantitative research, census sampling was utilized. 451 teachers responded to the survey out of 3,586 teachers of public schools from eight municipalities in the Kakheti region.

The research identified numerous challenges and findings. Although the study showed a positive attitude and evaluation of the project method by teachers (e.g., teaching with the project method increases students' motivation and involvement in the learning process, fosters independence, and boosts self-esteem), some negative results were also found. One of the most concerning findings was the low rate of use of the project-based method: 54% of the interviewed teachers do not apply the project-based approach in their teaching. Respondents cited several factors hindering the active use of the method in learning, primarily the lack of time for both students and teachers. Additionally, since teaching through the project-based approach is time-consuming, little time is left for teachers to address other issues. The lack of resources was also mentioned as a significant obstacle by respondents.

The monograph provides an analysis of the quantitative research results, highlighting the need to investigate how effectively

and correctly teachers use the project-based approach in teaching. The research revealed that, in many cases, the use of this method is oriented towards developing skills that do not distinguish it from typical lessons, leading to undesirable outcomes. Several other needs were identified during the research, such as the need to create a project method bank, which would allow teachers to share experiences, and the need to inform and train teachers on teaching with the project method. These needs are detailed in the monograph. Based on the analysis and findings, recommendations are offered in this part of the monograph, providing a foundation for improving outcomes when applying this approach.

As for the qualitative research, which aimed to study and discuss specific examples of the implementation of the project-based learning, a semi-stuctured/in-depth interview was conducted with 12 teachers. The methods of selection was — purposive sampling; the teachers were identified in the quantitative research as having used the project-based learning. The monograph thoroughly describes the respondents' narratives, the research results, the conclusions, and the recommendations provided to them, which have both theoretical and practical significance and can serve as a methodological guide for those interested in these issues.

During the qualitative research, every teacher expressed their opinions about the importance and effectiveness of using the project-based learning. They also noted the significance of involvement of the school administration and parents in the process. While in some cases, representatives of the administration, other teachers, and parents were actively involved, some respondents mentioned minimal parental involvement, which left them to solve certain problems on their own. In these cases, the school administration was also passive. During the interviews, the need to evaluate and encourage students using various tools was highlighted. However,

there were also instances where the teacher did not conduct intermediate or final evaluations of the project.

Additionally, the research highlighted instances where the implementation of the project method was unplanned, with teachers not quantitatively planning how many projects to complete during the year. Specific expected outcomes, challenges, and possible difficulties were not anticipated in advance, which would have made the implementation more effective and increased students' interest and engagement. Although the projects' goals and outcomes were generally aligned with the national curriculum, in some cases, the projects were not focused on developing students' research skills; instead, they mainly enriched students' knowledge in the content area. The research also revealed a need for resources, with some teachers using their own funds, and the issue of time constraints was observed.

The research also underscored the need to address several issues related not only to the preparedness of current teachers but also to that of future teachers. This is discussed in a separate chapter (Chapter 5), which focuses on students' training and knowledge about using the project method.

Similar to the previous studies, respondents were selected by random sampling: 111 respondents out of 2,657 students in the integrated bachelor's-master's teacher training program at various public universities and 576 students in the 60-credit teacher training program. The study revealed major requirements, which are enclosed in the research findings, including the need to teach the project method through educational programs, ensure that students plan the project method during university practices and theoretical studies, and offer additional courses to improve their knowledge and acquire relevant skills.

As a result of this study, several conclusions were drawn, and recommendations were developed, which are fully reflected in this part of the monograph.

Chapter 6 offers readers a compelling glimpse into practical applications, showcasing sample projects that bring the research to life. The monograph concludes with the research team's evidence-based findings, providing insightful and well-founded conclusions. The recommendations clearly reflect the positions of the researchers regarding the identified needs and perspectives of the study. For example, the idea of implementing projects should be initiated and planned by the students at school, directed towards acquiring new knowledge and its application in real life. Each project idea or activity should align with the students' readiness, interests, needs, and life experiences.

A concluding part summarizes the main findings, implications, and contributions of the research to the field, linitations of the studies and offers recommendations for future research, adding more value to the work.

In conclusion, we would like to emphasize that the use of the project-based learning is one of the best approaches to realizing modern requirements for general education, as confirmed by both historical and recent studies. However, the implementation of certain aspects of this approach requires more in-depth research and progressive changes. To effectively implement the project-based learning, significant support is needed to ensure the readiness of both pre and in-service teachers, and the proposed monograph serves as an example of this effort.

დიაგრამები

კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურების მასწავლებლების რაოდენობრივი კვლევის დიაგრამები და ცხრილები

დიაგრამა №1 *— რესპონდენტების გენდერული განაწილება..... 124*
დიაგრამა №2 *— რესპონდენტების ასაკობრივი განაწილება 125*
დიაგრამა №3 *— კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტების პროცენტული განაწილება..... 125*
დიაგრამა №4 *— ინტერვიუს ბოლომდე დასრულების მაჩვენებელი მუნიციპალიტეტების მიხედვით..... 126*
დიაგრამა №5 *— კვლევაში მონაწილე სკოლების განაწილება ქალაქი-სოფლის ჭრილში 127*
დიაგრამა№6 *— პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ 128*
ცხრილი №1 *— პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით ჯვარედინი შედარება მასწავლებელთა ასაკისა და სკოლის მდებარეობის მიხედვით 129*
დიაგრამა №7 *— პედაგოგების მიერ განხორციელებული პროექტმეთოდით სწავლება საგნების მიხედვით 1-4 კლასი..... 130*
დიაგრამა #8 *— პედაგოგების მიერ განხორციელებული პროექტმეთოდით სწავლება საგნების მიხედვით 5-6 კლასი..... 130*
დიაგრამა №9 *— პროექტმეთოდის გამოყენების მიზანი 131*
დიაგრამა №10 *— პედაგოგის როლი პროექტმეთოდით გამოყენებისას სწავლებაში..... 132*
დიაგრამა №11 *— პროექტმეთოდის შედეგების შეფასების ფორმა 133*
დიაგრამა №12 *– პროექტმეთოდის განხორციელების თემატიკა.... 135*
დიაგრამა №13 *— პროექტმეთოდის განხორციელებაში ჩართული მხარეები..... 136*
დიაგრამა №14 *— პროექტმეთოდის თვალსაჩინო შედეგები..... 137*
დიაგრამა №15 *— გამოწვევები პროექტმეთოდით სწავლების პროცესში..... 138*
დიაგრამა №16 *— პროექტმეთოდით სწავლების შეფასების ფორმები..... 139*

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების რაოდენობრივი კვლევის დიაგრამები

დიაგრამა №1 *— სწავლების საფეხური..... 258*
დიაგრამა №2 *— კვლევაში მონაწილე სტუდენტების განაწილება კურსების მიხედვით..... 258*
დიაგრამა №3 *— სტუდენტების მონაწილეობა უნივერსიტეტების მიხედვით 259*
დიაგრამა №4 *— გამოკითხულთა სტატისტიკა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით..... 259*
დიაგრამა №5 *— გამოკითხული სტუდენტების ცოდნის მაჩვენებელი პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით.....260*
დიაგრამა №6 *— პროექტმეთოდის გამოყენების მიზანი დაწყებით საფეხურზე 261*
დიაგრამა №7 *— პროექტმეთოდის გამოყენების შედეგად მიღწეული შედეგები..... 262*
დიაგრამა №8 *— საგნების მიხედვით სტუდენტების შეხედულებები პროექტმეთოდის გამოყენების ეფექტურობის შესახებ..... 263*
დიაგრამა №9 *— სტუდენტების არგუმენტები იმ არჩეულ საგნებთან დაკავშირებით, სადაც პროექტმეთოდის გამოყენება მიიჩნიეს ეფექტურად..... 264*
დიაგრამა №10 *— პროექტმეთოდის გამოყენების მნიშვნელობა დაწყებით საფეხურზე 266*
დიაგრამა №11 *— მხარეთა ჩართულობა პროექტმეთოდის განხორციელებისას 267*
დიაგრამა №12 *— სირთულეები პროექტმეთოდის გამოყენებისას...268*
დიაგრამა №13 *— პროექტმეთოდის შესახებ მიღებული ინფორმაციის წყარო 269*
დიაგრამა №14 *— საუნივერისტეტო განათლება და პრაქტიკა პროექტმეთოდის სწავლებისას..... 270*
დიაგრამა№15 *-პროექტმეთოდის გამოყენებისთვის საჭირო უნარების შეძენა/განვითარების სურვილი..... 271*

თავი 1. პროექტმეთოდით სწავლების საფუძველი და მეთოდური ჩარჩო

1.1. პროექტზე დაფუძნებული სწავლების ისტორიიდან

პროექტზე დაფუძნებული სწავლების განხილვისას არ შეიძლება არ შევეხოთ მისი წარმოშობის ისტორიას. ამ ქვეთავში ვისაუბრებთ, როგორ ჩაეყარა საფუძველი პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას და მის აქტუალობას.

„პროექტების კეთება" არის დიდი ხნის ტრადიცია ამერიკულ განათლებაში. 100 წლის წინ ისეთი პედაგოგი, როგორიც ჯონ დიუი იყო, საუბრობდა პრაქტიკული, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის უპირატესობებზე. დიუი ფიქრობდა, რომ ექსპრესიულ ან კონსტრუქციულ აქტივობებს ცენტრალური როლი უნდა ჰქონოდათ განათლებაში. დიუი ამტკიცებდა, რომ მოსწავლეების ინტერესები მზარდი შესაძლებლობებისა და ძალის მაჩვენებელი იყო. იგი ხაზს უსვამდა პედაგოგების მნიშვნელოვან როლს მოსწავლეთა განვითარებადი ინტერესების თანმიმდევრულ და ყურადღებიანი დაკვირვების პროცესში (Dewey, 1897, გვ. 77-80). დიუი ამტკიცებდა, რომ მოსწავლეები განავითარებენ პირად ინტერესს სასწავლო მასალისადმი, თუ ისინი ჩაერთვებიან რეალური, მნიშვნელოვანი ამოცანების და პრობლემების გადაჭრაში, რაც ექსპერტების მუშაობას წააგავს, რასაც ეს უკანასკნელნი რეალურ სიტუაციებში აკეთებენ.

განათლებაში ტერმინ „პროექტის" დასაბამი ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ სოფლის მეურნეობის მეცნიერების გამოკვლევების დაწყებას უკავშირდება. მისი სასწავლო გამოყენება დაიწყო 1908 წელს პროფესიულ სასოფლო-სამეურნეო განათლებაში „სახლის პროექტების" კონცეფციით.

Kilpatrick-ის (1929) მიხედვით, პროექტი არის ნებისმიერი მიზანმიმართული გამოცდილება, სადაც დომინანტური მიზანი წარმართავს პროცესს და უზრუნველყოფს შინაგან მოტივაციას. იგი ნაშრომში „პროექტის მეთოდი. მიზანმიმართული მოქმედების გამოყენება სასწავლო პროცესში“, წერდა, რომ მას არ გამოუგონია ტერმინი „პროექტი“, არამედ იგი შეეცადა საფუძვლიანად განემარტა მისი არსი.

მან გამოყო ოთხი ტიპის პროექტი: პირველი ტიპის პროექტის მიზანია რაიმე იდეის, ან გეგმის გარეგანი სახით განსახიერება, როგორიცაა: ნავის აგება, წერილის დაწერა, პიესის პრეზენტაცია; მეორე ტიპის პროექტების მიზანია, დავტკბეთ გარკვეული (ესთეტიკური) გამოცდილებით, როგორიცაა: მოთხრობის მოსმენა, სიმფონიის მოსმენა, სურათის დაფასება; მესამე ტიპის პროექტში მიზანია ინტელექტუალური სირთულის გადალახვა, გარკვეული პრობლემის გადაჭრა, იმის გარკვევა, ცვივა თუ არა ნამი, ან თუ როგორ გაასწრო ზრდაში ნიუ-იორკმა ფილადელფიას, ხოლო მეოთხე ტიპის პროექტები მოიპოვებს რაიმე ელემენტს, ხარისხს ან ცოდნას, მაგალითად, ფრანგულში არაწესიერი ზმნების შესწავლა. თითქოს ეს დაჯგუფებები მეტ-ნაკლებად ერთმანეთს ემთხვევა და ერთი ტიპის პროექტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეორის მიზნის მისაღწევად. Kilpatrick-ის (1929) განმარტებით, პროექტის მეთოდი ლოგიკურად მოიცავდა პრობლემაზე დაფუძნებულ მეთოდს, როგორც განსაკუთრებულ შემთხვევას.

Monroe-სეული განმარტების მიხედვით, პროექტის მეთოდი არის სწავლის გამორჩეული მიდგომა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მონაწილეობას. ტრადიციული დავალებისგან განსხვავებით, პირდაპირი დავალებები არ არსებობს; ამის ნაცვლად მოსწავლეს მოეთხოვება, განახორციელოს მნიშვნელოვანი აქტივობები (Monroe, 1926). ჯერ კიდევ 1926 წელს, თითქმის ერთი საუკუნის წინ, Monroe წერდა, რომ პროექტის მეთოდი განიხილება „ცხოვრების მეთოდად",

რომელიც შეესაბამება სკოლის პირობებს რეალურ სამყაროში სწავლის გამოცდილებას. ის საფუძვლად უდევს საგანმანათლებლო მოაზროვნეების, რუსოსა და პესტალოცის იდეებს. პროექტმეთოდი მიჩნეულია, როგორც საუკეთესო სწავლების იდეების თანამიმდევრული სინთეზი 1900 წლიდან, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მიღწევას განათლებაში.

Monroe-ს (1926) ნაშრომში აღწერილია პროექტმეთოდის უპირატესობები საშინაო დავალების მეთოდთან მიმართებით. პროექტმეთოდში მოსწავლეები საკუთარ მიზნებს სახავენ, რაც განასხვავებს მას უბრალო დავალების შესრულებისგან. დავალების მეთოდი ორიენტირებულია მასწავლებლის კონტროლზე მოსწავლეების სწავლის კონკრეტულ ჩვევებზე, ცოდნასა და ქცევაზე, რომლებიც ყალიბდება სავარჯიშოებით და სწავლის საფუძველს წარმოადგენს, „ხოლო ძირითადი განსხვავება ამ ორს შორის მდგომარეობს სასწავლო აქტივობების წყაროში.“ მიუხედავად იმისა, მოსწავლეს შეუძლია მიზანმიმართულად სავარჯიშოების შესრულება, მასწავლებლის პერსპექტივა განსხვავდება თითოეულ მეთოდში. პროექტის მეთოდი ხაზს უსვამს მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე აქტივობის წარმართვას, ხოლო დავალების მეთოდი საგანმანათლებლო მიზნებსა და სავარჯიშოების ეფექტურობას.

Monroe (1926) კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს პროექტზე დაფუძნებული სწავლების ეფექტურობას საგანმანათლებლო მიზნებში ასახული სასურველი შედეგების მისაღწევად, ხაზს უსვამს იმას, რომ მხოლოდ პროექტები შეიძლება არ იყოს საკმარისი ყველა სასწავლო მიზნისთვის და მნიშვნელოვნად მიაჩნია მასწავლებლის ხელმძღვანელობა და სწავლის პროცესში მოსწავლეების დამოკიდებულებები და ინტერესები. იგი ვარაუდობს, რომ პროექტის მეთოდი ქმნის ხელსაყრელ პირობებს დამოკიდებულებების და ინტერესების განვითარებისთვის, ხელს უწყობს ინიციატივის აღებას და თანამშრომლობის უნარის ჩამოყალიბებას. იგი უპირისპი-

რებს პროექტის მეთოდს ტრადიციულ სასწავლო გეგმას, ხაზს უსვამს იმას, რომ პირველი საშუალებას აძლევს მოსწავლეებმა განსაზღვრონ სასწავლო შინაარსი ინდივიდუალური მიზნებიდან გამომდინარე, რაც ეწინააღმდეგება დადგენილი სასწავლო გეგმის კონცეფციას. პროექტის მეთოდი წარმოდგენილია, როგორც კონცეფცია, რომელიც გამოწვევას უქმნის ტრადიციულ სასწავლო გეგმას, სთავაზობს ინდივიდუალურ მიდგომას მოსწავლეთა მიზნების გათვალისწინებით (Monroe, 1926).

პროექტზე დაფუძნებული სწავლის ფესვები სწორედ ამ ტრადიციაში წარმოიშვა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მკვლევრებმა დახვეწეს დიუის ორიგინალური შეხედულება, რომლის მიხედვითაც აქტიური კვლევა უფრო ღრმა გაგებას წარმოადგენს. მაგრამ სწავლებისა და სწავლის მეთოდის გაჩენა სახელწოდებით: პროექტზე დაფუძნებული სწავლება, არის ორი მნიშვნელოვანი განვითარების შედეგი ბოლო 25 წლის განმავლობაში. პირველი, სწავლის თეორიაში მომხდარი რევოლუცია. განათლებაში ახალმა აღმოჩენებმა განაპირობა ბავშვების სწავლის ახალი გზების გაგება. ნეირომეცნიერებასა და ფსიქოლოგიაში ჩატარებულმა კვლევამ გააფართოვა სწავლის კოგნიტური და ქცევითი მოდელები, რომლებიც მხარს უჭერს ტრადიციულ პირდაპირ სწავლებას, სადაც ცოდნა, აზროვნება, კეთება და სწავლის კონტექსტი განუყოფლად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ცნობილია, რომ სწავლა ნაწილობრივ სოციალური აქტივობაა; იგი ხორციელდება კულტურის, საზოგადოებისა და წინარე გამოცდილების კონტექსტში, რაც კარგად ჩანს სამედიცინო სფეროში პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის კვლევაში, რომელიც პროექტზე-დაფუძნებული სწავლის მნიშვნელოვანი წინამორბედია.

კვლევებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები არა მხოლოდ პასუხობენ უკუკავშირით, არამედ ისინი აქტიურად იყენებენ არსებულ ცოდნას, რათა გამოიკვლიონ, იმსჯელონ, გამოიტანონ დასკვნები და შექმნან პროდუქტი. ისინი იღებენ გა-

დაწყვეტილებებს, რითაც ამახვილებენ ყურადღებას სწავლის პროცესზე. გარდა ამისა, კოგნიტურმა კვლევამ გაცილებით მეტი გამოავლინა პრობლემის გადაჭრის ბუნების შესახებ, რაც წაადგა განათლების სფეროს, რადგან მასწავლებლებმა ისწავლეს, როგორ გაამყარონ ეფექტურად შინაარსი და აქტივობები, რათა გააძლიერონ მოსწავლეთა მრავალფეროვანი უნარები და შესაძლებლობები.

მეორე მიზეზი, თუ რატომ გახდა პროექტზე დაფუძნებული სწავლა პოპულარული, არის სამყაროს გლობალური ცვლილებები. თითქმის ყველა მასწავლებელს ესმის, თუ როგორ ჩამოყალიბდა მე-19 — მე-20 საუკუნეებში ინდუსტრიულ კულტურაში სკოლების ორგანიზაცია და სწავლის მეთოდები. პედაგოგები აღიარებენ, რომ სკოლები უნდა მოერგოს ახალ საუკუნეს. ნათელია, რომ ბავშვებს წარმატების მისაღწევად სჭირდებათ ცოდნაც და უნარებიც. ეს საჭიროება განპირობებულია არა მხოლოდ სამუშაო მოთხოვნებით დასაქმებულისადმი, რომელსაც გააჩნია დაგეგმვის, თანამშრომლობის და კომუნიკაციის უნარები, არამედ საჭიროებით, რომ ყველა ახალგაზრდამ გაიაზროს სამოქალაქო პასუხისმგებლობა და აითვისოს გლობალური მოქალაქის ახალი როლი.

განათლების საჭიროება, მოერგოს ცვალებად სამყაროს, არის იმის მთავარი მიზეზი, თუ რატომ ხდება პროექტზე დაფუძნებული სწავლა სულ უფრო პოპულარული. იგი არის ახალი სასწავლო პრაქტიკის შექმნის მცდელობა, რომელიც ასახავს იმ გარემოს, რომელშიც ახლა ბავშვები ცხოვრობენ და სწავლობენ და რამდენადაც სამყარო აგრძელებს ცვლილებას, ასევე იცვლება პროექტზე დაფუძნებული სწავლის განმარტება.

პროექტზე დაფუძნებული სწავლის ერთი საერთო განმარტება არ არსებობს. ერთ-ერთი განმარტების მიხედვით, იგი სისტემური სწავლების მეთოდს წარმოადგენს, რომელიც ახორციელებს მოსწავლეების ცოდნისა და უნარების სწავლებას კვლევის პროცესის მეშვეობით, რომელიც წარიმართება რთული, ავთენტური შეკითხვების და შექმნილი პრო-

დუქტების/ ამოცანების ირგვლივ. ეს განმარტება მოიცავს როგორც ერთიდან ორ კვირამდე ხანგრძლივობის ხანმოკლე პროექტს (რომელიც ეფუძნება ერთ საგანს ერთ კლასში), ისე ერთწლიან ინტერდისციპლინურ პროექტებს, რომელიც მოიცავს საზოგადოების მონაწილეობას და მოზარდების კლასგარეშე ჩართულობას.

Krajcik & Blumenfeld-ის (2006) მიხედვით, პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის სიტუაციური სწავლის ფორმა, რომელიც ეფუძნება კონსტრუქტივისტულ ფილოსოფიას, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები აღწევენ მასალის უფრო ღრმა გაგებას. ისინი აქტიურად აყალიბებენ საკითხის გაგებას იდეებთან მუშაობით და გამოყენებით. პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას მეცნიერების, მათემატიკოსების, მწერლების და ისტორიკოსების მსგავსად, მოსწავლეები შეისწავლიან რეალურ, მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია. პროექტზე დაფუძნებული სწავლება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გამოიკვლიონ საკითხები, შესთავაზონ ჰიპოთეზები და ახსნა-განმარტებები, განიხილონ საკუთარი იდეები, გამოთქვან საწინააღდეგო მოსაზრებები და გამოსცადონ ახალი იდეები. კვლევამ აჩვენა, რომ გაკვეთილებზე, სადაც პროექტებზე დაფუძნებული სწავლება მიღებული პრაქტიკაა, მოსწავლეები იღებენ უფრო მაღალ ქულებს, ვიდრე ტრადიციული საკლასო გარემოში.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის სასწავლო გარემოს დიზაინის საერთო მიდგომა. პროექტზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს აქვს ხუთი ძირითადი მახასიათებელი (Krajcik & Blumenfeld, 2006): 1. მამოძრავებელი შეკითხვა/გადასაჭრელი პრობლემა. 2. მოსწავლეები იკვლევენ გადასაჭრელ საკითხს ავთენტურ, სიტუაციურ კვლევაში მონაწილეობით — პრობლემის გადაჭრის პროცესები. როდესაც მოსწავლეები იკვლევენ მამოძრავებელ შეკითხვაზე პასუხს, ისინი შეისწავლიან და იყენებენ მნიშვნელოვან იდეებს დისციპლინაში. 3. მოსწავლეები, მასწავლებლები და საზოგადოების წევრები ერთობლივი აქტივობებით მუშაობენ გადასაჭ-

რელ საკითხზე. ეს ასახავს ექსპერტული პრობლემის გადაჭრის რთულ სოციალურ ბუნებას. 4. კვლევის პროცესში ჩართული მოსწავლეები იყენებენ სასწავლო ტექნოლოგიებს, რომლებიც ეხმარება მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობებში, რაც, ჩვეულებრივ, მათ შესაძლებლობებს აღემატება. 5. მოსწავლეები ქმნიან ხელშესახები პროდუქტის კომპლექტს, რომელიც უკავშირდება მამოძრავებელ შეკითხვას.

Krajcik & Blumenfeld (2006) -ის მიხედვით პროექტზე დაფუძნებული მიდგომა განათლების მეცნიერების ოთხ ძირითად იდეას ეყრდნობა: (ა) აქტიური კონსტრუქციული სწავლა (Active Construction Learning), (ბ) სიტუაციური სწავლა, (გ) სოციალური ინტერაქცია და (დ) შემეცნებითი ინსტრუმენტები.

კვლევებმა დაადგინა, რომ საკითხის ღრმა გაგება ხერხდება მაშინ, როდესაც მოსწავლე აქტიურად აყალიბებს მნიშვნელობას მისი გამოცდილებისა და სამყაროში ურთიერთქმედების საფუძველზე, ხოლო ზედაპირული სწავლისას მოსწავლეები პასიურად იღებენ ინფორმაციას მასწავლებლისგან, კომპიუტერიდან ან წიგნიდან. გაგების განვითარება არის მუდმივი პროცესი, რომელიც მოითხოვს მოსწავლეებმა წინარე ცოდნას და გამოცდილებას დააშენონ ახალი გამოცდილებიდან და იდეებიდან მიღებული ცოდნა. პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში მასწავლებლები არ აწვდიან მზა პასუხებს მოსწავლეებს და სასწავლო მასალები არ შეიცავენ გადაჭრის გზებს; უფრო მეტიც, მოსწავლეები აქტიურად ავითარებენ ცოდნას გარე სამყაროს შესწავლისას, აკვირდებიან მოვლენებს, ურთიერთობენ, იზიარებენ ახალ იდეებს, ახალ და ძველ ცნებებს შორის ამყარებენ კავშირს, განიხილავენ და მსჯელობენ ამ საკითხებზე სხვებთან. პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლეები, როგორც საკითხის ექსპერტები, აქტიურად აყალიბებენ საკუთარ ცოდნას რეალურ სამყაროში აქტივობებში მონაწილეობით, პრობლემების გადასაჭრელად და არტეფაქტების შესაქმნელად.

კვლევამ აჩვენა, რომ ყველაზე ეფექტური სწავლა ხდება მაშინ, როდესაც სწავლა ხორციელდება ავთენტურ, რეალურ კონტექსტში. ზოგ სამეცნიერო დისციპლინაში მეცნიერები ატარებენ ექსპერიმენტებს ლაბორატორიებში; სხვებში სისტემატურად აკვირდებიან ბუნებრივ სამყაროს და დაკვირვებებიდან გამოაქვთ დასკვნები. სიტუაციური სწავლება მეცნიერებაში რთავს შემსწავლელს მოვლენების შესასწავლად. რადგან ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა სამეცნიერო პრაქტიკაში, როგორიცაა: კვლევის დაგეგმვა, ახსნა/ვარაუდების გაკეთება, მოდელირება და მათი იდეების სხვებისთვის წარდგენა. სიტუაციური სწავლის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ უფრო ადვილად დაინახონ დავალებებისა და აქტივობების მნიშვნელობა, რომლებსაც ისინი ასრულებენ. როდესაც მოსწავლეები ატარებენ საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტს სახელმძღვანელოდან დეტალური ნაბიჯების მიყოლებით, ეს ლექციის პასიურ მოსმენას ჰგავს, რადგან მოსწავლეებისთვის ძნელია დაინახონ აზრი იმაში, რასაც აკეთებენ; ხოლო როდესაც ისინი ქმნიან საკუთარი კვლევის დიზაინს, რათა უპასუხონ მათთვის და მათი თემისათვის მნიშვნელოვან შეკითხვას, ისინი ხედავენ, თუ როგორ შეიძლება მეცნიერების გამოყენება მნიშვნელოვანი პრობლემების გადასაჭრელად. სიტუაციური სწავლის მეორე სარგებელია სიტუაციების უფრო ფართო სპექტრზე განზოგადდება. როდესაც მოსწავლეები იძენენ ინფორმაციას დისკრეტული ფაქტების დამახსოვრების გზით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მნიშვნელოვან სიტუაციებთან, ძნელია მოსწავლეებისათვის, განაზოგადოს ახალი სიტუაციების შედეგების ზედაპირული გაგება. როდესაც მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას სახელმძღვანელოდან ეტაპობრივ სამეცნიერო ექსპერიმენტებში, ისინი არ სწავლობენ, როგორ და სად გამოიყენონ იგივე პროცედურები საკლასო ოთახის გარეთ. თუმცა, როდესაც მოსწავლეები იძენენ ინფორმაციას მნიშვნელოვან კონტექსტში და უკავშირებენ მას წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, მათ შეუძლიათ შექმნან

კავშირი ახალ და წინარე ცოდნას შორის, რათა უკეთ განვითარდნენ და ჰქონდეთ ცნებების უფრო ღრმა გაგება.

განათლების მეცნიერებების კვლევების ერთ-ერთი ყველაზე მყარი დასკვნა ეხება სოციალური ინტერაქციის მნიშვნელოვან როლს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში. საუკეთესო სასწავლო შედეგის კონკრეტული სახე მიიღწევა სწორად სოციალური ინტერაქციის შედეგად, როდესაც მასწავლებლები, მოსწავლეები და საზოგადოების წევრები ერთად მუშაობენ აქტივობებში, რათა შექმნან საერთო გაგება. მოსწავლეები ავითარებენ პრინციპებისა და იდეების გაგებას სხვებთან მოსაზრებების გაზიარების, მსჯელობის და დებატების გზით. იდეების გაზიარება, გამოყენება და დისკუსია ეხმარება მოსწავლეთა ერთობის/თემის/ კავშირების/ქსელის შექმნას.

კვლევებმა ცხადყო ინსტრუმენტების მნიშვნელოვანი როლი სწავლაში. შემეცნებითი ინსტრუმენტები აძლიერებენ და ავრცობენ იმას, რაც შემსწავლელებს შეუძლიათ ისწავლონ. გრაფიკი არის შემეცნებითი ინსტრუმენტის მაგალითი, რომელიც ეხმარება მოსწავლეს დაინახოს პატერნი/მოდელი/ტენდენცია მონაცემებში. კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჩაითვალოს შემეცნებით ინსტრუმენტად, რადგან ის საშუალებას აძლევს მოსწავლეს, შეასრულოს ამოცანა, რომელიც შეუძლებელია პროგრამული უზრუნველყოფის გარეშე. მაგალითად, კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ფორმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ვიზუალურად წარმოადგინონ მონაცემთა რთული ნაკრები. ასეთ სიტუაციებში კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას ეწოდება სასწავლო ტექნოლოგია. სასწავლო ტექნოლოგიებს შეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლეს: (1) ჰქონდეს წვდომა და შეაგროვოს მთელი რიგი სამეცნიერო მონაცემები და ინფორმაცია; (2) გამოიყენოს ვიზუალიზაცია და მონაცემთა ანალიზის ინსტრუმენტები; (3) დაგეგმოს და დატესტოს მოდელები, (4) შეიმუშაოს მულტიმედიური დოკუმენტები, რომლებიც ასახავს მოსწავლის გაგებას. ეს მახასი-

ათებლები აფართოებს შეკითხვების დიაპაზონს, რომელთა კვლევის შესაძლებლობაც ეძლევათ მოსწავლეებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა შემეცნებითი ინსტრუმენტი პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას, დიდი ყურადღება ექცევა სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებას.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება გადამდები, შემოქმედებითი ენერგიის გაცვლაა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის; იგი აძლიერებს ურთიერთობებს და ქმნის სწავლისადმი უწყვეტ სიყვარულს. შემსწავლელები იძენენ აკადემიურ უნარებსა და შინაარსობრივ ცოდნას კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, კრეატიულობის, კომუნიკაციისა და სხვა ტრანსფერული უნარების დახვეწისას. როდესაც სწორად ხორციელდება პროექტზე დაფუძნებული სწავლება, იგი უნარზე დაფუძნებული და პერსონალიზებული სწავლების მხარდასაჭერად ეფექტური მეთოდოლოგიაა, რადგან საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ჩაერთონ სწავლის ავთენტურ შესაძლებლობებში, რაც მნიშვნელოვანია და შესაბამისია მათი ცხოვრებისთვის და აძლევს შესაძლებლობას წარმოადგინონ მათი სწავლის მტკიცებულებები შემოქმედებითი გზით (Larmer et al., 2015).

კვლევის პროცესში მოსწავლეები იძენენ ცოდნას, გაგებას და უნარებს, განსაზღვრავენ მიდგომებს, რათა გამოიყენონ ის, რაც ისწავლეს რეალურ სამყაროში. მუდმივი კვლევა მოიცავს ნაბიჯებს, რომლებსაც მოსწავლეები დგამენ მამოძრავებელი კითხვის პასუხად: „რა ვიცით?“ და „რა უნდა ვიცოდეთ?" მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და წახალისებით მოსწავლეები განსაზღვრავენ, მიჰყვებიან ცოდნისკენ მიმავალ გზას; კვლევის, შემოქმედებითი აზროვნებისა და ინოვაციების მეშვეობით ავითარებენ ავთენტურ პასუხს რეალურ სამყაროში არსებულ პრობლემაზე.

Larmer და სხვებმა(2015) შექმნეს პროექტზე დაფუძნებული სწავლებისათვის ყოვლისმომცველი, კვლევის ინფორმირე-

ბული მოდელი, რათა დახმარებოდნენ მასწავლებლებს, სკოლებსა და ორგანიზაციებს, გაეუმჯობესებინათ, დაეხვეწათ და შეეფასებინათ პრაქტიკა. პროექტზე დაფუძნებული სწავლების ოქროს სტანდარტი ორიენტირებულია მოსწავლეთა ძირითადი ცოდნის, გაგებისა და წარმატების უნარების შეძენაზე. პროექტზე დაფუძნებული სწავლების ოქროს სტანდარტის შვიდი ძირითადი ელემენტი შეიძლება გამოიკვეთოს და ინტეგრირებული იყოს ამ მეთოდის სწავლებაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სიზუსტე (დეტალურობა), მოსწავლის თანამესაკუთრეობის განცდა და ავთენტურობა. დაგეგმვის პროცესში ეს ელემენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო პრინციპად, რათა გაუმჯობესდეს მოსწავლეთა ჩართულობა, გაგება და ცოდნა ნებისმიერ აკადემიურ სფეროში და, საბოლოოდ, ხელი შეუწყოს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას ნებისმიერ სასწავლო გარემოში.

ფიგურის (იხ. ფიგ. 1) ცენტრში წარმოდგენილია მოსწავლის სასწავლო მიზნები, რაც რაციონალური საფუძველია იმისა, რასაც პედაგოგები აკეთებენ — აძლევენ მოსწავლეებს შესაძლებლობას, განავითარონ ცოდნა, გაგება და წარმატების უნარები, რომლებიც ამზადებს მათ სკოლის და ცხოვრებისეული წარმატებული გამოცდილებისთვის. ოქროს სტანდარტი პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში ფოკუსირებულია ინფორმაციასა და ცნებებზე, რომლებიც სცილდება Google-ში ზედაპირულ ძიებას, რაც მოითხოვს ფიქრს და ანალიზს. აზროვნების ასეთი სიღრმე ყოველთვის არ იყო დაკავშირებული პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასთან. 1970-იან წლებში ბევრმა მასწავლებელმა სცადა პროექტზე დაფუძნებული სწავლა, მაგრამ ვერ მოახერხა ეფექტურად მისი განხორციელება(Larmer John et al., 2015). ეს მეთოდი არა მხოლოდ სასიამოვნო პროცესია, იგი სწავლის დისციპლინირებული გზაა.

დღესაც ზოგიერთი მასწავლებელი, მსგავსად კილპატრიკის, ფიქრობს, რომ ეს მეთოდი მოტივაციის ამაღლების საშუალებაა და არა სწავლების. ამ მეთოდის ოქროს სტანდარტი

ხაზს უსვამს სწავლის მნიშვნელობას; მეთოდის მიზანია ღრმა სწავლა, ცოდნის და ცნებების დაუფლება, ხოლო სიამოვნება და მაღალი მოტივაცია განიხილება, როგორც დამატებითი შედეგი. ამავდროულად, შეუძლებელია კეთების გამიჯვნა სწავლისგან, რადგან ისინი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. თუმცა, საბოლოოდ აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რა ცოდნას იძენს მოსწავლე. მოსწავლეთა სასწავლო მიზნების გათვალისწინებით, მასწავლებლები ქმნიან ან ცვლიან პროექტებს, რომლებიც განასახიერებენ ქვემოთ მოყვანილი პროექტის დიზაინის ძირითად ელემენტებს: 1) რთული პრობლემა ან შეკითხვა, (2) მუდმივი კვლევა (3) ავთენტურობა, (4) მოსწავლის ხმა და არჩევანი, (5) რეფლექსია, (6) კრიტიკა და შესწორება და (7) საზოგადოებრივი პროდუქტი. ოქროს სტანდარტის დიზაინის ელემენტები და პროექტის ფარგლებში მათი წარმოდგენის ხარისხი განსაზღვრავს რამდენად მჭიდროდ აღწევს პროექტი სასწავლო მიზნებს.

ფიგურა 1 პროექტზე დაფუძნებული სწავლის ოქროს სტანდარტი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *Dewey, J. (1897). My pedagogic creed. The School Journal, 54, 77-80*
2. *My pedagogic creed. The School Journal, 54, 77-80*
3. *Kilpatrick, W. H. (1929). The project method. The Use of the Purposeful Act in the Educative Process.*
4. *Krajcik J. S., & Blumenfeld P. C. (2006). Project-Based Learning. In Sawyer R. K. (Ed.), The Cambridge Handbook of the Learning Sciences (1st ed.). University of North Carolina.*
5. *Larmer, J., Mergendoller, J., & Boss, S. (2015). Setting the Standard for Project Based Learning. ASCD. www.ascd.org/memberbooks*
6. *Monroe W. S. (1926). Projects and the project method. University of Illinois.*
7. *Dewey, J. (1897). My pedagogic creed. The School Journal, 54, 77-80.*

1.2. პროექტმეთოდი, როგორც მოსწავლეზე ორი ენტირებული და ინტერაქტიული სწავლების ეფექტური მეთოდი

საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისათვის ერთობ ღირებული გახდა პიროვნების მიერ სააზროვნო და შემოქმედებითი უნარების ფლობა, რომლის ჩამოყალიბება-განვითარებას საფუძველი სასკოლო ასაკიდანვე უნდა ჩაეყაროს, ამიტომ მოსწავლეთათვის მაღალი სააზროვნო (ანალიზი, სინთეზი, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, გადაწყვეტილების მიღება) თუ შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბება-განვითარებისათვის ძირითადი მისია, უპირველესად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს და, შესაბამისად, მასწავლებლებს დაეკისრათ. ამ პროცესზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას და მათგან ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდების გამოყენება სწავლებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

გამორჩეულად ღირებულია აქტიური სწავლება, რა დროსაც მოსწავლეთა მოტივაცია, როგორც წარმმართველი

ძალა, პირდაპირ განსაზღვრავს მათ აქტიურ და ნაყოფიერ ჩართულობას სასწავლო პროცესში და შემდგომში სწავლის შედეგიანობას. როცა სწავლის პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს, მაშინ მათი მოტივაციაც მაღალია და სწავლა ხდება ბევრად საინტერესო და შემოქმედებითი. მასწავლებლის დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ სწავლების პროცესი მოსწავლეთა საჭიროებებს მოარგოს, საინტერესო მეთოდები და სტრატეგიები შესთავაზოს და საგანმანათლებლო პროცესი ბევრად პროდუქტიული გახადოს.

აქტიური სწავლების მიდგომები გულისხმობს იმას, რომ „სასწავლო პროცესს ძირითადად მოსწავლე წარმართავს, მასწავლებელი კი მხოლოდ ფასილიტატორის ფუნქციას ასრულებს. ეს მიდგომა მიმართავს ისეთ პედაგოგიურ ხერხებსა და სტრატეგიებს, როგორებიცაა: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, შებრუნებული საკლასო ოთახი და დიფერენცირებული მიდგომები“ (TALIS , 2018, გვ 94).

ერთ-ერთი სტრატეგია, რომელიც სასწავლო პროცესში მოსწავლის მოტივაციის ზრდასა და, შესაბამისად, აქტიურ ჩართულობას განაპირობებს, პროექტზე დაფუძნებული სწავლებაა და დღეს ის განსაკუთრებით აქტუალურია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დამკვიდრებულ სტრატეგიებს შორის, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის ხშირად ლიტერატურაში სხვადასხვა ტერმინითაა მოხსენიებული. ერთსა და იმავე სტრატეგიაზე სხვადასხვა ტერმინის მოხმობას განაპირობებს თავად სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიის სიმრავლე. ხანდახან გვხვდება არასწორი თარგმანიც, რომელიც შემდგომ ქართულ ლიტერატურაში მკვიდრდება, ამიტომ, როდესაც ამ საკითხის ირგვლივ ლიტერატურას ვაანალიზებთ, მკვლევართა აზრის ციტირებისას გვიწევს, რომ პროექტმეთოდი სხვადასხვა, მაგრამ სინონიმური ტერმინოლოგიით მოვიხსენიოთ. იგივე შეიძლება ითქვას მოვიყვანოთ

მისი „სტატუსის“ განსაზღვრისას, სადაც იგი ზოგჯერ საგანმანათლებლო სტრატეგიაა, ზოგჯერ-მეთოდი.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ეს სტრატეგია გვხვდება, როგორც: „სასწავლო პროექტი“. სხვადასხვა პედაგოგიურ ლიტერატურაში კი, შესაძლებელია, მოხსენიებული იყოს შემდეგი სინონიმებით — პროექტმეთოდი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პროექტგაკვეთილი და სხვ.

პროექტმეთოდის, პროექტული სწავლების, მიმართ დიდია მკვლევართა დაინტერესება და უამრავი ლიტერატურა, მასწავლებელთა პრაქტიკის კვლევა, სატრენინგო მასალა, ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევების ანგარიშები, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომები ეძღვნება ამ სტრატეგიის აღწერილობას, თეორიულ და პრაქტიკულ რეკომენდაციებს მეთოდის სარგებლიანობაზე, გამოწვევებზე პედაგოგებისა და მოსწავლეებისათვის. როგორც მოსალოდნელია, მათ შორის ბევრი მსგავსება და განსხვავებაა და თითოეული განმარტება/რეკომენდაცია საყურადღებო და დასაფიქრებელია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ მომზადებული სატრენინგო მოდულის მიხედვით პროექტგაკვეთილი კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტით სწავლება მათი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? ამ კითხვებზე დამაჯერებელი პასუხის გაცემაში მასწავლებელს სასწავლო პროექტებში მოსწავლეების ჩართვა დაეხმარება. პროექტზე მუშაობის დროს, რეალური პრობლემის გადაჭრისას, მოსწავლეები შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს იყენებენ პრაქტიკაში. პროექტით სწავლება იწვევს მოსწავლეთა მოტივირებას და ზრდის მათ პასუხიმგებლობას. ისინი ხალისით ასრულებენ სამუშაოებს, მაშინაც კი, თუ მათი შეს-

რულება ხანგრძლივ ძალისხმევას მოითხოვს“ (სატრენინგო მასალა, გვ 3).

სულ უფრო მეტი მკვლევარი და პრაქტიკოსი პედაგოგი თანხმდება იმაზე, რომ პროექტით სწავლება ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ძალზე ეფექტური და მრავალფუნქციური მეთოდია, რომელიც მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებასა და ეფექტურ თანამშრომლობას გულისხმობს. „პროექტის მეთოდით სწავლა, როგორც ერთ-ერთ სატრენინგო მოდულშია მოცემული, „შეიძლება განვმარტოთ, როგორც მოსწავლეთა გარკვეული მიზნით განხორციელებული საკლასო ან გუნდურ აქტივობათა ერთობლიობა — კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მათ კვლევითი, შემოქმედებითი ცოდნის ტრანსფერს.

პროექტმეთოდი მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების თვალსაჩინო ნიმუშია. იგი ეფუძნება საგნობრივ სტანდარტს და უზრუნველყოფს მაღალსააზროვნო, კომუნიკაციური, თუ დამოუკიდებლად მუშაობის უნარების განვითარებას. ეს მიდგომა ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და პასუხისმგებლობას საკუთარი საქმიანობის მიმართ. და, რაც მთავარია, მოსწავლე იძენს რეალურ, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, მეწარმეობის უნარებს; ივითარებს სოციალურ და მეტაკოგნიტურ უნარებს, როგორებიცაა თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევები. როგორც ბენდერი წერს, „პროექტზე დაფუძნებული სწავლება წარმოადგენს სწავლების მეთოდს, რომელშიც მოსწავლეები აწყდებიან „რეალურ სამყაროში არსებულ მათთვის მნიშვნელოვან პრობლემებსა და საკითხებს, განსაზღვრავენ, თუ როგორ მოეკიდონ მათ, შემდეგ კი იმოქმედონ ერთობლივად პრობლემის გადასაწყვეტად" (ბენდერი, 2012; 1).

პროექტზე დაფუძნებული სწავლა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყურადღებას ამახვილებს სწავლის პროცესში მოსწავლეების აქტიურ როლზე. მოსწავლეები არიან პროექტის

შემქმნელები და პრობლემების გადამჭრელები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებამდე განიხილავენ, აფასებენ უამრავ ვარიანტს და იყენებენ თავიანთ კრეატიულობას, ერთობლივად მუშაობის უნარს და საკუთარი არჩევანის და არგუმენტების დაცვის უნარ-ჩვევებს. პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხშირად დაკავშირებულია ავთენტური სწავლის კონცეფციასთან, როდესაც მოსწავლეები რეალური პრობლემის გადაწყვეტაზე მუშაობენ.

სტივ რევინგტონი (2016) გვთავაზობს ავთენტური სწავლის შემდეგ განმარტებას: „რეალური ცხოვრების შესწავლა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს, შექმნან ხელსაყრელი, სასარგებლო პროდუქტი თავიანთ სამყაროში" (Chang, T.-W. and Kinshuk, R. H;2017; 5). ეს პედაგოგიური მიდგომა აიძულებს მოსწავლეებს, „ისწავლონ კეთებით“, რადგან ისინი ჩართულნი არიან ისეთ აქტივობებში, როდესაც თავად სვამენ კითხვებს, ფიქრობენ კრიტიკულად, ასრულებენ სამეცნიერო ექსპერიმენტებსა და დაკვირვებებს, ატარებენ კვლევას. ავთენტური სწავლის უპირატესობებია: მოსწავლეთა გაზრდილი მოტივაცია, სწავლის უკეთესი შესაძლებლობები, საბოლოოდ კი, გაუმჯობესებული 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები, რომელთა შორისაა: კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, წარმოსახვა და ცნობისმოყვარეობა, ლიდერობა, თვითდისციპლინა, პრობლემის გადაჭრისა და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები და ა.შ. საინტერესოა პროექტზე დაფუძნებული სწავლების განმარტება და ეტაპების დახასიათება სხვადასხვა ავტორთა მიერ.

მაგალითად: ლარმერის, მერგენდოლერის და ბოსის აზრით, პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის მეთოდოლოგიური მიდგომა, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები გეგმავენ, შეიმუშავებენ, განახორციელებენ და აფასებენ პროექტს. იგი მოიცავს პროექტის დიზაინის მნიშვნელოვან ელემენტებს და მას თვალსაჩინოდ შემდეგნაირად გამოსახავენ (სურათი 1):

სურათი 1.

ამ სურათის მიხედვით მეთოდის განხორციელების ეტაპებია:

1) პრობლემა/შეკითხვა — მნიშვნელოვანი პრობლემა ან შეკითხვა, რომელიც შეიძლება დაებადოთ მოსწავლეებს მათი ამოხსნის მიზნით და პასუხის მისაღებად;

2) სიღრმისეულად შესწავლა — მოსწავლეები აგროვებენ ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია პრობლემის მოსაგვარებლად ან კითხვაზე პასუხის გასაცემად. ისინი მოიძიებენ შესაბამის რესურსებს და იყენებენ მოძიებულ ინფორმაციას;

3) ავთენტურობა — პროექტი დაკავშირებულია რეალურ პრობლემებთან, რომელთა წინაშეც ადამიანები თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში დგებიან — მაგ. საბჭო, რომელმაც უნდა დაადგინოს რეგიონის რომელი ქარხანა აყენებს ყველაზე მეტ ზიანს გარემოს; სამშენებლო კომპანია, რომელმაც მდინარეზე, სეისმოლოგიურ რეგიონში, უნდა აააშენოს მყარი ხიდი. ზოგიერთი გამოწვევა მოსწავლეებისათვის შეიძლება იყოს პირადი ცხოვრების ან პრობლემის შესაბამისი;

4) მოსწავლეთა ხმა და არჩევანი — პროექტის წარმატებით დასაგეგმად და შესასრულებლად მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ გარკვეული არჩევანი თავიანთი პროექტის დიზაინსა და განხორციელებასთან დაკავშირებით (მაგ. კითხვების დასმა, რესურსების შერჩევა, გუნდის სხვადასხვა წევრზე როლების გადანაწილება და მათი პასუხისმგებლობების განსაზღვრა, შედეგების მიღება);

5) გააზრება — მოსწავლეებმა და პედაგოგებმა შეიძლება გაიაზრონ პროექტის ზოგიერთი ასპექტი მასზე მუშაობისას ან დასრულების შემდეგ. გააზრება, შესაძლებელია, შეიცავდეს სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებას (მაგ.: სასწავლო პორტფოლიოები, შეფასების ფურცლები, დისკუსიები, შედეგების და მათი მიღების პროცესის პრეზენტაციები);

6) კრიტიკა და გადახედვა — მოსწავლეები და მათი თანატოლები მუშაობისას ერთმანეთს კონსტრუქციულ შენიშვნებს აძლევენ და იღებენ უკუკავშირს; გამოიყენება პროექტის დაგეგმვის უნარ-ჩვევების, მრავალფეროვანი სასწავლო მასალის შერჩევისა და გამოყენების შესაძლებლობების, გუნდური მუშაობის და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად;

7) საჯარო პროდუქტი — მოსწავლეები პროექტებს თავიანთ თანაკლასელებს წარუდგენენ. ეს შვიდი ეტაპი უშუალოდ უკავშირდება მოსწავლეების საკვანძო ცოდნას და უნარებს, რადგან პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიზანია, ხელი შეუწყოს აქტიურ მოსწავლეთა განვითარებას, რომლებიც იქნებიან ავტონომიურები და პასუხისმგებელნი საკუთარ სწავლაზე.

ქიმიის მიმართულების სატრენინგო მოდულის შემდგენელთა აზრით, პროექტმეთოდი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს:

1. პროექტის ამოსავალი საკითხის/პრობლემის იდენტიფიცირება და ანალიზი;

2. საჭირო ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;

3. პროექტის დაგეგმვა და შესაბამის ფორმატში გაწერა. პროექტის შეფასების სქემის შექმნა;

4. პროექტის აქტივობების განხორციელება;

5. პროექტის საბოლოო პროდუქტის წარდგენა;

6. პროექტის შეფასება“ (წინასატრენინგო საკითხავი მასალა, გვ. 33).

მეტად საინტერესოა კვლევის ანგარიში: „მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს სკოლებსა და თემებში“, რომელიც მოიცავს სასკოლო ცხოვრების 9 სხვადასხვა ასპექტს. ესენია: სასკოლო კლიმატი, ლიდერობა და მართვა, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, კურიკულუმი, სწავლა და სწავლება, სამოქალაქო განათლება, კლასგარეშე აქტივობები და პროფესიული განვითარება. ყურადღება გამახვილებულია თითოეული ამ ასპექტის მნიშვნელობაზე, მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით, აღწერილია არსებული საკანონმდებლო ბაზა, იდენტიფიცირებულია გასაუმჯობესებელი საკითხები და მოცემულია სასარგებლო პრაქტიკული რეკომენდაციები.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს მე-4, მე-6 და მე-7 რეკომენდაციები.

რეკომენდაცია 1:

მასწავლებლებს მიეწოდოთ სწავლის პროცესში მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდის პრაქტიკული სტრატეგიების ეტაპობრივი, ნაბიჯ-ნაბიჯ სახელმძღვანელო, მაგ., მასწავლებლები მუშაობენ სხვადასხვა დონის სირთულეთა სერიაზე, დაწყებული მოსწავლეებისთვის მარტივი არჩევანის შესაძლებლობის მიცემით.

რეკომენდაცია 2:

მასწავლებლებს წარედგინოთ პროექტზე დაფუძნებული სწავლების ისეთი მოდელი, რომლის გამოიყენებაც შესაძლებელია ნებისმიერ საგანში, მაგ., სხვადასხვა ეტაპად დაყოფა, სადაც თითოეულ ეტაპს ახლავს მასწავლებლის ინსტრუქციები” (ბაშარული, ლ; კვლევის ანგარიში, გვ.52).

აღნიშნული კვლევა პროექტმეთოდის გამოყენების ძირითად არეალს კლასგარეშე აქტივობებში მოიაზრებს და თვლის, რომ კლასგარეშე აქტივობები უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა მოსწავლეთა მონაწილეობის თვალსაზრისით. ანგარიშში მითითებულია, რომ გაკვეთილის გარეთ მიმდინარე აქტივობები არ იზღუდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებით ან საკლასო წეს-ჩვეულებებით. უსასრულოა იმ აქტივობების ტიპები, რომლებშიც შეიძლება მოსწავლე ჩაერთოს, დაწყებული სპორტული კლუბებიდან და წმინდა სოციალური აქტივობებიდან, დასრულებული საზოგადოებრივი პროექტებით და კამპანიებით“ (ბაშარული, ლ; კვლევის ანგარიში, გვ 58).

ანგარიშში მოყვანილი დასკვნები გამყარებულია გამოკვლეულ რესპოდენტთა პასუხებით. კვლევის მიხედვით: „გამოკითხული მასწავლებლები კლასგარეშე აქტივობებს არსებით მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეთა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის თვალსაზრისით. მოსწავლეები ხშირად გამოთქვამენ ჩართვისა და პასუხისმგებლობის აღების სურვილს, თუ მასწავლებლებისგან სათანადო დახმარებას იღებენ. კლასგარეშე აქტივობებში მოსწავლეებს შეუძლიათ თვითგამოხატვა, უფლება აქვთ, ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრებები და მუშაობენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მათთვის არის მნიშვნელოვანი. ასეთი სახის კლასგარეშე აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს არა მხოლოდ დემოკრატიული ღირებულებების, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური უნარ-ჩვევების დასწავლაში. კლასგარეშე აქტივობები მჭიდრო კავშირშია მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და ორგანიზებულია მათ მიერ. ზოგჯერ, ზოგიერთი პროექტის ორგანიზება ხდება სხვა სკოლებთან თანამშრომლობით“ (ბაშარული, ლ; კვლევის ანგარიში, გვ 60). თავად გამოკითხული მოსწავლეები ამბობენ, რომ „მათ უფრო ადვილად შეუძლიათ თვითგამოხატვა კლასგარეშე აქტივობების ფარგლებში და რომ ეს აქტივობები მეტად შეესაბამება მათ სურვილებსა და აზრებს. როგორც მასწავლებლები, ისევე მოსწავლეებიც ფიქრობენ, რომ კლასგარეშე აქტივობები

მეტ მხარდაჭერას საჭიროებს და ორივე მხარეს სურს, რომ მშობლები მეტად იყვნენ მათში ჩართული“ (ბაშარული, ლ; კვლევის ანგარიში (გვ. 60). პროექტმეთოდის გამოყენების უპირატესობებზე მიუთითებენ მასწავლებლები საქართველოს სკოლებში ჩატარებული პრაქტიკის კვლევებში, რომელთაგან რამდენიმეზე შევჩერდებით. პედაგოგი ჭაღალიძე თავისი პრაქტიკის კვლევაში აღნიშნავს, რომ: „აქტიურობა სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ამ ასაკში ბავშვებისათვის ბევრად უფრო ბუნებრივი და სასიამოვნოა რაიმე საქმიანობაში აქტიურად ჩართვა, ვიდრე გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა და მოსმენა. გაკვეთილის „გააქტიურება“ ბევრი არაერთგვაროვანი სტრატეგიით შეიძლება. ერთ-ერთი სახალისო და სასარგებლო მეთოდია პროექტები. პედაგოგის აზრით, მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ ასწავლიან ამა თუ იმ საკითხს? რაში გამოადგებათ ეს ცოდნა? ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემაში, პედაგოგის აზრით, სასწავლო პროექტების დაგეგმვა და მასში მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვა ეხმარება”(ჭაღალიძე, პრაქტიკის კვლევა, გვ 20).

პედაგოგი გამოყოფს პროექტზე დაფუძნებული სწავლის უპირატესობებს:

- ამყარებს კავშირებს საკლასო გარემოს გარეთ
- მიმართულია რეალურ ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე
- ავითარებს რეალური ვითარებებთან დაკავშირებულ უნარებს.

მაგალითად:

- სხვებთან წარმატებით თანამშრომლობის;
- გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების;
- ინიციატივის გამოჩენის;
- კომპლექსური პრობლემების გადაჭრის.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება ახალისებს:

• ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს;

• კოგნიტურ უნარებს;

• საკუთარი თავის მართვის უნარებს;

• პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას;

ხდება მოსწავლეთა ფოკუსის გადანაცვლება:

• მითითებების შესრულებისაგან — დამოუკიდებლად წარმართული სასწავლო

აქტივობებისაკენ;

• დამახსოვრებისა და გამეორებისაგან- აღმოჩენის, ინტეგრირების და პრეზენტირებისაკენ;

• მოსმენისა და რეაგირებისაგან — კომუნიკაციისა და პასუხისმგებლობის აღებისაკენ“ (ჭაღალიძე, პრაქტიკის კვლევა, გვ 20).

პრაქტიკის კვლევის დასასრულს პედაგოგი ასკვნის, რომ: „მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულნი, აქტიურები და ხალისიანები გახდნენ, მოეხსნათ სტრესი, რადგან პასუხიმგებლობა გადანაწილდა ჯგუფის წევრებს შორის. თანამშრომლობითი სწავლის გამოყენება ძალიან მნიშველოვანი არის იმიტომაც, რომ ის არის ერთგვარი მეთოდი, სადაც შერწყმულია კოგნიტური და სოციალური ასპექტები“(ჭაღალიძე, პრაქტიკის კვლევა, გვ 34). სკოლის პედაგოგის, ბაშარულის აზრით: „პროექტზე დაფუძნებული სწავლება ეს არის თანამედროვე, ადაპტირებული სასწავლო მეთოდოლოგია, რომელიც ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. PBL -ის სტრატეგიული პოლიტიკა გულისხმობს თანამშრომლობითი, ინტერდისციპლინური პედაგოგიური ჯგუფების ჩამოყალიბებას, თანამედროვე ადაპტირებულ სასწავლო მეთოდებს, რომლის მიზანს წარმოადგენს მსწავლელისთვის კონსტრუქტივისტული სასწავლო გარემოს შექმნა“ (ბაშარული, ლ; კვლევის ანგარიში, გვ 3). პედაგოგი თვლის, რომ მასწავლებელი ამ დროს პასიურ როლში კი არაა, არამედ: „ის ხდება ფასილიტატორი და მოსწავლეს ხელს უწყობს დამოუკიდებლად აწარმოოს კვლევა-

ძიება. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა საგნის პედაგოგებმა ერთობლივად დაგეგმონ და განახორციელონ სასწავლო პროექტები, რადგან ინტერდისციპლინურ აქტივობებში მონაწილეობა მოსწავლეებს ეხმარება ერთი და იმავე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში. PBL — ის, როგორც პედაგოგიური მიდგომის ერთ-ერთი ცენტრალური თვისება არის მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარება და შენარჩუნება"(ბაშარული, ლ; კვლევის ანგარიში. გვ 18). წალენჯიხის რაიონის ჩქვალერის თემის საჯარო სკოლის პედაგოგის, მარინე კვარაცხელიას აზრით, „პროექტი ორი სახისაა:

- სოციალური (იგეგმება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობით);
- სასწავლო (იგეგმება ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შესაბამისობით)" (კვარაცხელია, 2019, გვ51).

პედაგოგი უფრო დაწვრილებით განმარტავს თითოეული სახის პროექტის მიზანს. სოციალური პროექტებისათვის: სწავლასა და რეალურ ცხოვრებას შორის კავშირების დანახვა, პრობლემის (ბულინგი სკოლაში, არაჯანსაღი კვება, ეკოლოგიურად არაჯანსაღი გარემო) პრევენცია, სხვადასხვა საჭირო უნარის განვითარება; სასწავლო პროექტებისათვის: როლური თამაშით ტექსტის სიღრმისეული შესწავლა, გაგება-გააზრება; ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების გაცნობა, კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ღირებულებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ისტ-ზე მუშაობის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი უნარების განვითარება; პედაგოგი თავის პრაქტიკის კვლევაში დაწვრილებით წარმოგვიდგენს პროექტების ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს: დისკუსიების ჩატარება, კვლევების განხორციელება, პოსტერების მომზადება, ბუკლეტების მომზადება და გავრცელება, შემოქმედებითი ესეების წერა, როლური თამაში, პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაციები"(კვარაცხელია, 2019, გვ.52).

საინტერესოა, რომ ამ თემაზე საქართველოში სადისერტაციო ნაშრომებიცაა მომზადებული, სადაც ბუნებრივია, რომ უფრო ღრმად და დაწვრილებითა არის წარმოდგენილი პროექტმეთოდის შესახებ საკითხები. დოლიძე, სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, წერს: „პროექტზე დაფუძნებული სწავლება“ „ფართო სპექტრის“ მქონე ინდუქციური მეთოდია, რომელიც, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდწილად ეფუძნება გამოცდილებით სწავლას და მოიცავს სხვა ინდუქციური მეთოდების პრინციპებსა და ელემენტებს, როგორიცაა, მაგალითად, „აღმოჩენით სწავლა“, „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“, „კვლევაზე დაფუძნებული სწავლება“(დოლიძე,ნ, 2017, გვ. 3).

დისერტაციაში დეტალურადაა გაშუქებული ამ მეთოდის, მისი პრინციპების, სასწავლო მიზნების, განხორციელების პროცესის, დაგეგმვის სპეციფიკისა და პროექტის მაგალითები, რითაც მრავალი მკვლევრის ყურადღებას იპყრობს. „პროექტზე დაფუძნებულ სწავლება“, ავტორის აზრით, სხვა ინტერაქტიული მეთოდებისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მოსწავლეებს მიზნად უსახავს „ღია დაბოლოებიანი” დავალების შესრულებას, თუმცა პროექტზე მუშაობის არეალი არა ერთი პრობლემის გადაწყვეტას შეიძლება გულისხმობდეს. გარდა ამისა, პროექტზე მუშაობისას მოსწავლეები იყენებენ უკვე ათვისებულ სასწავლო მასალას და ცოდნას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროექტზე მუშაობის დროს მოსწავლეები ეყრდნობიან საკუთარ ცოდნას, ახდენენ მის ინტეგრირებას, და ახალ ცოდნასაც იძენენ” (დოლიძე,ნ, 2017, გვ 18). ის ნაშრომში აგრძელებს მსჯელობას, რომ: პროექტზე მუშაობის დროს (თუკი სასწავლო პროცესი სათანადოდაა დაგეგმილი და წარმართული), თითქმის ყველა ინდუქციური მეთოდის პრინციპი ხორციელდება, რადგან ადგილი აქვს როგორც კვლევას, ასევე აღმოჩენას (ახალი ფაქტის, ინფორმაციის, კანონზომიერების და ა.შ.), პრობლემის გადაწყვეტას, დასკვნების გამოტანას, კითხვების დასმასა და მათ-

ზე პასუხების ძიებას, შემოქმედებით მიდგომას, რომლის დროსაც შესაძლოა კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია იყოს ათვისებული, ვიდრე განსაზღვრული იყო. გარდა ამისა, ხდება უნარ-ჩვევების შეძენა, საგანთაშორისი კავშირების დაყარება და მათი დაკავშირება რეალურ ცხოვრებასთან „(დოლიძე,ნ, 2017, გვ.19). ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ „პროცესის სათანადოდ დაგეგმვა და განხორციელება საკმაოდ შრომატევადია და გამოცდილი, კვალიფიციური მასწავლებელი სჭირდება. პროექტებზე მუშაობის დროს მასწავლებლის როლი არა თუ დაკნინებულია, არამედ მეტად კომპლექსური და მნიშვნელოვანია, რათა სწავლის სათანადო შედეგები იქნეს მიღწეული. „(დოლიძე, ნ. 2017, გვ.20).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ სატრენინგო მასალაში: როგორ დავგეგმოთ პროექტგაკვეთილი, განმარტებულია: „იმისათვის, რომ მასწავლებლის მიერ დაგეგმილი პროექტგაკვეთილი იყოს ეფექტიანი, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების თავისებურებები, რადგან პროექტზე დაფუძნებული სწავლება სწორედ ამ თანამედროვე საგანმანათლებლლო თეორიიდან ამოდის”(სატრენინგო მასალა, გვ. 3).

სახელმძღვანელოს მიხედვით, „პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების მიზანია, პედაგოგმა მოსწავლეებს დაანახვოს საკითხი, პრობლემა, რომელიც მრავალგვარი მიდგომითა და გზით შეიძლება გადაიჭრას; რომელი პრობლემის გადაჭრის გზის ძიებისას არ არსებობს ერთი სწორი ან არასწორი პასუხი, საჭიროებს ძიებას, ალტერნატივების დაშვებას და იდეების ჩამოყალიბება-განვითარებას, აქაც პედაგოგი ფასილიტატორის როლშია.

მოსწავლეებმა უნდა გამოიყენონ ნასწავლი მასალა, მათ მიერ დამოუკიდებლად მოძიებული ინფორმაცია და პრობლემის გადაჭრის მათეული ხედვა უნდა მიუსადაგონ რეალური ცხოვრების მიზნებსა და მოთხოვნებს“(სატრენინგო მასალა, გვ. 3). პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის

პროცესი მოსწავლეს აყენებს აქტიური შემმეცნებლის როლში, რომელსაც უხდება წამოჭრილ პრობლემებთან გამკლავება. კერძოდ, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლე აწყდება პრობლემას, რომლის გადაჭრაც მას უჭირს მხოლოდ იმ ცოდნით, რომელიც აქვს. ამ მიზნით იგი არკვევს, თუ რა უნდა იცოდეს დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად. ამ პროცესში მოსწავლე აქტიურია, მიმართავს თვითგანათლებას, ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლე, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას და ახერეხებს მის გადაჭრას. ბოლოს, მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს – თვითშეფასება არის მოსწავლის არსებითი უნარ-ჩვევა, რაც მას ეხმარება ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დროს მოსწავლე არის პრობლემის გადამჭრელი, იგი ცდილობს პრობლემის გაგებას, ეძებს გამოსავალს და ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზას.

მეტად საყურადღებოა ტრენინგ-მოდულის ავტორთა რეკომენდაცია, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ეფექტიანი განხორციელებისას, შესაძლებელია, გვქონდეს გამოწვევებიც:

• მასწავლებლებისთვის ძნელია სწავლების ძველი სტილის შეცვლა;

• პრობლემური სიტუაციების გადაჭრა მოსწავლისაგან მოითხოვს საკმაოდ დიდ დროსა და ძალისხმევას;

• პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა მოითხოვს მდიდარ სამუშაო მასალას და კვლევას;

• რთულია ამ მოდელის ყველა კლასში განხორციელება, განსაკუთრებით იმ მოსწავლეებთან, რომელთაც არ ესმით რეალური, სოციალური პრობლემების მნიშვნელობა.

• პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის შედეგების შეფასება საკმაოდ რთულია და დროში გაწელილი;

შესაბამისად, სახელმძღვანელოში მოცემულია რეკო-

მენდაციები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებლებს და განათლების სხვა სპეციალისტებს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდის სწორად გამოყენებასა და ეფექტურად წარმართვაში:

• სწავლის პროცესი უნდა დაიწყოს პრობლემის განხილვით. პრობლემა უნდა იყოს კრიტიკული და წარმოადგენდეს „პრობლემას“ მოცემული ასაკის მოსწავლისთვის;

• პრობლემური ამოცანის შინაარსი უნდა იწვევდეს მოსწავლეების ცნობისმოყვარეობას და ინტერესს;

• პრობლემური სიტუაცია არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ მოსწავლეებს უკარგავდეს მისი გადაჭრის სურვილს;

• პრობლემა მოსწავლეებს უნდა აძლევდეს იმის შესაძლებლობას, რომ მათ გაითავისონ პრობლემა და გაუჩნდეთ მისი გადაჭრის შინაგანი სურვილი“ (სატრენინგო მასალა, გვ. 6).

სახელმძღვანელოში მოცემულია ასევე პროექტმეთოდის დამახასიათებელი ნიშნები, შესაძლო თემატიკის სფეროები, მისი განხორციელებისას გასათვალისწინებელი საკითხები, უნარები, ხანგრძლივობა და მოცულობა, სქემა, ფორმატი, შეფასება და თვითშეფასება, ბიუჯეტი, გაფორმება და სხვა საინტერესო, აუცილებლად გასათვალისწინებელი საკითხები.

TALIS 2018 წლის კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სამუშაოთი კმაყოფილება, მასწავლებლების საქმიანობა სკოლაში, მათ მიერ გამოყენებული პედაგოგიური სტრატეგიები, მიდგომები და დამოკიდებულებები. კვლევის შედეგები დაეხმარება განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს მასწავლებელთა პროფესიის განვითარებაზე მიმართული პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში. კვლევამ მეტად საინტერესო საკითხები და შედეგები გამოავლინა, რომელიც პირდაპირ კავშირშია პროექტმეთოდის დაგეგმასა და შემდგომში ეფექტურად განხორციელებასთან.

საქართველოდან კვლევაში მონაწილეთა გამოკითხვის

შედეგების მიხედვით, „საშუალოდ ყველაზე მეტ დროს მასწავლებლები ხარჯავენ სწავლებაზე. დანარჩენი საქმიანობებიდან ყველაზე მეტი დრო იხარჯება გაკვეთილის დაგეგმვასა და მის მომზადებაში. ამავე კვლევის მიხედვით, მასწავლებლები ძალზე ცოტა დროს უთმობენ მოსწავლეთა კლასგარეშე საქმიანობაში ჩართვას. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მასწავლებლის მთლიანი სამუშაო დრო მკვეთრად ჩამოუვარდება TALIS-ის საშუალო მაჩვენებელს. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში მასწავლებლები ნაკლებ დროს უთმობენ გაკვეთილის დაგეგმვასა და მომზადებას, ასევე მოსწავლეთა შეფასებას“ (TALIS, 2018, გვ 91).

საინტერესოა, რომ გამოკითხვის მიხედვით საქართველოში, 2013 წელთან შედარებით, სწავლებაზე დახარჯული საშუალო დრო 16-დან 18.3 საათამდე გაიზარდა, მაგრამ გაკვეთილის დაგეგმვასა და მომზადებაზე დახარჯული დრო 7.8-დან 5.3 საათამდე შემცირდა.

ALIS-ის გამოკითხვაში მასწავლებლებისათვის დასმულ კითხვებზე (რომლებიც უკავშირდება მასწავლებლის მიერ ნასწავლი მასალის ახალ მასალასთან ბმას, ახალი მასალის პრობლემაზე ან შებრუნებული საკლასო ოთახის მიდგომაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდების, პროექტებისა და თანამშრომლობითი სწავლების მიდგომების, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას და ა.შ.) გაცემული პასუხები, პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით, ასე გადანაწილდა:

TALIS-ის საშუალო 30,5 %-ია, მაშინ როდესაც საქართველოს 25,8% აქვს და პროექტების გამოყენების თვალსაზრისით, კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნებს შორის 30-ე ადგილზეა. როგორც ვხედავთ, კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოს მასწავლებლებში ნაკლებად გავრცელებულია აქტიური სწავლების ისეთი მიდგომების გამოყენება, როგორებიცაა: სასწავლო მასალის დაკავშირება რეალობასთან, პროექტებზე დაფუძნებული სწავლე-

ბა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება“ (TALIS 2018. გვ 112).

ამრიგად, პროექტმეთოდი, როგორც ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთ მიდგომა, მეტად საყურადღებო და საპასუხისმგებლოა მრავალი მკვლევრისათვის. ისინი სხვადასხვა ნაშრომით, სტატიებითა და კვლევის ანგარიშებით ცდილობენ, წარმოაჩინონ მისი უპირატესობა საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარსამართად და მოსწავლეთათვის შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად. ეს მეთოდი, როგორც მკვლევრები გვარწმუნებენ, მეტად აქტიური და სასარგებლო მიდგომაა და მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობის გასაზრდელად გამოიყენება. თუმცა, ყურადღების მიღმა არ რჩებათ ის გამოწვევები და სიძნელეები, რასაც, შესაძლოა, წააწყდნენ მოსწავლეები და პედაგოგები ამ აქტივობის განხორციელებისას და ცდილობენ, შეიმუშაონ საყურადღებო რეკომენდაციები, რომელიც აღნიშნულ გამოწვევებს შეამცირებს, ხოლო პროექტმეთოდის გამოყენების პროცესს უფრო საინტერესოს, შემოქმედებითსა და სასარგებლოს გახდის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ბლონიარჟ-ლუჩაკი,ი; ონდრუშეკი,დ., და ვაგნერი,ი. „ინოვაციური მეთოდები შემოქმედებითი სწავლებისათვის„ 2014; მომზადებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის „ინოვაციური განათლების ადგილობრივი ლიდერები” ფარგლებში.*
2. *„სტუდენტ ზე ორიენტირებული სწავლების სახელმძღვანელო”, 2018წ. ტრენინგის პაკეტი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისთვის, რუსეს უნივერსიტეტი, ბულგარეთი, რედაქტორი: ცვეტელინა ჰარაკჩისკა, მასარიკის უნივერსიტეტი.*
3. *„მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს სკოლებსა და თემებში; 2022, კვლევის ანგარიში: სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასების ანგარიში, მომზადებულია ევროპის საბ-*

ჭოს პროექტის „დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში" ფარგლებში; რედაქტორები: მაია არავიაშვილი, ნათია ნაცვლიშვილი.© ევროპის საბჭო.

4. ჭაღალიძე, ა., „საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები", 2018-2019წწ, პრაქტიკის კვლევა.
5. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ქიმიაში, მოდული., წინასატრენინგო საკითხავი მასალა.
6. ბაშარული, ლ; კვლევის ანგარიში: მასწავლებელთა თანამშრომლობის გაუმჯობესება PBL — ით, (Project – Based — Learning) აია-GESS სკოლის მაგალითზე; 2017წ, თბილისი.
7. საჯარო და კერძო სკოლების დირექტორთა მესამე ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია.„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა; 2019წ, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი, ჩარგლის ქ. N 73. სარედაქციო კოლეგია: ეკა თხილავა, ციცინო ბუკია, ანა გოგილაშვილი, მარინე უგულავა, ბექა მანაგაძე.
8. დოლიძე,ნ; „ინდუქციური მეთოდების გამოყენება 5-6 წლის ბავშვების სწავლა-აღზრდის პროცესში, პროექტზე დაფუძნებული სწავლების" მაგალითზე", 2017, სადოქტორო დისერტაცია. თბილისი
9. როგორ დავგეგმოთ პროექტგაკვეთილი, (სატრენინგო მასალა), © მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი www.tpdc.ge
10. სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა, TALIS 2018, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2020.
11. Bender, W. (2012). Project-Based Learning: Differentiating Instruction for the 21st Century. Corwin Press
12. Chang, T.-W. and Kinshuk, R. H. (2017). Authentic Learning through Advances in Technologies. Springer.
13. Larmer, J., Mergendoller, J. R. and Boss, S. (2015). Setting the Standard for Project Based

1.3. პროექტმეთოდით სწავლებისას გასათვალისწინებელი ასპექტები

თანამედროვე ზოგადი განათლების სისტემა ემყარება კონსტრუქტივისტული სწავლების მიდგომებს. კონსტრუქტივიზმი არის სწავლების თეორია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა გამოცდილების, სოციალური ურთიერთქმედებისა და სასწავლო აქტივობებში მათი აქტიურად ჩართულობის მნიშვნელობას ცოდნის პროდუცირებაში. ის მოსწავლეზე ორიენტიერებული მიდგომაა, რომელიც მას საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში აყენებს და განსაზღვრავს საგანმანათლებლო სივრცის ცვლილებას. სწავლების თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდები კონსტრუქტივისტული პრინციპების განხორციელების მთავარი ინსტრუმენტებია, რადგან მათი გამოყენებით მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, თავად ჩაერთნენ პროცესებში, გამოიკვლიონ და ააგონ ახალი ცოდნა. დაწყებითი განათლების საფეხურზე ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება ეფექტური საშუალებაა საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად. მათი გამოყენება სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის, რაც მოსწავლეებში იწვევს მოტივაციის ამაღლებას სასწავლო პროცესში ჩართვასა და მონაწილეობის სურვილს. ინტერაქტიური მეთოდები აქტიური მეთოდების ჯგუფში შედის და ხასიათდება სასწავლო პროცესში ყველა მონაწილეს შორის ურთიერთქმედებით (მოსწავლე-მასწავლებელი, მოსწავლე — მოსწავლე), რისი საშუალებითაც მასწავლებელს შეუძლია მოსწავლე პასიური პოზიციიდან აქტიურ პოზიციაზე გადაიყვანოს გაკვეთილზე. ის სწავლების დიალოგური ფორმაა და მისი გამოყენებისას იცვლება მასწავლებლის როლი. იგი ორგანიზებას უწევს ამ მეთოდის განხორციელებას და თვალს ადევნებს, აკვირდება დასახული გეგმის შესრულებას.

სხვადასხვა დროის ცნობილი განმანათლებლები მხარს უჭერდნენ სწავლებაში იმ მეთოდებს, რომელთა გამოყენება ააქტიურებდა მოსწავლეს. მაგალითად, **ჟან ჟაკ რუსო** უპირატესობას ანიჭებდა სწავლების იმ მეთოდებს, როდესაც

ბავშვი საკუთარი ძალისხმევით სწავლობდა: — მას ფიზიკურადაც ავითარებს და გონებრივადაცო, ამასთან ერთად, თავდაჯერებულობასაც მატებსო, — ამბობდა ის. „სწავლა კეთებით“ სწავლების მნიშვნელოვანი პრინციპი რომ უნდა იყოს და სწავლება პრაქტიკული ელემენტების გარეშე არაეფექტურია, მიუთითებდა **ჯონ დიუიც.** „პროექტზე დაფუძნებული სწავლების“ დამფუძნებლებად **ჯონ დიუი და უილიამ კილპატრიკი** ითვლებიან. „XX საუკუნის პირველ მეოთხედში სწორედ ამ ორმა მკვლევარმა დაასაბუთა მიდგომის ეფექტიანობა და ჩამოაყალიბა მისი ძირითადი კომპონენტები და მახასიათებლები. თავისთავად, აღნიშნული მეთოდი განათლების სფეროს მრავალი უმნიშვნელოვანესი მოღვაწის იდეებს ეყრდნობა და იზიარებს, როგორებიც არიან: ფრიდრიხ ფრებელი, სტენლი ჰოლი, ფრენსის პარკერი, უილიამ კილპატრიკი და სხვები. სწორედ უილიამ კილპატრიკმა უწოდა აღნიშნულ მიდგომას „პროექტის მეთოდი“ პროგრესივიზმის აღზევების ხანაში **(დოლიძე, 2017).**

მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ მასალებში (2018), რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა საგანში მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მოდულს და წინასატრენინგო საკითხავ მასალას, **პროექტმეთოდით სწავლა** განმარტებულია, როგორც გარკვეული მიზნით განხორციელებული საკლასო ან გუნდურ აქტივობათა ერთობლიობა — კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კვლევითი, შემოქმედებითი, ცოდნის ტრანსფერის, თანამშრომლობისა და კომუნიკაციური უნარჩვევების განვითარებას.

პროექტმეთოდი, იგივე პროექტგაკვეთილი, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, ლობჟანიძის განმარტებით, სასწავლო პროექტი — პედაგოგიურ ლიტერატურაში სინონიმებია და ინტერაქტიური მეთოდების ჯგუფს განეკუთვნება

(ლობჟანიძე,2012). მისი გამოყენება მოსწავლეებში ავითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით და პრობლემის გადაჭრის უნარებს, ხელს უწყობს თაანმშრომლობისა და კომუნიკაციის განვითარებას, რაც მნიშვნელოვანია მათი პირადი წარმატებისთვის; ეხმარება მოსწავლეებს, გააცნობიერონ სხვადასხვა საგნის ურთიერთკავშირი და ცოდნის მნიშვნელოვნება, სწავლების ცხოვრებასთან კავშირი, რაც ხელს უწყობს ცოდნისა და ცნებების ღრმა გაგებას, ხოლო განათლებას უფრო რელევანტურს და მნიშვნელოვანს ხდის მოსწავლეებისათვის, ზრდის მათ ცნობისმოყვარეობას და სწავლის ენთუზიაზმს.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში სწავლება სწორედ ინტერაქტიული მეთოდებით უნდა იყოს გაჯერებული და უკეთესობისკენ ცვლიდეს მოსწავლეთა დამოკიდებულებას სწავლების მიმართ, დღესდღეობით მაინც არსებობს გამოწვევები, რომლებსაც ვხვდებით დაწყებითი განათლების საფეხურზე, მაგალითად: მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია, არცთუ სახარბიელო მიღწევები და მათი პასიური როლი.

რადგან სწავლა არის მოსწავლეთა მიერ ცოდნის კონსტრუირების აქტიური პროცესი, საკლასო სივრცეებში არსებული ცალმხრივი ურთიერთობები და სწავლების ტრადიციული მეთოდოლოგია აღარ შეესაბამება ბოლო თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს მოსწავლეებისათვის ფუნქციური ცოდნის გადაცემის შესახებ. თუ მოსწავლე არ სწავლობს თავისი მოქმედებების საშუალებით, რაც აქტიურ და პრაქტიკულ სწავლას უკავშირდება, მაშინ მას გაუჭირდება საკუთარ გამოცდილებას დააკავშიროს ახალი ცოდნა და გამოიყენოს ის შესაბამის სიტუაციაში (პროფესიული უნარები, 2008).„. ..მასწავლებლები ჯერ კიდევ სრულფასოვნად ვერ იაზრებენ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მიდგომებს“... ნათქვამია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნულ სტრატეგიაში (2022-2030). სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლების სფეროში არსებული მდგომარე-

ობის შეფასების ანგარიშში (2022) გამოწვევებთან მიმართებით, განვითარების მიმართულებებში, საუბარია სასწავლო პროექტებისა და კლასგარეშე აქტივობების შესრულებაზე, ხოლო რეკომენდაციებში პროექტზე დაფუძნებული სწავლების ისეთი მოდელების შეთავაზებაზე, რომლებსაც მასწავლებელი ნებისმიერ საგანში გამოიყენებს. სწავლებაში მნიშვნელობა არა აქვს მხოლოდ შედეგის (პროდუქტის შექმნას) მიღწევას, არამედ – განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას, როგორც ამას დიმიტრი უზნაძე ამბობდა. თანამედროვე სწავლებამ სწორედ სხვადასხვა უნარჩვევათა განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, სადაც ერთ-ერთი მთავარ საშუალებას სწავლების მრავალფეროვანი, ინტერაქტიური მეთოდები წარმოადგენს. მათი გამოყენების დროს სწავლება ორმხრივი პროცესი ხდება, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები, პასუხობენ კითხვებს, ითვალისწინებენ კიდეც მოსწავლეთა აზრებს, შეხედულებებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს პროექტის შექმნისას. გასათვალისწინებელია, თემა იყოს აქტუალური.

პროექტმეთოდის ტიპები და გამოყენების პრინციპები:

პროექტი შესაძლებელია, შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილში ან ჯგუფურად, ერთი საგანის ფარგლებში ან საგანთა ინტეგრაციის ჭრილში. ბოჭორიშვილი (2013) მასწავლებელი-მოსწავლეების დამოკიდებულების მხრივ გამოყოფს სამი ტიპის სასწავლო პროექტებს: 1. მასწავლებელი თავად განსაზღვრავს პრობლემას, სახავს მისი გადაჭრის სტრატეგიასა და ტაქტიკას, მოსწავლე კი დამოუკიდებლად გადაჭრის პრობლემას. 2. მასწავლებელი სვამს პრობლემას, მოსწავლე დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებს და პრობლემის გადაჭრის გზებს. 3. მოსწავლე განსაზღვრავს პრობლემას, დამოუკიდებლად ირჩევს კვლევის მეთოდებსა და პრობლემის გადაჭრის გზებს. თავის ნაშრომში დოლიძე (2017) განიხილავს პროექტით სწავლების მახასიათებლებსა და მისი გამოყენების პრინციპებს:

- ✔ მოსწავლეების ინტერესების, საჭიროებებისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გათვალისწინება (კავშირი სკოლასა და ცხოვრებას შორის);
- ✔ მათი წინარე ცოდნის განმტკიცება და ახალი ინფორმაციის მასზე დაშენება;
- ✔ დისციპლინათაშორისი კავშირების გამოვლენა/განმტკიცება და ცოდნის გავრცობა კონკრეტული სასწავლო საგნების მიღმა;
- ✔ ჯგუფური მუშაობა თანამშრომლობაზე დაყრდნობით;
- ✔ პროექტების სასწავლო მიზნობრიობისა და კონკრეტული შედეგების განსაზღვრა;
- ✔ სასწავლო პროცესში, ისევე როგორც თემების არჩევისას მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება (შესაძლებელია მასწავლებლისა და მოსწავლეების თვალსაზრისის შეჯერება);
- ✔ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ხელშეწყობა/შენარჩუნება.

პროექტის განხორციელების ეტაპები

გამოწვევები, რომლებსაც ვხვდებით სასწავლო პროექტების განხორციელებისას, არის ის, რომ ხშირად ყველა მოსწავლე არ არის ჩართული პროექტის განხორციელებაში და ფორმალურად ითვლება ჯგუფის ნევრად, მხოლოდ შემსრულებელია და ან სასწავლო პროექტი დაგეგმილია საჩვენებლად. სწორედ ამ გამოწვევებთან დაკავშირებით, ქართველი მკვლევარი ლობჟანიძე (2013) ნაშრომში „როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტგაკვეთილი“, აღნიშნავს, თუ რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა პროექტის განხორციელებისას, კერძოდ:

- ✔ თემის შერჩევაში, დაგეგმვასა და პრობლემის მართვაში აქტიურად უნდა მონაწილეობდეს მოსწავლე და არ უნდა იყოს მხოლოდ ტექნიკური შემსრულებლის როლში;

- ✔ გადასაჭრელი პრობლემა პროექტის მონაწილეთათვის უნდა იყოს მნიშვნელოვანი, აქტუალური;
- ✔ პროექტგაკვეთილი უნდა დაიგეგმოს პრაქტიკული საქმიანობისთვის და არა ღირსშესანიშნავი/საჩვენებელი დღეებისთვის;

სასწავლო პროექტის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია სწორი დაგეგმვა და დაგეგმილის განხორციელება. პრობლემა, რამაც პროექტის განხორციელებას ასევე შეიძლება შეუშალოს ხელი, შეიძლება იყოს ის, როდესაც მოსწავლეთა შესაძლებლობებს ან ინტერესებს არ შეესაბამება მინიჭებული ფუნქციები და პასუხისმგებლობები, ან პროექტის განხორციელებისას შუალედური მონიტორინგი არ შესრულდა, ან დროში არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული და სხვა.

სასწავლო პროექტების განხორციელება დაგეგმვას საჭიროებს და გარკვეულ ეტაპებს მოიცავს:

- ✔ პროექტის ინიციატივა — მასწავლებლის ან ჯგუფის წევრის მიერ ინიციატივის აღძვრა და იდეის ჯგუფის წევრებისათვის გაცნობა;
- ✔ დისკუსია პროექტის ინიციატივის გარშემო და პროექტის მონახაზის შექმნა;
- ✔ პროექტის გეგმის შედგენა;
- ✔ დაგეგმილის განხორციელება;
- ✔ პროექტის დასრულება;
- ✔ განხორციელებეული პროეტის შეფასება (ლობჟანიძე, 2013).

შესრულებული პროექტები შესაბამისად ფორმდება:

- ✔ პროექტის სახელწოდება;
- ✔ კლასი;
- ✔ პრობლემის აქტუალობა/განსაზღვრა;
- ✔ პროექტის მიზანი;
- ✔ მოსალოდნელი შედეგები;
- ✔ მიზნობრივი ჯგუფები;

- ✔ ამოცანები;
- ✔ ამოცანების განხორციელების გზები;
- ✔ ამოცანების განხორციელების ვადები;
- ✔ რესურსები/ბიუჯეტი;
- ✔ შესაძლო რისკები;
- ✔ მონიტორინგი;
- ✔ შეფასება.

პროექტის განხორციელების შეფასება

იმის დასადგენად, რამდენად მიზნობრივად ხორციელდება პროექტი და როგორ არიან მოსწავლეები ჩართულები, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა აწარმოოს დაკვირვება და შეაფასება. როგორც პროექტის, ისე ინდივიდუალურად მოსწავლეების შეფასებისთვის, შესაძლებელია, შეიმუშაოს მასწავლებელმა დაკვირვების სქემები და რუბრიკები. საგანმანათლებლო ბლოგის ავტორი, დაწყებითი კლასების პედაგოგი თამარ ბერაძე, გვიზიარებს პროექტის შუალედური შეფასების საინტერესო რუბრიკებს, რომელიც გამოიყენა სასწავლო პროექტის „ შევიცნო ჩემი ქალაქი.“ განხორციელების დროს მე-3 კლასთან (2018/19წწ). :

პროექტის განხორციელების პროცესში მოსწავლეებზე დაკვირვების ცხრილი

დაკვირვების საგანი	კომენტარები
შედგა თუ არა თანამშრომლობა ჯგუფში	
იყვნენ თუ არა მოსწავლეები მოტივირებულნი და რამ განაპირობა მათი მოტივაცია	
აგრძელებდნენ თუ არა მოსწავლეები მუშაობას გაკვეთილების შემდეგ	
ჰქონდა თუ არა მათ შეხვედრებს პროექტის განხორციელებისას სისტემატური და საქმიანი ხასიათი	
იყვნენ თუ არა ჯგუფში პასიური მოსწავლეები და რა იყო მათი პასიურობის მიზეზი	
იმოქმედა თუ არა პროექტის განხორციელების პროცესმა მათ მოსწრებაზე	

პროექტის თვითშეფასება, როგორც შეფასება, პროექტის განხორციელებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია. ახორციელებენ შუალედურ და საბოლოო მონიტორინგს. შუალედური მონიტორინგი ხელს უწყობს პროექტის პროგრესის შეფასებას, გამოწვევების გამოვლენას და კორექტირების შეტანას; პროექტის განხორციელებაში მონაწილე პირების პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას; რესურსების გამოყენების ეფექტურობას; დამატებითი საჭიროებების იდენდიფიცირებას და გარკვევას იმისას, გაუმჯობესდა თუ არა სწავლება. საბოლოო მონიტორინგი კი აჩვენებს პროექტის ეფექტურობას და წარმატებას. პროექტის შედეგების შეფასება საშუალებას იძლევა, დადგინდეს საუკეთესო პრაქტიკა და მიღებული გამოცდილება გაითვალისწინონ მომავალი ახალი პროექტების განხორციელებისას.

აღსანიშნავია სასწავლო პროექტის განხორციელების ბოლო ეტაპზე პროექტის შედეგების პრეზენტაცია, რომელსაც მოსწავლეები საკუთარ თანაკლასელებს ან თანასკოლელებს წარუდგენენ. ლობჟანიძე (2013) აღწერს, თუ რა შემთხვევაში ჩაითვლება პროექტი დასრულებულად, თუკი მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით იქნება წარმოდგენილი. შედეგი შეიძლება იყოს ანგარიში, ფილმი, გამოფენა, აუდიოკასეტა, ლექცია, სურათი, კონფერენცია... მკვლევრის აზრით, უმჯობესია, თუ აუდიტორიას გააცნობენ არა მარტო შედეგებს, არამედ პროექტზე მუშაობის ყველა ეტაპის ამსახველ დოკუმენტებსაც, სადაც ჩანს, რას გრძნობენ მოსწავლეები პროექტთან დაკავშირებით, რა ცოდნა და უნარები შეიძინეს. სასწავლო პროექტების განხორციელება ეროვნული სასწავლო გეგმით საბაზო საფეხურზე სავალდებულოცაა რიგ საგნებში. მათი განხორციელება ხელს უწყობს ასევე ეროვნული კურიკულუმის მოთხოვნების გათვალისწინებას, მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებას და საკუთარი ცოდნის ტრანსფერს.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსწავლეთათვის სასწავლო პროექტების გამოყენება უფრო ეფექტურია სწავლებაში, ვიდრე სწავლების ტრადიციული მეთოდოლოგიის შეთავაზება. ამ შემთხვევაში იზრდება მოსწავლეების მოტივაცია და ჩართულობის დონე. თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანია პროექტების სწორად დაგეგმვა და ავთენტური განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ბოჭორიშვილი, მ. (2013). როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი – გზამკვლევი მასწავლებლებს. https://mastsavlebeli.ge/?p=2412*
2. *დოლიძე, ნ. (2017). ინდუქციური მეთოდების გამოყენება 5-6 წლის ბავშვების სწავლა-აღზრდის პროცესში /"პროექტზე დაფუძნებული სწავლების" მაგალითზე/. სადისერტაციო ნაშრომი. თსუ.*
3. *ლობჟანიძე, ს. (2012). როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტგაკვეთილი. https://mastsavlebeli.ge/?p=288)*
4. *მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება ბიოლოგიაში წინასატრენინგო საკითხავი მასალა , მოდული.(2018) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიპროფესიული უნარები. (2008). გამოცდების ეროვნული ცენტრი. თბილისი.*
5. *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგია. (2022-2030).*
6. *სკოლის დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის შეფასების ანგარიში (2022).*

1.4. როგორ განვასხვავოთ პროექტზე დაფუძნებული სწავლა და „პროექტის კეთება“

ქვეთავში წარმოგიდგენთ ლარმერის და სხვათა (2015) პრინციპებს და მოსაზრებებს პროექტის დაგეგმვის, მისი ტიპების და ფაზების შესახებ წიგნიდან „პროექტზე-დაფუძნებული სწავლის სტანდარტის დადგენა“ (Larmer et al., 2015).

თანამედროვე კვლევები ცხადყოფს, რომ მასწავლებლები განსხვავებულად იყენებენ პროექტმეთოდს და მისი ეფექტურობაც განსხვავებულია. მასწავლებელთა აზრით, პროექტზე დაფუძნებული სწავლების განხორციელება რთულია, თუმცა პედაგოგებს შეუძლიათ გაიუმჯობესონ მათი განხორციელების უნარები და მოიპოვონ კოლეგების, მენტორების და სკოლის ლიდერების მხარდაჭერა. მას შემდეგ, რაც პედაგოგები იძენენ ამ მეთოდის გამოყენების კომპეტენციებს, უმრავლესობა ხედავს მის მნიშვნელობას და სურს, გააგრძელოს მისი გამოყენება (Larmer et al., 2015).

ლარმერი და სხვები (2015) განიხილავენ პროექტმეთოდში პროექტის მახასიათებლებს და გაკვეთილისაგან განმასხვავებელ თავისებურებებს. პროექტის შემუშავება თემის/სასწავლო ერთეულის დაგეგმვას ჰგავს და განსხვავდება გაკვეთილის დაგეგმვისგან. ზოგი მიიჩნევს, რომ პროექტები 21-ე საუკუნის სასწავლო გეგმის განახლებული სასწავლო ერთეულებია. პროექტი, როგორც სასწავლო ერთეული, გრძელდება მინიმუმ ერთი კვირა, ჩვეულებრივ, ორი ან მეტი კვირა და არა ერთი ან ორი დღე. ტიპური გაკვეთილისგან განსხვავებით, რომელსაც ერთი ან ორი სასწავლო მიზანი აქვს, პროექტს რამდენიმე სასწავლო მიზანი აქვს. პროექტი მოიცავს რამდენიმე გაკვეთილს, აქტივობას, და მოსწავლეთა დავალებებს, რაც მოითხოვს სხვადასხვა რესურსს. გაკვეთილი, როგორც წესი, მიჰყვება გარკვეულ ნაბიჯებს, რომლებიც მოიცავს დასაწყისს, შუა ნაწილს და დასასრულს. პროექტი წარიმართება არა ნაბიჯებით, არამედ ეტაპებით კულმინაციურ აქტივობამდე — ჩვეულებრივ, ეს აქტივობა

პრეზენტაცია ან იმის ახსნაა, თუ რისი შესწავლა მოხდა. მასწავლებელმა პროექტის მიმდინარეობისას, შეიძლება გადაწყვიტოს, განახორციელოს არსებითი ცვლილებები, იგი გაკვეთილის დროს აკეთებს მცირე კორექტირებას. გაკვეთილის დაგეგმვასთან შედარებით, პროექტის დაგეგმვას მეტი დრო სჭირდება და მეტი ფიქრი იმაზე, თუ როგორ უკავშირდება პროექტის ყველა შემადგენელი ნაწილი ერთმანეთს.

თუ რამდენად სტრუქტურირებულად გეგმავს მასწავლებელი პროექტს, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად კომფორტულად გრძნობს იგი თავს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში. რეკომენდებულია, რომ ახალბედა მასწავლებლებმა მეტი დრო დაუთმონ დაგეგმვას, ხოლო გამოცდილებმა — მოსწავლეები ჩართონ პროექტის მიზნების შემუშავებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და საკუთარი სამუშაოს მართვაში.

აღსანიშნავია, რომ პროექტის დაგეგმვა არ არის პირდაპირი პროცესი. როგორც წესი, ეს პროცესი იწყება ზოგადი იდეებით, შემდეგ მასწავლებლი დროს უთმობს რეფლექსიას და ითხოვს უკუკავშირს კოლეგების ან მენტორი მასწავლებლისგან.

როდესაც მასწავლებელი გეგმავს პროექტს, გასათვალისწინებელია, რომ „პროექტზე დაფუძნებული სწავლა“ არ არის „პროექტის კეთება“. ქვემოთ მოყვანილია დავალებების ან აქტივობების ზოგიერთი მაგალითი, რომლებსაც ზოგჯერ „პროექტებს“ უწოდებენ. რა თქმა უნდა, შეიძლება მათი გაკვეთილზე გამოყენება, მაგრამ მცდარია, თუ მათ პროექტზე დაფუძნებულ სწავლას ვუწოდებთ.

„დესერტი“ პროექტები. ტრადიციულად, სწავლის ბოლოს, ან მის დასასრულს (ქვეთავის დასასრულს), მასწავლებელი ზოგჯერ აძლევს დავალებად მოსწავლეებს პროექტს „დესერტად“, თითქოს, ეს იყოს ჯილდო, რომ მოსწავლეებმა შეძლეს მასალის დასრულება. ეს პროექტები, როგორც წესი, გულისხმობს რაიმე ხელშესახები პროდუქტის შექმნას, რო-

გორიცაა: ეგვიპტური პირამიდების მოდელი, ვიდეო თრეი-ლერი რომანის შესახებ, ხელოვნების პლაკატი, სამაგიდე თა-მაში. „დესერტი“ პროექტები, როგორც წესი, განიხილება, როგორც სახალისო; მათი მიზანი არ არის შინაარსის სწავ-ლება ან მოსწავლის სწავლის შეფასება, არამედ „პრაქტიკუ-ლი" გამოცდილების უზრუნველყოფა.

"გარნირი" პროექტები — ასეთი პროექტი „დესერ-ტი“პროექტის მსგავსია, მაგრამ ხორციელდება ჩვეულებრივ მასალის სწავლების პარალელურად ან მის ფარგლებს გა-რეთ. მოსწავლეებს შეიძლება დაევალოთ რაღაცის გაკეთება სახლში: მაგ. შეიმუშაონ და ჩაატარონ სამეცნიერო ექსპერი-მენტი, შექმნან „ოჯახის ხე,“ დააკვირდნენ მთვარეს და გაა-კეთონ მონაცემთა ჩანაწერები. მასწავლებელმა შეიძლება სთხოვოს მოსწავლეებს თემის არჩევა და კვლევის ჩატარება, შემდეგ (ჩვეულებრივ) კლასში წარდგენა, კლასში გაშუქებუ-ლი მასალის განზოგადება/გავრცობა. „დესერტი“ პროექტის მსგავსად, „გარნირ“ პროექტებს იგივე მიზანი აქვთ, სახალი-სოა და მოსწავლეები თემას ოდნავ სიღრმისეულად ეხებიან, აქვთ მცირედი არჩევანი.

"შვედური მაგიდა" პროექტები. ზოგიერთი მასწავლე-ბელი ქმნის სასწავლო ერთეულებს, რომლებშიც მოსწავლე-ები მრავალფეროვან საქმიანობაში ერთვებიან, რომელთა უმეტესობა პრაქტიკულია, სახალისო და საგანმანათლებლო. ამ დავალებებს აერთიანებს საერთო თემა, დრო ან ადგილი. ზოგიერთ აქტივობას შეიძლება ეწოდოს პროექტი და მოს-წავლეებს ზოგჯერ შეუძლიათ მზა დავალებების ან თემის არჩევა — როგორც საკვებ პროდუქტებს არჩევენ შვედურ მაგიდაზე. ასეთი პროექტები ხშირად ძალიან შთამბეჭდავია კოპლექსურობითა და მოსწავლეთა ჩართულობის დონით. მაგალითად, წარმოიდგინეთ მე-7 კლასის ისტორიის გაკვე-თილი ჩინეთის შესახებ. ლექციების, სახელმძღვანელოს, სა-მუშაო ფურცლების და ვიდეოების გარდა, სტუდენტები ქმნიან მარკო პოლოს მოგზაურობის და ჩინგიზ ხანის იმპე-

რიის რუკას, აკეთებენ ილუსტრირებულ საკვანძო პერიოდების პლაკატებს, წერენ და ასრულებენ ნახატებს ჩინური კულტურის შესახებ, სწავლობენ ჩინური სიმბოლოების ხატვას, თამაშობენ ტრადიციულ ჩინურ თამაშებს და სწავლობენ ჩინური საჭმლის მომზადებას. მსგავსი სასწავლო ერთეულები გვხვდება დაწყებით კლასებში, შესაძლოა, ისეთი თემებით, როგორიცაა: „მწერები“, „კულტურები“ ან „ჩვენი საზოგადოება“. ამ პროექტების მიზანია, ზემოთ ნახსენები პროექტების მსგავსად, ჩართონ მოსწავლეები და გაამდიდრონ ძირითადი შინაარსის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი -„პროექტების კეთების“ და პროექტზე დაფუძნებული სწავლების მახასიათებლები, „პროექტების კეთების“ და პროექტზე დაფუძნებული სწავლების შეპირისიპირებაა.

• დამატებითი აქტივობა სასწავლო ერთეულში; • დავალება ეფუძნება მასწავლებლის მითითებებს და მეორდება წლიდან წლამდე; • როგორც წესი, კეთდება ინდივიდუალურად; • პროდუქტზე ორიენტირებული; პროდუქტი შეიძლება კიდეც ეწოდოს „პროექტს"; • კეთდება დამოუკიდებლად, ხშირად სახლში; • არ არის ავთენტური რეალურ სამყაროში ან მოსწავლის ცხოვრებაში.	• პროექტი არის სასწავლო ერთეულის სწავლების მთავარი მექანიზმი; • დავალება ღიაა და მოიცავს მოსწავლის ხმას და არჩევანს; • ხშირად განსხვავდება წლიდან წლამდე; • შესრულებულია გუნდთან თანამშრომლობით; • შესრულებულია მასწავლებლის ხელმძღვანელობით, უმეტესად სკოლის საათებში; • პროექტი მოიცავს მუდმივი ძიების პროცესს და პროდუქტის შექმნას; • ავთენტურია რეალურ სამყაროში ან მოსწავლის ცხოვრებაში, ან ორივე.

სასწავლო ქვეთავის/თავის შეფასება ან გამოყენებითი სასწავლო ამოცანები

მასწავლებლები ზოგჯერ სთხოვენ მოსწავლეებს ნასწავლის დემონსტრირებას. იგი სასწავლო პროცესის დასკვნითი ნაწილია და ამ ძალისხმევას უწოდებენ „პროექტს“. ჩეულებრივ, ეს არის ინდივიდუალური ან ჯგუფური დავალება და მას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა. მოსწავლეებმა შეიძლება გადაჭრან პრობლემა ან უპასუხონ კითხვას წერილობით ან წარმოადგინონ პრეზენტაცია; შეიმუშავონ, შექმნან და წარმოადგინონ ხელშესახები ობიექტი; ჩაატარონ სამეცნიერო გამოკვლევა. ასეთი პროექტების ძირითადად მიზანია ნასწავლის შეფასება და, ამავდროულად, იგი სასიამოვნო და პრაქტიკულია.

რატომ არ არის ეს მაგალითები პროექტზე დაფუძნებული სწავლა? პასუხი ნათელია. ისინი არ წარმოადგენენ „მთავარ კერძს.“ ისინი არ განიხილება, როგორც სწავლების მეთოდი რეგულარულ საკლასო ან სასკოლო პროგრამაში, არამედ დამატებითი აქტივობაა. ისინი არ წარმოადგენენ ძირითად საშუალებას შინაარსის სტანდარტზე სამუშაოდ. იხილეთ ცხრილი — „პროექტების კეთების“ და პროექტზე დაფუძნებული სწავლების მახასიათებლები შედარებისთვის.

პროექტის ტიპები

პროექტებზე დაფუძნებულ სწავლაში პროექტი სხვადასხვა ფორმისა და მოცულობისაა. ზოგი მასწავლებელი ამჯობინებს ერთი ტიპის პროექტს, რომელიც ეფუძნება საკუთარ ინტერესებს, სწავლების სტილს ან მიდგომას. გარკვეული საგნობრივი სფეროები ერთ სახეს ანიჭებს უპირატესობას. მოსწავლეთა ასაკი, საჭიროებები და ინტერესები ასევე შეიძლება იყოს განმსაზღვრელი ფაქტორი, თუ რა სახის პროექტს შეიმუშავებს მასწავლებელი. თუმცა ყველა სახის პროექტი მიჰყვება ერთსა და იმავე ძირითად გზას და შეიცავს იმავე არსებით ელემენტებს.

რეალური პრობლემის გადაჭრა

მოსწავლეები იკვლევენ არსებულ პრობლემას სკოლაში ან საზოგადოებაში, სამუშაოზე ან კონკრეტულ დისციპლინაში. მათ შეუძლიათ შესთავაზონ გადაწყვეტილება, ან რეალურად გადაწყვეტონ საკითხი. ასეთი პროექტის პროდუქტი შეიძლება იყოს წერილობითი ფორმით — წინადადებება და სხვა დოკუმენტები, არტეფაქტები და პრეზენტაციები.

აბსტრაქტული საკითხის შესწავლა

ამ ტიპის პროექტში მოსწავლეები არ არიან ორიენტირებულნი კონკრეტულ პრობლემაზე ან პროდუქტზე, არამედ არამატერიალურ იდეებსა და ცნებებზე. ეს პროექტები ყველაზე ხშირად გვხვდება ხელოვნებაში, სოციალურ სწავლაში/ისტორიაში და ზოგჯერ ბუნებისმეტყველებაში; ისინი ასევე შეიძლება იყოს შესწავლილი სხვადასხვა დისციპლინის პერსპექტივიდან. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოხატონ პასუხი ღია კითხვაზე, რამდენიმე შესაძლო პასუხით — სხვადასხვა გზით. მათ შეუძლიათ შექმნან წერილობითი პროდუქტი, როგორიცაა: წიგნი, ბლოგი, წერილი, მოხსენება ან ჟურნალი; შექმნან ვიდეო ან გააკეთონ პრეზენტაცია ვიზუალური საშუალებებით, ან განახორციელონ ცოცხალი წარმოდგენა, როგორიცაა: დებატები, სპექტაკლი, საჯარო გამოსვლა ან პოეზია.

კვლევის ჩატარება

ამ ტიპის პროექტი მოსწავლეებს ისეთი კითხვების პასუხის გაცემაში ეხმარება, რომლებიც მოითხოვს კვლევას, მონაცემთა შეგროვებას და ანალიზს. ასეთი პროექტები, ჩვეულებრივ, ისტორიაში, ბუნებისმეტყველებაში და ზოგჯერ მათემატიკაში გვხვდება, მაგრამ ეს შეიძლება სხვა საგნებშიც განხორციელდეს. მოხსენება, წერილობითი ნამუშევარი, გამოფენა ან პრეზენტაცია არის საერთო პროდუქტები ამ პროექტებში. შეკითხვა შეიძლება ეხებოდეს რაიმე საინ-

ტერესო თემას, რომლის პასუხიც რთულია და არ არის ხელმისაწვდომი ინტერნეტში.

საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დაკავება

ამ ტიპის პროექტში მოსწავლეები სწავლობენ კამათის ხელოვნებას, მტკიცებულებების შეაგროვებას და კამათის კულტურას. ამ ტიპის პროექტი ძირითადად გვხვდება: ისტორიაში, სოციალურ კვლევებში ან ბუნებისმეტყველებაში, მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს სხვა საგნებშიც და ხშირად მულტიდისციპლინურია. ასეთ პროექტებში მოსწავლეებს შეუძლიათ წერილობითი დოკუმენტების წარმოება, დებატების გამართვა, სიტყვის წარმოთქმა ან პრეზენტაციის გაკეთება.

პროექტის დაგეგმვა/დიზაინი

პროექტის დაგეგმვის პროცესში მასწავლებელი ითვალისწინებს ზოგად კონტექსტს და მნიშვნელოვან შეკითხვებს სცემს პასუხს: ვისთვის კეთდება პროექტი? რა მიზნები მამოძრავებს? რა არის ჩემი დროის ჩარჩო? ვისთან მიწევს მუშაობა? რა მახასიათებელები და შეზღუდვები არსებობს?

ნაბიჯი 1. თქვენი კონტექსტის გათვალისწინება

- რომელი მოსწავლეები ჩაერთვებიან?
- როდის განვახორციელებ პროექტს?
- რამდენად მარტივი ან რთული იქნება ჩემი პროექტი?
- რამდენი ხანი იქნება ჩემი პროექტი?
- რამდენი საგნობრივი სფერო იქნება ჩართული?

	მარტივი პროექტი	**შედარებით რთული პროექტი**
საგანთა რაოდენობა	ერთი საგანი	რამდენიმე საგანი
ვინ არის ჩართული პროექტში	ერთი მასწავლებელი	რამდენიმე მასწავლებლი, გარე ექსპერტები, ორგანი-

		ზაციები, თემის წარ- მომადგენლები
სად ხორციელდება	კლასი, სკოლა	სასწავლო სივრცეში და მის გარეთ
რა პროდუქტი იქმნება	ერთი პროდუქტი, რომლის დამზადე- ბასაც არ სჭირდე- ბა დიდი დრო, დი- დი უნარები და ინ- სტრუმენტები	რამდენიმე დახვეწი- ლი პროდუქტი
გამოყენებელი ტექ- ნოლოგიები	მცირე და ნაცნობი ტექნოლოგიები	რამდენიმე ტექნო- ლოგიური ინსტრუ- მენტი, რომლის და- უფლებასაც ესაჭი- როება სწავლა

ნაბიჯი 2. იდეის გენერირება პროექტისთვის

- სხვისი პროექტის ცვლილება
- საკუთარი იდეის გენერირება

ნაბიჯი 3: ჩარჩოს აგება

- სასწავლო მიზნების დასახვა
- ძირითადი პროდუქტის შერჩევა
- გადაწყვეტილების მიღება, თუ როგორ გახდება პროდუქტი საჯარო
- მამოძრავებელი კითხვის დაწერა

პროდუქტის და ფოკუსის მატრიცა	
იგივე პროდუქტი, იგივე ფოკუსი *მაგ. რეგიონში წყლის ხარისხზე პრეზენტაცია*	სხვადასხვა პროდუქტი, იგივე ფოკუსი *მაგ. პრეზენტაცია, ფოტო მასალა, ესე რეგიონში წყლის ხარისხზე*
იგივე პროდუქტი, განსხვავებული ფოკუსი	სხვადასხვა პროდუქტი, სხვადასხვა ფოკუსი

მაგ. რეგიონის სხვადასხვა ადგილას წყლის ხარისხზე პრეზენტაცია.	*მაგ. პრეზენტაცია, ფოტო მასალა, ესე რეგიონის სხვადასხვა ნაწილში წყლის ხარისხზე.*

მასწავლებელი განიხილავს პროექტის დიზაინს კოლეგასთან ერთად. პროექტის დიზაინზე რეფლექსიის საუკეთესო გზა მისი გაზიარებაა კოლეგებთან და უკუკავშირის მიღება.

პროექტის პროდუქტი

პროექტს შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი პროდუქტი.

პრეზენტაცია შეიძლება წარმოადგენდეს ცოცხალ პერფორმანს, როგორიცაა: სიტყვით გამოსვლა, დებატები, ზეპირი პრეზენტაცია, მოსაზრების დაცვა, ცოცხალი ჩართვა, პანელური დისკუსია, დრამატული წარმოდგენა, პოეტური ჩანახატი, თხრობა, მუსიკალური ნაწარმოები, ცეკვა, გაკვეთილი, საჯარო ღონისძიება.

წერილობით პროდუქტებში შედის კვლევის ანგარიში, წერილი, ბროშურა, სცენარი, წიგნის მიმოხილვა, სატრენინგო სახელმძღვანელო, მათემატიკური ანალიზი, ბლოგი, რედაქტორის წერილი, სამეცნიერო კვლევის ანგარიში, საველე სახელმძღვანელო.

მედიის და ტექნოლოგიების პროდუქტი მოიცავს ყველა ძველ და ახალ საშუალებას: აუდიო ჩანაწერი, პოდკასტი, სლაიდშოუ, ნახატი/ფერწერული ტილო, კოლაჟი, ფოტო მასალა, ვიდეო/ანიმაცია, ვებ-გვერდი, კომპიუტერული პროგრამა/აპი, ციფრული ამბავი/კომიქსი.

კონსტრუირებული პროდუქტი აგებულია მოსწავლეების მიერ, თუმცა ის შეიძლება იყოს მოდელი და არა რეალური, სრულმასშტაბიანი ნაგებობა ან მოწყობილობა: მცირე ზომის მოდელი, მომხმარებლის პროდუქტი, მოწყობილობა/დანადგარი, გამოგონება, სამეცნიერო ინსტრუმენტი, მუზეუმის ექსპონატი, სტრუქტურა/ნაგებობა, ბაღი.

დაგეგმვის პროდუქტები მოიცავენ სხვადასხვა ტიპის შეთავაზებას ან გეგმას, და არა ნადვილ კონსტრუქციას. ასე-

თი პროდუქტის შექმნა შეიძლება რთული იყოს, რადგან დეტალიზირეულ სამუშაოს მოიცავს და უნდა შესრულდეს მაღალპროფესიულად: საპროექტო წინადადება, ბიზნეს გეგმა, დიზაინი, გამოანგარიშება/გამოთვლები, ნახაზები, დროის გრაფიკი, სამუშაოს გრაფიკი.

სხვადასხვა ტიპის პროექტში მამოძრავებელი შეკითხვის მაგალითები

ეფექტური მამოძრავებელი კითხვა უნდა აკმაყოფილებდეს სამ კრიტერიუმს.

იგი უნდა:

1) უზრუნველყოფდეს მოსწავლეთა ჩართულობას

2) იყოს ღია ტიპის შეკითხვა და

3) იყოს სასწავლო მიზნებთან შესაბამისობაში. წარმოგიდგენთ მამოძრავებელ შეკითხვის მაგალითებს სხვადასხვა ტიპის პროექტებში:

რეალური პრობლემის გადაჭრა

- როგორ შეგვიძლია ჩვენ, როგორც მეწარმეებმა, შევიმუშავოთ ბიზნეს გეგმა, რომელიც მოიზიდავს ინვესტორებს?
- შეიძლება თუ არა ჩვენმა სასკოლო რაიონმა შეიმუშაოს უფრო ეფექტური სასკოლო ავტობუსის მომსახურების სისტემა?
- როგორ შევქმნათ ვებგვერდი, რომელიც სხვებს წაახალისებს, იკითხონ წიგნები, რომლებიც ჩვენ მოგვწონს?
- რა უნდა გავაშენოთ ჩვენი სკოლის ბაღში?

აბსტრაქტული საკითხის შესწავლა

- ვინ არის გმირი?

მოსწავლეები ქმნიან მოთხრობების კრებულს მნიშვნელოვანი ადამიანების ცხოვრების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ გმირის კრიტერიუმებს.

- რატომ გადაადგილდებიან (გადადიან საცხოვრებლად ერთი ადგილიდან მეორეზე) ადამიანები?

მოსწავლეები კითხულობენ მოთხრობებს და ადარებენ ეროვნულ და ადგილობრივ მონაცემებს, შემდეგ ქმნიან ვიდეოებს, რომლებიც პასუხობენ მამოძრავებელ შეკითხვას მაგალითებით.

კვლევის ჩატარება

- რამდენად კარგია ჩვენი სასმელი წყალი?

მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტებს, ასრულებენ სამუშაოს და ატარებენ ინტერვიუებს, ამზადებენ პრეზენტაციას საზოგადოებისთვის.

- ფრინველები დინოზავრებისგან წარმოიშვნენ?

მოსწავლეები მოქმედებენ, როგორც მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც ამოწმებენ მტკიცებულებებს, წარმართავენ პანელურ დისკუსიას და ამზადებენ წერილობით ანგარიშს.

საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დაკავება

- გენომოდიფიცირებული საკვები მავნეა თუ სასარგებლო?

მოსწავლეები აფასებენ ორივე მხარის მტკიცებულებებს და აწყობენ დებატებს საზოგადოების, მათ შორის ექსპერტების წინაშე.

- უნდა მოვკლათ ობობები?

სტუდენტები სწავლობენ ობობების სარგებელსა და პოტენციურ საფრთხეებს და ქმნიან ვიდეოს, რომელიც გამოხატავს მათ პასუხს შეკითხვაზე.

პროექტის ფაზები

პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში პროექტს აქვს შემდეგი ფაზები (იხ. ცხრილი ხხხ).

ფაზა 1: პროექტის დაწყება

პროექტი იწყება მაშინ, როდესაც მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს პროექტის შესახებ, რომ ეს არ არის მორიგი დავალება. პროექტის დაწყების ფაზაში მან უნდა გამოიწვიოს მოსწავლეთა ინტერესი პროექტის მიმართ, გაუჩინოს შეკითხვები თემისა და პროცესის შესახებ. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს მამოძრავებელ შეკითხვას (ან მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს), მოსწავლეები ადგენენ შეკითხვების სიას, რაც განხორციელების პროცესს წარმართავს. ამ ეტაპზე უკვე განსაზღვრულია პროექტის ძირითადი პროდუქტები, იქმნება მოსწავლეთა გუნდები, განიხილება სხვა ლოგისტიკური დეტალები და ეყრება საფუძველი პროექტის დავალებებს.

ფაზა 2: ცოდნის, გაგებისა და უნარების ჩამოყალიბება

მოსწავლეები იღებენ ცოდნას და იძენენ პროექტისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს მასწავლებლის მიერ მოწოდებული კომბინაციით — გაკვეთილები და რესურსები, ახორციელებენ დამოუკიდებელ კვლევას და ამყარებენ კონტაქტს ექსპერტებთან და მენტორებთან. მოსწავლეები სვამენ უფრო ღრმა კითხვებს, რათა გაიგონ მეტი.

ფაზა 3: პროდუქტების შემუშავება, უკუკავშირი/კრიტიკა და გადახედვა

მოსწავლეები იყენებენ ნასწავლს, რათა განავითარონ შესაძლო პასუხები მამოძრავებელ შეკითხვაზე. მასწავლებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებს ახალი გამოცდილებით — სთავაზობს პრობლემის გადახედვას, დამატებით აქტივობას ან დამატებით შეკითხვებს. ამისათვის მასწავლებელმა შეიძლება მოიწვიოს ექსპერტი/ სპიკერი, მოახდინოს დარგობრივი შესწავლა, რესურსის მოძიება, რომელსაც მოსწავლე მიჰყავს დამატებითი შეკითხვების დასმისკენ. პირველადი პროექტები, პროტოტიპები და პროდუქტების იდეები წარმოდგენილია თანატოლების, მასწავლებლის და ექსპერტების ან

მომხმარებლების შეფასებისათვის. შემდეგ მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას, სჭირდებათ თუ არა საკითხების გადახედვა, დამატებით მუშაობა ან მეტის გაგება, რის შემდეგაც პროცესი მეორდება.

ფაზა 4: პროდუქტების პრეზენტაცია

მოსწავლეები იღებენ პასუხს მამოძრავებელ შეკითხვაზე და ქმნიან ერთ/რამდენიმე პროდუქტს. ისინი ნამუშევრებს საჯაროდ წარმოადგენენ და ხსნიან სრულ პროცესს, რომელიც გაიარეს პროექტის განხორციელებისას. მასწავლებელი ხელს უწყობს მოსწავლეებს, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მოახდინონ რეფლექსია, თუ რა ისწავლეს პროექტზე მუშაობისას.

ცხრილი — პროექტის განხორციელების გზა

რას ფიქრობენ მოსწავლეები?	**პროექტის განხორციელების გზა**	**მასწავლებლის მხარდაჭერა კვლევა/ძიებაში**
➤ რას მთხოვს პროექტი? ➤ რა უნდა ვიცოდე? ➤რატომ არის ეს მნიშვნელოვანი? ➤ ვის გავუზიარებ ჩემს ნამუშევარს?	ფაზა 1 პროექტის დაწყება: გახსნის ღონისძიება და მამოძრავებელი შეკითხვა	● ჩაატარეთ გახსნის ღონისძიება ● წარმოადგინეთ მამოძრავებელი შეკითხვა/ ააგეთ მოსწავლეებთან ერთობლივად ● ხელი შეუწყეთ მოსწავლეთა შეკითხვების გენერირების პროცესს
➤ რა რესურსები შემიძლია და უნდა გამოვიყენო? ➤ შემიძლია ვენდო თუ არა ინფორმაცი-	ფაზა 2 ცოდნის შექმნა; გაგება და უნარები; მამოძრავებელ შეკითხვაზე პასუხის	● რესურსების გამოყენებისა და შეფასების ხელშეწყობა ● აუხსენით გაკვე-

ას, რომელსაც ვპოულობ? ➤ რა როლი მაქვს ამ პროცესში?	გაცემა	თილები ● უზრუნველყავით მხარდაჭერით და გაუწიეთ ხელმძღვანელობა მოსწავლეთა საჭიროებების საპასუხოდ
➤ როგორ გამოვიყენო ნასწავლი პროექტში? ➤ რა ახალი შეკითხვები მაქვს? ➤ მჭირდება მეტი ინფორმაცია? ➤ სწორ გზას ვადგავარ თუ არა?	ფაზა 3 განვითარება და კრიტიკა; პროდუქტები და პასუხები მამოძრავებელ შეკითხვაზე	● დაეხმარეთ მოსწავლეებს, ნასწავლი გამოიყენონ პროექტში ● უზრუნველყავით მოსწავლეები დამატებითი გამოცდილებით ● მოახდინეთ ახალი ცოდნის, შეკითხვების გენერირების და უკუკავშირის პროცესების ხელშეწყობა
➤ რა უნდა ავუხსნა აუდიტორიას ჩემს საქმიანობაზე? ➤ როგორ შემიძლია საუკეთესოდ გავუზიარო ეს სხვებს? ➤ რა ვისწავლე და რა უნდა გავაკეთო პროექტის შემდეგ?	ფაზა 4 პროდუქტების წარმოდგენა; პასუხები მამოძრავებელ შეკითხვაზე	● დაეხმარეთ მოსწავლეებს, შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი ● ხელი შეუწყეთ მოსწავლეებს პროცესზე და სწავლაზე განახორციელონ რეფლექსია

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Larmer J., Mergendoller J., & Boss S. (2015). Setting the Standard for Project Based Learning. ASCD. www.ascd.org/membe

1.5. პროექტზე დაფუძნებული სწავლება მესამე თაობის ესგ-სა და დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტებში

პროექტზე დაფუძნებული სწავლება თანამედროვე სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ტრადიციული სწავლებისაგან, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების მოდელი. თავისთავად, ამ ტიპის სწავლება ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს პედაგოგებისათვის, რადგან მისი განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვანი კომპეტენციების (კვლევითი, შემოქმედებითი, კომუნიკაციური, თანამშრომლობითი, პროექტის დაგეგმვის, მართვის და სხვ. უნარები) ფლობას, მზაობას როგორც პედაგოგების, ისე მოსწავლეთა მხრიდან. თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებას, ამიტომ პროექტზე დაფუძნებული სწავლების, როგორც ამ მიდგომის განხორციელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდელის, დამკვიდრების მიმართ მოთხოვნები ასახულია როგორც მესამე თაობის ესგ-ში, ისე საგნობრივ სტანდარტებში, თუმცა ამ დოკუმენტების მოდიფიცირებასთან ერთად ხდება მოთხოვნების ცვლილებაც.

მოთხოვნები პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიმართ 03.08.2021 წლის ცვლილებით წარმოდგენილ ესგ-ში

მესამე თაობის ესგ-მ, როგორც სახელმწიფო დოკუმენტმა, რომელიც განსაზღვრავს სწავლების შინაარსსა და ფორმას საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, არა ერთი ცვლილება განიცადა მის პირველ ვერსიასთან შედარებით. განვიხილოთ, როგორ იყო ასახული მესამე თაობის (2018-24 წლ) ესგ-ში მოთხოვნები პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიმართ დოკუმენტის 03.08.2021 წლის ცვლილების შედეგად (ბრძანება №63/ნ) და რა შეიცვალა ამ მიმართებით 2023 წლის 17 ნოემბრის ცვლილებით (ბრძანება №124/ნ).

უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის ცვლილებით ესგ მოიცავს გარკვეულ მოთხოვნებს პროექტზე დაფუძნებული სწავლების შესახებ და, ამავდროულად, გამოხატავს პროექტების მნიშვნელობას: კარი I — სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები, მუხლი 18. — სკოლის საერთო კულტურა, აღნიშნულია, რომ სკოლამ საგნების სწავლა-სწავლების, სასკოლო პროექტების, სპორტული, სახელოვნებო და საკლუბო აქტივობების (მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების ჩართულობით) საშუალებით ხელი უნდა შეუწყოს სკოლის საერთო კულტურის ჩამოყალიბებას, ურთიერთპატივისცემის, თანასწორობის და სხვ. დამკვიდრებას, თანამშრომლობითი გარემოს შექმნას და ა. შ. (ესგ 2018-24; 03.08.2021). ეს ჩანაწერი დოკუმენტში ხაზს უსვამს პროექტების მნიშვნელობას სასკოლო პოზიტიური გარემოს შექმნაში. ამავე მუხლში, ჩამონათვალში, ი) პუნქტში — სამეწარმეო უნარების განვითარება და ინიციატივების წახალისება — პროექტების მართვის უნარი განიხილება, როგორც მეწარმეობის, ინდივიდის უნარის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რაც ეხმარება ადამიანს იდეების განხორციელებაში.

პროექტით სწავლებაზეა აქცენტები 32-ე მუხლში- „მოსწავლის შეფასების კომპონენტები“. აქ ცალსახად არის მოთხოვნა პროექტების მომზადების შესახებ: „შემაჯამებელი დავალების კომპონენტში სავალდებულოა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებების გამოყენება (მაგ., ესეს დაწერა, პროექტის მომზადება, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება, რეფერატის დაწერა, ამოცანის ამოხსნა და სხვ.)“ (ესგ 2018-24; 03.08.2021).

პროექტებით სწავლების მოთხოვნები დაწყებით საფეხურის საგნობრივ სტანდარტებში

მნიშვნელოვანია იმის განხილვაც, თუ როგორ აისახება პროექტებით სწავლების საკითხები საგნობრივი სტანდარტე-

ბის მოთხოვნებში დაწყებით საფეხურზე სავალდებულო საგ-ნების შესაბამისად, რომლებიც შეისწავლება 1-6 კლასებში:

- ქართული ენა და ლიტერატურა
- მათემატიკა
- პირველი უცხოური ენა
- მეორე უცხოური ენა (ისწავლებაVკლასიდან)
- მე და საზოგადოება (ისწავლება III-IV კლასებში)
- ჩვენი საქართველო (ისწავლება V-VI კლასებში)
- ბუნებისმეტყველება (ისწავლება I-VI კლასებში)
- ტექნოლოგიების საგნობრივ ჯგუფს განეკუთვნება სავალდებულო საგანი „ინფორმაციული და საკომუ-ნიკაციო ტექნოლოგიები“ (ისტ).
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება
- მუსიკა
- ფიზიკური აღზრდა (ისწავლება I-VI კლასებში)

<u>ქართული ენა და ლიტერატურა</u>

აღნიშნული საგნის სტანდარტის ზოგად ნაწილში უნარ-ჩვევების შეფასებისთვის დავალებათა შორის მითითებულია პროექტის განხორციელებაც, ხოლო შემაჯამებელ დავალება-თა ტიპებში — პროექტი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კვლე-ვითი პროექტების განხორციელების და პროექტული დავალე-ბების მოთხოვნები გათვალისწინებულია მხოლოდ საბაზო სა-ფეხურიდან, აქ ტიპობრივი დავალებებში შემაჯამებელი შეფა-სებისათვის შეტანილია <u>პროექტი/კვლევა</u> (თემაზე, ტექსტის იდეაზე, კონკრეტულ პრობლემაზე/საკითხზე).

რაც შეეხება საგნობრივ სასწავლო გეგმებს, **კარი III — საგნობრივი სასწავლო გეგმები — წლიური პროგრამე-ბი კლასების მიხედვით, თავი XX. სახელმწიფო ენა** — წლი-ური პროგრამები კლასების მიხედვით, მუხლი 82. ქართული ენისა და ლიტერატურის წლიური პროგრამები, **ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებით საფეხურზე, VI კლასი,** სა-ფეხურებრივი სტანდარტის შედეგები და მათი შეფასების

ინდიკატორები, მიმართულება: ზეპირმეტყველება, დავალებათა/ აქტივობათა შორის მითითებულია შესრულებული პროექტების პრეზენტაცია კლასის წინაშე (ესგ 2018-24; 03.08.2021; გვ. 597). ასევე, დაწყებით საფეხურზე დავალებათა ნიმუშებში მითითებულია ნასწავლი თემების გარშემო **მინიპროექტების** განხორციელება და მისი პრეზენტაცია (მაგ., კლასელების დღიურის შექმნა: ვინაობა; საყვარელი საგანი, თვე და რიცხვი; საყვარელი ფერი, ცხოველი, ხილი; კედლის გაზეთის მომზადება და წარდგენა; საოჯახო რეცეპტების გაცნობა; საოჯახო/მეგობრების ალბობის შექმნა და წარდგენა; საკუთარი სოფლის/ქალაქის/კუთხის ღირსშესანიშნაობების შესახებ მოძიებული მასალის წარდგენა; საკლასო სპექტაკლის მოწყობა, ინტერესები და საქმიანობა, სარეკლამო ბუკლეტის მომზადება და წარდგენა; საოჯახო რეცეპტების გაცნობა; საკლასო სპექტაკლის მოწყობა და ა.შ.).

მათემატიკა

აღნიშნული საგნის სტანდარტში პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პროექტული დავალებები, საერთოდ არ არის მითითებული.

ბუნებისმეტყველება

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ტიპობრივ დავალებებში შემაჯამებელი შეფასებისათვის განიხილება პროექტებიც და, ამავდროულად, ახსნილია პროექტის არსი — „შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს პრობლემის/საკითხის ანალიზს; პრობლემის/საკითხის ირგვლივ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, პროექტის დაგეგმვის და შესრულების (აქტივობების) აღწერას, დასკვნებს, პროექტის საბოლოო პროდუქტს. სტანდარტის ზოგად ნაწილში პროექტზე მუშაობა განიხილება შეფასების აუცილებელ კომპონენტებში და შემაჯამებელ დავალებათა ტიპებშიც.

ესგ-ს თავი XXV-ში, **ესთეტიკური აღზრის** ჯგუფიდან დაწყებით საფეხურზე შეისწავლება მუსიკა. აღნიშნული საგნის სტანდარტში, შემაჯამებელი დავალებათა ტიპების ჩა-

მონათვალში, მოხსენიებულია პროექტი სავარაუდო თემებით (ესგ 2018-24; 03.08.2021).

რაც შეეხება **<u>უცხო ენას,</u>** სტანდარტში რეკომენდაციის სახით მითითებულია, რომ შეფასებისას მიმდინარე (საშინაო და საკლასო) დავალებათა კომპონენტად შეიძლება შეფასებისთვის გამოყენებულ იქნეს პროექტის განხორციელების ცოდნა და უნარ-ჩვევები. ასევე, შემაჯამებელ დავალებათა ტიპად შეიძლება გამოყენებულ იყოს განხორციელებული პროექტი; ეს ეხება როგორც პირველ უცხო ენას, ასევე მეორე უცხო ენასაც. **უცხო ენის სტანდარტში** მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ეს მოთხოვნა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურისთვის: „მოსწავლეები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად განახორციელებენ პროექტებს ასაკისათვის შესაფერის თემატიკაზე. პროექტის განხორციელება მოსწავლეს საშუალებას მისცემს, მისთვის ნაცნობ კონტექსტში ინტეგრირებულად გამოიყენოს და საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს შეძენილი ენობრივი ცოდნა და უნარები. გარდა ამისა, მოსწავლე შეიძენს კომპლექსური, მრავალეტაპიანი სამუშაოს დაგეგმვისა და განხორციელების, ასევე ჯგუფური მუშაობის საწყის უნარ-ჩვევებს. პროექტების განხორციელებისას მთავარი ღირებულება პროდუქტის შექმნის პროცესს აქვს და არა მიღებულ პროდუქტს. ასეთი სახის სამუშაო მოსწავლეებს შესძენს და განუმტკიცებს ცოდნასა და უნარებს, ჩამოუყალიბებს დამოკიდებულებებს," -აღნიშნულია სტანდარტში (ესგ 2018-24; 03.08.2021; გვ 107).

უცხო ენაში პროექტის განხორციელების აუცილებლობა დაფიქსირებულია როგორც 1-4, ისე 5-6 კლასების სტანდარტში.

<u>სპორტის სტანდარტში,</u> თავი XIX. სპორტი — ზოგადი ნაწილი და სტანდარტები, მუხლი 80. სპორტი — ზოგად ნაწილში, ცოდნა, უნარ-ჩვევები და ფიზიკური თვისებები, შესაფასებელ დავალებათა შორის მითითებულია პროექტიც (ესგ 2018-24; 03.08.2021). პროექტი ასევე განიხილება სტან-

დარტის მოთხოვნათა დასაფარად რეკომენდებულ შემაჯამებელ დავალებათა შორისაც, თუმცა, ეს ყველაფერი ასახვას პოვებს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაზო საფეხურის სტანდარტში.

პროექტების შესახებ მოთხოვნაა ესგ-ს მე-3 კარშიც: „**კარი III — საგნობრივი სასწავლო გეგმები — წლიური პროგრამები კლასების მიხედვით“;** ეს ეხება ქართული ენისა და ლიტერატურის VI კლასის წლიურ პროგრამას, სადაც დავალებათა/აქტივობათა ნიმუშებში მითითებულია შესრულებული პროექტების პრეზენტაცია კლასის წინაშე; ასევე, უცხოურ ენებს: (I უცხ. დაწყ. (I) 9) (ესგ 2018-24; 03.08.2021; გვ 108) „მოსწავლემ უნდა შეძლოს თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების სოციოკულტურულ და კულტურულ რეალიებზე“; (II უცხ. დაწყ. (II) 10): „მოსწავლემ უნდა შეძლოს თანატოლებთან და მასწავლებელთან ერთად სხვადასხვა ტიპის პროექტების დაგეგმვა და განხორციელება. მოსწავლე აყალიბებს პროექტის წარმატებით განხორციელების კრიტერიუმებს მასწავლებელთან და გუნდის წევრებთან ერთად“ (ესგ 2018-24; 03.08.2021; გვ.127).

რაც შეეხება **საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა-სწავლებას,** დაწყებით საფეხურზე. როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი მეცნიერებები III-VI კლასებში ისწავლება. III-IV კლასებში — „მე და საზოგადოების“, ხოლო V-VI კლასებში- „ჩვენი საქართველოს“ სახითაა წარმოდგენილი. ამ საფეხურზე ეს საგანი საზოგადოებრივი მეცნიერებების ინტეგრირებულ სწავლებას გულისხმობს. ზოგადად, მესამე კლასში, კონკრეტულად კი, „მე და საზოგადოების“ სწავლებისას, გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. საგნის სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე შემდეგი ტიპური აქტივობებით უნდა შეფასდეს: კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერ-

ვიუ, რეპორტაჟი და სხვა); საქველმოქმედო, საგანმანათლებლო, სოციალური პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, — აღნიშნულია სტანდარტში (ესგ 2018-24; 03.08.2021). პროექტი ასევე განიხილება შემაჯამებელ დავალებათა ტიპებშიც: „სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. საზოგადოებრივი მეცნიერებების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი და სხვა)"-აღნიშნულია სტანდარტში (ესგ 2018-24; 03.08.2021; გვ.143).

V – VI კლასებში, საგნის „ჩვენი საქართველო" სწავლა-სწავლებისას, გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. მოსწავლის შესაფასებლად ტიპურ აქტივობებს შორის სტანდარტში მითითებულია: „კვლევითი პროექტი (გამოკითხვა, ინტერვიუ, რეპორტაჟი, კვლევის ჩატარება, ქცევის წესები („კონსტიტუცია"), დღის რეჟიმი, „მეგობრობის დღიური", გამოფენა); შემაჯამებელი დავალება წარმოდგენილი უნდა იყოს კომპლექსური დავალების სახით. კომპლექსური დავალება შეიძლება იყოს შემდეგი სახის: საქართველოს ამა თუ იმ მხარისთვის აქტუალური მარტივი სამოქალაქო პროექტების (ეკოლოგია, საგანგებო ვითარებები, ჯანსაღი ცხოვრება) განხორციელება" (ესგ 2018-24; 03.08.2021; გვ.158).

ამდენად, აღნიშნული საგნების სწავლა-სწავლებისთვის მკაფიოდ არის გამოკვეთილი პროექტებზე მუშაობის აუცილებლობა და რეკომენდაციები დაწყებით საფეხურზე. პროექტების შესახებ მითითებულია **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სასწავლო გეგმაში დაწყებით საფეხურზე,** სადაც მოსწავლის მიერ საგნის სწავლა-ათვისების შედეგებში ერთ-ერთ ინდიკატორად განსაზღვრულია მოსწავლის უნარი — შეეძლოს მუშაობა ინტეგრირებულ პროექტებზე

(ქართული, ბუნებისმეტყველება, მუსიკა და სხვ.); (ესგ 2018-24; 03.08.2021).

პროექტი განიხილება **საბუნებისმეტყველო საგნები**ს საშინაო დავალებებსა და შემაჯამებელ ტიპობრივ დავალებებშიც: „საბუნებისმეტყველო საგნების შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს: ტესტი, მოდელირება, პროექტი, პრეზენტაცია, პრობლემის გადაჭრაზე დაფუძნებული დავალებები; ექსპერიმენტის შედეგების ანალიზი, საველე/გასვლითი სამუშაოს ანგარიში და სხვა“. აქვე განმარტებულია, თუ რას მოიაზრებს პროექტები: „პროექტი — შესრულებული სამუშაო უნდა მოიცავდეს პრობლემის/საკითხის ანალიზს; პრობლემის/ საკითხის ირგვლივ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, პროექტის დაგეგმვის და შესრულების (აქტივობების) აღწერას, დასკვნებს, პროექტის საბოლოო პროდუქტს „(ესგ 2018-24; 03.08.2021; გვ.161). ამავე სტანდარტში შეფასების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად განიხილება პროექტზე მუშაობა. საშინაო დავალებათა ტიპებში — საბუნებისმეტყველო შინაარსის ტექსტზე მუშაობა, კითხვებზე პასუხების მომზადება, საშინაო ექსპერიმენტის ჩატარება და ოქმის მომზადება, ობიექტებსა და პროცესებზე დაკვირვება და შედეგების აღრიცხვა, ინფორმაციის მოძიება ან/და დამუშავება, კონცეპტუალური რუკის შედგენა, მოდელირება, რეფერატის მომზადება და სხვა, მითითებულია პროექტზე მუშაობაც. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მითითებები ეკუთვნის ძირითადად საბაზო-საშუალო საფეხურს და აღნიშნული მოთხოვნები დაწყებითი საფეხურის სტანდარტში არაა (ესგ 2018-24; 03.08.2021).

პროექტი, როგორც შეფასების კომპონენტი, მოიხსენიება **ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტანდარტებშიც.** ზოგად ნაწილში პროექტი განიხილება, როგორც დავალებათა ერთ-ერთი სავალდებულო ტიპი: „შემაჯამებელი დავალებებიდან სემესტრში ერთი მაინც უნდა იყოს პროექტის სახის, რა დროსაც გამოყენებული იქნება სხვადას-

ხვა აქტივობა (მაგ., გასვლითი სამუშაო, მონაცემების აღრიცხვა/დამუშავება, ინფორმაციის კვლევა/ძიება, ექსპერიმენტი, მოდელირება, ციფრული პროდუქტის შექმნა, პრეზენტაცია და ა.შ.) (ესგ 2018-24; 03.08.2021; გვ 172); ასევე განიხილება ე.წ. კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი. „კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში“ (ესგ 2018-24; 03.08.2021; გვ. 184).

რაც შეეხება **პირველ უცხო ენას,** აქ შეფასებისთვის ერთ-ერთ აქტივობად მითითებულია პროექტის განხორციელება. იგი გათვალისწინებულია შემაჯამებელ დავალებათა ტიპებშიც. ანალოგიური მოთხოვნაა **მეორე უცხოურ ენაშიც.** პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენის) სტანდარტის შედეგები (V-VI კლასები) მიმართულების — ინტერკულტურა — განხილვისას, აღნიშნულია პროექტის განხორციელების აუცილებლობისა და მნიშვნელობის შესახებ: მოცემულ საფეხურზე მოსწავლეები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად განახორციელებენ პროექტებს ასაკისათვის შესაფერის თემატიკაზე. პროექტის განხორციელება მოსწავლეს საშუალებას მისცემს, მისთვის ნაცნობ კონტექსტში ინტეგრირებულად გამოიყენოს და საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს შეძენილი ენობრივი ცოდნა და უნარები (ესგ 2018-24; 03.08.2021).

რაც შეეხება **ესთეტიკურ აღზრდას,** აქ პროექტი, ზოგადად, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, ასევე მუსიკაში, შემაჯამებელ დავალებათა ტიპებში განიხილება:

- პროექტი (პროექტის სავარაუდო თემები: პროექტები, რომლებიც დაკავშირებულია რომელიმე ხელოვანის ან გამოჩენილი ადამიანის შემოქმედებასთან, მოღვაწეობასთან, ხელოვნების დარგებთან და ჟანრებთან, მსოფლიოში/ქვეყანაში/ ქალაქში/ რეგიონში და სხვ.

მომხდარ მოვლენასთან *(ეკოლოგიური, პოლიტიკური, სოციალური და სხვ.) და ა. შ.*;

- მითითებულია, რომ ცოდნა და უნარ-ჩვევების შესაფასებლად დავალების ერთ-ერთი სახეა პროექტის მომზადება (ესგ 2018-24; 03.08.2021).

რაც შეეხება **სპორტს**, აქაც ცოდნის, უნარ-ჩვევების და ფიზიკური თვისებების შეფასებისას, ერთ-ერთ დავალებად განიხილება პროექტი. იგი განიხილება შემაჯამებელ დავალებათა ტიპადაც.

პროექტზე დაფუძნებული სწავლების მოთხოვნები საგნობრივ გზამკვლევებში

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტების შესახებ მითითებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შექმნილ ცალკეულ **საგანთა გზამკვლევებშიც,** რომლებიც შექმნილია დაწყებითი საფეხურისთვის: ქართული ენისა და ლიტერატურა მე-5-მე-6 კლ., მათემატიკა დაწყებითი საფეხურზე, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება, სახვით და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა, ინგლისური ენა, სწავლა-სწავლების პროცესის პრინციპების განხილვისას მითითებულია, რომ „ამ პრინციპების სასწავლო პროცესში რეალიზებისთვის გამოყენებულ უნდა იქნეს კომპლექსური (პროექტული, ავთენტური კონტექსტის, კვლევაზე ან/და პრობლემაზე დაფუძნებული) დავალებები“ (საგანი — ქართული ენა და ლიტერატურა დაწყებითი საფეხურის (I-IV კლასების) გზამკვლევი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, 2022 გვ 25).

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია პრიორიტეტული თემები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად: მის კვალდაკვალ მითითებულია, რომ ამ თემებზე აქცენტირებული მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს სასკოლო პროექტების

განხორციელებით (ესგ 2018-24;03.08.2021). აქვე ჩამოყალიბებულია კრიტერიუმები, რაც უნდა გაითვალისწინონ სკოლებმა სასკოლო პროექტებზე მუშაობისას:

· რამდენად ორიენტირებულია სასკოლო პროექტი დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების განვითარებაზე;

· რამდენად ორიენტირებულია პროექტი ეროვნული სასწავლო გეგმის სამიზნე ცნებასთან/ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე;

· უწყობს თუ არა პროექტი ხელს ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტულ თემაზე/თემებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას;

· რამდენად გამოკვეთს პროექტი ინტერდისციპლინურ კავშირებს, ასევე კლასებს/საფეხურებს შორის კავშირებს;

· რამდენად ითვალისწინებს პროექტი სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან (კათედრები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და სხვა) თანამშრომლობას და სასკოლო საზოგადოების/თემის ჩართულობას;

· რამდენად ავითარებს პროექტი თემთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესაძლებლობებს;

· რამდენად ითვალისწინებს სასკოლო პროექტი ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტს;

· რამდენად აქვს ყველა მოსწავლეს თანაბრად ჩართვის შესაძლებლობა;

· რამდენად მოაიაზრებს პროექტის იდეა და შედეგები კავშირს სკოლის განვითარებასთან.

ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება 2021 წლის ესგ-ში, საგნობრივ სტანდარტებში და მის შესაბამისად შექმნილ საგნობრივ გზამკვლევებში არცთუ უმნიშვნელო ადგილს იკავებს. უმრავლეს შემთხვევაში, ეს დაკავშირებულია შემაჯამებელ დავალებებთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროექტზე დაფუძნებუ-

ლი სწავლება ძირითადად მაინც საბაზო საფეხურის საგნობრივ სტანდარტებში იკავებს მნიშვნელოვან ადგილს. ეს მიდგომა გააძლიერა ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლის თანახმადაც, 2022 წელს საშუალო საფეხურს დაემატა სავალდებულო პროექტებით სწავლება სამოქალაქო განათლებაში, მუსიკაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, რომლებსაც კვირაში 1 საათი დაეთმო. პროექტზე მუშაობის ხანგრძლივობაა ერთი სემესტრი.

პროექტებზე დაფუძნებული სწავლების გასაუმჯობესებლად განათლების სამინისტროს ზოგადი განათლების რეფორმების ჯგუფმა, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის, მოამზადა ერთგვარი გზამკვლევი: „**რა როლი აქვს სასწავლო პროცესში სავალდებულო პროექტს**?“ და როგორ ხორციელდება საგნის სწავლა-სწავლების ორგანიზება, რამაც, ცხადია, გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ამ მიმართულებით (https://edu.aris.ge/news/wp-content/uploads/2022/09/Doc6.pdf).

მოთხოვნები პროექტზე დაფუძნებული სწავლების მიმართ 2023 წლის 17 ნოემბრის მოდიფიცირებულ ესგ-ში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღიდან თავდაპირველი ვერსიის დამტკიცებისა, 2018-24 წლ. მესამე თაობის ესგ-მ არაერთი ცვლილება განიცადა. მათ შორის ბოლო განხორციელდა გასული წლის ნოემბერში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 17 ნოემბერის ბრძანებით, №124/ნ, დამტკიცდა ესგ-ს ახალი ვერსია გარკვეული ცვლილებებით. აღნიშნულთაგან უნდა აღინიშნოს იმ პუნქტების ამოღება, სადაც ესგ-ს წინა ვერსიაში განიხილებოდა პროექტებით სწავლების საკითხები. ამ ცვლილებებით:

- ეროვნული სასწავლო გეგმიდან ამოღებულ იქნა მეთოდოლოგიური რეკომენდაციები (გაუქმდა მესამე კარი, სადაც წარმოდგენილი იყო რჩევები, თუ როგორ შეიძლებოდა წლიური პროგრამების დაგეგმვა);

– გაუქმდა განმსაზღვრელი შეფასებების კომპონენტები (საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი) და მოდელები.

ცხადია, განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, მნიშვნელოვანია იმის გამოვლენა, თუ რა მოთხოვნები დარჩა განახლებულ ესგ-ში პროექტებით სწავლებასთან დაკავშირებით. ესგ-ს 2023 წლის ცვლილებით, **მუხლი 7. მოსწავლის შეფასების პრინციპები, მიზნები და ამოცანები,** პროექტი ნახსენებია მხოლოდ საშუალო საფეხურისთვის:

„საჯარო სკოლაში არადიფერენცირებული შეფასება (ჩათვლა) გამოიყენება სპორტის საგნობრივ ჯგუფში შემავალ საგნებში, არჩევით საგნებსა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებით შეთავაზებულ საგნებში. საშუალო საფეხურზე <u>პროექტებში</u> – სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში, მუსიკაში, სამოქალაქო განათლებაში — მოსწავლე ფასდება განმავითარებელი შეფასებით (წერილობითი და /ან ზეპირი ფორმით)“ (ეროვნული სასწავლო გეგმა; 17/11/2023; გვ 5)

მუხლში 10. — იქ, სადაც განიხილება საგნობრივი ჯგუფის მიზნები/კომპეტენციები, საზოგადოებრივი მეცნიერებების ერთ-ერთ სამიზნე ცნებად დაწყებით საფეხურზე მითითებულია <u>სოციალური პროექტი.</u> (ეროვნული სასწავლო გეგმა; 17/11/2023; გვ 19)

თავი II. საგნობრივი ჯგუფის მიზნები, საგნების სტანდარტები და ალტერნატიული სასწავლო გეგმები: აქ პროექტებით სავალდებულო სწავლება განიხილება საშუალო საფეხურზე: სამოქალაქო განათლების, ესთეტიკური აღზრდის (სახვითი და გამოყანებითი ხელოვნება) და მუსიკის საგნებში:

მუხლი 15. საზოგადოებრივი მეცნიერებები: ე) სამოქალაქო განათლება (მოიცავს საგანს „მოქალაქეობას“ – VII-XII კლასები და სავალდებულო პროექტებით სწავლებას – X-XII კლასები);(ეროვნული სასწავლო გეგმა;17/11/2023; გვ 31)

მუხლი 18. ესთეტიკური აღზრდა 1. ესთეტიკური აღზრდის საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულია შემდეგი სავალდებულო საგნები: ა) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (მოიცავს სავალდებულო საგანს სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში I-IX კლასებში და სავალდებულო პროექტებით სწავლებას X ან XI კლასში);

ბ) მუსიკა (მოიცავს სავალდებულო საგანს მუსიკაში I-IX კლასებში და სავალდებულო პროექტებით სწავლებას X ან XI კლასში) (ეროვნული სასწავლო გეგმა,17/11/2023 ; გვ 33)

აღნიშნული ესგ-ს მიხედვით, **მათემატიკის** სტანდარტით, პროექტი განიხილება მხოლოდ ერთხელ, საბაზო საფეხურზე, როგორც STEM/STEAM ინტეგრირებული პროექტები. ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტში საერთოდ არ არის საუბარი პროექტზე. ანალოგიური დამოკიდებულებაა დაწყებითი საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სტანდარტშიც. რაც შეეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების სტანდარტებს დაწყებით საფეხურზე, „მე და საზოგადოება“ და „ჩემი სამშობლო“, აქ საერთოდ არ არის მოხსენიებული პროექტები; მათგან განსხვავებით, პროექტით სწავლებაზე მნიშვნელოვანი აქცენტებია გაკეთებული სამოქალაქო განათლების საკითხებში პროექტის გამოყენებაზე (საბაზო საფეხური).

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სტანდარტში პროექტი სავალდებულოა მხოლოდ საბაზო („სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას სხვადასხვა შემოქმედებით პროექტში“) და საშუალო საფეხურზე. ეს საგანი განიხილება, როგორც პროექტი (**სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (პროექტი) საშუალო საფეხურზე.**

შესავალი — საშუალო საფეხურზე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება ისწავლება **სავალდებულო პროექტების** სახით X ან XI კლასში. თითოეულ პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს 1 სემესტრის განმავლობაში. საშუალო საფეხურის ფარგლებში საგანში უნდა განხორციელდეს 2 პროექტი).

ასევე, მუსიკის სტანდარტში, პროექტი განიხილება საშუალო საფეხურზე. (ეროვნული სასწავლო გეგმა; 17/11/2023; გვ 33)

და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად ცვლილებებისა, რაც დაწყებითი საფეხურის საგნობრივ სტანდარტებშია ასახული და პროექტზე დაფუძნებული სწავლების ერთგვარი „უგულებელყოფისაკენ“ მივყავართ, დაწყებითი საფეხურის სწავლა-სწავლების შედეგების წარმატებით მიღწევა, გარკვეულწილად, დამოკიდებული იქნება მოსწავლეებში ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან თემებზე მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებასა და მოსწავლეთათვის ისეთი უნარ-ჩვევების დაუფლებაზე, როგორიცაა: ცოდნის ტრანსფერის უნარი, თანამშრომლობითი კომპეტენციები, დაგეგმვის, თვითკონტროლის, დროის მართვის, ცოდნისა და რესურსების მიზნობრივად გამოყენების უნარები და სხვა. ეს კი მიიღწევა კარგად დაგეგმილი და განხორციელებული სასწავლო პროცესით, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი პროექტებზე დაფუძნებული სწავლებაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *ესგ 2018-24; 03.08.2021 ცვლილებით https://matsne.gov.ge/ka/document/view/5226907?publication=0*
2. *„ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისი 40/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. დოკუმენტის ნომერი 124/ნ. მიღების თარიღი 17/11/2023 https://matsne.gov.ge/ka/document/view/5969264?publication=0*
3. *საგნობრივი გზამკვლევები https://mes.gov.ge/content.php?id=12725&lang=geo&fbclid=IwAR2dPJtyYqf4tw96y9Lk1TcPHfLDnzbYgffE_4oq_u98B2xxMY9P2aE5o6o*
4. *რა როლი აქვს სასწავლო პროცესში სავალდებულო პროექტს? https://edu.aris.ge/news/wp-content/uploads/2022/09/Doc6_____.pdf*

თავი 2. პროექტზე დაფუძნებული სწავლების კვლევა — შედეგები და რეკომენდაციები (უცხოური ქვეყნების გამოცდილება)

პროექტზე დაფუძნებული სწავლა, ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც ემყარება სამ პრინციპს: პირველი — ის არის კონტექსტზე ორიენტირებული, მეორე — შემსწავლელები არიან აქტიურად ჩართულები სწავლის პროცესში და, ბოლოს, შემსწავლელები მიზანს აღწევენ ინტერაქციისა და ცოდნის გაზიარების საფუძველზე (კოკო, 2006). ბლუმენფელდის, ფიშმანის, კრაიჩიკის, მარქსის და სოლოვეის (2000) მიხედვით, პროექტზე დაფუძნებული სწავლის პროცესში სტუდენტები ეჭიდებიან რეალურ პრობლემებს; ისინი სვამენ კითხვებს, გეგმავენ და ახორციელებენ კვლევებს, აგროვებენ, აანალიზებენ მიღებულ მონაცემებს, გამოაქვთ დასკვნები (გვ. 150).

პროექტზე დაფუძნებულ სწავლას სხვა მიდგომებთანაც აქვს კავშირი. მათ შორისაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (Helle, Tynjälä & Olkinuora, 2006). ორივე მიდგომაში ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ მონაწილეებმა მიაღწიონ საერთო მიზანს ურთიერთანამშრომლობის საფუძველზე. აღნიშნულ მიდგომებს შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლის დროს უმთავრესია სწავლის პროცესი, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაში კი — მნიშვნელოვანია საბოლოო შედეგი (Blumenfeld, Soloway, Marx, Krajcik, Guzdial, Palincsar, 1991). პროექტზე დაფუძნებულ სწავლას გარკვეული მსგავსება აქვს ექსპერიმენტულ და თანამშრომლობით სწავლასთანაც. ჰილის, ტინჯალასა და ოლკინუორას (2006) აზრით, პროექტზე დაფუძნებული სწავლა არის სწავლის თანამშრომლობითი ფორმა, რადგან მონაწილეები იღწვიან საერთო მიზნის მისაღწევად. ეს არის აქტიური რეფლექსიის ფორმა.

თომასი (2000) გამოყოფს პროექტის ხუთ მახასიათებელ თვისებას:

- ცენტრალურობას
- მამოძრავებელ კითხვას
- შემოქმედებით გამოკვლევებს
- ავტონომიას
- რეალიზმს

პროექტზე დაფუძნებული სწავლის უნიკალურობა მდგომარეობს საბოლოო პროდუქტის, „კონკრეტული არტეფაქტის“ აგებაში (Helle, Tynjälä, & Olkinuora, 2006). ეს პროდუქტი წარმოადგენს მოსწავლეებისათვის სიახლის გაგებას, ცოდნას და დამოკიდებულებას საკვლევ საკითხთან დაკავშირებით. ის ხშირად წარმოდგენილია ვიდეოების, ფოტოების, ჩანახატების, მოხსენებების, მაგალითების და სხვა შეგროვებული არტეფაქტების სახით (Holubova, 2008).

მოსწავლეები სწავლობენ დამოუკიდებლობას მიზნების დასახვის, დაგეგმვისა და ორგანიზების გზით, ისინი ავითარებენ თანამშრომლობის უნარებს სოციალური სწავლის გზით. არჩევანის საშუალება მათ უმაღლებთ შინაგან მოტივაციას (Bell, 2010). პროექტზე დაფუძნებული სწავლება შესწავლილია სხვადასხვა კონტექსტში და სასკოლო სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, დაწყებული განათლების ადრეული საფეხურებიდან — დაწყებითი და საშუალო სკოლებიდან, უმაღლეს განათლებამდე.

კალდიმ, ფილიპატუმ და გოვარისმა (2011) შეისწავლეს პროექტზე დაფუძნებული სწავლის ეფექტურობა დაწყებით საფეხურზე საბერძნეთში. ავტორების აზრით, აღნიშნული ტიპის სწავლა მოსწავლეებს ეხმარება ცოდნის გაღრმავებაში, ჯგუფური მუშაობისთვის საჭირო უნარების შეძენაში, სხვა მოსწავლეებთან უკეთესი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და მოტივაციის ამაღლებაში. მსგავსი კვლევა ჩაატარეს კარაჩალიმ და კორურიმ (2014) თურქეთში. მათი კვლევის პირები იყვნენ მე-4 კლასის (მეცნიერების) მოსწავ-

ლეები. ავტორების აზრით, პროექტზე დაფუძნებული სწავ-ლა გავლენას ახდენს მოსწავლეების აკადემიურ მიღწევებზე და ცოდნის გაღრმავებაზე. ამერიკაში ჩატარებული კვლევის პირები იყვნენ მასწავლებლები (სულ 6) და მეორე კლასის მოსწავლეები (Halvorsen, Duke, Brugar, Berka & Brown, 2012). ავტორთა მტკიცებით, პროექტზე დაფუძნებული სწავლა აახლოებს სხვადასხვა სოციალური ფენის მოსწავლეებს ერ-თმანეთთან.

ცინტანგიმ, სეთიოვათიმ, ჰანდაიანიმ (2018) გამოიკ-ვლიეს შვიდი მასწავლებელი. მათგან ოთხი იყო მეოთხე კლა-სის მასწავლებელი, ხოლო სამი — მეხუთე კლასის. ყველა მათგანს ჰქონდა პროექტზე დაფუძნებული სწავლების გა-მოცდილება. ავტორებმა მონაცემები სხვადასხვა გზით შე-აგროვეს:

1. ინტერვიუს მეშვეობით;
2. დაკვირვების შედეგად;
3. დოკუმენტაციის შესწავლით.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა პროექტზე დაფუძნებული სწავლისთვის დამახასიათებელი სირთულეები. აღმოჩნდა, რომ მასწავლებლები დგანან შემდეგი გამოწვევების წინაშე:

1) პროექტის კეთების სირთულე;
2) დროის მენეჯმენტის სირთულე;
3) პროექტის განხორციელების ტექნიკური სირთულეე-ბი;
4) თვითონ პროექტის სირთულე;
5) მოსწავლეთა შესაძლებლობების უთანასწორობა (Cintang, Setyowati, Handayani, 2018).

გამოცდილი მასწავლებლებიც კი ჯერ კიდევ აწყდები-ან ზემოთ ჩამოთვლილ ხელისშემშლელ ფაქტორებს. მსგავსი შედეგებია დაფიქსირებული გილის და ბოილის (2010) კვლე-ვაშიც. ავტორების აზრით, მასწავლებლებმა მიიღეს ღირე-ბული გამოცდილება პროექტზე დაფუძნებული სწავლების გამოყენებით, მაგრამ მათ ასევე შეექმნათ მთელი რიგი სირ-თულეები.

ცინტანგი, სეთიოვათი, ჰანდაიანი (2018) გვთავაზობენ სირთულეების გადაჭრის გზებსაც. ნათქვამია, რომ მოსწავლეებს უნდა მივცეთ პროექტზე მუშაობის საშუალება და ისინი თანდათან შეიძენენ შესაბამის უნარებს. მასწავლებლი ამ პროცესში უნდა იყოს ხელმძღვანელის და მეთვალყურის როლში. დროის ფაქტორი მნიშვნელოვანია პროექტზე დაფუძნებული სწავლის დროსაც. მასწავლებლებმა უნდა შეარჩიონ პროექტის განხორციელებისთვის შესაფერისი დრო, შესაძლებელია, გააერთიანონ ორი მასალა ერთ პროექტში და ა.შ. აუცილებელია, მასწავლებელმა გაითვალისწინოს პროექტის დასრულებისთვის საჭირო უნარები და მოსწავლეთა დაყოფის დროს ეს ფაქტორიც გაითვალისწინოს (იხ. ცხრილი 1.).

ცხრილი 1. დაბრკოლებები და სტრატეგიები პროექტზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებისას

დაბრკოლებები	გადაჭრის გზები	მთავარი სტრატეგია
1. მასწავლებლის მხრიდან პროექტის კეთების არ ცოდნა	აირჩიეთ მარტივი პროექტები და შეარჩიეთ მათი დასრულებისთვის შესაფერისი დრო	მასწავლებლების რწმენა და მასწავლებლების ვალდებულება
2. რთული ტიპის პროექტი	მოახდინეთ პროექტის მოდიფიცირება	
3. არახელმისაწვდომი მასალები და ხელსაწყოები	მოდიფიცირება გაუკეთეთ პროექტს	
4. მოსწავლის უნარების ნაკლებობა.	გააცანით მოსწავლეებს პროექტის დასასრული	
5. შეზღუდული დრო	ა. შეამცირეთ პროექტისთვის განკუთვნილი დრო; ბ. გააერთიანეთ ორი მსგავსი თემა და თემის ბოლოს გააკეთეთ	

	პროექტი; გ. ჩართეთ პროექტი სწავლის პროცესში; დ. იპოვეთ პროექტის განხორციელებისთვის შესაფერისი დრო.	
6.მოსწავლის უდისციპლინობა	გაზარდეთ მასწავლებლის, როგორც ხელმძღვანელის როლი	
7. მოსწავლეთა არათანაბარი უნარები	შექმენით ჰეტეროგენული ჯგუფები და დააბალანსეთ მოსწავლეთა უნარები	
8. ღირებულება	ჩაანაცვლეთ კლასში არსებული / ხელმისაწვდომი რესურსებით	

*შედგენილია ცინტანგ, სეთიოვათი, ჰანდაიანის (2018) მიხედვით.

დადგენილია, რომ პროექტის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სამ ფაქტორზე. ესენია:

1) მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანამშრომლობა და თანამიმდევრულობა;

2) მოსწავლის აქტიურობა;

3) მასწავლებლის, როგორც ხელმძღვანელის როლი (Cintang, Setyowati, Handayani, 2018).

კვლევის შედეგად დადგენილია, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეებს უჭირთ სისტემური მეცნიერული კვლევის განხორციელება, ეთიშებიან აქტივობებს და არ აქვთ აუცილებელი ცოდნა აქტივობების დაგეგმვისა და შეგროვებული მონაცემების გასააზრებლად. უფრო მეტიც, მოსწავლეებს გაუჭირდათ გამოკვლევების ჩასატარებლად საჭირო ტექნო-

ლოგიებზე წვდომა (Edelson, Gordin, and Pea, 1999). აქედან გამომდინარე, აუცილებელია პროექტზე დაფუძნებული სწავლა მასწავლებელმა ფრთხილად მართოს და არ მისცეს მოსწავლეებს სრული თავისუფლება (თუნდაც პროექტი წინასწარ დაგეგმილი იყოს). საჭიროა, მოსწავლეებს მიეწოდოთ სტრუქტურირებული აქტივობები, რათა ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა წარმატებას და აზრობრივ სწავლას. გარდა ამისა, აუცილებელია სტუდენტთა ეტაპობრივი მონიტორინგიც (Krajcik, et al., 1998; Thomas, 2000).

მერგენდოლერმა და თომასმა (2005) ინტერვიუ ჩაატარეს სკოლის თორმეტ მასწავლებელთან. ისინი იყვნენ პროექტზე დაფუძნებული სწავლის ექსპერტები, ამ მიმართულებით ჩატარებული ჰქონდათ ტრენინგები და მონაწილეობდნენ კონფერენციებსა და ვორქშოპებში. კვლევის მიზანი იყო, დაედგინათ აღნიშნულ მასწავლებელთა წარმატებული სტრატეგიები, რომელიც გამოყენებული იყო პროექტზე დაფუძნებული სწავლის პროცესში. ავტორები წარმოგვიდგენენ შვიდი თემის მიხედვით დაჯგუფებულ პრინციპებს:

1. დროის მენეჯმენტი — ავტორები გვირჩევენ პროექტების და დავალებების დაგეგმვას, სხვა პროექტის მასწავლებლებთან კოორდინაციას, პროექტის დაგეგმვისას დღეების გარკვეული რაოდენობის დაწესებას და დამატებითი დროის მიცემას, პროექტის განრიგის ჩაშლის დროს ალტერნატიული ინსტრუქციის ქონას (Mergendoller, Thomas, 2005).

2. დაწყება — ავტორების აზრით, მოსწავლეებს უნდა მივცეთ ნება, იფიქრონ პროექტზე, სანამ დაიწყებენ მასზე მუშაობას. მათ წინასწარ უნდა იცოდნენ, რა მოეთხოვებათ. პროექტის დაწყებამდე უნდა გავაცნოთ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმები. მასწავლებელმა უნდა აწარმოოს პერიოდული შემოწმება (მაგალითად, ზეპირი ჯგუფური მოხსენების სახით წარმოადგინონ რაც ისწავლეს) (Mergendoller, Thomas, 2005).

3. კულტურის ჩამოყალიბება, რომელიც ხაზს უსვამს

მოსწავლეთა თვითმმართველობას — აქ პასუხისმგებლობა მასწავლებლისგან გადადის მოსწავლეებზე, ისინი ჩართულნი არიან პროექტის დიზაინში და თავად იღებენ გადაწყვეტილებებს. სასურველია, მათ ვუჩვენოთ პროფესიონალური ნაშრომი ან წინა მოსწავლეების მიერ მომზადებული პროექტის ნიმუში, რათა მათ ჰქონდეთ მაგალითი იმისა, რა მოეთხოვებათ (Mergendoller, Thomas, 2005).

4. მოსწავლეთა ჯგუფების მართვა – ავტორების მტკიცებით, უნდა ჩამოვაყალიბოთ ნაირგვარი დაჯგუფებები, გავითვალისწინოთ მოსწავლეთა უნარები, თვალყური ვადევნოთ ჯგუფის პროგრესს (მაგალითად, დავნიშნოთ მცირე მოხსენები, როდესაც მოსწავლეები ისაუბრებენ ჯგუფის პროგრესზე, პრობლემებზე და შესაძლებლობებზე) (Mergendoller, Thomas, 2005).

5. სხვებთან მუშაობა საკლასო ოთახის გარეთ — აქ ავტორები გვირჩევენ სხვა მასწავლებლებთან, მშობლებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ურთიერთობას (Mergendoller, Thomas, 2005).

6. ტექნოლოგიური რესურსებიდან მაქსიმალური სარგებლობის მიღება — ავტორების მტკიცებით, მასწავლებელმა უნდა ასწავლონ მოსწავლეებს ინტერნეტის სწორი გამოყენება, ამ დროს კრიტიკული აზროვნება. მასწავლებელმა თავად უნდა მოსინჯოს ტექნიკის გამართულობა, ასწავლოს მისი გამოყენება პროექტზე მუშაობის დაწყებამდე (Mergendoller, Thomas, 2005).

7. მოსწავლეების და პროექტების შეფასება — ავტორების მტკიცებით, უნდა გამოვიყენოთ შეფასების სხვადასხვა მეთოდი — როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფის შეფასება. მოსწავლეებს უნდა მივცეთ საშუალება, გვესაუბრონ, როგორ შეიძლება პროექტის გაუმჯობესება (Mergendoller, Thomas, 2005).

პროექტზე დაფუძნებული სწავლა მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის მეგზურობას. ამ ფონზე სკა-

ფოლდინგი შეამცირებს მოსწავლეთა „კოგნიტურ დატვირთვას" (Hmelo-Silver, Duncan & Chinn, 2007); ისინი გადადგამენ პატარა, წარმატებულ ნაბიჯებს და მიაღწევენ „კოგნიტურ ზრდას“ (Bell, 2010). მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა იგრძნონ მხარდაჭერა თავიანთი კოლეგებისგან და ადმინისტრაციისგან. ლამმა, ჩენგმა და ჩოიმ (2010) დაასკვნეს, რომ როდესაც მასწავლებლები სკოლის მხარდაჭერას გრძნობდნენ, მათი კომპეტენციისა და ავტონომიის თვალსაზრისით, ისინი უფრო მოტივირებულნი იყვნენ, განეხორციელებინათ პროექტზე დაფუძნებული სწავლა.

პროექტზე დაფუძნებული სწავლა არ მოითხოვს უფრო მეტ რესურსებსა და დროს (Al-Balushi and Al-Aamri, 2014). დღეისათვის ტექნოლოგიების განვითარება საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მოხერხებულად დაგეგმონ, მართონ თუ გააზიარონ მათი პროექტი და მისი შედეგები ციფრულ ფორმატში (Patton, 2012). პროექტზე დაფუძნებული სწავლის დროს ტექნოლოგიის გამოყენება ეხმარება როგორც სუსტ, ისე ძლიერ მოსწავლეებს ცოდნის შეძენაში (Erstad, 2002). თუმცა, ტექნიკის ჩართვის დროს, ბავშვები საჭიროებენ წინამძღოლობას და მხარდაჭერას, რათა სწორად იქნეს გამოყენებული ტექნოლოგიები (Bell, 2010).

თურქეთის, ინდონეზიის, ბალტიისპირეთის, ამერიკისა და სხვა ქვეყნების მაგალითზე ჩატერებული კვლევები ადასტურებს, პროექტზე დაფუძნებული სწავლება როგორ ცვლის მოსწავლეთა მიღწევებს და რამდენად ეფექტურს და მოსწავლეზე ორიენტირებულს ხდის სასწავლო პროცესს.

1. პროექტზე დაფუძნებული სწავლის მიდგომის კვლევა მოსწავლეთა საბუნებიმეტყველო საგნების სწავლებისას. თურქეთი.

კვლევის მიზანი იყო, გამოეკვლიათ პროექტზე დაფუძნებული სწავლის შედეგები მეხუთე კლასში საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას და შეედარებინათ ამ მეთოდის ეფექ-

ტურობა სხვა ტრადიციულ სწავლების მეთოდებთან. კვლევა ჩატარდა 44 მეხუთე კლასელთან დაწყებით სკოლაში თურქეთის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში, 2011-12 წლის გაზაფხულის სემესტრში. მოსწავლეები რანდომული წესით ორ თანატოლ ჯგუფად დაიყვნენ (22 მოსწავლე თითოში)-საკონტროლო და საექსპერიმენტო ჯგუფი. ორივე ჯგუფთან ჩატარდა პრე ტესტირება. 4 კვირის განმავლობაში ექსპერიმენტარულ ჯგუფს პროექტზე დაფუძნებული მეთოდით ასწავლიდნენ, ხოლო საკონტროლო ჯგუფს ტრადიციული მეთოდებით. საექსპერიმენტო ჯგუფმა გაიარა სამი პროექტი მეცნიერებაში, თემა „მუსიკალური ბგერა“ (მინის ბოთლების მეშვეობით მუსიკის შექმნა; როგორ ხდება ყურსასმენების მეშვეობით ბგერის გატარება; როგორ გავხადოთ ბინა ბგერისგან იზოლირებული, ანუ როგორ შევამციროთ ბინაში ხმაურის შემოსვლა მაქსიმალურად). პოსტ-ტესტირების მიზანი იყო, გაერკვიათ პროექტზე დაფუძნებული სწავლის ეფექტურობა / არაეფექტურობა ტრადიციაულ მეთოდებთან მიმართებით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ექსპერიემტულ ჯგუფში ბავშვთა შედეგები, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათი დამოკიდებულება თვითონ საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ არ შეცვლილა.

<u>მიგნებები:</u>

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეებს, რომლებიც პროექტზე დაფუძნებული მეთოდით სწავლობენ, აკადემიური მიღწევები გაცილებით გაუუმჯობესდათ, ვიდრე მათი, ვინც განაგრძობდნენ სწავლას რუტინულად. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორი ჯგუფის მოსწავლეებს შორის მათი საბუნებისმეტყველო საგნებისადმი დამოკიდებულებაში არ გამოვლენილა. ეს კი იმის ნიშანია, რომ პროექტზე დაფუძნებული მეთოდით სწავლის შემთხვევაში ამ მცირე დროის მანძილზე (4 კვირა) არ აღინიშნება დიდი ცვლილება ამ სასწავლო კურსისადმი დამოკი-

დებულებაში, მაგრამ თვითონ სწავლება გაცილებით საინტერესო და ეფექტური ხდება პროექტების მეშვეობით.

კვლევის შედეგები გვაჩვენებს, რომ პედაგოგებმა სწავლების სტილი უნდა შეცვალონ და გამოიყენონ სასწავლო პროცესში პროექტზე დაფუძნებული სწავლის მეთოდი. მასწავლებლები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს, გამოიყენონ თავიანთი კოგნიტიური უნარები. პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებს მოუწოდებს, აიღონ მეტი პასუხისმგებლობა სწავლაზე. მისი მეშვეობით შემსწავლელები უფრო მეტად სწავლობენ მეცნიერებას, ვიდრე იმახსოვრებენ ფაქტებს. ამ პროცესებში პედაგოგი ასრულებს ძალინ დიდ როლს, რათა მოსწავლეებს დაეხმარონ ცოდნის აქტიურ კონსტრუირებაში. გარდა ამისა, პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლეები სწავლობენ საკუთარი იდეების პრეზენტირებას და ამყარებენ ურთიერთობას თანაკლასელებთან. პროექტზე მუშაობის დროს პედაგოგები ასრულებენ ერთგვარი გიდისა და ფასილიტატორის ფუნქციას და ახორციელებენ უკუკავშირს მოსწავლეებთან. როგორც ფასილიტატორი, პედაგოგი რჩევებს აძლევს მოსწავლეებს და ეხმარება მათ მიზნების დასახვასა და პროექტის შესრულების სასურველ საფეხურებად დაყოფაში. კვლევამ აჩვენა, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლების შედეგად მოსწავლეთა მოტივაციის დონე ამაღლდა. მათ გამოავლინეს ინტერესის სხვადასხვა დონე სხვადასხვა თემატიკის პროექტების მიმართ, მაგრამ, მთლიანობაში, ინტერესის დონე პროექტების მიმართ გაძლიერდა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის ეფექტური და მოტივაციის ასამაღლებელი საშუალება მოსწავლეებისათვის. ჯერ კიდევ 2004 წელს თურქეთის დაწყებითი კლასების კურიკულუმი მომზადდა კონსტრუქტივისტული თეორიის გათვალისწინებით, რაც მოიაზრებდა მოსწავლეზე ორიენტირებულ და კვლევაზე დაფუძნებულ მიდგომას საბუნებისმეტყველო საგნებში. ეს მდგომარეობა აძლიერებს მასწავლებლის პასუ-

ხისმგებლობას, რათა აქტიურად გამოიყენოს საბუნებისმეტ-ყველო საგნების სწავლების დროს პროექტები და გახადოს სწავლა უფრო სახალისო და ეფექტური, ანუ მოსწავლეზე ორიენტირებული, თანამშრომლობითი, კრიტიკული, კვლევითი, კომუნიკაციური და ინტერაქტიული. ამასთანავე, აუცილებელია მასწავლებლის, როგორც საგნობრივი ცოდნა, ასევე პედაგოგიური უნარ-ჩვევები პროექტზე დაფუძნებული სწავლის დროს. მაგრამ ეს ყველაფერი საკმარისი არაა საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების რეფორმისთვის. ჩვეულებრივ, მასწავლებლები აგრძელებენ ტრადიციული მეთოდებით სწავლებას მიუხედავად იმისა, რომ იყენებენ ახალი გამოცემის სახელმძღვანელოებსა და მასალებს. საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას, კარგად დაგეგმილი, პროექტზე დაფუძნებული მეთოდებით სწავლება, მნიშვნელოვანი კატალიზატორია, რათა გააუმჯობესოს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარები, ჩამოაყალიბოს ისინი, როგორც კარგად განათლებული, კონკურენტუნარიანი პიროვნებები, რაც შეესაბამება 21-ე საუკუნის საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების კურიკულუმს.

2. 21-ე საუკუნის მოსწავლის უნარების ანალიზი და პროექტსა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მოდელები საბუნებიმეტყველო საგნების სწავლებაში

რანდუაგუნგის ელემენტარული სკოლა. ინდონეზია

კვლევა ჩატარდა რანდუაგუნგის ელემენტარული სკოლის მე-4 კლასში, სადაც 35 მოსწავლე იყო, მეორე ჯგუფი შეარჩიეს სუკორეჯოს ელემენტარული სკოლიდან, სადაც 32 მოსწავლე ირიცხებოდა. კვლევამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი სხვაობა იყო ტრადიციულ მეთოდებსა და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას შორის. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვის მთავარი მახასიათებლებია კრეატიულობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობითი უნარები. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს მოსწავლის

უნარზე, წამოჭრას რაიმე პრობლემა. იგი მნიშვნელონად აუმჯობესებს სწავლის ხარისხს. მოსწავლეებს წინასწარ ეძლევათ მასალა; მათ კრიტიკულად უნდა შეაფასონ ტექსტი და წამოჭრან პრობლემური საკითხები. პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასთან შედარებით, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ოპტიმალური არ აღმოჩნდა ყველა უნარისათვის. მოსწავლის კრიტიკული აზროვნების უნარი ორივე მეთოდის გამოყენების შედეგად თითქმის ერთნაირია. ამ ორივე მეთოდიდან განვითარებული უნარები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაზე დაფუძნებული სწავლების შედეგად მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების დონე მკვეთრად გაუმჯობესდა.

კვლევის შედგები:

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი განსხვავებაა იმ მოსწავლეთა შედეგებში, ვინც სწავლობდა პროექტზე დაფუძნებული მეთოდით და მათთვის, ვინც სწავლობდა პრობლემაზე დაფუძნებული მეთოდით. პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს მოსწავლეთა უნარები ძირითადად ვითარდებოდა კრეატიულობის, ურთიერთ თანამშრომლობის და კომუნიკაციის წყალობით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კრიტიკული აზროვნების უნარი მოსწავლეებში გაცილებით მაღალი იყო პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას, ვიდრე პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს.

3. ინტეგრირებული პროექტზე დაფუძნებული და STEM სწავლების განვითარება და შეფასება საბუნებიმეტყველო საგნების სწავლებაში მე-5 კლასთან. ბალტიისპირეთი.

შეფასების პირველი ფაზაში ჩართული იყო 7 საგნის ექსპერტი და 30 მეხუთე კლასის მოსწავლე. მონაცემები შეგროვდა ლიკერტის შკალის გამოკითხვის მეთოდით, მასში შედიოდა ღია კითხვები და სამეცნიერო კრეატიულობის ტესტი. შეფასების მეორე ფაზა მოიცავდა პრე და პოსტ კვაზი ექსპერიმენტს.

60 მე-5 კლასელი ორი დაწყებითი კლასიდან რანდომულად გაყვეს ორ ტოლ ნაწილად — საკონტროლო და საექპერიმენტო ჯგუფებად. მოსწავლეებმა აჩვენეს მაღალი ინტერესი პროექტზე დაფუძნებულ და STEM აქტივობების მიმართ. წერილობითმა პასუხებმა აჩვენა მოდულის მიზანშეწონილობა. გამოვლინდა პროექტზე დაფუძნებული სწავლების მნიშვნელოვანი დადებითი ეფექტი. მიგნებებმა აჩვენა, რომ პროექტზე დაფუძნებული და STEM მიდგომა უზრუნველყოფს სანდო, ვალიდურ და ეფექტურ სწავლა-სწავლების მოდულს, რაც ზრდის კრეატიულობას მე-5 კლასელებში.

კრეატიულობა არის მთავარი უნარი, რომელიც საჭიროა 21-ე საუკუნის მოსწავლეებისთვის, რომლებსაც აქვთ ქვეყნის მომავლის ფორმირების პოტენციალი. კრეატიულ ინდივიდს შეუძლია მიიღოს უნიკალური და სასარგებლო გადაწყვეტილებები როგორც ციფრულ, ისე რეალურ სამყაროში. იმ ადამიანებს, ვინც ფლობენ სამეცნიერო კრეატიულობის უნარს, შესწევთ უნარი, ჩამოაყალიბონ სამეცნიერო იდეები. პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს მთავარი ცენტრია შემსწავლელი. ამ მეთოდით სწავლებისას მოსწავლეებს მეტი ავტონომია აქვთ. ამ მეტი ავტონომიით მოსწავლეები ისე ქმნიან პროექტებს, რომ მოარგონ თავიანთ საკუთარ ინტერესებს და უნარებს. შესაბამისად, ვითარდება მათი კრეატიული უნარ-ჩვევები. სტემის მიდგომა სწავლებაში ინტერდისციპლინარული მიდგომაა, რომელიც სწავლის პროცესში ინტეგრირებას უკეთებს მეცნიერებას, ტექნოლოგიებს, ინჟინერიასა და მათემატიკას. STEM მეთოდის დროს მოსწავლეები გამოწვევის წინაშე არიან, რათა დააკავშირონ სწავლა და რეალური სამყარო. ბოლო წლებში მალაიზიაში სტემ საგნების შეტანა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

დასკვნები:

კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ მე-5 კლასის მოსწავლეებში პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას ეფექტური შედეგები მოაქვს და კრეატიულობის უნარს აუმჯობე-

სებს. გონივრულად დაგეგმილი ინტერდისციპლინარული მიდგომა, რომელიც მოიაზრებს როგორც პროექტით სწავლებას, ასევე STEM -ს, ხელს უწყობს მოსწავლებს უფრო გონივრულები, კრეატიულები გახდნენ და მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი პოტენციალი.

4. კრეატიული აზროვნების გაუმჯობესება პროექტზე დაფუძნებული სწავლებისას საბუნებისმეტყველო საგნებში დაწყებით კლასებში. ინდონეზიის პენდიდიკანის უნივერსიტეტი

კვლევის მიზანია, შემოწმდეს კრეატიული აზროვნების გაუმჯობესების უნარი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენებით. კვლევაში გამოყენებულია კვაზი ექსპერიმენტი. მასში მონაწილეობდა 45 მეხუთე კლასის მოსწავლე საჯარო სკოლის დაწყებით კლასში დასავლეთ ჯავაში. მოსწავლეები დაიყვნენ ორ ჯგუფად: საკონტროლო (21 მოსწავლე) და საექსპერიმენტო (24 მოსწავლე). იმ მოსწავლეებს, რომლებიც საექსპერიმენტო ჯგუფში იყვნენ, ინსტრუქციებს აძლევდნენ პროექტზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებით, ხოლო საკონტროლო ჯგუფში ტრადიციული მეთოდით განაგრძნობდნენ სწავლებას. მონაცემების გასაზომად იყენებდნენ პრე და პოსტ ტესტებს, დამოუკიდებელ ტესტებს. მონაცემთა ანალიზი ხდებოდა დამოუკიდებელი ტესტის მეშვეობით.

საბოლოო შედგებით, საექსპერიმეტო ჯგუფმა კრეატიული აზროვნების განვითარების გაცილებით მაღალი დონე აჩვენა საკონტროლო ჯგუფთან შედარებით.

კრეატიული აზროვნების განვითარებას ძალიან დიდ როლს ანიჭებს ინდონეზიის მთავრობა. მათ მიაჩნიათ, რომ 21-ე საუკუნის მოქალაქეს 4 მთავარი უნარი უნდა ჰქონდეს განვითარებული: კრეატიული და კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობითი და საკომუნიკაციო უნერ-ჩვევები. ეს 4 უნარი არის საბაზო კაპიტალი, რაც ყოველ მოსწავლეს უნდა

განუვითარდეს, რათა კონკურენტუნარიანი ახალგაზრდები იყვნენ სწრაფად მზარდ ტექნოლოგიურ სამყაროში. კრეატიული უნარის განვითარება მოსწავლეებს უვითარებთ პრობლემის გადაჭრის უნარს თავიანთი ცოდნის გამოყენებით. კრეატიული აზროვნება სამომავლოდ რთული და კომპლექსური პრობლემების მოსაგვარებლად ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო უნარია. სწორედ პროექტზე დაფუძნებული სწავლება არის ის მნიშვნელოვანი იარაღი, რაც მიზანმიმართულად მოქმედებს კრეატიული უნარ-ჩვევის განვითარებისათვის.

მოცემულ კვლევაში საკვლევი კითხვა მდგომარეობდა იმაში, რომ გამოვლენილიყო მნიშვნელოვანი სხვაობა კრეატიული აზროვნების განვითარებაში ტრადიციულ და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს. პრე და პოსტ კითხვარებმა გამოავლინა მოსწავლეთა კრეატიულობის დონე. ამ ტესტების მეშვეობით უნდა გაზომილიყო კრეატიული აზროვნების 4 ინდიკატორი: თავისუფალი/გამართული საუბარი, მოქნილობა, მასალის დამუშავება და შეფასება. პროეტზე დაფუძნებული სწავლებისას მთვარი თემა იყო: „წყლის ცირკულაცია“ და ამ პრობლემის ფორმულირება. მოსწავლეებს უნდა შეექმნათ წყლის ციკლის მოდელები. კვლევის მონაცემები დამუშავდა SPSS პროგრამის მეშვეობით.

დასკვნა:

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლა მხოლოდ საბუნებისმეტყველო ცნებების გააზრება და დაუფლება არაა, არამედ ესაა გზა, თუ როგორ შეიძლება საბუნებისმეტყველო მეცნიერებიდან ახალი ცოდნისა და გამოცდილებების მიღება. სწავლება უნდა მიმდინარეობდეს კონსტრუქტივისტული მიდგომის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების პოტენციალის ამაღლებას, კრეატიული აზროვნების განვითარებას. პროექტზე დაფუძნებული სწავლება კი საუკეთესო ინოვაციური მოდელია კრეატიული აზროვნების ოთხი აუცილებელი უნარის გასავითარებლად თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში.

5. პროექტზე დაფუძნებული და სოციალურ-ემოციური სწავლება დაწყებით საფეხურზე: პოტენციური შესაძლებლობები მოსწავლის თვითშეფასებისა და სოცილური უნარების განვითარებისათვის. მისურის სახელმწიფო უნივერსიტეტი.აშშ.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული პრაქტიკაა, რომელიც მოითხოვს მოსწავლის ჩართულობას, პრობლემის გადაჭრაზე სწავლის შესაძლებლობებს და ინტერდისციპლინარულ კურიკულუმს. აღნიშნული მოდელი ეხმარება შემსწავლელებს აკადემიური და სოციალური უნარების განვითარებაში რეალურ, ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით. ყველასათვის აუცილებელია გაიგონ, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება მნიშვნელოვანი და შედეგიანია არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას, არამედ წიგნიერების, მათემატიკის, სოციალური მეცნიერებებისათვის და სოციალურ — ემოციური უნარების განვითარებისათვის. სოციალურ-ემოციური უნარები ეხმარება მოსწავლეს, შეიცნოს საკუთარი თავი და ჩამოყალიბდეს ემპათიურ მოქალაქედ. კვლევაში განხილულია, თუ როგორ უნდა შეიქმნას შესაბამისი გარემო პროექტზე დაფუძნებული სწავლების გამოყენებით, რათა მოსწავლის სოციალურ-ემოციური უნარები განვითარდეს.

აღნიშნული კვლევის მიზანი იყო, შეესწავლათ, თუ რა გავლენას მოახდენდა პროექტზე დაფუძნებული სწავლა სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე. ნაშრომის ავტორმა ლიტერატურის მიმოხილვისას აღმოაჩინა, რომ ამ საკითხის ირგვლივ არსებული კვლევები ძალიან იშვიათი იყო. განსაკუთრებით ის, თუ რა გავლენა ჰქონდა პროექტზე დაფუძნებული მეთოდის გამოყენებას, ან უფრო ზუსტად, როდესაც ხდება ინტეგრირებულად გამოყენება პროექტზე დაფუძნებული სწავლებისა და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარება, რა შედეგს აღწევს მოსწავლე.

კვლევა ემსახურებოდა თავდაჯერებულობისა და სოციალური ცნობიერების ამაღლებას. აგრეთვე, არსებული

ლიტერატურის გამდიდრებას ამ მიმართულებით და თანამედროვე სწავლებაში პროექტზე დაფუძნებული სწავლების, როგორც ეფექტური პრაქტიკის გამოკვეთას. კვლევის დასაწყისში ძირითადად გამოვლინდა 2 საკვლევი საკითხი:

1. როგორაა შესაძლებელი პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს გამოყენებული სოციალურ-ემოციური სწავლება ზემოქმედებას ახდენდეს თვითშეფასებაზე?

2. როგორაა შესაძლებელი პროექტზე დაფუძნებული სწავლების დროს გამოყენებული სოციალურ-ემოციური სწავლება ზემოქმედებას ახდენდეს სოციალურ ცნობიერებაზე?

კვლევის მონაწილეები იყვნენ მესამე კლასის მოსწავლეები. მათ ერთი და იგივე მასწავლებელი ასწავლიდათ კვლევის განმავლობაში. კვლევის ხანგრძლივობა იყო 1 აკადემიური წელი. პროექტზე დაფუძნებული სწავლება — ესაა მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდი, რომელიც თავის თავში მოიაზრებს სასწავლი მასალის არა მარტო შერჩევას, არამედ როგორ და რატომ სწავლას. იგი შემსწავლელს დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს და უბიძგებს მეტი მოქმედებისაკენ. აღნიშნული მეთოდი მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ-ემოციური განვითარების თვალსაზრისით, მოსწავლეს უვითარდება შემდეგი მნიშვნელოვანი 5 კომპეტენცია:

1) თავდაჯერებულობა

2) მენეჯმენტის უნარი

3) სოციალური ცნობიერების ამაღლება

4) პასუხისმგებლობით სავსე გადაწყვეტილების მიღების უნარი

5) ურთიერთობის უნარები.

დასკვნის სახით ნაშრომის ავტორი ამბობს, რომ ყველა მოსწავლე იმსახურებს მოსწავლეზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს. საგანმანათლებლო სივრცეში ყველა ბავშვმა უნდა აღმოაჩინოს თავისი თავი. როგორც ბეინესი აღნიშნავს (Baines, A. M. (2021). სოციალურ-ემოციური გან-

ვითარება განათლების განუყოფელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა იყოს. კვლევის შედეგების მიხედვით, პროექტზე დაფუძნებული სწავლება დიდ შესაძლებლობებს აძლევს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეს, განუვითარდეს სოციალურ-ემოციური უნარები. ამ მეთოდის მეშვეობით ვითარდება კოლაბორაცია, კრიტიკული აზროვნება და უმჯობესდება მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები.

როდესაც სასწავლო პროცესში ვიყენებთ პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, ამით ჩვენ დიდ ინვესტიციას ვდებთ არა მხოლოდ მოსწავლეებში, არამედ სრულიად საზოგადოებაში.

6. პროექტზე დაფუძნებული სწავლება დაწყებით სკოლაში: მოსწავლეთა სწავლის შედეგები და დამოკიდებულები. საბერძნეთი

კვლევის ფოკუსია პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი დაწყებითი კლასის მოსწავლეებში. აქ განხილულია მოსწავლეთა შინაარსობრივი ცონდა და მათი დამოკიდებულებები თვითეფექტურობაზე, ჯგუფურ მუშაობაზე, დავალების რაგვარობაზე, სწავლების მეთოდებზე და სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის თანაკლასელებზე. პროექტი განხორციელდა კურიკულუმის ფარგლებში და მისი სახელწოდება იყო „ზღვის ბინადარნი“. კვლევის მონაწილეები იყვნენ დაწყებითი კლასის 70 მოსწავლე (29 ვაჟი, 41 გოგონა). მოსწავლეები იყვნენ მრავალეთნიკური. 21 მოსწავლე იყო განსხვავებული ეთნიკური და კულტურული წარმომავლობის. მათი ასაკი იყო 9-10 წელი. მოსწავლეებს მანამდე პროექტზე დაფუძნებული მეთოდით არ უსწავლიათ. მოსწავლეთა კლასების შერჩევა 2 კრიტერიუმით მოხდა: ა) კლასის მასწავლებლებს, როგორც მოხალისეებს, სურდათ ამ მეთოდის დანერგვა საგანმანათლებლო პროგრამაში; ბ) მასწავლებლებს, რომლებსაც ჰქონდათ ამ მეთოდის გამოყენების მსგავსი გამოცდილება.

კვლევის მეთოდი მდგომარეობდა კვაზი ექსპერიმეტში. კვლევის შედეგებმა გამოკვეთა, რომ მოსწავლეები იღებენ დიდ სარგებელს პროექტზე დაფუძნებული სწავლის დროს, იღებენ შინაარსობრივ ცოდნას და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს ეცნობიან. პროექტის შემდეგ მოსწავლეთა მოტივაციის დონე გაუმჯობესდა ისევე, როგორც მათი დამოკიდებულებები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის თანატოლთა მიმართ. კვლევის მთავარი ფოკუსია პროექტზე დაფუძნებული სწავლების შედეგის კვლევა მოსწავლეთა თანამშრომლობით ქცევაზე, მოტივაციაზე, სწავლების მოდულებზე, მოსწავლეთა ურთიერთ დამოკიდებულებებზე და მათ დამოკიდებულებაზე თანატოლთა მიმართ. კვლევის თანახმად, პროექტზე დაფუძნებული მეთოდი „სწავლა კეთებით“ მიდგომის პარალელურია.

პროექტზე დაფუძნებული მეთოდის მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეები ხდებიან გაცილებით კომუნიკაბელურნი, კრეატიულები და უვითარდებათ პრაქტიკული აზროვნება, რამეთუ ისინი ჩართულნი არიან აქტიურ ძიებასა და გადაწყვეტილების მიღებაში. მიღებული ცოდნა კი დამოკიდებულია გამოცდილებაზე ავთენტურ, რეალურ სიტუაციაში. პროექტზე დაფუძნებული სწავლება აკავშირებს მიღებულ ცოდნასა და წარსულ გამოცდილებას, აძლიერებს მოტივაციას, რამეთუ მოსწავლეები თვითონ არიან პასუხისმგებელნი საკუთარ სწავლაზე. გარდა ამისა, პროექტზე დაფუძნებულმა მეთოდმა გამოავლინა, რომ იგი საუკეთესო საშუალებაა, მოერგოს ყველა სტილის შემსწავლელს და „მრავალმხრივ ინტელექტს“, ვიდრე ტრადიციული მეთოდი.

პროექტის მთავარი თემა დაწყებით კლასებში შეეხებოდა ზღვის ცხოველებს. რაოდენობრივმა და ხარისხობრივმა მონაცემებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებმა გაიღრმავს ცოდნა, დაინახეს ჯგუფური მუშაობისა და ექსპერიმენტული სწავლების სარგებელი. თანამშრომლობითმა სწავლებამ მოსწავლეებს შეუქმნა კომფორტული და მხარდაჭერით სავსე სასწავლო გარემო, ერთმანეთის მიმართ შეუქმნა პოზიტიური ურთიერთ

დამოკიდებულება. მოსწავლეებმა აღიარეს, რომ პროექტზე დაფუძნებულმა სწავლებამ გაზარდა მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში. კვლევის შედეგებმა დაადასტურა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია აღნიშნული მეთოდის ინტეგრირება ყოველდღიურ სწავლებაში. ამ მეთოდით საუკეთესოდ სწავლობენ მოსწავლეები ერთმანეთის დახმარებას, მიუხედავდ რასისა და ეთნუკური განსხვავებისა.

მაშასადამე, უცხოური კვლევების შედეგების მიმოხილვამ ნათლად დაგვანახვა, რომ პროექტზე დაფუძნებული სწავლება ნებისმიერი საგნის სწავლებისას ქმნის საინტერესო და შემეცნებით სასწავლო გარემოს, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეებს უვითარდებათ სხვადასხვა უნარი — კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრის უნარი, სოციალიზაცია და სხვა. პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი მოიაზრებს კეთებით სწავლას, რაც აქტიურად რთავს შემსწავლელებს საგაკვეთილო პოცესში. აღნიშნული მეთოდის გამოყენება სწავლებაში საინტერესოა, სახალისოა და ავითარებს მოსწავლეებში შემოქმედებითობას, რაც მომავალი წარმატებული ცხოვრები საწინდარია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. *Al-Balushi, S. M., & Al-Aamri, S. S. (2014). The effect of environmental science projects on students' environmental knowledge and science attitudes. International Research in Geographical & Environmental Education, 23(3), 213-227.*
2. *Baines, A. M. 2021. Why social and emotional learning is essential to project-based learning.*
3. *Bell, S. (2010). Project-based learning for the 21st century: skills for the future. The Clearing House: A Journal of Educational Strategies, Issues and Ideas, 83(2), 39-43.*
4. *Blumenfeld, P., Fishman, B.J., Krajcik, J., Marx, R.W. & Soloway, E. (2000). Creating usable innovations in systemic reform: scaling up technology-embedded project-based science in urban schools.*

Educational Psychologist, 35(3), 149-164.

5. *Blumenfeld, P.C., Soloway, E., Marx, R.W, Krajcik, J.S., Guzdial, M. and Palincsar, A. (1991). Motivating project-based learning: sustaining the doing, supporting the learning, Educational Psychologist 26, 369–398.*
6. *Cintang, N., Setyowati, D. L., Handayani, S. S. D. (2018). The Obstacles and Strategy of Project Based Learning — Implementation in Elementary School. Journal of Education and Learning, Vol.12, No.1, February 2018, ꝏ. 7-15. ISSN: 2089-9823, DOI: 10.11591/edulearn.v12i1.7045*
7. *Cocco, S. (2006). Student leadership development: the contribution of project-based learning. Unpublished Master's thesis. Royal Roads University, Victoria, BC.*
8. *Edelson, D. C., Gordin, D. N., & Pea, R. D. (1999). Addressing the challenges of inquiry-based learning through technology and curriculum design. Journal of the Learning Sciences, 8(3-4), 391–450. https://doi.org/10.1207/s15327809jls0803&4_3*
9. *Erstad, O. (2002). Norwegian students using digital artifacts in project-based learning. Journal of Computer Assisted Learning, 18(4), 427-437.*
10. *Gillies, R.M. & Boyle, M. (2010). Teachers' reflections on cooperative learning: issues of implementation. Teaching Education, ꝏ. 933–940*
11. *Halvorsen, A.L., Duke, N.K., Brugar, K., Berka, M. & Brown, J. (2012). Narrowing the achievement gap in second-grade social studies and content area literacy: the promise of a project-based approach. Working paper 26, The Education Policy Center: Michigan State University.*
12. *Halimah, L. Marwati, I. 2020. Fostering Students&№39; Creativity through Lapbooking: A Case Study in an Indonesian Primary School Context. Universal Journal of Educational Research 8(7): 2969-2979,DOI: 10.13189/ujer.2020.080725.*

13. *Helle, L., Tynjälä, P. & Olkinuora, E. (2006). Project-based learning in post-secondary education – theory, practice and rubber sling shots. Higher Education, 51, 287-314.*
14. *Hmelo-Silver, C.E., Duncan, R.G. & Chinn, C.A. (2007). Scaffolding and achievement in problem-based and inquiry learning: a response to Kirschner, Sweller and Clark (2006). Educational Psychologist, 42(2), 99-107.*
15. *Holubova, R. (2008). Effective teaching methods – project-based learning in physics. US-China Education Review, 12(5), 27-35.*
16. *Kaldi, S., Filippatou, D., & Govaris, C. (2011). Project-based learning in primary schools: effects on pupils' learning and attitudes. Education 3-13, 39(1), 35-47.*
17. *Kaldi,S. 2011. Project-based learning in primary schools: effects on pupils&№39; learning and attitudes. Online Journal. learning in primary schools: 39:1, 35-47, DOI:10.1080/03004270903179538.*
18. *Karaçalli, S. & Korur, F. (2014). The effects of project-based learning on students' academic achievement, attitude, and retention of knowledge: the subject of „electricity in our lives". School Science and Mathematics, 114(5), 224-235.*
19. *Kilby,K.E.2022. Project-Based Learning and Social-Emotional Learning in the Elementary Classroom: A Qualitative Study on Potential Opportunities for Student Self-Awareness and Social Awareness.Missouri State University.*
20. *Krajcik, J. S., Blumenfeld, P. C., Marx, R. W., Bass, K. M., Fredericks, J., & Soloway, E. (1998). Inquiry in project-based science classrooms: Initial attempts by middle school students. The Journal of the Learning Sciences, 7, 313 – 350*
21. *ÇAKICI, Y.,TÜRKMEN, N. 2013. An Investigation of the Effect of Project-Based Learning*
22. *Approach on Children's Achievement and Attitude in Science.Trakya University, Faculty*
23. *ofEducation, Edirne-Turkey. The Online Journal of Science and*

Technology- Volume 3, Issue

24. *2.Sipahi Primary School, Edirne-Turkey.*
25. *Lam, S.-F., Cheng, R. W.-y., & Choy, H. C. (2010). School support and teacher motivation to implement project-based learning. Learning and Instruction, 20(6), 487-497.*
26. *Lucas Education Research, 1-14.*
27. *Mergendoller, J.R. & Thomas, J.W. (2005). Managing project based learning: principles from the field. Buck Institute for Education: California. მოძიებულია 27.01.2024-ში საიტიდან: https://dr-hatfield.com/science_rules/articles/Managing%20Project%20Based%20Learning.pdf*
28. *Patton, M. (2012). Work that matters: the teacher's guide to project-based learning. London: Paul Hamlyn Foundation.*
29. *PAVKOV-HRVOJEVIĆ, M. 2016. Fostering Primary School Students Metacognitive Using Project-Based Learning. The Eurasia Proceedings of Educational & Social Sciences (EPESS). Volume 4.*
30. *Thomas, J. W. (2000). A review of research on project based learning. მოძიებულია 27. 01 2024 საიტიდან: http://www.bobpearlman.org/BestPractices/PBL_Research.pdf*
31. *Rochmawati, A. 2020. Analysis of 21st Century Skills of Student on Implementation Project Based_Learning and Problem Posing Models in Science Learning.Journal of Primary Education Elementary School Randuagung, Rembang, Jawa Tengah, Indonesia, Universitas Negeri Semarang, Indonesia.*
32. *Siew, N. 2018. Development and evaluation of an integrated project based and STEM teaching*
33. *and learning module on enhancing scientific creativity among fifth graders. Journal of Baltic*
34. *Science Education. ISSN 1648-3898 /ISSN 2538-7138*

თავი 3. სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების გამოცდილების კვლევა (რაოდენობრივი)

სანამ უშუალოდ კვლევის შედეგებს განვიხილავთ, ზოგადი შესავლისათვის აღვნიშნავთ, რომ კვლევის დიზაინის ჩამოყალიბებისას მივმართეთ კვლევის ტრიანგულაციის პრინციპს, რაც მოიაზრებდა შემდეგს: კვლევის სანდო და ვალიდური შედეგების მისაღებად დავგეგმეთ ერთდროულად თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ჩატარება.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები მოგვცემდა ერთგვარ სურათს და გაზიარების შესაძლებლობას, საქართველოს კახეთის რეგიონის მასწავლებელთა სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ, ხოლო თვისებრივი კვლევა უფრო ზუსტ ინფორმაციას მოგვაწვდიდა კონკრეტული მაგალითების საფუძველზე პროექტების განხორციელების პრაქტიკის, მისი ეფექტურობის, მასწავლებლისა და მოსწავლეების წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ.

ვვარაუდობდით, რომ ორივე ტიპის კვლევის შედეგების შეჯერებით მიღებული ინფორმაცია ჩვენთვის იქნებოდა უფრო მასშტაბური და, ამავე დროს, კონკრეტული მაგალითებითა და საინტერესო რეკომენდაციებით შევსებული. ჩვენს მოლოდინს აძლიერებდა ისიც, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, გავცნობოდით პედაგოგთა მიერ ჩატარებული და გაფორმებული პროექტმეთოდის ნიმუშებს და, ამავდროულად, გაგვეანალიზებინა მოსწავლეთა მიერ რეალურად შეძენილი უნარ-ჩვევები, რომელიც თეორიულად თან ახლავს მასწავლებლის მიერ პროექტმეთოდის გამოყენებას.

ამგვარად დაგეგმილი კვლევების ფარგლებში, პირველად შემოგთავაზებთ რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, რომელიც ასახავს კახეთის რეგიონის საჯარო სკოლის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის პედაგოგების (1-6

კლასები) გამოკითხვას.

კვლევის მიზანი: სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით კახეთის რეგიონის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა გამოცდილების პრაქტიკის კვლევა.

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის მეთოდოლოგია დაეფუძნა სკოლების სისტემური შერჩევის მეთოდს, ხოლო უშუალოდ სკოლებში პედაგოგების გამოკითხვა — შემთხვევითი შერჩევის პრინციპს, ანუ მათ სურვილზე იყო დამოკიდებული კვლევაში მონაწილეობის მიღება. მოხდა მათი გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. კითხვარი მოიცავდა დახურულ და ღია შეკითხვებს.

კვლევის კითხვარი შედგენილ იქნა რაოდენობრივი კვლევის დიზაინის გათვალისწინებით; ის გამოცდილებების გაზიარებას და მის შესწავლას გულისხმობდა, რაც კვლევის მიზნის მიღწევაში დაგვეხმარა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, კითხვარები პედაგოგებთან დაიგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

საერთო ჯამში საკვლევი გენერალური ერთობლიობა გახლდათ 3586 პედაგოგი, რომლებიც კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტის 184 სკოლაში ასწავლიან. მათგან გამოიკითხა 451 რესპონდენტი. კვლევის ცდომილება შეადგენდა ±5%.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო რესპოდენტთა ასაკი, რომელიც უმეტესად პროფესიულ სტაჟთან იყო მიბმული და ერთგვარ წარმოდგენას შეგვიქმნიდა მათ პროფესიულ გამოცდილებაზე.

ის ასე გადანაწილდა: გამოკითხულ პედაგოგთა 30% არის 50-59 წლის, 28% — 40-49 წლის, 26% — 60 წლის და მეტის, 11% — 30-39 წლის, ხოლო 4% — 24-29 წლის.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ყველა რაიონის რესურსცენტრის ხელმძღვანელები. შესაბამისად, კვლევაში მონაწილეობა მიიღეს გურჯაანის, ყვარლის, თელავის, სიღნაღის, ახმეტის,

საგარეჯოს, ლაგოდეხისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებმა.

კვლევაში მონაწილეობა იყო კონფიდენციალური და მიღებული შედეგები გამოყენებულია მხოლოდ ზოგადი სტატისტიკური მონაცემების სახით, სადაც პიროვნული იდენტიფიცირება არის შეუძლებელი.

ძირითადი მიგნებები:

ძირითადი მიგნებები არის ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც გამოიკვეთა აღნიშნული კვლევის შედეგად:

- პროექტმეთოდით სწავლება ზრდის მოსწავლეების მოტივაციას და ჩართულობას პროცესებში;
- პროექტმეთოდის გამოყენებისას მოსწავლეები სწავლობენ ერთმანეთზე ზრუნვას; ისინი გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი და დამოუკიდებელნი;
- გარემოს დაცვა/ნარჩენების გადამუშავება არის ყველაზე აქტუალური თემა იმ თემებს შორის, რაზედაც ახორციელებენ რესპოდენტები პროექტებს.
- პროექტის განხორციელების შედეგად მიღებულ პროდუქტებს შორის 41% ასახელებს პრეზენტაციას.
- პროექტმეთოდის განხორციელების პროცესისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა და ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორც პედაგოგების, ისე მოსწავლეების მხრიდან აღმოჩნდა დროის დეფიციტი;
- ყველაზე თვალშისაცემი მიგნება იყო ის, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (54%) არ ახორციელებს პროექტმეთოდით/პროექტულ სწავლებას;
- პროექტის განხორციელების მიზნად ახალი ცოდნის შეძენას მხოლოდ 4% ასახელებს.

რაოდენობრივი კვლევის ანალიზი

რადგანაც რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა ელექტრონულ მისამართებზე კითხვარის ლინკის დაგზავნით, შესაბამისად, გამოკითხვა იყო თვითადმინისტრირებადი და რესპონდენტს იგი უნდა შეევსო დამოუკიდებლად,

შესვენებების გარეშე, რისთვისაც 12-15 წთ იყო საჭირო. რაოდენობრივი კვლევის ცდომილება შეადგენს ±5%. წინამდებარე კვლევა არის გამოყენებითი ხასიათის (ექვემდებარება გაზიარებას) და მისი გამოყენება შესაძლებელია დარგის ექსპერტებისთვის, თემით დაინტერესებული მკვლევრებისთვის და საჯარო-კერძო უწყებებისთვის.

გამოკითხულ რესპონდენტთა რაოდენობა არის 451 (N=451) სკოლის პედაგოგი, საიდანაც 97% (N= 437) არის ქალი, ხოლო 3% (N=14) მამაკაცი. ასაკის მიხედვით გამოკითხულთა 30% არის 50-59 წლის, 28% 40-49 წლის, 26% არის 60 წლის და მეტის, 11% 30-39 წლის და 4% 24-29 წლის.

დიაგრამა №1 — რესპონდენტების გენდერული განაწილება



ასაკის მიხედვით გამოკითხულთა 30% არის 50-59 წლის, 28% 40-49 წლის, 26% — 60 წლის და მეტის, 11% — 30-39 წლის და 4% — 24-29 წლის.

დიაგრამა №2 — რესპონდენტების ასაკობრივი განაწილება



რაც შეეხება მუნიციპალიტეტებს, კვლევაში მონაწილეობა მიიღო კახეთის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტმა, კერძოდ, გამოკითხულთა 32% — გურჯაანის მუნიციპალიტეტი (N=146), 23% — ყვარელის მუნიციპალიტეტი (N=105), თელავის მუნიციპალიტეტი- 15% (N=69), 9% — სიღნაღის მუნიციპალიტეტი (N=39), 8% — ახმეტის მუნიციპალიტეტი (N=36), 7% — საგარეჯოს მუნიციპალიტეტი (N=3), 3% — ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი (N=15), 2% — დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი (N=9).

დიაგრამა №3 — კვლევაში მონაწილე მუნიციპალიტეტების პროცენტული განაწილება



რაც შეეხება ბოლომდე დასრულებულ გამოკითხვებს, ამ შემთხვევაში დიაგრამა მკვეთრად განსხვავდება. ბოლომდე დასრულებული გამოკითხვის პროცენტული განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგრამა №4 — ინტერვიუს ბოლომდე დასრულების მაჩვენებელი მუნიციპალიტეტების მიხედვით

გურჯაანის მუნიციპალიტეტის პედაგოგების 41%, ყვარელის მუნიციპალიტეტის 14%, თელავის — 13%, სიღნაღი — 8%, ასევე 8% იყო საგარეჯო, ახმეტა — 7%, ლაგოდეხი — 6%, ხოლო დედოფლისწყარო 1%. აღნიშნული მაჩვენებელი არის საბოლოოდ კვლევაში ბოლომდე შევსებული კითხვარის პროცენტული წილი მუნიციპალიტეტების მიხედვით.

კვლევაში მონაწილეთა 18% იყო ქალაქის სკოლიდან (N=81), ხოლო 82% — სოფლის სკოლიდან (N=370).

დიაგრამა №5 — კვლევაში მონაწილე სკოლების განაწილება ქალაქი-სოფლის ჭრილში.



როგორც გამოკითხვამ აჩვენა, გამოკითხულ პედაგოგთა 46% იყენებს პროექტმეთოდს სწავლებაში (N=206), ხოლო 54% არ იყენებსმას (N=245). შესაბამისად, კვლევის ამ ეტაპზე, ის პედაგოგები, რომლებიც არ იყენებენ, ასრულებდნენ კვლევაში მონაწილეობას, ხოლო მათ, ვინც გვითხრეს, რომ იყენებენ, გაგრძელდა დამატებით გამოკითხვის პროცესი.

დიაგრამა №6 — პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ



მასწავლებლებს ვთხოვეთ დაეფიქსირებინათ, რა საგნებს ასწავლიდნენ სკოლებში, სადაც 50% მინიმუმ 1 საგანს ასწავლიდა, ხოლო დარჩენილი 50% — რამდენიმე საგანს. პედაგოგთა 24% ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას, 21% — ბუნებისმეტყველებას, 9% — სპორტს, 8% — მათემატიკას, 8% — მე და საზოგადოებას.

აღსანიშნავია, რომ ასაკის მიხედვით კორელაცია არ ფიქსირდება, არც ქალაქის და სოფლის სკოლების მიხედვით გვაქვს რაიმე განსხვავება პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა ზოგადი სტატისტიკის შედარებისას გამოიკვეთა, რომ სოფლის სკოლებიდან უფრო მეტმა შეავსო კითხვარი, ვიდრე ქალაქის სკოლებიდან, რაც მათ მაღალ პედაგოგიურ პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს, თუმცა პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით, მნიშვნე-

ლოვანი განსხვავებები არ იკვეთება არც სოფელი-ქალაქის მიხედვით და არც ასაკობრივი სეგმენტის მიხედვით.

ცხრილი №1 — პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით ჯვარედინი შედარება მასწავლებელთა ასაკისა და სკოლის მდებარეობის მიხედვით.

		ახორციელებთ თუ არა დაწყებით კლასებში პროექტმეთოდით სწავლებას?			
		კი		**არა**	
		რაოდენობა	**%**	**რაოდენობა**	**%**
ასაკი	**24-29**	4	23.5%	13	76%
	30-39	25	49.0%	26	51%
	40-49	58	45.3%	70	55%
	50-59	66	48.2%	71	52%
	60 +	53	44.9%	65	55%
სკოლა	**ქალაქი**	38	46.9%	43	53%
	სოფელი	168	45.4%	202	55%

გამოკითხულ პედაგოგთა 49% 1-4 კლასის მოსწავლეებს ასწავლის, 41% — 5-6 კლასისას, ხოლო 10% ასწავლის 1-6 კლასის მოსწავლეებს.

საინტერესო იყო პროექტმეთოდით სწავლებას რომელ სფეხურზე რა საგნებში იყენებენ პედაგოგები, შესაბამისად ვკითხეთ, თუ რომელ საგნებში იყენებენ პროექტმეთოდით სწავლებას 1-4 კლასებში, სადაც გამოკითხულთა 34%-მა დაფიქსირა — ქართული ენა და ლიტერატურა, 27% — ბუნებისმეტყველება, 13% მე და საზოგადოება, 9% — ინგლისური, 7% — ხატვა, 4-4% მუსიკა და სპორტი, 3% — კომპიუტერული ტექნოლოგიები.

დიაგრამა №7 — პედაგოგების მიერ განხორციელებული პროექტმეთოდით სწავლება საგნების მიხედვით 1-4 კლასი.



რაც შეეხება 5-6 კლასებს, აქ ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი საგნები: 21% — ბუნებისმეტყველება, 19% ქართული ენა და ლიტერატურა, 15% — ინგლისური, 9-9% — ხატვა და ჩვენი საქართველო, 7% — მათემატიკა, 7% — მუსიკა, 5% — მეორე უცხო ენა, 4% — კომპიუტერული ტექნოლოგიები, 3% — სპორტი.

დიაგრამა №8 — პედაგოგების მიერ განხორციელებული პროექტმეთოდით სწავლება საგნების მიხედვით 5-6 კლასი.



ინტერვიუს მეორე ბლოკში პედაგოგებს უშუალოდ ვეკითხებოდით, თუ რა სიხშირით იყენებდნენ ისინი ერთ სასწავლო სემესტრში პროექტმეთოდს, სადაც გამოკითხულთა 58% ერთხელ იყენებს, 33% — ორჯერ, ხოლო მხოლოდ 9% — სამჯერ ან მეტჯერ.

პროექტმეთოდის გამოყენებას გააჩნია თავისი მიზანი და ამოცანები, შესაბამისად, თუ რა მიზნისთვის იყენებდნენ პედაგოგები, ვთხოვდით დაეფიქსირებინათ კითხვარში. აღნიშნულ შეკითხვაზე პედაგოგებს რამდენიმე პასუხის დაფიქსირება შეეძლოთ.

დიაგრამა №9 — პროექტმეთოდის გამოყენების მიზანი



აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 29% ნასწავლის პრაქტიკაში გადასატანად იყენებს, 20% — უნარების განსავითარებლად, ასევე 20% იყენებს დამატებითი აქტივობებისთვის და ცოდნის განსამტკიცებლად, 8-8% შემაჯამებელი შეფასებისთვის და ნასწავლის გამეორებისთვის, 6% — სახალისო აქტივობებისთვის, 4% — ახალი ცოდნის შესაძენად, 3% — შეფასებისთვის, 2% — კლასგარეშე ღონისძიებისთვის.

რაც შეეხება შეკითხვას, აქვთ თუ არა საგანთაშორის ინტეგრირებული პროექტები განხორციელებული, აქ გამოკითხულთა 52% დადებითად გვპასუხობს, ხოლო 48% -უარყოფითად. სინტერესოა უშუალოდ პედაგოგის როლი და ჩართულობაც პროექტმეთოდის გამოყენებისას, სადაც სრული პასუხის დაფიქსირება შეეძლოთ პედაგოგებს, რადგან იყო ღია შეკითხვა.

გამოკითხულ პედაგოგთა 46% ამბობს, რომ მისი როლია ფასილიტატორობა პროექტის განმავლობაში, 17% თავს დამხმარედ მიიჩნევს, 16% — დამგეგმავი/ხელმძღვანელი/ მიმთითებელია, 11% — დამკვირვებელი, ხოლო 9% -მა სხვა, არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა, რაშიც ძირითადად მოიაზრებოდა მკვეთრად განსხვავებული პასუხები, ან ისეთი, რომელთა სიხშირული შემთხვევა 1-ს არ აღემატებოდა.

დიაგრამა №10 — პედაგოგის როლი პროექტმეთოდით გამოყენებისას სწავლებაში



გამოკითხვის მესამე ბლოკი პროექტმეთოდით სწავლების შეფასებას და შედეგებს შეეხებოდა. კერძოდ, პედაგოგებს ვკითხეთ, იყენებს თუ არა პროექტმეთოდით სწავლების შუალედურ და/ან საბოლოო შეფასებას. გამოკითხულთა

59% იყენებს როგორც შუალედურ, ისე საბოლოო შეფასების ფორმებს, 32% — მხოლოდ საბოლოოს, 7% — მხოლოდ შუალედურს, ხოლო 2% არცერთი შეფასების ფორმას არ იყენებს.

დიაგრამა №11 — პროექტმეთოდის შედეგების შეფასების ფორმა



ინტერვიუს მესამე ბლოკის ბოლო შეკითხვა შეეხებოდა თემატიკებს, უშუალოდ რა თემებზე მუშაობდნენ პედაგოგები. აღნიშნული შეკითხვაც იყო ღია და რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხის დასახელება.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ პედაგოგები პროექტმეთოდს იყენებენ მრავალფეროვანი საკითხების დამუშავებისას, როგორებიცაა:

17% — გარემოს დაცვისა და ნარჩენების გადამუშავება

12% — ჯანსაღი კვება და ცხოვრების პოპულარიზაცია

10% — ადგილობრივ/ეროვნულ/საერთაშორისო ღირსშესანიშნაობებზე ინფორმაციების მოძიება

8% — წერისა და კითხვის უნარების განვითარება

7% — მცენარეებისა და სათესლე მასალების ვიზუალური დაკვირვება

6% — სხვადასხვა სოციალური თემატიკა

5% — მათემატიკური და გეომეტრიული პროექტები

4% — წელიწადის დროები

4% — ბუკლეტების/გაზეთის/ ილუსტრაციის და წიგნის მომზადება

3% — ბულინგის წინააღმდეგ

3% — ისტორიულ თემატიკაზე რელიგიების და ერების შესახებ

2-2% — შეეხებოდა შინაურ ცხოველებსა და მათ უფლებებს, ადამიანის უფლებებს, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და პროგრამირებას

1-1% — არის კოსმოსისა და პლანეტების შესახებ და მავნე ჩვევებზე

1%-ზე ნაკლები მაჩვენებელი ჰქონდა საგზაო ნიშნების და მოგზაურობის თემატიკებს. აღსანიშნავია, რომ სხვა პასუხი დაგვისახელა გამოკითხულთა 9%, სადაც ძირითადად არაკლასიფიცირებადი პასუხები შედიოდა და ვერ მოხერხდა მათი დაჯგუფება სხვადასხვა კოდთან, ასევე 1%-მა უარი გვითხრა პასუხის გაცემაზე.

დიაგრამა №12 – პროექტმეთოდის განხორციელების თემატიკა



გამოკითხვის ბოლო, მეოთხე ბლოკი პროექტმეთოდის გამოყენების შედეგებსა და ეფექტურობას შეეხებოდა. კერძოდ, პედაგოგებს ვთხოვდით, 10 ქულიანი სკალის საშუალებით შეეფასებინათ ეფექტურობა პროექტმეთოდის გამოყენების სასწავლო პროცესში 1-დან 10-მდე, სადაც 1 ქულა ნიშნავდა ძალიან უარყოფით შეფასებას, ხოლო 10 ქულა ძალიან დადებით შეფასებას. მასწავლებლების 1%-მა შეაფასა 1 ქულით, ასევე 1% — მა- 2 ქულით, 28%-მა 5 ქულით, 3% -მა — 6 ქულით, 9%-მა — 7 ქულით, 31% -მა — 8 ქულით, 21%-მა — 9 ქულით, 28%-მა — 10 ქულით. საერთო ჯამში პედაგოგთა 92%

დადებითად აფასებს პროექტმეთოდის გამოყენებას სასწავლო პროცესში, ხოლო 8% უმნიშვნელოდ მიიჩნევს მის როლს.

საინტერესო იყო, რომელ მხარეებს რთავენ პედაგოგები პროექტმეთოდის გამოყენებისას, აღნიშნულ შეკითხვაზეც რამდენიმე პასუხის დასახელება შეეძლოთ მასწავლებლებს. შედეგად გამოკითხულთა 44% გვისახელებს მოსწავლეებს, 30% — მშობლებს, 20% — სხვა საგნის პედაგოგებს, 2% — ადგილობრივი თითმმართველობას, ასევე 2% დარგის და საგნის ექსპერტებს, 0.4-0.4% ბიზნესს და სხვა.

დიაგრამა №13 — პროექტმეთოდის განხორციელებაში ჩართული მხარეები



0.4%-მა სხვა, არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა. ლოგიკურია, რომ პროექტმეთოდის გამოყენებას სწავლებაში თავისი მდგრადი შედეგი აქვს, ეს შედეგები საკმაოდ საინტერესოა, თუმცა აღნიშნული სხვა კვლევის ჩატარებას საჭიროებს.

პედაგოგებს ვთხოვეთ, დაესახელებინათ, თუ რა შედეგი მოიტანა პროექტმეთოდის განხორციელებამ, სადაც ცალსახად, ყველაზე მეტჯერ, 41% სიხშირით, დასახელდა პრეზენტაცია, 12% — პრაქტიკული სამუშაოები, 7% — ნახატები/ილუსტრაციები, 6% — პოსტერი, 5% — ბროშურა/ბუკლეტი, 4-4% მოდელები და ესსეები, 3% წიგნები, 2% — გამოფენა და მაკეტების შექმნა, ასევე 2-2% გუნდური მუშაობა, კვლევის ჩატარება და პერფორმანსის დადგმა, 1-1%

თამაშის შექმნა, ინფორმაციების და წყაროების მოძიება, ვიდეო რგოლის მომზადება, ფილმების ყურება, 1%-იანი ბარიერს მიღმა დარჩა შეჯიბრების ჩატარება და წაკითხულის გააზრება, ასევე 3% იყო სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი, ხოლო 1%-მა უარი გვითხრა პასუხის გაცემაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შეკითხვა იყო ღია სახის და რესპონდენტები რამდენიმე პასუხს აფიქსირებდნენ.

დიაგრამა №14 — პროექტმეთოდის თვალსაჩინო შედეგები



მიღწეული შედეგების შემდგომ, პედაგოგებს ვკითხეთ იმ გამოწვევებზე, რასაც ისინი აწყდებიან პროექტმეთოდის განხორციელებისას. შესაბამისად:

23% — დროის დეფიციტი მოსწავლეების მხრიდან
16% — ნაკლები ძალისხმევა მოსწავლეებისგან
15% — დროის დეფიციტი პედაგოგების მხრიდან

10% — მოტივაციის ნაკლებობა და ინერტულობა

7-7% -შედეგების შეფასება დროში გაწელილია და შედეგების შეფასება საკმაოდ რთული

3% — არასტანდარტული/არატრადიციული სწავლის სტილის მიუღებლობა

2% — სხვა, არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა

ხოლო 18% არანაირ გამოწვევას არ აწყდება.

დიაგრამა №15 — გამოწვევები პროექტმეთოდით სწავლების პროცესში



საინტერესო იყო პედაგოგების მხრიდან პროექტმეთოდის საბოლოო ან შუალედური შეფასების ფორმა, თუ როგორ აკეთებენ შუალედური ან საბოლოო შეფასების უკუკავშირის ფორმას.

გამოკითხულთაგან:

20% — განმავითარებელ შეფასებას იყენებს

18% -აფასებს მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირის საშუალებით

14% — შუალედური მონიტორინგის საშუალებით

14% — წინასწარი გაწერილი ინდიკატორების საშუალებით აფასებს

12% — საბოლოო შედეგების საშუალებით

11% — შეფასების სქემის გამოყენებით

10% — შეფასების რუბრიკა

3% — პრე და პოსტ ტესტები

დიაგრამა №16 — პროექტმეთოდით სწავლების შეფასების ფორმები



გამოკითხვის ბოლოს, ვთხოვდით პედაგოგებს რეკომენდაციების გაზიარებას, სადაც საინტერესო რეკომენდაციები გამოიკვეთა და მოცემულია ანგარიშის ბოლოს.

შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ კვლევამ დაგვანახვა რეალურად ის გამოწვევები, რაც სასკოლო განათლებაში დგას პედაგოგების და მოსწავლეების წინაშე. პროექტმეთოდის გამოყენება სწავლებაში ჯერ კიდევ ასათვისებელია, რადგან რეგიონის ჭრილში თუ განვაზოგადებთ, პედაგოგების ნახევარი არ იყენებს პროექტმეთოდით სწავლების შესაძლებლობას, ხოლო ის ვინც იყენებს, რამდენად სწორად და მეთოდოლოგიუ-

რად გამართულს სთავაზობს მოსწავლეებს, ცალკე კვლევის საკითხია. ჩვენი ეს მოსაზრება გაამყარა პედაგოგთა მიერ ჩვენთვის გამოგზავნილი პროექტმეთოდის აღწერილობამ და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცნობამ, სადაც გხვდება ძალიან კარგი მაგალითები და გხვდება ისეთი მასალებიც, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს პედაგოგის მიერ პროექტმეთოდით სწავლების შესახებ ცოდნას, გამოცდილებას და სწავლებაში გამოყენების შესაძლებლობას.

მნიშნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ პროექტმეთოდი ახალი ცოდნის დამოუკიდებლად ათვისებისკენ არის ძირითადად მიმართული და უფრო მეტად უწყობს ხელს მოსწავლეთა მიერ დამოუკიდებელად გუნდური თუ ინდივიდუალური მუშაობის უნარების განვითარებას.

კვლევაში პროექტმეთოდის გამოყენების კომპონენტი გამოიკვეთა, თუმცა ძირითადად უნდა აღინიშნოს, რომ მისი განხორციელება პირდაპირი და ტიპური საგაკვეთილო პროცესისაგან არ განასხვავებს მას, რაც მის ნაკლებეფექტურობას და მოსწავლეთა ინერტულობას უწყობს ხელს. გამოსაკვეთია და აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სკოლებს ხშირად რესურსების დეფიციტი აქვთ, შესაბამისად, გარკვეულწილად, აღნიშნული ხელისშემშლელია ეფექტურად მუშაობისთვის.

მეორე და ასევე მნიშვნელოვან ფაქტად გამოიკვეთა სოფლის სკოლების მაღალი პასუხისმგებლობა, ჩართულიყვნენ კვლევის პროცესში, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ორჯერ მეტი იყო მათი რაოდნეობა ქალაქის სკოლებთან მიმართებით, სურათი მაინც ერთნაირი იყო, არანაირი განსხვავება პროექტმეთოდის გამოყენების სიხშირესთან არ ყოფილა; ამასთანავე, ასაკოვანი პედაგოგების წილი პროექტმეთოდის გამოყენებასთან მიმართებით, გაცილებით მაღალია შედარებით დაბალი ასაკის პედაგოგებთან, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ პედაგოგებს ესაჭიროებათ მეტი ტრენინგი და გადამზადება პროექტმეთოდის გამოყენებასთან და მის ეფექტურობის გააზრებასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ვარაუდს პედაგოგების მხრიდან გაჟღერებუ-

ლი რეკომენდაციებიც ადასტურებენ. შესაბამისად, გარკვეულ მტკიცებულებად შეიძლება იქნეს მიჩნეული ხსენებული რეკომენდაციები, თუმცა მიუხედავად მტკიცებულებისა, საჭიროა საკითხის დამატებითი კვლევა.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია, შეიქმნას პროექტული სწავლების ბანკი, ან პროექტის იდეები, მათი განხორციელების ნიმუშები ჩაიდოს მასწავლებლის მეთოდურ სახელმძღვანელოში, რაც პედაგოგებს გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობებს მისცემთ, დროს დაუზოგავთ და დაეხმარებათ რომ თავადაც სცადონ.
- პროექტმეთოდის მოსამზადებელ ეტაპზე გამოიკვეთოს მოსწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები, რისი გათვალისწინებაც მოხდება პროექტითმეთოდით სწავლების დროს.
- მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა პროექტმეთოდით სწავლებისას.
- მნიშვნელოვანია სასკოლო საჭიროებები იყოს დაკმაყოფილებული და უზრუნველყოფილი პროექტმეთოდით სწავლების განხორციელებისათვის, ასევე შესაბამისი რესურსები ჰქონდეს სკოლას პროექტმეთოდით სწავლებისათვის.
- აუცილებელია მოსწავლეების მოტივირება და ჩართულობა თემის/იდეის შერჩევისა და დაგეგმის პროცესში. ხელი უნდა შეეწყოს მოსწავლეთა გააქტიურებას, დამოუკიდებლობას, ურთიერთთანამშრომლობას პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- გასათვალისწინებელია, ჩატარდეს მეტი ტრენინგი პროექტმეთოდით სწვლებასთან დაკავშირებით, ვინაიდან პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს ინტეგრირებულ სწავლებას და მოსწავლეებს მნიშვნელოვანი პრობლემების გამოძიებისკენ უბიძგებს.
- საჭიროა, სკოლას ჰქონდეს კარგად აწყობილი კომპიუტერული და მატერიალური ბაზა უკეთესი მუშაობისათვის.

თავი 4. სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი საფეხურების მასწავლებლების გამოცდილების კვლევა (თვისებრივი)

როგორც მონოგრაფიის კვლევითი ნაწილის შესავალში აღვნიშნეთ (თავი 3), პედაგოგთა მიერ პროექტმეთოდის გამოყენების ზოგადი სურათის გამოკვეთის პარალელურად დავგეგმეთ თვისებრივი კვლევის ჩატარება. მის მიზანს წარმოადგენდა პედაგოგთა მიერ პრაქტიკაში პროექტმეთოდის გამოყენების კონკრეტული მაგალითების შესწავლა, მის განხორციელებასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი კონტექსტუალური საკითხების გამოკვეთა.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში შევადგინეთ ნახევრადსტუქტურირებული კითხვარი პედაგოგებთან ინტერვიუსათვის, ხოლო ინტერვიუს მსვლელობისას, საჭიროების შემთხვევაში, გვქონდა გამზადებული დამატებითი კითხვები ჩაღრმავებული ინტერვიუს წარმართვისათვის.

ინტერვიუერები შევარჩიეთ პედაგოგთა იმ რაოდენობიდან, რომლებმაც რაოდენობრივი კვლევისას მიუთითეს სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენების პრეცენდენტები. შერჩევა მოვახდინეთ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და მათგან ყოველ მეათე პედაგოგს ვთხოვეთ ინტერვიუზე თანხმობა. შევეცადეთ, დაგვეცვა ბალანსი ქალაქისა და სოფლის სკოლების პედაგოგებს შორის.

საბოლოოდ, ინტერვიუ ჩვენ მიერ შერჩეულ 12 პედაგოგთან შედგა ონლაინ, რომლებთანაც ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, Teems-ის პლატფორმაზე წარიმართა და თითოეულ პედაგოგთან დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა.

ინტერვიუს კითხვები, ბუნებრივია, ეხებოდა პედაგოგის მიერ გამოყენებული პროექტმეთოდის გამოყენების პრაქტიკას და კონკრეტული მაგალითების შესახებ საუბარს, ასევე თემატიკას, გამოყენებულ რესურსებს, დაგეგმვასა და

განხორციელების ეტაპებს, მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობას, პროექტმეთოდის შედეგებსა და მოსწავლეთა შეფასებას. გამოვკვეთეთ ყველა ის კითხვა, რომელიც რეალურ წარმოდგენას შეგვიქმნიდა პედაგოგის მიერ პროექტმეთოდის გამოყენების ეფექტურობაზე და, შესაბამისად, მის მიერ აქტიური სწავლების წარმართვაზე.

ინტერვიუს კონსტრუქტების დალაგებისას და ნარატიული ფორმით წარმოდგენისას, გამოიკვეთა კოდები, რომლის საფუძველზეც მოვახდინეთ გამოკვეთილი მასალის ინტერპრეტირება და მას კვლევის შედეგების სახე მივეცით. კოდები, მართლაც, მრავალფეროვანი გამოვიდა:

- პროფესიული გზა
- ხედვა/დამოკიდებულება
- პროექტების განხორციელების სიხშირე
- პროექტის თემა
- პროექტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება
- პროექტების განხორციელების ხანგრძლივობა და რესურსი
- მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა
- მოსწავლეთა ჩართულობა
- შედეგები
- პროექტის შეფასება
- გამოწვევები
- რეკომენდაციები სხვა მასწავლებლებს.

თქვენთვის, ალბათ, საინტერესო იქნება ინტერვიუერთა პასუხები ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებითა და ჩასწორებით შემოგთავაზებთ.

აქვე გთავაზობთ პედაგოგთა პასუხების ჩვენეულ ანალიზს:

N1 რესპოდენტის ნარატივი

N1 რესპოდენტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლის ქიმია — ბიოლოგიის მასწავლებელია. ის ოც წელზე მე-

ტია, რაც სკოლაში ასწავლის ბუნებას დაწყებით და ქიმიას — საბაზო საფეხურზე. მას ჩააბარებული აქვს მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდა ქიმიაში.

რესპოდენტისთვის პროექტებით სწავლება მნიშვნელოვანი იყო, ხელს უწყობდა, მოსწავლეებთან ერთად გადაეჭრა წამოჭრილი პრობლემები, რომელთა დადგენასაც გამოკითხვით და მონაცემების შეგროვებით ახდენდნენ მოსწავლეები. ყოველი პროექტის განხორციელებისას იკვლევდნენ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, ადგენდნენ გადაჭრის გზებს და სახავდნენ განსახორციელებელ ღონისძიებებს. როდესაც სკოლის შესაძლებლობებს აღემატებოდა პრობლემის გადაჭრა, დახმარებისთვის მიმართავდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას.

მე-6 კლასში ისწავლებოდა „რადიაცია და რადიაციით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები". მან მოსწავლეებთან ერთად გადაწყვიტა ამ თემაზე პროექტი გაეკეთებინათ, მეტი ინფორმაცია მოეძიებინათ, შეესწავლათ, მაგალითად, „რა მავნე ზემოქმედებას ახდენს რადიაცია ადამიანის ორგანიზმზე, ჯანმრთელობაზე". ამ თემაზე მუშაობისას დაემთხვა სკოლაში გაეროს წარმომადგენლობის სტუმრობა და დირექტორის სურვილით, პროექტის შედეგები მათთან წარმოადგინეს. რესპოდენტმა მოსწავლეებს მასალა მასწავლებლის წიგნიდან მიაწოდა და ინტერნეტშიც მოაძიებინა. თემაზე ყველამ გააერთიანა ინფორმაცია და ერთად მოამზადეს პრეზენტაცია. ზოგიერთი მოსწავლე ინდივიდუალურად წარმოადგენდა პრეზენტაციის კონკრეტულ ნაწილებს. პრეზენტაციის წარდგენის წინ, დირექტორის თანდასწრებით, სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს მომზადებული მასალა და დირექტორის ინიციატივით ამ თემის ღრმად დამუშავებაში მეათე კლასიც ჩაერთო.

პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებმა რეფლექსია განახორციელეს, კერძოდ, დაწერეს, როგორ შეასრულეს პროექტი და შეაფასეს რუბრიკების საშუალებით.

რესპოდენტმა მე-5 კლასშიც განახორციელა მზის სისტემის პლანეტებთან დაკავშირებით პროექტი. პედაგოგი ცდილობდა მარტივი თემის შერჩევას, რადგანაც ითვალისწინებდა მოსწავლეების შესაძლებლობებს. მოსწავლეებმა მოიძიეს საყმაწვილო ენციკლოპედიიდან მასალა და დახატეს სურათები. მე-5 კლასში 9 მოსწავლე ჰყავდა რესპოდენტს, „ერთი მზე იყო და 8 ბავშვს პლანეტების სახელი დავარქვი.“ მასალები დაამუშავეს ბავშვებმა და წახალისების მიზნით, რესპოდენტის თხოვნით, ყველა მოსწავლეს სიგელები გადაეცა. პროექტის დასასრულს, რომ „გულდაწყვეტილი არც ერთი არ ყოფილიყო”, დირექტორის ინიციატივით, საახალწლო ღონისძიებაზე ამ თემაზე წარადგინეს დადგმა: „რა თავისებურებით ხასიათდებოდა თითოეული პლანეტა.”

პროექტი ნაბიჯ-ნაბიჯ განახორციელეს. ჯერ პრობლემის მთავარი არსი გამოკვეთეს და მერე მიზანი ჩამოაყალიბეს. ჩაატარეს გამოკითხვა, რის შემდეგაც შეაგროვეს და დაამუშავეს ინფორმაცია. ყველა მოსწავლეს თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი. მასწავლებელი პრაქტიკულად ასწავლიდა და ატარებინებდა ცდებს, მაგალითად, ვულკანის ამოფრქვევის იმიტაციას აკეთებდნენ ვიწროყელიან კოლბაში, საკვები საღებავის დამატებით, სოდისა და ძმრის გამოყენებით. ჩატარებულ ცდებს ხატავდნენ, შემდეგ ძერწავედნენ ან ჭრიდნენ ნახატებს და ალბომს აკეთებდნენ. დედამიწის აგებულება კი, მაგალითად, მოხარშული, დაჭრილი კვერცხების მაგალითზე ასწავლათ რესპოდენტმა, დედამიწის ქერქი შეადარა მოხარშული კვერცხის ცილას. გამოჭრილი თუ გამოძერწილი ნიმუშები ერთვოდა დანართების სახით ყველა პროექტს.

რესურსს თავად იძენდა მასწავლებელი, რაც სჭირდებოდა და სკოლაში წინასწარ ყოველთვის ჰქონდა მომარაგებული საჭირო მასალა, მაგალითად, პლასტენინი, ფერადი ქაღალდი, წებოვანი ქაღალდი, ფორმატის ქაღალდი. ასეთი რესურსის გამოყენებით მასწავლებელი ამაყობდა, რომ ირმის

ნახტომის თანავარსკვლავედი, ფაქტობრივად „პროდუქტი“, შექმნა თავად და სკოლაში ჰქონდა გამოფენილი.

პროექტის დაგეგმვაში პედაგოგს მოსწავლეები ჰყავდა ჩართული. რაც შეეხება შეფასებას, პროექტსაც და მოსწავლეებსაც რუბრიკების საშუალებით აფასებდა. მოსწავლეებს თუ რაიმე გაუჭირდათ, რეკომენდაციებს აძლევდა. ასევე აკვირდებოდა მიცემულ დავალებებს, როგორ ასრულებდნენ, მასალას რამდენად სწორად იყენებდნენ. მოსწავლეებს პრაქტიკული სწავლების გამო მოსწონდათ პროექტზე მუშაობა და ყველა ჩართული იყო.

პროექტის განხორციელებისას პედაგოგი მოსწავლეებს რესურსით ეხმარებოდა, ასევე, კვლევების ჩატარებისას უსაფრთხოების წესებს აცნობდა, ჯგუფურ მუშაობებს აკვირდებოდა და რეკომენდაციებს აძლევდა. ითვალისწინებდა მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

პროექტის თემა მასწავლებელმა ისე არ შეიტანა,სანამ წინასწარ ის მასალა არ ასწავლა, რაც უკვე უნდა სცოდნოდათ მოსწავლეებს ახალი მასალის ახსნამდე.

პროექტის განხორციელების სირთულე ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ჰქონდათ, მხოლოდ ვირუსები და მოსწავლეთა გაცდენები დაასახელა პედაგოგმა. რის გამოც გაუჭირდა ზოგ მოსწავლეს დავალებების შესრულება და მიხმარება დასჭირდათ. ზოგადად, რესპოდენტი სირთულეში ტოქსიკურ ნივთიერებებთან კონტაქტებსაც ასახელებდა (შენიშვნა: სავარაუდოდ, მაღალი კლასები იგულისხმა. ავტ.).

სხვა პედაგოგებთან მიმართებით რჩევის სახით საკუთარი მიზანდასახულობა მოიყვანა მაგალითად პროექტების დაწერასა და განხორციელებაში და გააზიარა რესპოდენტმა. გაიხსენა, როდესაც სკოლის დირექტორი იყო, როგორ დაწერა პროექტი „მომავლის იმედი“ და როგორ მოიპოვა 3000 დოლარი სკოლისთვის, რითაც აღჭურვა სკოლის „საბუნებისმეტყველო სწავლების კაბინეტი“, რადგან სკოლას თავად ამის საშუალება არ ჰქონდა, ან როგორ მოქარგა პერიოდული სისტემა და დაფაზე ფარდად როგორ ჩამოაფარა კლასში.

N1 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი

გამოცდილება/პროფესიული გზა

N1 რესპოდენტის ნარატივიდან ვიგებთ, რომ ის ქიმია — ბიოლოგიის მასწავლებელია და ოც წელზე მეტია, რაც სკოლაში ასწავლის ბუნებას დაწყებით საფეხურზე, ქიმიას — საბაზო საფეზურზე. აქვს სკოლის დირექტორად მუშაობის გამოცდილება. ჩააბარებული აქვს მასწავლებლის სასერტიფიკატო გამოცდა ქიმიაში: „სერტიფიკატი მაქვს ქიმიაში მიღებული“.

ხედვა/ დამოკიდებულება პროექტმეთოდით სწავლებისას

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ N1 რესპოდენტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პროექტმეთოდით სწავლებას და ფიქრობდა, რომ მოსწავლეებს ძალიან დიდ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას აძლევს პროექტებით სწავლება. ხაზს უსვამდა, რომ მოსწავლეები კეთებით სწავლობენ და ინტერესიც მაღალი აქვთ.

მიაჩნდა, რომ ამ გზით ახალი მასალის შესწავლას საფუძვლად უნდა ედოს ძველის გამტკიცება: „ახალი მასალა რომ ახსნა, ძველი ცოდნა უნდა გამოიყენო და ახალი ზედ უნდა დააშენო, რომ კარგად გაიგოს ბავშვმა“.

რესპოდენტი თვლიდა, რომ პროექტმეთოდით სწავლება და პრობლემაზე დაფუნებული სწავლება ერთი და იგივეა: „პროექტით სწავლება ძირითადად პრობლემებზე დაფუძნებული სწავლებაა, თუ რაიმე პრობლემა არსებობს, ამ პრობლემის გადაჭრის“.

პროექტების განხორციელების სიხშირე/განხორციელების მიზეზი

პედაგოგმა თავი შეიკავა პირდაპირი პასუხისაგან რამდენჯერმე გამეორებულ შეკითხვაზე სემესტრში პროექტების განხორციელების რაოდენობასთან დაკავშირებით. აქცენტი გააკეთა, რომ ეს დამოკიდებული იყო პრობლემის

სირთულეზე, რომლის გადაჭრაზეცაა მიმართული პროექტი და იმაზე, თუ რომელ კლასში სრულდება:

„ხშირად განვიხილავ.... გამომდინარეა იქიდან, დაბალ კლასში უფრო მარტივი საკითხი უნდა შესრულდეს, ხოლო მაღალ კლასებში ძირითადად რთული“.

რესპოდენტის მონათხრობში ჩანს, რომ მას კურიკულუმით წინასწარ არ ჰქონდა დაგეგმილი სასწავლო წლის განმავლობაში სავარაუდოდ რამდენჯერ განახორციელებდა პროექტმეთოდით სწავლებას, ან, ზოგადად, რა ტიპის პროექტებს განახორციელებდა, თუმცა დასძინა, თუ რაიმე პრობლემა არსებობს, მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ის მოსწავლეებთან ერთად იწყებს ამ პრობლემაზე მუშაობას და მის გადაჭრას:

„...თუ რაიმე პრობლემა არსებობს, გამოიკვეთება რა არის პრობლემა და შემდგომ ერთად ვსახავთ ღონისძიებებს ამ პრობლემის გადასაჭრელად”.

პედაგოგმა ასევე მოიყვანა მაგალითი იმისა, თუ მე-6 კლასში პროექტის განხორციელება როგორ დაუკავშირა სკოლაში სტუმრების მოსვლას და ღონისძიებად აქცია:

„დირექტორმა გვითხრა ჩვენმა, რომ სავარაუდოდო, ჩვენთანო, გაეროს წარმომადგენლები მოვლენო და თუ ისეთ საკითს გაამზადებთო, კარგი იქნებაო, რომ იმათთანაც გამოვჩნდეთო. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ინფორმაციები მოგვეძიებინა...“

პროექტის თემა

მიუხედავად იმისა, რომ N1 რესპოდენტი პროექტის განხორციელების რაოდენობას უკავშირებდა ზოგადად „პრობლემების არსებობას“, პროექტის თემების განსაზღვრასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, რომ ძირითადად მოსწავლეთა უმრავლესი რაოდენობის ინტერესების გათვალისწინება ხდება. გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებში ამ ინტერესებს იწვევს სწავლების დროს შესასწავლი პროგრამული

საკითხების შესახებ მეტი ინფორმაციისა და ცოდნის გაგების სურვილი:

„მეხუთე კლასში გაიარეს მზის სისტემის პლანეტები. აი, მაგაზე გვქონდა კიდევ პროექტი. ბავშვებს ძალიან აინტერესებთ, რა ხდება ამ კოსმოსში....ბევრი შეკითხვები ჰქონდათ ამასთან დაკავშირებით. მოდი, ინფორმაციები მოვიძიოთო და მერე კარგად დავამუშავოთ — მეთქი. მათი ინტერესიდან გამომდინარე გავაკეთეთ ყველაფერი“.

„ჰოდა, რადგან საკითხი ვისწავლეთ, მე-6 კლასში იყო პროგრამულად მოცემული, ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ამ თემაზე რაღაც ინფორმაციები მოგვეძია და შეგვესწავლა“.

მოსწავლეზე ორიენტირება

თემების შერჩევისას N1 რესპოდენტი ითვალისწინებდა მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ორიენტირებული იყო მათზე:

„ვითვალისწინებ მოსწავლის შესაძლებლობებს, ახლა მე-5 კლასის მოსწავლეს ცოტა უფრო მარტივ საკითხებს ვურჩევ და ცოტა მაღალ კლასებში, მაღლა რომ ქიმიას ვასწავლი ცოტა უფრო რთულ პრობლემებსაც ვეჭიდები.“

„..შესაბამის დონეზე თითოეულ მოსწავლეს ჰქონდა გადანაწილებული ეს საკითხები“.

„ინფორმაცია ჰქონდათ დავალებული და ეს ინფორმაცია ვერ მოიძია, ამიტომ მიხმარება სჭირდება ბავშვს“.

მუშაობის ფორმა

N1 რესპოდენტმა აღწერა პროექტის განხორციელებისას მოსწავლეთა მუშაობის ფორმა. მან აღნიშნა, რომ მოსწავლეები ჯგუფურად მუშაობენ, ურთიერთთანამშრომლობენ და ერთმანეთს ეხმარებიან: „ბევრნიც არ არინ, 9 ბავშვია შეიძლება 2 ჯგუფად გავყო ან სამ ჯგუფად.’ მუშაობის დროს პედაგოგი „ამოწმებდა ‘ ჯგუფის მუშაობას, თანამშრომლობას და იმას, თუ როგორ ართმევენ თავს დავალებებს. მან ხაზი გაუსვა, რომ ითვალისწინებდა ჯგუფში თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებს. გამოიკვეთა მოსწაველეთა მიერ

შედეგების ინდივიდუალურად მომზადება და წარმოდგენა პროექტის განხორციელებისას მაგ.: „ვულკანის” თემაზე.

პროექტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება/შედეგები/ რესურსი

რაც შეეხება N1 რესპოდენტის მონათხრობში პროექტის განხორციელებას, ჩანს, რომ ის მე-5 და მე-6 კლასებთან ახორციელებდა პროექტებს სახელწოდებით: ვულკანი, მზის სისტემის პლანეტები; რადიაცია და რადიაციით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემები. მოსწავლეებთან ერთად მუშაობდა პროექტის გეგმაზე და განხორციელების ნაბიჯებზე: იდეის წარმოჩენაზე, პრობლემის გამოკვეთაზე, მიზანზე. მოსწავლეები თავად სწავლობდნენ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს და ადგენდნენ გადაჭრის გზებს შესაბამისი სამუშაოების ჩატარებით. პრობლემის იდენტიფიცირებისთვის გამოკითხვის საშუალებით აგროვებდნენ მონაცემებს და სახავდნენ ღონისძიებებს, მაგალითად, როდესაც ისინი რადიაციაზე აკეთებდნენ პროექტს, სოფლის მოსახლეობა გამოკითხეს სამშენებლო ნარჩენებთან დაკავშირებით, რომელიც სოფელში ჰქონდათ.

N1 რესპოდენტი თვლის, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ გადიოდნენ პროექტის განხორციელების ეტაპებს. თუ კვლევა ტარდებოდა, გამოკვლეულ საკითხებს მოსწავლეები ამატებდნენ მოძიებულ ინფორმაციებს, რათა არგუმენტები განემტკიცებინათ. ყველა მოსწავლე შეძლებისდაგვარად ჰყავდა ჩართული პროექტის განხორციელებაში. მისი აზრით, პრაქტიკული მუშაობა მოსწავლეებისათვის სახალისო იყო და ზრდიდა ნასწავლის ათვისების და დამახსოვრების უნარს.

პროექტის შედეგები, რასაც ბავშვები ქმნიდნენ საბოლოო პროდუქტის სახით, მრავალფეროვანი იყო: ცდის ნახატები, ნამუშევრები, ცხრილები, პრეზენტაციები.

N1 რესპოდენტი პროექტის განხორციელების განმავლობაში აკვირდებოდა მოსწავლეების მუშაობას, აძლევდა რეკომენდაციებს და რუბრიკების საშუალებით აფასებდა,

რომელიც წინასწარ ჰქონდა შემუშავებული: „შეფასების რუბრიკები წინა წელს შემუშავებული, შემუშავებული, მაგალითად, საკითხის შესაბამისობაში". პროექტის განხორციელების უკუკავშირიც ჰქონდა გაკეთებული: „რეფლექსიაც დაწერილი მაქვს ..."

პროექტების განხორციელებისას მოსწავლეებმა ძირითადად ფერადი ქაღალდი, მარკერები, თაბახის ფურცლები, ფორმატის ქაღალდი, ლიტერატურა, მაკრატელი, წებო, თიხა, წებოვანი ქაღალდი და პლასტენინი გამოიყენეს. ასევე კომპიუტერში მოამზადეს პრეზენტაციები.

მოსწავლეთა/მშობელთა ჩართულობა/მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა

N1 რესპოდენტი აღნიშნავდა, რომ მოსწავლეთა ჩართულობა მაღალია პროექტების განხორციელებისას, რადგან ისინი პრაქტიკულადაც აკეთებენ პროექტში დავალებებს, მიაჩნდა, რომ მოსწონდათ და ყველა ინტერესით იყო ჩართული. თუმცა გამოყო ის ფაქტიც, რომ ყველას არ გამოსდიოდა დავალებები შესაბამისად, მიზეზი ხანდახან მათი გაცდენებიც იყო, მაგრამ რეკომენდაციებს აძლევდა გაუმჯობესებისთვის.

მშობლების ჩართულობასთან დაკავშირებით პედაგოგმა ხაზი გაუსვა, რომ ჩართულები ჰყავდა ისინიც, სავარაუდოდ, მან მათი ზოგადი მხარდაჭერა იგულისხმა, რადგან კონკრეტულად არ დაასახელა რას გულისხმობდა: „მინდა მოსწავლეები მოვატრიალოთ ტელეფონებიდან, ამიტომ მშობლები ჩართული მყავს, რესურსები მე თვითონ მაქვს სასწავლო ოთახში დალაგებული, რომ ამის ხარჯი მათ არ გაწიონ."

რესპოდენტის ნაამბობში ჩანს, რომ პროექტების განხორციელებისას რესურსით თავად ამარაგებდა მოსწავლეებს, რითაც კმაყოფილია, რადგან აქვს კიდეც ამის სურვილი და საშუალებაც, რომ ბავშვებმა არ გაწიონ ხარჯი: „მაქვს საშუალება ესენი ვიყიდო, მოვამარაგო ჩემი მოსწავლეები. ეს კი არა, სხვა საგნებში რომ დასჭირდებათ, წავალთ N1 რეს-

პოდენტს გამოვართმევთო. მაკრატელი მჭირდება, წებო მჭირდება თუ ქაღალდი მჭირდება, თუ ფერადი ფურცლები, ყველაფერი მაქვს.”

სკოლის ადმინისტრაციის/თემის ჩართულობა/ურთიერთობები

N1 რესპოდენტმა ხაზი გაუსვა დირექციის ჩართულობასა და მხარდაჭერას პროექტების განხორციელებაში:

„ჩვენი სკოლის დირექტორიც, თუ რაიმე პრობლემებია, თუ ბავშვს არ შეუძლია, ძალიან დაინტერესებულია, რომ უზრუნველყოს რაღაცით და დახმარება გაუწიოს თითოეულ მათგანს.“

„პროექტი ჯერ კლასში განვიხილეთ. გვესწრებოდა დირექტორი, ხოდა, გადაწყვიტა, რომ ძალიან საინტერესოა და მოდიო, მაღალ კლასებშიც გააკეთე და ერთად შევაერთოთ დაწყებითი და მაღალი კლასიო, რომ ოდნავ უფრო ვრცლად გავავრცელოთ, ძალიან კარგი იქნებაო...“

რესპოდენტმა აღნიშნა მუნიციპალიტეტის ჩართულობის შესახებაც:

„ზოგჯერ მივმართავთ მუნიციპალიტეტს რაიონისას და ზოგიერთ რამეებში, თუ ფინანსური რამეებია საჭირო, მაშინ დაგვეხმარებიან.“

გამოწვევები

პროექტების განხორციელებაში გამოწვევები ძირითადად უკავშირდებოდა მოსწავლეთა მხრიდან გაცდენებს, რაც რესპოდენტის აზრით, ხელს უშლიდა მოსწავლეებს დაკისრებული დავალებების განხორციელებაში: „ზოგჯერ ვირუსია და ბავშვები არ არიან, მოსწავლეთა რაოდენობა კი მცირეა.“

რეკომენდაციები სხვა მასწავლებლებს

N1 რესპოდენტმა სხვა მასწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიზნით მოიყვანა მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან და ხაზგასმით აღნიშნა იმ ღონისძიებების, შრომის, მიზანდასახულობის შესახებ, რაც მას გაუწევია თავისი პედაგოგიური საქმიანობისა თუ დირექტორად მოღვაწეობის ჟამს

სკოლისათვის და მოსწავლეებისათვის. გამოკვეთა რა პედაგოგის მოტივაციისა და შედეგების მნიშვნელობა პროექტების განხორციელების საქმეში, ხაზი გაუსვა, თუ რამდენად მოტივირებული იყო პროექტის „მომავლის იმედის“ განხორციელებისას, რითაც წარმატება მოუტანა სკოლას და აღჭურვა „საბუნებისმეტყველო სწავლების კაბინეტი“.

მას მიაჩნია, რომ ყველა მასწავლებელი უნდა ახორციალებდეს პროექტებს და თვლის რომ: „ბავშვი ბავშვობაში უნდა მიეჩვიოს პროექტის წერას, როცა მას ცხოვრებაში დასჭირდება, პროექტები გამოადგება მისი მომავლის გადაწყვეტაში“.

დასკვნა:

რესპოდენტის პასუხებიდან თვალნათლივ ჩანს:

- პედაგოგი პროექტმეთოდით სწავლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და იყენებდა ბუნების საგნის სწავლებაში დაწყებით კლასებში. მას გააზრებული ჰქონდა პროექტით სწავლების ეფექტურობა პრაქტიკული და აქტიური სწავლების თვალსაზრისით. თუმცა ჩანს, რომ ამ მეთოდის გამოყენება ნასწავლი საკითხების შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიებას და მათზე ახალი ცოდნის მიღებას უკავშირდებოდა.
- N1 რესპოდენტი სასწავლო პროგრამის მიზნებს შეუსაბამებდა პროექტის იდეას, რის განხორციელებასაც გეგმავდნენ პროექტის სახით. გამოყოფდა პროგრამულ საკითხებს, რასაც უკავშირებდა პროექტების განხორციელებას, ამავდროულად, ითვალისწინებდა მოსწავლეთა აზრებს, ინტერესებს, შესაძლებლობებს პროექტის შექმნისას, საიდანაც ჩანს, რომ მოსწავლე არაა მხოლოდ ტექნიკური შემსრულებელია.
- პროექტის განხორციელება მოიცავდა გარკვეულ ეტაპებს დაწყებიდან დასრულებამდის, თუმცა, ზოგადად იკვეთებოდა ისინი. კონკრეტიკა ხშირად არ

სცილდებოდა ინფორმაციის მოძიების და პრეზენტაციის ნაბიჯებს რესპოდენტის ნარატივში.

- პროექტმეთოდით სწავლება პედაგოგს წინასწარ განსაზღვრული არ ჰქონდა. ჩანს, მისი განხორციელება უფრო დაუგეგმავია. პროექტებს დაახლოებით რამდენჯერ ახორციელებს წელიწადში, არ ჩანს.
- პროექტის განხორციელებამდე მასწავლებელი ძველ ცოდნას განამტკიცებდა და მასზე მოსწავლეებს ახალს აშენებინებდა.
- პროექტების განხორციელებისას საჭირო რესურსით თავად ამარაგებდა მოსწავლეებს პედაგოგი, თუმცა იკვეთება სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერაც.
- მუშაობის ფორმა ჯგუფური იყო, პედაგოგის თქმით, თანამშრომლობაც იყო ჯგუფებს შორის, რაც პროექტის განხორციელების ერთ-ერთი პრინციპია, თუმცა დეტალურად არ ჩანდა, რაში გამოიხატებოდა ეს თანამშრომლობა. იკვეთებოდა ინდივიდუალურად მუშაობაც. მაგალითად, „ვულკანის" თემაზე პროექტის შედეგები ინდივიდუალურად მოამზადეს და გამოიტანეს მოსწავლეებმა.
- პროექტების დაგეგმისას, არ იკვეთება წინასწარ კონკრეტული მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა.
- განხორციელებულ პროექტებზე პედაგოგს გაკეთებული ჰქონდა რეფლექსია, ჩანს, დაკვირვებას აწარმოებდა პროექტის მიმდინარეობაზე, კერძოდ, დავალების შესრულების ხარისხზე და მოსწავლეთა თანამშრომლობაზე.

N2 რესპოდენტის ნარატივი

კვლევაში მონაწილე N2 რესპოდენტი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგია. ასწავლიდა მე-6, მე-9, მე-12

კლასებს. კვირაში ჰქონდა 20 საათი დატვირთვა. ის სკოლაში 20 წლიანი პედაგოგიური გამოცდილებითაა.

N2 რესპოდენტს მოსწონდა პროექტებით სწავლება და ცდილობდა, სემესტრში ერთხელ მაინც გაეხორციელებინა, რადგან კომლექსური დავალებებისა და შემაჯამებლების შესრულების გამო, დიდი დრო აღარ რჩებოდა სემესტრში. რესპოდენტმა წინა წლებში განახორციელა პროექტები წიგნიერების განვითარებასთან დაკავშირებით, მაგალითად, „წიგნი მისანი“ მე-6 კლასში, რისი იდეაც უკავშირდებოდა ილია ჭავჭავაძის „მოძღვარს“. რესპოდენტს აწუხებდა ბავშვებში წიგნიერების, ზოგადად, კითხვის, წერის ან წაკითხულის გააზრების პრობლემები და ცდილობდა, პროექტების განხორციელების გზით ამ უნარების განვითარებას მოსწავლეებში. ის პროექტის განხორციელების ფარგლებში, დამოუკიდებლად წასაკითხად აძლევდა ტექსტებს, მაგრამ უშუალოდ აკონტროლებდა, პერიოდულად ამოწმებდა, კონკრეტულ დავალებებს აძლევდა. შედეგით ის უფრო კარგად გებულობდა, როგორ მუშაობდნენ მოსწავლეები, ბავშვებს მოსწონდათ ფაქტობრივად კეთებით მუშაობა.

იდეის წარმოშობით იწყებოდა პროექტზე მუშაობა, შემდეგ შეთანხმება ხდებოდა მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, ისახებოდა გეგმები, მიზნები და შესაბამისი აქტივობები იგეგმებოდა ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე და შეესაბამებოდა სტანდარტებს, რის გამოც საკითხი უფრო საინტერესო და დაძლევადი ხდებოდა. პედაგოგმა, როდესაც პროექტი „წიგნი მისანი“ განახორციელა, ინანიშვილის მოთხრობები წაიკითხეს კლასგარეშე ლიტერატურის ფარგლებში მოსწავლეებმა, რაც წიგნიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად .

მიმდინარე სასწავლო წელს, შემოდგომაზე, რესპოდენტმა დაგეგმა პროექტი და „მედია-წიგნიერებაც ჩართო“. მოსწავლეებმა მოიძიეს მასალა, მაგალითად, ზოგადად წიგნის გავლენის შესახებ ადამიანზე, როგორ შეცვალა ბევრი

ადამიანის ყოფა-ცხოვრება, რა დადებითი როლი შეასრულა, მიუხედავად იმის, რომ სახელმძღვანელოშიც ჰქონიათ კარგი რესურსი, მაგალითად, გამონათქვამები ზოგადად წიგნის კითხვასთან დაკავშირებით. მოსწავლეები ეცნობოდნენ კლასგარეშე ლიტერატურას და, მასწავლებლის რჩევით, ანდაზებს, ხალხური სიბრძნის ზიარებისთვის. ისარგებლეს სკოლის ბიბლიოთეკით, სადაც მცირე იყო წიგნები. კლასში შეხვდათ 2-2 წიგნი და პერიოდულად ცვლიდნენ ერთმანეთში. პედაგოგი სკოლაში აკითხებდა მოსწავლეებს და სწავლობდნენ „მოწონებულ“ ანდაზებს, რომლის რაოდენობაც, მასწავლებლის რჩევით, 10-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო თითოეული მოსწავლისთვის.

რესპოდენტს ორივე პარალელურ კლასში ჰყავდა „თავისებური“ ბავშვები, რომელთაც „დამატებითი გარკვეული მუშაობა სჭირდებოდათ, კერძოდ, სპეციალური მასწავლებელი“. ორივე ბავშვს შეეძლო ჯგუფებთანაც მუშაობა, ანდაზების მომზადება ზეპირად, ზოგადად, ისინი „ძალიან სუსტები” არ ყოფილან. პედაგოგი კმაყოფილი დარჩა, როცა მათ გაართვეს საქმეს თავი და „წიგნიც წაიკითხეს”. პედაგოგის სურვილი იყო, მოსწავლეებს უფრო მეტი წაეკითხათ და უფრო კარგად გამოეტანათ აზრი. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში წიგნიერების უნარებში დაბალი შედეგები გვაქვს...

მეორე პროექტი „საფარი“, რომლის იდეაც გაკვეთილზე წამოვიდა და ლევან გოთუას ნაწარმოების „ქვის დედაენას“ უკავშირდებოდა (ფრაზა ნაწარმოებიდან: „ღმერთის წიგნია ჩვენი საფარი მონღოლთა შემოსევების დროს“), მიზანი იყო, კერძოდ, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო წიგნი, როგორც „ჩვენი საფარი”. მოსწავლეები, როდესაც გაეცნენ ტექსტს ბოლომდე, გაიგეს მისი შინაარსი, იდეა დაებადათ და გადაწყვიტეს, რომ უკეთესად იმუშავებდენ ამ კუთხით. შეიმუშავეს გეგმა, დაისახეს მიზნები და დაიწყეს კითხვა, წიგნის შესახებ ბევრი მასალის მოძიება სხვადასხვა წყაროდან, როგორც ლიტერატურული, ასევე მედია-საშუალებებიდან,

წიგნის მნიშვნელობაზე და იმ სიკეთეებზე, რაც წიგნის კითხვამ შეუძლია ადამიანს მოუტანოს. მათ ისწავლეს მთელი თავი წიგნთან დაკავშირებით, სადაც სურათებიც იყო მოცემული და მისი მიხედვით ევალებოდათ პატარ-პატარა მოთხრობების შედგენა, ჩანახატების კითხვასთან დაკავშირებით და პატარა მსჯელობითი ხასიათის ტექსტები დასაწერად, მაგალითად, კითხვა და წიგნი რას აძლევს დამიანს.

მასწავლებელს და მოსწავლეებს გადაუწყვეტიათ ბრტყელ ქვებზე დაეწერათ ფერადი საღებავებით ანბანის თანამედროვე და ძველი დამწერლობის ასოები. მოსწავლეებს დამოუკიდებლადაც წაუკითხავთ ტექსტები, რომელიც ზოგადად წიგნს, ენას ეძღვნებოდა. პოსტერებიც დაუმზადებიათ. ორ კლასში ხორციელდებოდა პროექტი, მასწავლებლის თხოვნით, ერთმა კლასმა ელექტრონული პოსტერი დაამზადა, ხოლო მეორე ჯგუფმა ხელნაწერი გააკეთა ქვაზე, ანუ ხელნაწერი პოსტერის სახით. რაც სკოლაში ახლაც ინახება. დასასრულს მოსწავლეებმა წარმოადგინეს შედეგები პრეზენტაციის სახით.

მსვლელობის პერიოდში ბავშვები ამზადებდნენ მასალებს, დავალებებს ასრულებდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ მოგროვილ მასალას ჯგუფებში. ჯერ ბავშვები უმოწმებდნენ ერთმანეთს, მერე ერთმანეთის ნამუშევრებს სხვადასხვა ჯგუფი კითხულობდა და მასწავლებელთანაც წარადგენდნენ. კვირაში ერთხელ მაინც ჰქონდათ შეხვედრები და ამ საკითხებზე მსჯელობა. პროექტი თითქმის ორი თვე გაგრძელდა. შედეგებით მასწავლებლიც და მოსწავლეებიც კმაყოფილები დარჩენილან.

N2 რესპოდენტი პროექტზე მუშაობისას ცდილობდა, პროექტის შედეგებისთვის არ გამხდარიყო საჭირო დიდი მატერილური რესურსი. ამ პროექტისათვის მათ რაც სჭირდებოდათ, ჰქონდათ სახელმძღვანელოების, ფლომასტერების, თაბახის ფურცლების სახით. დანარჩენი საჭირო რაც გამხდარა, თავად მოსწავლეებს მოუძიებიათ. პროექტის განხორციელებას ხელს უწყობდნენ სკოლაში. პროექტის შედე-

გების პრეზენტაცია წარმოუდგენიათ სკოლის ადმინისტრაციისა და კოლეგების წინაშე, სადაც ნებისმიერ პედაგოგს შეეძლო დასწრება.

პედაგოგი ცდილობდა განმავითარებელი შეფასება გზადაგზა მიეცა მოსწავლეებისთვის. კვირაში ერთხელ ხვდებოდა, ნახულობდა ნამუშევრებს და აქებდა აქტიურობისათვის. ბავშვებს გაუჩნდათ სხვა პროექტებში მონაწილეობის მიღების სურვილი. პროექტში ორივე კლასის 34 მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული. დატვირთვა იმათზე უფრო მეტი იყო, „ვისაც მეტი მონაცემი ჰქონდა ამ კუთხით", მაგალითად, ჩანახატებს დაწერა, თხზულებითი ხასიათის ტექსტების დამოუკიდებლად წარმოდგენა. წარმატებული მოსწავლეები უკეთესად ასრულებდნენ ასეთ დავალებებს: „ისე ყველამ სცადა დავალება და გადაღებულიც კი მაქვს ტელეფონით მათი სურათები, უამრავია, მაგრამ ყველა, რა თქმა უნდა, გამოსამზეურებელი ნაკლებადაა, მაგრამ ცოტა უკეთესებისა წარმოვადგინეთ კიდეც უშუალოდ პრეზენტაციის დროს". ნაკლები შესაძლებლობის ბავშვები ისეთ დავალებებს ღებულობდნენ, როგორიცაა გარკვეული თვალსაჩინოების დამზადება, ჯგუფებში მუშაობა, ამ მასალებთან დაკავშირებით მიმოხილვების გაკეთება.

პროექტის შედეგი იყო ის, რომ პროცესში წაიკითხეს მოსწავლეებმა თედო სახოკიას წიგნი „ქართული ანდაზები" თავიდან ბოლომდე, გაიაზრეს, პრეზენტაციაზე წარმოუდგენიათ კიდეც ზეპირად, დაამზადეს ქვის ანბანი, პოსტერები და გამოთქვეს სურვილი, რომ გააგრძელებდნენ წიგნის კითხვას. საბოლოოდ, ამაღლდა ინტერესი წიგნის კითხვისა. პედაგოგი მის შემდეგაც აქტიურად სთხოვდა მოსწავლეებს, სახლში ხმამაღლა ეკითხათ 15 წუთი წიგნიერების დონის ამაღლებისთვის.

პედაგოგი მოსწავლეებს ეხმარებოდა, მაგალითად, ქვების შერჩევაში წარწერებისთვის, ასოების დაწერაში, წიგნების შერჩევაში წაკითხვისთვის. მისი ჩარევით გადაწყვიტეს ბავშვებმა, ისეთი წიგნები წაეკითხათ, რაც არ ჰქონდათ

წაკითხული. კვირაში ერთხელ არასაგაკვეთილო დროს, ის უთმობდა 45 წუთზე მეტსაც ბავშვებთან მუშაობას. განსაკუთრებით პოსტერების მომზადებაში, ასევე, მისი აზრით, რადგან მე-6 კლასის მოსწავლეებს გაუჭირდებოდათ პრეზენტაციის უშუალოდ აგება.

პედაგოგმა პროექტის განხორციელებისას გამოვლენილ სირთულეებში ძირითადად დრო დაასახელა: „გაკვეთილები როგორც დამთავრდება ბავშვები გარბიან, რადგან ტრანსპორტი მიდის და ფეხით ვეღარ წავლენ, რადგან მეზობელი სოფლებიდან და შორი უბნებიდან დადიან". ის ცდილობდა, დიდ დასვენებაზე ან სხვა გაკვეთილების 5 წუთის ხარჯზე, ან, როდესაც არ ჰქონდათ მეექვსე გაკვეთილი, ის დრო გამოეყენებინათ. თუმცა პრობლემა მაინც იყო, რადგან ბავშვები წრეებზე დადიან და ვერ რჩებოდა ყველა.

რესპოდენტს მოსწონდა განათლემის სისტემის მრავალფეროვნება და შეტანილი სიახლეები კომპლექსურობის, პროექტების სახით. რეკომენდაცია მისცა სხვა მასწავლებლებს, რომ საკუთარ თავზე ბევრი ემუშავათ და განეხორციელებინათ პროექტები, რაც გაზრდიდა მათ ინტერესს, ჩართულობას, მუშაობის სტილს, კომუნიკაციას, თანამშრომლობის, პრეზენტაციის უნარებს. ახალბედა მასწავლებლებს შეეძლოთ სკოლაში გამოცდილი პედაგოგებისაგან რჩევა მიეღოთ, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც უკვე კარგ პროექტებს ახორციელებდნენ. პედაგოგის დევიზია — თუ ბედავ მასწავლებლობას, არ უნდა შეწყვიტო სწავლა და შრომა .

N2 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი
გამოცდილება/პროფესიული გ ზა

N2 რესპოდენტის ნარატივიდან ვიგებთ, რომ ის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლის საჯარო სკოლის ქართული ენასა და ლიტერატურის პედაგოგია. ასწავლის როგორც დაწყებითი განათლების, ისე საბაზო და საშუალო საფეხურზე. მას ოც წელზე მეტი მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება აქვს.

ხედვა/ დამოკიდებულება პროექტმეთოდით სწავლებისას

პროექტმეთოდით სწავლებას N2 რესპოდენტი დადებითად აფასებდა და მიაჩნდა, რომ მისი გამოყენება მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა: წიგნიერების, ზოგადად, კითხვის, წერის ან წაკითხულის გააზრება. მოსწავლეები ამუშავებდნენ ტექსტებს და შესაბამისად ასრულებდნენ დავალებებს, მასწავლებელი კი პარალელურად უწევდა მონიტორინგს.

პროექტის განხორციელებისას ძირითადად მიმდინარეობდა სწავლა კეთებით, რის გამოც თავად რესპოდენტსაც და მოსწავლეებსაც მოსწონდათ ამ მეთოდით სწავლება:

„საერთოდ მომწონს ძალიან პროექტებით მუშაობა, ბავშვებსაც აინტერესებთ“.

„ ბავშვებსაც მოსწონთ ფაქტობრივად კეთებით მუშაობა“.

პროექტების განხორციელების სიხშირე/განხორციელების მიზეზი

რესპოდენტი აღნიშნავდა, რომ ცდილობდა, პროექტმეთოდით სწავლება სემესტრში ერთხელ მაინც განეხორციელებინა. მიუხედავად მისი დიდი სურვილისა, მეტჯერ ვერც ახერხებდა მოსწავლეები პროექტებზე ემუშავებინა და როგორც თავად აღიარებს, კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებების გამო დრო აღარც რჩებოდათ:

„საერთოდ ვწადინობ ხოლმე დაახლოებით სემესტრში ერთხელ. უფრო ხშირად ახლა კომპლექსურებია, შემაჯამებლებია და ნამდვილად ვეღარ ვეტევი დროში.“

გამოიკვეთა, რომ თითოეული პროექტი ორი თვე მაინც გრძელდებოდა: „თვე ნახევარზე მეტი, თითქმის ორი თვე გაგრძელდა ეს პროექტი“.

პროექტის თემა/იდეა /მიზანი

რესპოდენტი ასკვნიდა, რომ საკითხის საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობა განაპირობებდა თემის დაძლევადობას მოსწავლეებში. პროექტების იდეა ძირითადად

უკავშირდებოდა საგნობრივ საკითხებს. პირველი პროექტის „წიგნი მისანი“ იდეის გაჩენა ილია ჭავჭავაძის „მოძღვარს“ დაუკავშირეს, ხოლო მეორე პროექტის იდეა — ლევან გოთუას „ქვის დედა ენას“:

„ლევან გოთუას „ქვის დედაენას“ გავდიოდით და იქ არის ეს ფრაზა, რომ „ღმერთის წიგნია ჩვენი საფარი მონღოლთა შემოსევების დროს“ და აქედან წამოვიდა სათაურიც და გაკვეთილზე წამოვიდა იდეაც.“

„ილია ჭავჭავაძის „მოძღვარი“ ისწავლება და სწორედ ასეთი მისანია წიგნი და აქედან წამოვიდა იდეა.“

ორივე პროექტის განხორციელების მიზანი, როგორც გამოიკვეთა N2 რესპოდენტის საუბარში, მოსწავლეებში წიგნიერების უნარების განვითარება იყო.

მოსწავლეზე ორიენტირება

პროექტის განხორციელებისას N2 რესპოდენტი ითვალისწინებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შესაძლებლობებს. ისინი შესაბამის დავალებებს ასრულებდნენ და დადებითადაც შეაფასა რესპოდენტმა მათი ჩართულობა:

„ორივე ბავშვს შეეძლო ჯგუფებთანაც მუშაობა, ანდაზების მომზადება ზეპირად, ასე ძალიან სუსტები არ არიან. უკმაყოფილო არ დავრჩი, შეძლეს რომ გაართვეს საქმეს თავი“.

პროექტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება/შედეგები

N2 რესპოდენტმა განხორციელებული პროექტებიდან გამოყო ორი პროექტი, „წიგნი მისანი“ და „საფარი“, რომელიც მეხუთე და მეექვსე კლასებში განახორციელა. მისი თქმით, ორივე პროექტის იდეა უკავშირდებოდა საგნობრივ მასალას. როგორც მან მოკლედ აღწერა პროცესი, თავდაპირველად პროექტის იდეაზე მოხდა შეთანხმება მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის, მერე დაისახეს მიზნები, გეგმა და შესაბამისი აქტივობები.

მან აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელებისას ყველა ბავშვს ჰქონდა შესაბამისი საკითხი დასამუშავებლად, დამოუკიდებლად კითხულობდნენ ტექსტებს და ასრულებდნენ დავალებებს: „ყველა ბავშვისთვის შესაბამისი საკითხი გამოიძებნება“, იძიებდნენ მასალებს და მუშაობდნენ ჯგუფურადაც. თითოეულ ჯგუფს გადანაწილებული ჰქონდა შესასრულებელი დავალება. რესპოდენტის საუბრიდან იქცევს ყურადღებას, რომ პროექტზე მუშაობისას ისინი ძირითადად ლიტერატურას ეცნობოდნენ „წიგნის“ შესახებ, რომელიც შეიძლება ყოფილიყო მათი „საფარი“, ჩანახატებს აკეთებდნენ, როგორც მასწავლებელი აღნიშნავდა, შეეძლოთ „მსჯელობითი ხასიათის ტექსტები“ დაეწერათ. როგორც ჩანს, რომ მუშაობის პროცესში გადაწყვიტეს შეექმნათ ქვაზე ხელნაწერი პოსტერის სახით „მერე დავისახეთ მიზნად, რომ თვითონ ქვის წიგნი ჩვენც შეგვექმნა“. პოსტერი ეძღვნებოდა წიგნის მნიშვნელობას და როლს ცხოვრებაში.

რესპოდენტი, როგორც აღნიშნავს, ჯგუფები ერთმანეთს უმოწმებდნენ შესრულებულ სამუშაოს და პერიოდულად მასწავლებელთანაც წარადგენდნენ.

ყურადღებას იქცევს N2 რესპოდენტის ინტერვიუს ის მონაკვეთი, როდესაც საუბრობს პროექტის ხანგრძლივობაზე, აცხადებს, რომ „საბოლოოდ მივეცით პროექტის სახე. უკმაყოფილოები არ დავრჩით არც მე და არც ბავშვები. შეიძლება რაღაც სასწაული ვერ მოვახდინეთ, მაგრამ ცუდი ნამდვილად არ იყო.’ ეჭვს ბადებს, რომ პედაგოგს, შესაძლოა, თავადპირველად არ ჰქონდა დაგეგმილი პროექტის განხორციელება.

რესპოდენტი მიმოიხილავს პროექტის შეფასების საკითხსაც და აღნიშნავს, რომ მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას აძლევდა და ისე აფასებდა მათ მიღწევებს, თუმცა ყურადღების მიღმა ტოვებს და არაფერს ამბობს თავად პროექტის განხორციელების შეფასებაზე: „გზადაგზა ვაძლევდი განმავითარებელ შეფასებას და რჩევებსაც ბავშვებს“.

პროექტის შედეგი, როგორც პედაგოგმა აღნიშნა, რამდენიმე სახის იყო: „მათი შედეგი ის იყო, რომ დაამზადეს ქვის ანბანი, დაამზადეს პოსტერები“, პრეზენტაცია, კერძოდ, ზეპირად წარმოადგინეს მათი სურვილით შერჩეული ანდაზები. მან ხაზი გაუსვა, რომ პროექტის განხორციელებამ აამაღლა წიგნის კითხვის ინტერესი და ცდილობდა, პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს სახლში ეკითხათ წიგნები:

„გამოთქვეს სურვილი, რომ გააგრძელებენ წიგნის კითხვას და პერიოდულად ვეკითხები ხოლმე რა წიგნი წაიკითხეს. საერთო ჯამში ამაღლდა ინტერესი წიგნის კითხვისა”.

მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა/მოსწავლეთა ჩართულობა /რესურსი

პროექტის განხორციელებაში, როგორც პედაგოგი საუბრისას გამოკვეთავდა, მაღალი იყო მოსწავლეების ჩართულობა. კლასში 34 მოსწავლიდან ყველა თავის შესაძლებლობებიდან გამომდინარე ასრულებდა დავალებებს, თუმცა, ჩანს რომ პროექტის შედეგების პრეზენტაციისას ყველას ნაშრომის პრეზენტაცია არ მოხდა: „34-ვე მოსწავლე მონაწილეობდა, რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად.“

„ყველამ სცადა დავალება და გადაღებულიც კი მაქვს ტელეფონით მათი სურათები, უამრავია, მაგრამ ყველა, რა თქმა უნდა, გამოსამზეურებელი ნაკლებადაა. მაგრამ ცოტა უკეთესებისა წარმოვადგინეთ კიდეც უშუალოდ პრეზენტაციის დროს.“

ცოტა გაურკვეველია პროექტის შედეგები რატომ წარადგინეს ინდივიდუალურად მოსწავლეებმა და არა მოსწავლეთა ჯგუფებმა. მკაფიოდ არ ჩანს ჯგუფები როგორ მუშაობდნენ და თანამშრომლობდნენ მოსწავლეები.

რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეების მიმართ მისი მხარდაჭერა პროექტების განხორციელების დროს გამოიხატებოდა სხვადასხვა ამოცანის გადაჭრაში, მაგალითად, ქვების შერჩევაში წარწერებისთვის, ძველი ქართული ასოე-

ბის დაწერაში, წიგნების შერჩევაში, პოსტერებისა და პრეზენტაციების მომზადებაში. როგორც მან დასძინა, ბავშვებთან მუშაობას კვირაში ერთხელ არასაგაკვეთილო დროს, 45 წუთზე მეტს უთმობდა.

პედაგოგი ცდილობდა პროექტების განხორციელებისას ესარგებლა მხოლოდ იმ რესურსით, რაც ჰქონდა სკოლას, თუმცა ახსენებდა, რომ რაც დასჭირდათ მოსწავლეებმაც მოიძიეს:

„საერთოდ ნებისმიერი პროექტის განხორციელებისას ვწადინობ ხოლმე შემოვიფარგლო იმით, რაც გვაქვს, მაინცა და მაინც დიდ მატერიალურ დავალებებზე არ წავედი ამ პროექტში.“

„სხვა მხრივ ბავშვებმა თვითონ მოიძიეს რაც სჭირდებოდათ.“

როგორც საუბრიდან გამოიკვეთა, სკოლის ადმინისტრაცია ხელს უწყობდა პროექტის განხორციელებას, თუმცა არ გამოჩნდა, რაში გამოიხატებოდა ეს მხარდაჭერა.:“სკოლის ხელმძღვანელობას შევატყობინეთ თავიდანვე რომ ჩვენ ვმუშაობდით პროექტზე და თუ რამე გვჭირდებოდა ხელს გვიწყობდნენ.“

„სკოლის ადმინისტრაციას, ვერ ვიტყვი საყვედურს, არასოდეს არ გვიკავებენ სკოლის რესურსს, თუ კი რამე გვჭირდება და ცდილობენ ხელი შეგვიწყონ და ჩვენი ხელმძღვანელიც ყოველთვის ცდილობს რომ დაესწროს ღონისძიებას.“

გამოწვევები

პროექტის განხორციელებისას გამოვლენილ გამოწვევად პედაგოგმა ძირითადად დრო დაასახელა: „ეს არის თავისებური პრობლემა, რომ მუშაობა რაღაცნაირად ჭირს. დიდ დასვენებაზე, დასვენებაზე, გაკვეთილს 5 წუთი წაართვა და მაშინ მისცე შენიშვნა, ან მე-6 გაკვეთილი როცა არა აქვთ, ის დრო გამოიყენო, ყოველთვის ყველა ბავშვი ვერ რჩება, დადიან რაღაც წრეებზე და ეს სირთულებია. ხან რომელიღაცა

ბავშვი აკლდება, მერე სხვა ბავშვი და ეს სირთულეები არის ნამდვილად.“

„გაკვეთილის იქით დაუთმოს გარკვეული დრო. ეს ნამდვილად სჭირდება, გაკვეთილში არ თავსდება პროექტის მომზადება და გაკეთება.“

რეკომენდაცია პედაგოგებს

N2 რესპოდენტმა დადებითად შეაფასა სწავლებაში განათლემის სისტემის მხარდაჭერა მრავალფეროვანი სწავლების საშუალებების (კომპლექსური დავალებები) გამოყენების კუთხით და რეკომენდაცია მისცა სხვა მასწავლებლებს, რომ საკუთარ თავზე ბევრი იმუშაონ და მოსწავლეების ინტერესიდან გამომდინარე, განახორციელონ პროექტები. ის მიიჩნევს, რომ მოსწავლეთა ჩართულობა და ინტერესი სწავლის მიმართ იზრდება, მთავარია, მასწავლებელმა იმუშაოს და გარკვეული დრო დაუთმოს, რაც მისი თქმით პრობლემაა. N2 რესპოდენტი აკეთებს აქცენტს, რომ ახალბედა მასწავლებლები, ვინც ვერ ახორციელებს პროექტმეთოდის გამოყენებით სწავლებას, უნდა იღებდნენ სკოლაში გამოცდილი პედაგოგებისაგან რჩევას. მისი აზრით, თუ ბედავ მასწავლებლობას, არ უნდა შეწყვიტო სწავლა და შრომა .

დასკვნა

რესპოდენტის პასუხებიდან თვალნათლივ ჩანს :

- პროექტმეთოდით სწავლებას პედაგოგი დადებითად აფასებდა და ცდილობდა ამ მეთოდის გამოყენებით მოსწავლეებში წიგნიერების უნარები განევითარებინა.
- რესპოდენტისთვის სირთულეს წარმოადგენდა წელიწადში ორჯერ პროექტმეთოდით სწავლება, რადგან ორი თვე მაინც სჭირდებოდა განხორციელებას და, ამასთანავე, კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებებიც ჰქონდათ ხოლმე შესასრულებელი.
- დაწყებით კლასებში განხორციელებული პროექტების იდეა უკავშირდებოდა სასწავლო საკითხებს.

- პროექტი განხორციელდა გარკვეული ეტაპების დაცვით, თუმცა არ გამოიკვეთა განხორციელების პროცესში ნათლად ზოგიერთი კონკრეტული ნაბიჯი ამოცანების გადაჭრასა და აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებით ჯგუფებში.
- პროექტი ნაკლებად მოიცავს ძიების პროცესებს, ძირითადად მოსწავლეები იმდიდრებენ ცოდნას შინაარსობრივ ნაწილში.
- არ ხდებოდა პროექტის შუალედური და საბოოლოო შეფასება.

პროექტის პროდუქტი რამდენიმე სახის იყო.

N3 რესპოდენტის ნარატივი

N3 რესპოდენტი არის გურჯაანის რაიონის ერთ-ერთი სოფლის დაწყებითი საფეხურის კომბინირებული: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების პედაგოგი. მას სკოლაში მუშაობის 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს.

პედაგოგმა პროექტი განხორციელდა 2023 წელს ბუნებისმეტყველებაში. იმ პერიოდში სკოლაში განხორციელდა საერთო სასკოლო პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით, რადგან ყველა სკოლა, პრიორიტეტული თემის ფარგლებში, ახორციელებს ხოლმე პროექტებს. N3 რესპოდენტის სკოლას უნდა განეხორციელებინა პროექტი თემაზე: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია". პედაგოგი აქტიურად იყო ჩართული ამ პროექტის განხორციელებაში ყველა ეტაპზე, მისი დაგეგმვიდან დაწყებული, რადგან ის იყო საპროექტო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი და თავისი სადამრიგებლო კლასის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობა შეიმუშავა. ერთ-ერთი აქტივობა იყო სწორედ პროექტმეთოდის გამოყენება ბუნებისმეტყველებაში კონკრეტულ თემაზე, რომელიც შესთავაზა კლასს. პროექტის სათაური გახლდათ: „ბოსტნეული

ჩვენი მეგობარია“, რომელიც მიმდინარეობდა დაახლოებით 4 კვირის განმავლობაში, 2023 წლის იანვარ-თებერვალში.

პედაგოგი, პროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე, დაეყრდნო ეროვნულ სასწავლო გეგმას და სტანდარტებს ბუნებისმეტყველებაში, რათა, როგორც თავად ამბობს ინტერვიუში, ბავშვებისთვისაც საინტერესო ყოფილიყო და თან სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსულიყო. როგორც ჩანს, პედაგოგი მეტად წინდახედულად მოქმედებს და მდგრადი განვითარების მიზნებსაც მიმოიხილავს, სადაც გამოყოფს მე-3 მიზანს: „ჯანმრთელობა და კეთილდღეობა”; რომ მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ყველა ასაკის ადამიანისათვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა. პედაგოგმა გაითვალისწინა პროექტის აქტუალობა და რადგან მე-2 კლასის ბავშვებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული ბოსტნეულის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ჩათვალა, რომ ეს ნამდვილად აქტუალური საკითხი/პრობლემა იქნებოდა. პროექტის დაგეგმვისას ფიქრობდა, როგორ მიეწვდინა ეს მეთოდი ბავშვებისთვის, რომ ის ნამდვილად საინტერესო ყოფილიყო და, ამავდროულად, გაეთვალისწინებინა მოსწავლეთა საჭიროებები.

პროექტის მიზანი იყო, მოსწავლეები გასცნობოდნენ ბოსტნეულის სასარგებლო თვისებებს, გაეცნობიერებინათ მათი მნიშვნელობა ჯანსაღი კვებისათვის და ამ შეძენილი ცოდნის საფუძველზე, თავად შეეტანათ ცვლილებები საკუთარი კვების რაციონში, ამავდროულად, გარკვეული წვლილი შეეტანათ ამ საკითხის პოპულარიზაციის მიზნითაც, რადგანაც ეს იყო საერთო დიდი სასკოლო პროექტი; ოჯახის წევრებისთვის, თანატოლებისთვის, სასკოლო საზოგადოებისათვის გაეზიარებინათ ის ინფორმაცია, რომელსაც მოიძიებდნენ.

პროექტმეთოდი, მისი აზრით, სცილდება საგაკვეთილო ფარგლებს და მრავალფეროვანი აქტივობით შემოიფარგლება. ის სწორედ ამას ითვალისწინებს, როდესაც დაისახავს პროექტის ამოცანებს. მისი თქმით, რომ მე-2 კლასის

ბავშვი ვერ იქნება მეტად აქტიური თვითონ ამ პროექტის შემუშავების პროცესში, აქ უფრო მასწავლებელი უნდა იყოს ფასილიტატორი, რადგანაც საქმე პატარა ბავშვებს შეეხება და შემდეგ უკვე ზედა კლასებში, რა თქმა უნდა, მოსწავლეთა ჩართულობა თვითონ პროექტის შემუშავების პროცესში ნელ-ნელა იზრდება. ამიტომ, ამ ეტაპზე, უფრო მეტად აქტიური პედაგოგია, შეიმუშავებს მიზნებს, ამოცანებს, მთლიანად გეგმას, მხოლოდ, როგორც თავად ამბობს, შემდეგ გააცნო თავის მოსწავლეებს. კლასში 10 მოსწავლეა და როგორც რესპოდენტი გვეუბნება, დიდი სიხარულით შეხვდა ამ ინიციატივას უკვებლივ ყველა ბავშვი.

პროექტის განხორციელებისას თავად მოსწავლეებმაც შემოიტანეს იდეები. პედაგოგისაგან მათ ჰქონდათ აბსოლუტური თავისუფლება. როგორც N3 რესპოდენტი ამბობს მოსწავლეებზე: 'ისინი ყოველთვის მეუბნებიან, მარტო ამ პროექტში კი არა, ნებისმიერი სასწავლო აქტივობის დროს: მოდი, მასწავლებელო, ესეც გავაკეთოთ, ესეც ხომ არ გაგვეკეთებინა, ესეც ხომ არ ჩაგვემატებინა." მსგავსი მომენტები, ძალიან ბევრი იყო ამ პროექტის განხორციელების დროს. აქტივობების განხორციელებისას მოსწავლეთა ჩართულობა იყო მაქსიმალური და, ამავე დროს, იყო უამრავი, მართლაც, სახალისო მომენტები.

განხორციელებული პროექტი თავის თავში სხვადასხვა აქტივობას მოიცავდა. აქტივობაში, სადაც ინფორმაციის მოძიება იყო საჭირო, პირველი აქტიური თავად იყო უფრო მეტად; მან მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ინფორმაცია მოიძია. კლასში ათივე მოსწავლეს პედაგოგმა თითო-თითო ბოსტნეული შეურჩია და მიაწოდა ეს ინფორმაცია მათ, პრეზენტაციის ფორმაც შეარჩია. ამავდროულად, პედაგოგმა ბავშვებს ურჩია, რომ თავადაც დაემატებინათ ინფორმაციები სხვადასხვა ჟურნალიდან, ენციკლოპედიიდან, ან მშობელთა ჩართულობით დამატებითი ინფორმაცია და არსებული შეევსოთ. როგორც კი ეს სამეცნიერო ინფორმაცია მოძიებულ იქნა, როგორც რესპოდენტი გვეუბნება, შეუდგნენ პლაკატე-

ბის მომზადებას; ყველა მოსწავლემ გააკეთა ინდივიდუალური პლაკატი იმ ბოსტნეულზე, ვისაც რომელი შეხვდა; კონკრეტულ ბოსტნეულზე ინფორმაცია ზოგმა დაიტანა თაბახის ფურცელზე, ზოგ შემთხვევაში, შეაწებეს თაბახის ფურცლები და პლაკატის ზომა ასე გაზარდეს. ეს პლაკატები მოსწავლეებმა გამოფინეს სკოლის დერეფნებში და სასკოლო საზოგადოებას გაუზიარეს. ბავშვებმა, როგორც პედაგოგი ამბობს, პლაკატზე დახატეს, ჩაწერეს, გამოიყენეს პლაკატის ყველა მახასიათებელი: შრიფტი, ფერი და ეს ყველაფერი ძალიან სახალისო და საინტერესო გამოვიდა. ბავშვებისათვის, როგორც ჩანს, საინტერესო აღმოჩნდა დიორამის მომზადებაც; დამზადდა ბებოს ბოსტანი და აქ ბავშვებმა სახალისოდ ჩაამწკრივეს ბოსტნეულის რიგები. როგორც რესპოდენტმა ინტერვიუში აღნიშნა, გამოიყენა საგანთა შორის კავშირი; კლასს შესწავლილი ჰქონდა მე-2 კლასში მარიამ წიკლაურის ლექსი, სადაც ბებომ სადილი გაუმზადა თავის ოჯახის წევრებს და ესეც გამოყენებულ იქნა დიორამის დამზადების დროს. როგორც პედაგოგი აღნიშნავს, ბავშვებმა დამზადებული დიორამა შემდეგ უკვე 'ღია კარის' დღეზე წარმოადგინეს.

პროექტმეთოდის გამოყენებისას მომდევნო, მეტად სახალისო აქტივობა იყო მათ მიერ ბოსტნეულის სალათების რეცეპტების შექმნა. ყველა მშობელი მიეხმარა ბავშვებს და შექმნეს ბოსტნეულის სალათის თითო რეცეპტი, თანაც, ამავე დროს, მითითება იყო ასეთი, რომ რეცეპტში მხოლოდ ჯანსაღი საკვები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ეს რეცეპტები, როგორც პედაგოგი ამბობს, ლამაზად გადაწერეს, აკინძეს და გამოვიდა რეცეპტების წიგნი. ამას კიდევ ჩაემატა მომდევნო სახალისო აქტივობაც- ის, რომ პედაგოგმა მოიძია მხატვრული ტექსტები ბოსტნეულის შესახებ. აქ იყო ასეთი ტექსტი: „მშიშარა ბოსტნეული", „ბაჭიების ამბავი" და „ჭკვიანი ბოცო". „ჭკვიანი ბოცო", როგორც რესპოდენტი გვეუბნება, არაჩვეულებრივად კარგი ნაწარმოებია და ქართული ენის გაკვეთილზე ინტეგრირებით დამუშავდა, სადაც

მოსწავლეები მიხვდნენ, როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე და იქ ჰიგიენის წესებიც გამოიკვეთა. რაც შეეხება ტექსტებს: „მშიშარა ბოსტნეული“ და „ბაჭიების ამბავი“, როგორც რესპოდენტი ამბობს, ისინი ბავშვებმა გაითამაშეს და საერთო აქტივობას მეტი ხალისი შემატეს. ეს უკვე გაკვეთილის შემდგომ პერიოდში მოხდა.

გარდა ამისა, ბავშვებმა მინიკვლევა ჩაატარეს ოჯახის წევრებთან, დააკვირდნენ ერთი კვირის განმავლობაში, რა დოზით მიირთმევდნენ ოჯახის წევრები ბოსტნეულს, რომელი ოჯახის წევრი იკვებებოდა ბოსტნეულით, რომელი მცირედ, ან საერთოდ არ მიირთმევდა ბოსტნეულს. რესპოდენტი მიიჩნევს, რომ კვლევა პროექტის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, კვლევით უნარ-ჩვევას ივითარებს ბავშვი, მართალია, ძალიან მინიმალურ დონეზე, მაგრამ მაინც. მაგალითად, ყველა ბავშვს ჰქონდა წინასწარ გამზადებული და დაბეჭდილი ფორმატი და იქ მოხდა ჩანაწერების დაფიქსირება. მაგალითად, ორშაბათს, ოჯახის რომელმა წევრმა მიირთვა, ან არ მიირთვა ბოსტნეული. მოკლედ, ეს იყო დახაზული ფორმა, რომლის შევსებაც ხდებოდა ბავშვების მიერ. შემდეგ, შევსებული ფორმა მათემატიკასთანაც დააკავშირეს და მონაცემთა ანალიზიც ისწავლეს მათემატიკაში და რომელი ოჯახის წევრი მიირთმევს, ან არ მიირთმევს ბოსტნეულს, შედეგების ანალიზიც კი გააკეთეს მოსწავლეებმა თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში.

კლასში 4 კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა ძალიან აქტიური მუშაობა როგორც გაკვეთილზე, ასევე გაკვეთილის შემდგომ. კლასისათვის განსაკუთრებულად საინტერესო მომენტი იყო „ღია კარის დღე’, როდესაც მათ მიერ მიერ ნაშრომი მასალები წარადგინეს ერთმანეთისა და მოწვეული სტუმრების წინაშე. მოწვეული სტუმრები იყვნენ მშობლები, მასწავლებლები, მოიწვიეს ოჯახის ექიმიც, რომელიც, როგორც ინტერვიუდან აღმოჩნდა, კლასთან თანამშრომლობს, ხშირად მოდის ხოლმე გაკვეთილებზე და საჭიროების

შემთხვევაში, პასუხობს მოსწავლეებისათვის საინტერესო კითხვებს. პროექტის დასასრულს გამოიფინა თითოეული მოსწავლის მიერ დამზადებული ყველა პოსტერი, გამზადდა მაგიდა, სადაც თითოეულმა მშობელმა წარმოადგინა ბოსტნეულით დამზადებული ჯანსაღი საკვები და ჩატარდა კონკურსი, ვისი საკვები იქნებოდა ყველაზე ლამაზად მომზადებული. ლამაზი და შემოქმედებითი იდეებით იყვნენ მოსული მშობლები: რაც მთავარია (ამბობს რესპოდენტი), ეს იყო მხოლოდ ჯანსაღი ბოსტნეული.

პროექტის პროდუქტის წარმოჩენის ფაზაში, ჯერ გაკეთდა პრეზენტაცია და შეგროვილი ინფორმაცია მიეწოდათ სტუმრებს; თითოეული ბავშვი გამოდიოდა და თავისი პოსტერის გვერდზე საუბრობდა, რა გააკეთა და რომელი ბოსტნეული რამდენად სასარგებლოა. ინფორმაციები სახალისი იყო და სახალისო ფორმით მოფიქრებული; ეს არ იყო დაწერილი წიგნის ენაზე, მკაცრად განსაზღვრული წესების დონეზე; ეს იყო ნაჩვენები სახალისო ფორმატით, ბავშვის გასაგებ ენაზე. ისინი თავიდან წარმოადგენდნენ ამ თავიანთ ინფორმაციას თითოეულ ბოსტნეულზე, შემდეგ უკვე დედაც გამოდიოდა და შვილთან ერთად გვესაუბრებოდა, როგორ დამზადდა მათი ბოსტნეულის სალათი. შემდეგ კლასის ჟიურის წევრები, სადაც ყველა მოსწავლე იყო ჩართული, ქულებს აჩვენებდნენ და ბოლოს უნდა შეკრებილიყო, რომელი გაიმარჯვებდა. როგორც პედაგოგი ამბობს, გაითვალისწინა, რომ ნაწყენი არ დარჩენილიყო რომელიმე და წინასწარ გათვალა, რომ ათივე სუპერმზარეული დედიკო იქნებოდა. თუმცა, მაინც უნდოდათ, რომ სამეული ყოფილიყო გამოყოფილი. როგორც პედაგოგი ამბობს, ყოველგვარი მისი ჩარევის გარეშე, ბავშვებმა ამოარჩიეს სამი საუკეთესო, ესთეტიურად გაფორმებული სალათი. ყველა მშობელმა ისაუბრა როგორ დაამზადეს, შვილებმა რა მონაწილეობა მიიღეს, დაჭრეს, თუ შეაზავეს, ან გააფორმეს. გარდა ამისა, კლასის ბავშვებმა გაითამაშეს სპექტაკლები ღია კარის დღეზეც; ოჯახის ექიმს დაუსვეს შეკითხვები, თუმცა, როგორც ექიმმა აღ-

ნიშნა, რომ იმდენად სრულყოფილი ინფორმაცია მოაწოდეს ბავშვებმა, რომ აღარც კი იცოდა, რა დაემატებინა, თუმცა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჯანსაღი ცხოვრებისთვის და სულიერი სიჯანსაღისთვისაც აუცილებლად უნდა გამოეყენებინათ ეს საკვები. ოჯახის ექიმმა პატარა ბოსტნეულის ნობათი მოუტანა ყველა ბავშვს საჩუქრად. თავად პედაგოგმაც, როგორც ინტერვიუში აღნიშნა, ყველა ბავშვს თოვლის პაპის საჩუქარი სტაფილოები ჩამოურიგა.

თავად პედაგოგი მის მიერ განხორციელებული პროექტმეთოდის გამოყენებას აფასებს. მისი აზრით, „ეს გახლდათ ზეიმის ელემენტებისა და თავად ცოდნის შემცველი, სადაც მოსწავლეები დაეუფლნენ არა მხოლოდ დეკლარატიულ ცოდნას, არამედ მოხდა ამ სფეროში უნარების განვითარებაც'. პროექტმეთოდის გამოყენება იყო სახალისო, მოიცავდა არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ კლასგარეშე აქტივობებსაც. მოსწავლეები იყვნენ აქტიური, შემოქმედებითი, სწავლებაში მაქსიმალურად ჩართული. ბავშვები გახალისდნენ მუსიკალური ნომრებით, გათამაშებული სპექტაკლით; კმაყოფილები დარჩნენ მშობლებიც, მეტი მოტივაციისა და წახალისებისათვის ყველას გადაეცა სიგელები, სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს და მთელი ნაშრომი პროდუქტები გაუზიარეს სასკოლო საზოგადოებას; სკოლის დერეფანში გამოფინეს დამზადებული პლაკატები, დიორამები, რეცეპტების წიგნი, ასევე სკოლის ფეისბუქგვერდზე ატვირთეს ნაშრომები.

პედაგოგი პროექტის მსვლელობისას წერილობით ჩანაწერებს აკეთებდა თოთოეული მოსწავლის ჩართულობის შესახებ და თითოეულ მოსწავლეს აძლევდა უკუკავშირებს" 2-3 წინადადების დონეზე", რამდენად მოეწონათ, კმაყოფილები იყვნენ თუ არ იყვნენ. მას დღესაც შენახული აქვს ერთი მოსწავლის ჩანაწერი, სადაც ის ამბობს, რომ დღეიდან თავის რაციონში შეიტანს აუცილებლად სტაფილოს. მისი აზრით, ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეებმა ცნობიერების დონეზე მათაც გაითავისეს, რა სასარგებლო ყოფილა ბოსტნეულის მიღება და საბოლოოდ, დიდი სასკოლო პროექტის ამოცანა, რომ

ჯანსაღი ცხოვრების წესის არსი მოსწავლეებს გაეცნობიერებინათ, რაღაც დონეზე, მე-2 კლასის მოსწავლეებმა წარმატებით შეასრულეს.

პროექტმეთოდის გამოყენების ეფექტურობის შეფასების შესახებ, მშობლებმა პედაგოგის თხოვნით დააწერეს რეფლექსია, რამდენად მოეწონათ ეს ღონისძიება. როგორც პედაგოგი ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნავს, ეს იყო დადებითი შეფასებები, მადლობებით აღსავსე წერილები, რაც მისი შემდგომში გამოყენების სტიმულს იძლევა. რესპოდენტი ინტერვიუში ამბობს, რომ სკოლის პედაგოგებმაც, რომლებიც პროექტის შემაჯამებელ ფაზას დაესწრნენ, პროექტი დადებითად შეაფასეს. თავად პედაგოგი ამბობს, რომ ეს იყო აქტივობა, რომელიც დაგეგმილ შედეგზე გავიდა და იმდენად დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რომ გადაწყვიტეს, სკოლის ტრადიციებში ჩაესვათ. პროექტის განხორციელებისას გამოჩნდა მშობლების მხრიდან არაჩვეულებრივი მხარდაჭერა, რაც იყო ტიპური მაგალითი იმისა, როგორ უნდა იყოს მშობელი ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

პროექტის განხორციელებისას მიღებული ცოდნა ბავშვებმა ცხოვრებისეულ მაგალითებს დაუკავშირეს და ხალისით დაიმახსოვრეს, მაქსიმალური ჩართულობითა და მრავალფეროვანი აქტივობებით კონკრეტულ შედეგზე გავიდნენ, კერძოდ, აქცენტი გაკეთებული იყო 1-4 კლასების საფეხურზე, ბუნებისმეტყველებაში არსებულ სამიზნე ცნებებზე ჯანმრთელობსაა და ჰიგიენზე და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მოსწავლეთა ცნობიერებაში, რაც წარმატებით განხორციელდა.

პედაგოგი იმედიანადაა განწყობილი პროექტმეთოდის გამოყენების მიმართ და აპირებს, რომ მიმდინარე წელს კვლავ ჩაერთოს უკვე სკოლის მიერ დაანონსებული ახალი პროექტის მუშაობაში, რომელიც გარემოს დაცვას შეეხება, სადაც კომპლექსური დავალების განხორციელებაც იქნება ჩართული და წინა გამოცდილებას იქაც ეფექტურად გამოიყენებს.

პროექტის მსვლელობისას ყველა მოსწავლეს ჰქონდა მისგან განმავითარებელი, მხოლოდ ზეპირი შეფასება. როგორც თავად ამბობს, წერილობითი შეფასება არ გაუკეთებია, თუმცა ყოველი პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეები მისგან ღებულობდნენ უკუკავშირს. როდესაც მოსწავლეებმა მშობლებთან ერთად და დამოუკიდებლადაც წარმოადგინეს თავიანთი პლაკატები, ამ მომენტში ყველა მოსწავლეს მისცა პედაგოგმა სათანადო უკუკავშირი და ბოლოს, როცა პროექტი მთლიანობაში დასრულდა, ყველა მოსწავლის მიმართ გამოკვეთა პედაგოგმა დადებითი მხარეები, თუმცა, გარკვეული რჩევებიც მისცა კომენტარის გაკეთების პარალელურად.

პროექტმეთოდის გამოყენებისას სიძნელეებს ვერ ხედავს პედაგოგი, თუმცა, მისი აზრით, გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ასაკი, პროექტზე მუშაობის გამოცდილება, ინტერესები, გონივრული დაგეგმარება, რათა პროექტი სწორი გზით წავიდეს და დაგეგმილ შედეგებზე გავიდეს.

მისი განხორციელების მთავარი მამოძრავებელი ძალა კი (როგორც რესპოდენტი ინტერვიუში ამბობს), მასწავლებლის მოტივაცია და მონდომეაა, მაგრამ კარგი შედეგების მიღწევა თავად მასწავლებლის მოტივაციას კიდევ უფრო ამაღლებს, ასე რომ, ეს ორი რამ ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია.

N3 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი

გამოცდილება/პროფესიული გზა

მესამე რესპოდენტი არის გურჯაანის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი სოფლის დაწყებითი საფეხურის კომბინირებული: ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების პედაგოგი. მას სკოლაში მუშაობის 20 წელიზე მეტი ხნის გამოცდილება აქვს. არის მუდმივად ინოვაციური იდეების მაძიებელი და განმახორციელებელი პედაგოგი. ის წლების განმავლობაში იყო USAID-ის საბაზო განათლების პროგრამის ლიდერი პედაგოგი და პროგრამის

მსვლელობისას გამოირჩეოდა პროგრამის მიერ შეთავაზებული ინოვაციური მეთოდებისადმი დაინტერესებით და კლასში განხორციელების სურვილით, ამიტომ მასთან პროექტმეთოდის კლასში განხორციელების შესახებ საუბარი უცხო არ აღმოჩნდა და ხალისით ჩაერთო ინტერვიუში. მას შემოქმედებითი გაკვეთილების ჩატარების დიდი გამოცდილება აქვს და უამრავი მასალაც მოგვაწოდა მისი მოსწავლეების მიერ ჩატარებული აქტივობების შესახებ. ამჯერად მის მიერ პროექტმეთოდის განხორციელების შესახებ ვისაუბრეთ, რომელიც მეორე კლასში განხორციელდა.

პროექტმეთოდის გამოყენების სიხშირე

როგორც პედაგოგი აღწერს, ეს პროექტი განხორციელდა 2023 წელს ბუნებისმეტყველებაში და ავითარებს აზრს, რომ იმ პერიოდში მის სკოლაში განხორციელდა საერთო სასკოლო პროექტი ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებით, რადგან ყველა სკოლა, პრიორიტეტული თემის ფარგლებში, ახორციელებს ხოლმე პროექტებს. პედაგოგი ინტერვიუში დასძენს, რომ აქტიურად იყო ჩართული ამ პროექტის განხორციელებაში ყველა ეტაპზე, მისი დაგეგმვიდან დაწყებული, რადგან ის იყო საპროექტო ჯგუფის ერთ -ერთი წევრი და თავისი სადამრიგებლო კლასის ფარგლებში სხვადასხვა აქტივობა შეიმუშავა. ერთ-ერთი აქტივობა იყო სწორედ პროექტმეთოდის გამოყენება ბუნებისმეტყველებაში კონკრეტულ თემაზე, რომელიც განხორციელდა კლასში. პროექტის სათაური გახლდათ: „ბოსტნეული ჩვენი მეგობარია," ის მიმდინარეობდა დაახლოებით 4 კვირის განმავლობაში, 2023 წლის იანვარ-თებერვალი.

თუმცა, პედაგოგი ინტერვიუში ირწმუნება, რომ პროექტმეთოდს სხვადასხვა კლასში და სხვადასხვა საგნის სწავლებაშიც იყენებს და მოგვიანებით ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარებული პროექტის მრავალფეროვან მასალასაც გვიგზავნის.

პედაგოგი სკოლაში სამი განსხვავებული საგნის მასწავლებელია, ასე რომ, სემესტრში მინიმუმ სამი პროექტმე-

თოდის გამოყენება უწევს, რაც საკმაოდ ნორმალური მაჩვენებელია.

პედაგოგის მიერ პროექტმეთოდის დაგეგმარება, მიზნებისა და აქტუალობის განსაზღვრა

პედაგოგი გვარწმუნებს, რომ პროექტის შემუშავების საწყის ეტაპზე დაეყრდნო ეროვნულ სასწავლო გეგმას და სტანდარტებს ბუნებისმეტყველებაში, რათა, როგორც თავად ამბობს ინტერვიუში, ბავშვებისთვისაც საინტერესო ყოფილიყო და თან სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსულიყო. აქცენტი გაკეთებულია 1-4 კლასების საფეხურზე ბუნებისმეტყველების საგნის სამიზნე ცნებებზე, სადაც მითითებულია ჯანმრთელობა და ჰიგიენა. როგორც პედაგოგი ასკვნის, სწორედ ამ ცნებაზე მოუწიათ გარკვეული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება მოსწავლეთა ცნობიერებაში, რაც, მისი აზრით, წარმატებით განხორციელდა.

N3 რესპოდენტი მსჯელობას, თუ როგორ დაგეგმა პროექტი, განსაზღვრა მისი აქტუალობა, მიზნები და განხორციელების ეტაპები, რომლებიც შემდგომში ეტაპობრივად განახორციელა და მოსწავლეები დაგეგმილ შედეგებზე გაიყვანა. პედაგოგი მეტად წინდახედულად მოქმედებს და მდგრადი განვითარების მიზნებსაც მიმოიხილავს, სადაც მითითებულია მე-3 მიზანი, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, რომ მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს ყველა ასაკის ადამიანისათვის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

პედაგოგი სრულიად ლოკიგურად ითვალისწინებს პროექტის აქტუალობას და განავითარებს მსჯელობას, რომ მე-2 კლასის ბავშვებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული ბოსტნეულის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და თვლის, რომ ეს ნამდვილად აქტუალური პრობლემაა. მხოლოდ პროექტის დაგეგმვისას ფიქრობს, როგორ მიაწოდოს ეს მეთოდი ბავშვებს, რომ ის ნამდვილად საინტერესო იყოს და, ამავდროულად, ითვალისწინებდეს მოსწავლეთა საჭიროებებს.

მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა და შეფასება

პედაგოგისათვის მისაღებია ის მოსაზრება, რომ მოსწავლეები მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ საპროექტო აქტივობებში და როგორც თავად აფიქსირებს, მაქსიმალურად წაახალისებს მოსწავლეების მიერ შემოტანილ იდეებს; და რომ პედაგოგისაგან მათ აქვთ აბსოლუტური თავისუფლება. როგორც რესპოდენტი ავითარებს ამ საკითხზე მსჯელობას, მოსწავლეები ყოველთვის ეუბნებიან, მარტო ამ პროექტში კი არა, ნებისმიერი სასწავლო აქტივობის დროს: „მოდი, მასწავლებელო, ესეც გავაკეთოთ, ესეც ხომ არ გაგვეკეთებინა, ესეც ხომ არ ჩაგვემატებინა და დარწმუნებულია, რომ ამ ქმედებების წახალისება იწვევს შემდგომ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას."

როგორც პედაგოგი აფიქსირებს, შეფასების გარეშე არ არსებობს არც ერთი აქტივობა და ამ შემთხვევაშიც იგი ყველა მოსწავლეს აძლევს განმავითარებელ, ზეპირი შეფასებას. როგორც თავად აფიქსირებს, წერილობითი შეფასება არ გაუკეთებია, თუმცა, ყოველი პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლეები მისგან ღებულობდნენ უკუკავშირს. ასავე, ამყარებს რა თავის მოსაზრებას, პედაგოგი ამბობს, რომ, როდესაც მოსწავლეებმა მშობლებთან ერთად და დამოუკიდებლადაც წარმოადგინეს თავიანთი პლაკატები, ამ მომენტში ყველა მოსწავლეს მისცა მან სათანადო უკუკავშირი და, ბოლოს, როცა პროექტი მთლიანობაში დასრულდა, ყველა მოსწავლის მიმართ გამოკვეთა დადებითი მხარეები, თუმცა, კომენტარის გაკეთების პარალელურად, გარკვეული, განმავითარებელი რჩევებიც მისცა.

პროექტის მიმდინარეობა და შედეგი

ავითარებს რა მსჯელობას პედაგოგი პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ, აღნიშნავს, რომ პროექტი თავის თავში სხვადასხვა აქტივობას მოიცავდა. პირველი აქტივობა, სადაც ინფორმაციის მოძიება იყო საჭირო, აქტიური თავად იყო უფრო მეტად: მოსწავლეთა ასაკის შესაბამისი ინფორმაცია მოიძია. რადგანაც კლასში 10 მოსწავლე იყო, პედაგოგმა

ყველას თითო-თითო ბოსტნეული შეურჩია და მიაწოდა ეს ინფორმაცია თითოეულს, პრეზენტაციის ფორმაც შეარჩია. ამავდროულად, პედაგოგმა ბავშვებს ურჩია, რომ თავადაც დაემატებინათ ინფორმაციები სხვადასხვა ჟურნალიდან, ენციკლოპედიიდან, ან მშობელთა ჩართულობით დამატებით ინფორმაცია და არსებული შეევსოთ. როგორც კი ეს სამეცნიერო ინფორმაცია მოძიებულ იქნა, მოსწავლეები შეუდგნენ პლაკატების გაკეთებას, გააკეთეს ინდივიდუალური პლაკატი იმ ბოსტნეულზე, რომელიც შეხვდათ; კონკრეტულ ბოსტნეულზე, ზოგმა დაამზადა თაბახის ფურცელზე, ზოგმა შეაწება თაბახის ფურცლები და პლაკატის ზომა ასე გაზარდა. ბავშვებმა, როგორც პედაგოგი აფიქსირებს, პლაკატზე დახატეს, ჩაწერეს, გამოიყენეს პლაკატის ყველა მახასიათებელი: შრიფტი, ფერი. საინტერესო აღმოჩნდა დიორამის მომზადებაც; დამზადდა ბებოს ბოსტანი და აქ ბავშვებმა სახალისოდ ჩაამწკრივეს ბოსტნეულის რიგები. როგორც რესპოდენტი ინტერვიუში აჯამებს, პროექტის მიმდინარეობისას იყენებს საგანთა შორის კავშირს; კერძოდ, კლასს შესწავლილი აქვს მე-2 კლასში მარიამ წიკლაურის ლექსი, სადაც ბებომ სადილი გაუმზადა თავის ოჯახის წევრებს და ესეც გამოყენებულია დიორამის დამზადების დროს. როგორც პედაგოგი აცხადებს, ბავშვებს ძალიან სახალისო, საინტერესო მაკეტი გამოუვიდათ, რომელიც შემდეგ უკვე ღია კარის დღეზე წარმოადგინეს.

როგორც ირკვევა, აღნიშნული პროექტმეთოდი არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე აქტივობით, არამედ სხვადასხვა, ერთმანეთზე სახალისო და საინტერესო აქტოვობებია წარმოდგენილი: თავად მოსწავლეების მიერ ბოსტნეულის სალათების რეცეპტების შექმნა. სადაც მხოლოდ ჯანსაღი საკვები უნდა იყოს გამოყენებული, ამ რეცეპტების აკინძვა და წიგნად ქცევა. ამას კიდევ ემატება მომდევნო სახალისო აქტივობაც: პედაგოგმა მოიძია მხატვრული ტექსტები ბოსტნეულის შესახებ, როგორებიცაა: „მშიშარა ბოსტნეული“, „ბაჭიების ამბავი“ და „ჭკვიანი ბოცო“. „ჭკვიანი ბოცო”,

როგორც რესპოდენტი გვეუბნება, ქართული ენის ინტეგრირებით დამუშავდა, მოსწავლეები მიხვდნენ, როგორ უნდა მოიქცეს მოსწავლე და იქ ჰიგიენის წესებიც გამოიკვეთა. რაც შეეხება ტექსტებს: „მშიშარა ბოსტნეული“ და „ბაჭიების ამბავი“, როგორც პედაგოგი აცხადებს, ისინი ბავშვებმა გაითამაშეს და საერთო აქტივობას მეტი ხალისი შემატეს. ეს უკვე გაკვეთილის შემდგომ პერიოდში მოხდა.

ჩვენთვის მეტად საყურადღებოა, რომ ბავშვები ამ პროექტის ფარგლებში კვლევის უნარ-ჩვევებსაც ივითარებენ. ისინი მინიკვლევას ატარებენ ოჯახის წევრებთან — ერთი კვირის განმავლობაში რა დოზით მიირთმევენ ოჯახის წევრები ბოსტნეულს. ბავშვები 7 დღის მანძილზე იღებენ მონაცემებს, რომელი ოჯახის წევრი იკვებებოდა ბოსტნეულით, რომელი მცირედ, ან საერთოდ არ მიირთმევდა ბოსტნეულს. პედაგოგმა დააფიქსირა, რომ ყველა ბავშვს ჰქონდა წინასწარ გამზადებული და დაბეჭდილი ფორმატი და იქ მოხდა ჩანაწერების დაფიქსირება. მაგალითად, ორშაბათს, ოჯახის რომელმა წევრმა მიირთვა, ან არ მიირთვა ბოსტნეული. მოკლედ, ეს იყო დახაზული ფორმა, რომლის შევსებაც ხდებოდა ბავშვების მიერ. შემდეგ, შევსებული ფორმა მათემატიკასთანაც დააკავშირეს; როგორც რესპოდენტი ამბობს, მონაცემთა ანალიზი ისწავლეს მათემატიკაში და რომელი ოჯახის წევრი მიირთმევს, ან არ მიირთმევს, შედეგების ანალიზიც კი გააკეთეს ბავშვებმა თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში.

პედაგოგი მიიჩნევს, რომ კვლევა პროექტის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, კვლევით უნარ-ჩვევას ეჩვევა ბავშვი, მართალია, ძალიან მინიმალურ დონეზე, რასაც, საბოლოოდ, მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებამდე მივყავართ.

პროექტის გაზიარება საზოგადოებისათვის:

პედაგოგი აცხადებს, რომ პროექტის მიმდინარეობის ფარგლებში ძალიან აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა როგორც გაკვეთილზე, ასევე გაკვეთილის შემდგომ და ავითა-

რებს ამის შესახებ მეტად საყურადღებო მსჯელობას; კლასისათვის განსაკუთრებულად საინტერესო მომენტი იყო ღია კარის დღე, როდესაც მათ მიერ მიერ ნაშრომი მასალები წარადგინეს ერთმანეთისა და მოწვეული სტუმრების წინაშე. მოწვეული სტუმრები იყვნენ მშობლები, მასწავლებლები, მოიწვიეს ოჯახის ექიმიც, რომელიც, როგორც ინტერვიუდან აღმოჩნდა, კლასთან თანამშრომლობს, ხშირად მოდის ხოლმე გაკვეთილებზე და საჭიროების შემთხვევაში, პასუხობს მოსწავლეების მათ მიერ დასმულ კითხვებზე. პროექტის დასასრულს, გამოიფინა თითოეული მოსწავლის მიერ დამზადებული ყველა პოსტერი, გამზადდა მაგიდა, სადაც თითოეულმა მშობელმა წარმოადგინა ბოსტნეულით დამზადებული ჯანსაღი საკვები და ჩატარდა კონკურსი, ვისი საკვები იქნებოდა ყველაზე ლამაზად მომზადებული:

"განცვიფრებული დავრჩი, ისეთი ლამაზი და შემოქმედებითი იდეებით იყვნენ მოსული მშობლები, სალათებით იყო შექმნილი სახე, თვალები ზეთისხილის მარცვლებით იყო გაფორმებული, ასევე უცნაური გვირილის ფორმის ყვავილები იყო და სხვა. რაც მთავარია , ეს იყო მხოლოდ ჯანსაღი ბოსტნეულით მომზადებული. „

პროექტის პროდუქტის წარმოჩენის ფაზაში, ჯერ გაკეთდა პრეზენტაცია და შეგროვილი ინფორმაცია მიეწოდათ სტუმრებს; თითოეული ბავშვი გამოდიოდა და თავისი პოსტერის გვერდზე საუბრობდა, რა გააკეთა და რომელი ბოსტნეული რამდენად სასარგებლოა. ისინი თავიდან წარმოადგენდნენ ინფორმაციას თითოეულ ბოსტნეულზე, შემდეგ უკვე დედაც გამოდიოდა და შვილთან ერთად გვესაუბრებოდა, როგორ დამზადდა მათი ბოსტნეულის სალათი. შემდეგ კლასის ჟიურის წევრები, სადაც ყველა მოსწავლე იყო ჩართული, ქულებს აჩვენებდნენ და ბოლოს უნდა შეკრებილიყო, რომელი გაიმარჯვებდა. როგორც პედაგოგი ამბობს, ყოველგვარი მისი ჩარევის გარეშე ბავშვებმა ამოარჩიეს სამი საუკეთესო ესთეტიურად გაფორმებული სალათი. ყველა მშობელმა ისაუბრა, როგორ დაამზადეს, შვილებმა რა მონაწილეობა მიი-

ღეს, დაჭრეს თუ შეაზავეს/გააფორმეს. გარდა ამისა, კლასის ბავშვებმა გაითამაშეს სპექტაკლები ღია კარის დღეზეც; ოჯახის ექიმს დაუსვეს შეკითხვები, თუმცა, როგორც ექიმმა აღნიშნა, იმდენად სრულყოფილი ინფორმაცია მოაწოდეს ბავშვებმა, რომ აღარც კი იცოდა, რა დაემატებინა, თუმცა ხაზი გაუსვა იმას, რომ ჯანსაღი ცხოვრებისთვის და სულიერი სიჯანსაღისთვისაც აუცილებლად უნდა გამოეყენებინათ ეს საკვები. ოჯახის ექიმმა პატარა ბოსტნეულის ნობათი მოუტანა ყველა ბავშვს საჩუქრად. თავად პედაგოგმაც, როგორც ინტერვიუში აღნიშნა, ყველა ბავშვს თოვლის პაპის საჩუქარი სტაფილოები ჩამოურიგა.

მშობელთა მხარდაჭერა და ჩართულობა

პედაგოგი მის მიერ განხორციელებული პროექტმეთოდის გამოყენებას აფასებს და აღნიშნავს :

“ ეს გახლდათ ზეიმის ელემენტებისა და თავად ცოდნის შემცველი, სადაც მოსწავლეები დაეუფლნენ არა მხოლოდ დეკლარატიული ცოდნას, არამედ მოხდა ამ სფეროში ფუნქციური უნარების განვითარებაც; „

“ ყველაზე დიდი პლუსი, რაც აქვს პროექტმეთოდით სწავლებას(როგორც პედაგოგი აფიქსირებს), არის ის, რომ მოსწავლე არის აქტიური, შემოქმედებითი, სწავლებაში მაქსიმალურად ჩართული. „

რაც შეეხება თავად მოსწავლეების შეფასებას, პედაგოგი აცხადებს, რომ ურჩევია იყოს წერილობითი ჩანაწერები იმის დასანახად, ბავშვმა რა გააკეთა, თუმცა მოსწავლეებისაგან მცირე უკუკავშირებიც აქვს, 2-3 წინადადების დონეზე, რამდენად მოეწონათ, კმაყოფილები იყვნენ თუ არა ამ აქტივობებით.

პროექტმეთოდის გამოყენების ეფექტურობა მშობლებმაც შეაფასეს, დააწერეს რეფლექსია, რამდენად მოეწონათ ეს ღონისძიება:

“ ეს იყო უაღრესად პოზიტიური შეფასებები, მადლობებით აღსავსე წერილები, რაც პროექტმეთოდის შემდგომში გამოყენების სტიმულს იძლევა.”

პროექტის შეფასება

სკოლის პედაგოგებმაც, რომლებიც პროექტის შემაჯამებელ ფაზას დაესწრნენ, პროექტი დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს, სკოლის ტრადიციებში ჩაესვათ.

პროექტი, როგორც პედაგოგი ამბობს, განსაკუთრებული იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ გამოჩნდა მშობლების მხრიდან არაჩვეულებრივი მხარდაჭერა:

“ დღეს როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ მშობელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, სწორედ ეს იყო ამის ტიპური მაგალითი. „

ხედვა/დამოკიდებულება პროექტმეთოდით სწავლების მიმართ

პედაგოგი იმედიანადაა განწყობილი პროექტმეთოდის გამოყენების მიმართ და აპირებს, რომ მიმდინარე წელს კვლავ ჩაერთოს უკვე სკოლის მიერ დაანონსებული ახალი პროექტის მუშაობაში, რომელიც გარემოს დაცვას შეეხება. ამ პროექტის განხორციელების ფარგლებში ის კომპლექსური დავალების განხორციელებასაც გეგმავს. რესპოდენტი მიდის დასკვნამდე, რომ პროექტმეთოდი სცილდება საგაკვეთილო ფარგლებს და ერთგვარად გაკვეთილის ჩარჩოებიდან გადის, რაც კიდევ უფრო შინაარსიანსა და შემოქმედებითს ხდის მას.

პედაგოგი გვარწმუნებს, რომ კარგად დაგეგმილი და განხორციელებული პროექტმეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში მაქსიმალურად ააქტიურებს მოსწავლეთა ჩართულობას, შეაიარაღებს ახალი ცოდნითა და უკვე შეძენილს განამტკიცებს, შესძენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ხოლო მის ცოდნას უფრო ფუნქციურს გახდის.

სირთულეები და დაბრკოლებები პროექტში

რაც შეეხება გამოწვევებს, რესპოდენტი, პროექტმეთოდის გამოყენებისას, მნიშვნელოვან სიძნელეს ან სირთულეს ვერ ხედავს, თუმცა, ეთანხმება საერთო მოსაზრებას, რომ გასათვალისწინებელია მოსწავლეთა ასაკი, პროექტზე

მუშაობის გამოცდილება, ინტერესები, გონივრული დაგეგმარება, რათა პროექტი სწორი გზით წავიდეს და დაგეგმილ შედეგებზე გავიდეს. თუმცა, პედაგოგი იქვე გვარწმუნებს, რომ მისი განხორციელების მთავარი მამოძრავებელი ძალა მასწავლებლის მოტივაცია და მონდომებაა და კარგი შედეგების მიღწევა თავად მასწავლებლის მოტივაციასაც ამაღლებს; ასე რომ, ეს ორი რამ ერთმანეთთან მჭიდროდ ურთიერთკავშირშია.

რეკომენდაცია პედაგოგებს

პედაგოგი გვაძლევს რეკომენდაციას, მაგალითად, გამომდინარე იქიდან, რომ მე-2 კლასის მოსწავლე, მისი კოგნიტური განვითარების დონიდან ვერ იქნება მეტად აქტიური თავად ამ პროექტის შემუშავების პროცესში, აქ თავიდან მასწავლებელი უნდა იყოს ფასილიტატორი, გეზის მიმცემი, ხოლო შემდეგ უკვე, ზედა კლასებში, მოსწავლეთა ჩართულობა პროექტის შემუშავების პროცესში, ნელ-ნელა იზრდება. უნდა შეიმუშაოს მიზნები, ამოცანები, განხორციელების გეგმა და, ამავე დროს, წაახალისოს მოსწავლეები, რომ პროექტი თავიანთი იდეებით მაქსიმალურად გაამდიდრონ, ხოლო მოსწავლეები დამოუკიდებელ აზროვნებასა და იდეების გენერირებას მიაჩვიოს.

დასკვნა

ამრიგად, კონკრეტული სკოლის კონკრეტული პედაგოგის მაგალითზე, პროექტმეთოდის გამოყენება აქტიურად ხდება გაკვეთილზე და მას ასევე კონკრეტული მიზნები და შედეგები აქვს. პროექტმეთოდის გამოყენება, უმეტესად, ახალი მასალის შემოტანას, ან უკვე ნასწავლის განმტკიცებას ემსახურება და, რაც ყველაზე მთავარია, მოსწავლეების დიდ ჩართულობასა და დაინტერესებას იწვევს.

იმასთან ერთად, რომ მოსწავლე კონკრეტული მიზნის მისაღწევად შრომობს, იღებს ჯგუფში თუ ინდივიდუალური მუშაობის, პროდუქტის შექმნისა და პრეზენტირების დიდ გამოცდილებას; ხდება უფრო შემოქმედებითი და ახალი,

კრეატიული იდეების შემმუშავებელი. რესპოდენტის პასუხებიდან თვალნათლივ ჩანს მშობელთა ჩართულობა და მხარდაჭერა.

ხაზგასასმელია მასწავლებლის აქტიურობა პროექტის დაგეგმვის და განხორციელების კუთხით, სადაც მოსწავლეები უფრო შემსრულებლებად გვევლინებიან.

N4 რესპოდენტის ნარატივი

N4 რესპოდენტი გურჯაანის რაიონის ერთ-ერთი სოფლის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურისა და ბუნებისმეტყველების პედაგოგია, რომელსაც მასწავლებლობის 30 წლიანი გამოცდილება აქვს.

რესპოდენტმა სულ რამდენიმე დღის წინ დაასრულა ბუნებისმეტყველებაში პროექტი, რომელიც მისთვის და ბავშვებისთვის კიდევ იმით იყო გამორჩეული, რომ ინტეგრირებული გამოვიდა: „ეს იყო, რა თქმა უნდა, გარკვეული პროცესი, ინტეგრირება მოვახდინე ხელოვნებასთან და ქართულთან. თვითონ, უშუალოდ თემა იყო ბუნებისმეტყველების, კონკრეტულად — წყალი, როგორც საარსებო გარემო. „ კერძოდ, საკითხი იყო გეოგრაფიული ობიექტები, კერძოდ, ტბა, როგორც ცოცხალი ორგანიზმების საარსებო გარემო. ამ ტბის შესახებ შექმნეს მოსწავლეებმა დიორამა.

პედაგოგმა თავდაპირველად გააცნოთ ინფორმაცია გეოგრაფიული ობიექტების შესახებ: მდინარე, სათავე, შენაკადი, კალაპოტი, ტბა, ზღვა, ოკეანე. შემდეგ ისაუბრეს საბინადრო გარემოზე, სადაც გამოიკვეთა სუფთა გარემო და დაბინძურებული გარემო. გამოკვეთა, როგორ გრძნობენ თავს წყლის ბინადრები სუფთა გარემოში და დაბინძურებულ გარემოში, რა საფრთხე ელოდება მათ ასეთ გარემოში ყოფნისას. ამასთან დაკავშირებით, მან მოახდინა ინტეგრირება ქართულთან და შეიტანა კლასში კაპანაძის ნაწარმოები: „სველი წერილი“, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ შეკითხვებით დაამუშავეს. ქართულის გაკვეთილზე ნახეს ანიმაციური ფილმი და პარალელი ტექსტთან. გააკეთეს მსგავსება-განსხვავება და, ბოლოს, დაუკავ-

შირეს ეს ყველაფერი ბუნებიმეტყველების გაკვეთილს, კერძოდ, შეაჯამეს სუფთა გარემო როგორ მოქმედებს წყლის ბინადრებზე და დაბინძურებულ გარემოს რა ზიანის მოტანა შეუძლია. პედაგოგის რეკომენდაციით, ბავშვებმა გააკეთეს დიორამა, ხოლო ამისათვის, ხელოვნებაში ნასწავლი ფერები დაიხმარეს და დამატებით, ინტერენტით მოიძიეს ინფორმაცია, თუ როგორ შეექმნათ თავად დიორამა.

თემა იყო ვრცელი და მასზე მუშაობას დაახლოებით 3 კვირა დასჭირდა. კლასში გეოგრაფიული ობიექტებიც განხილეს. ნახეს ასევე ფილმი „რატომ არ ილევა დედამიწაზე წყლის რესურსი". შედეგად მოსწავლეებმა შექმნეს პედაგოგის დახმარებით სიმბოლოები წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად და სხვადასხვა ადგილზე გამოაკრეს.

პროექტის ინიციატივა მასწავლებლიდან წამოვიდა, თუმცა ბავშვების ინიციატივა იყო დიორამების შექმნა სხვადასხვა სიუჟეტით, რას უკავშირდებოდა წყლის ცხოველების შესაბამის საარსებო გარემოში განთავსებას.

მოსწავლეები პროექტის განხორციელების დროს იმყოფებოდნენ მდინარეზე, მასწავლებლი თქმით, ტბის ნახვა ვერ მოხერხდა, თუმცა მოსწავლეებმა ნახეს, როგორი იყო სანაპირო ზოგადად, ისწავლეს იმის გაგება, მდინარის რომელ მხარეს იმყოფებოდნენ, რომელი იყო მდინარის მარჯვენა, მარცხენა შენაკადები და ა. შ.

პროექტის განხორციელებისას გამოწვევა ჰქონდათ დროის ფაქტორის სახით... როგორც რესპოდენტმა გვითხრა: „დიორამა იმდენად რთულია, რომ ამას მოსწავლეები ერთ გაკვეთილზე ვერაფრით გააკეთებენ. საკმაოდ სერიოზული სამუშაოა. პედაგოგმა ყუთები მოატანინა ბავშვებს, ფილმიც ნახეს დიორამის გაკეთების შესახებ, ყუთები დაჭრეს, გააკეთეს, ცხოველები პლასტელინით გამოძერწეს, ყუთის კედლები შეღებეს ჩაფიქრებული იმიტაციის შესაქმნელად, რამაც დიდი დრო წაიღო". მოსწავლეებმა სამუშაო სახლში დაასრულეს.

პროექტი განხორციელდა მე-2 კლასში. ბავშვების აქტიურობა და ჩართულობა იყო მაქსიმალური, მათ მასალაზე

ინტერესით იმუშავეს და რესპოდენტმა ყველას განმავითარებელი შეფასება მისცა.

პედაგოგი თვლის, რომ პროექტის განხორციელებამ გაამართლა, დავალებები შესაბამისი იყო და მიზანს მიაღწიეს. პედაგოგი ფიქრობს, რომ მოსწავლეები თანდათანობით დაიხვეწებიან და განიმტკიცებენ ცოდნას. რესპოდენტი დარწმუნებულია, რადგან, მისივე თქმით, მოსწავლეებს იმდენად მოეწონათ რესურსებზე მუშაობა და პროექტის ფარგლებში იმდენი რამ ისწავლეს, რომ თავად გამოთქვამენ სურვილს, მსგავსი აქტივობები კვლავ გაიმეორონ.

რესპოდენტმა აღნიშნა, რომ პროექტზე მუშაობა მიზნად ისახავდა ახალი მასალის შემოტანას. ისინი ქართულის გაკვეთილზეც და ბუნების გაკვეთილზეც კომიქსზე, მაორგანიზებელი სქემებზე, ხშირად მუშაოებენ, მაგრამ დიორამა არ იცოდნენ. პედაგოგი აღნიშნავს, რომ: „ეს იყო მათთვის შემაჯამებელი გაკვეთილიც და თემატიკის შეჯამებაც. ბავშვებმა, იმასთან ერთად, რომ წყლისა და წყლის შემცველი გარემოს შესახებ უამრავი რამ შეიტყვეს და დაიმახსოვრეს, გამოცდილება მიიღეს ხელოვნების მიმართულებით: მაგალითად, ფერები როგორ შეერჩიათ, როგორ გამოეძერწათ პლასტელინით და სხვა. და, რაც მთავარია, ბავშვებიც მეტად თავდაჯერებულნი გახდნენ და პროდუქტიულობაც გაიზარდა".

N4 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი
გამოცდილება/პროფესიული გზა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელოვნებისა და ბუნებისმეტყველების პედაგოგი, რომელსაც პედაგოგობის 30 წლიანი გამოცდილება აქვს, ასწავლის სკოლის დაწყებით საფეხურზე ქართული ენასა და ლიტერატურას და ბუნებისმეტყველებას. ის გამოირჩევა, როგორც აქტიური, კრეატიული და შემოქმედებითი იდეების გამზიარებელი და განმახორციელებელი მოსწავლეებთან. როგორც აღმოჩნდა, პედაგოგი ზოგადად იყენებს პროექტმეთოდს მოსწავლეებთან

და კარგ უკუკავშირებსაც ღებულობს, რაც დამატებით სტიმულს აძლევს პედაგოგს, ეს მეთოდი მომავალშიც მეტად აქტიურად გამოიყენოს. პედაგოგმა ინტერვიუში ვრცლად ისაუბრა მის მიერ ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ, რომელიც მე-2 კლასში ჩატარდა.

პროექტმეთოდის გამოყენების სიხშირე

პედაგოგმა ჩვენთან ინტერვიუში ისაუბრა ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე გამოყენებულ პროექტმეთოდზე, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ის ამ მეთოდს სხვა გაკვეთილზედაც (ქართული ენა და ლიტერატურა) იყენებს.

როგორც პედაგოგი ადასტურებს, ის ამ მეთოდს მაშინ მიმართავს, როცა მიაჩნია, რომ შესასწავლი თემა ოდნავ რთულია, ან მასშტაბურია და მოსწავლეებს დამატებითი მეთოდებისა და აქტივობების ჩართვა ესაჭიროებათ საგაკვეთილო პროცესში მეტი ჩართულობისათვის.

საბოლოო ჯამში, პედაგოგი სემესტრულად, არც თუ ისე ხშირად მიმართავს პროექტის გამოყენებას, მაგრამ ჩვენთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი ჩატარების ხარისხი, რის ირგვლივაც დავუსვით კითხვები მას ინტერვიუს ჩაწერისას.

პედაგოგის მიერ დაგეგმილი პროექტმეთოდის განხორციელების ეტაპები

რესპოდენტი ინტერვიუში ავითარებს აზრს, რომ ერთიერთი შესასწავლი თემის პროექტის სახით მიწოდება გადაწყვიტა მოსწავლეებისათვის და დასძენს, სულ რამდენიმე დღის წინ დაასრულა ბუნებისმეტყველებისა და ხელოვნების ინტეგრირებული პროექტი. პედაგოგი იქვე დასძენს, რომ პროექტი გარკვეულ ინტეგრირებას ქართულთანაც ახდენდა.

როგორც პედაგოგის ინტერვიუდან გამოიკვეთა, პროექტის თემა იყო წყალი, როგორც საარსებო გარემო. რესპოდენტთა საუბრისას ირკვევა, რომ თავდაპირველად კლასში

წყლის ორგანიზმებზე ჰქონდათ მასწავლებელსა და მოსწავ-ლეებს საუბარი.

შემდეგ ეტაპზე ბავშვებს, როგორც ინტერვიუთი ირ-კვევა, პედაგოგმა გააცნო გეოგრაფიული ობიექტები: მდინა-რე, სათავე, შენაკადი, კალაპოტი, ტბა, ზღვა, ოკეანე. შემდეგ ისაუბრეს საბინადრო გარემოზე, სადაც გამოიკვეთა სუფთა გარემო და დაბინძურებული გარემო. მნიშვნელოვანი იყო იმის გამოკვეთა, როგორ გრძნობენ თავს წყლის ბინადრები სუფთა გარემოში და დაბინძურებულ გარემოში, რა საფ-რთხე ელოდება მათ ასეთ გარემოში ყოფნისას. ამასთან და-კავშირებით, პედაგოგმა, როგორც ირკვევა, შემდეგ ეტაპზე ჩართო თემის სხვა საგნებთან ინტეგრირება, კერძოდ, კლას-ში ბავშვებს განსახილველად წარუდგინა კაპანაძის ნაწარ-მოები: „სველი წერილი“, სადაც მოქმედება ხდება კუნძულ-ზე; პედაგოგი იქვე, ქართულის გაკვეთილზე აჩვენებს ანიმა-ციურ ფილმს. მოსწავლეები ფილმისა და ტექსტში გადმოცე-მულ ამბავს შორის პარალელებს ავლებენ და ადგენენ მსგავ-სება — განსხვავებებს. დაუკავშირეს ეს ყველაფერი განხი-ლულ თემას: სუფთა გარემო როგორ მოქმედებს წყლის ბი-ნადრებზე და დაბინძურებულ გარემოს რა ზიანის მოტანა შეუძლია ცოცხალი ორგანიზმებისათვის.

პროექტის შედეგი

პედაგოგის რეკომენდაციით, ბავშვებმა გააკეთეს დი-ორამა, ხოლო ამისათვის ხელოვნებაში ნასწავლი ფერებიც დაიხმარეს და ასევე, ინტერნეტით მოიძიეს და დაამუშავეს ვიდეორესურსი: როგორი იქმნება თავად დიორამა. პედაგო-გის ფასილიტაციით ბავშვებმა შექმნეს სიმბოლოებიც წყლის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად და სხვადასხვა ად-გილზე გამოაკრეს.

პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა

როგორც პედაგოგი აღნიშნავს, ვრცელი თემა იყო და მასზე მუშაობას დაახლოებით 3 კვირა დასჭირდა.

მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა და შეფასება

როგორც პედაგოგმა ჩვენთან ინტერვიუში დააფიქსირა, პროექტის იდეის ინიციატივა მისგან მოდიოდა, თუმცა, არც ბავშვების იდეები დაუტოვებია ყურადღების მიღმა და ცდილობდა, რომ ბავშვებს საკუთარი ინიციატივებიც ჩაერთოთ პროექტის მსვლელობისას და მხარი დაეჭირა მათთვის. მაგალითად, ბავშვების ინიციატივა გამოიხატებოდა წყლის ბინადრების შეერჩევაში დიორამისთვის.

პედაგოგი ინტერვიუში აფიქსირებს, რომ ყველა მოსწავლეს განმავითარებელი შეფასება მისცა, თუმცა იქვე ჰქონდა აუცილებელი რეკომენდაციებიც, რომლებიც მოსწავლეთა განვითარებაზე იყო ორიენტირებული.

პროექტის საზოგადოებისათვის გაზიარება

პედაგოგი იქვე ზოგად მცირე კრიტიკასა და თვითკრიტიკას გამოთქვამს იმის შესახებ, რომ პროექტი ვერ იქნა გაზიარებული საზოგადოებისათვის და მხოლოდ საკლასო აქტივობად დარჩა იმ მოტივით, რომ ყველა მასწავლებელი დატვირთულია და ისეთი სიტუაციაა, რომ არ სცალიათ ერთმანეთის ღონისძიებაზე დასასწრებად.

სირთულეები და დაბრკოლებები პროექტში

როგორც პედაგოგმა დაადასტურა, იყო გარკვეული გამოწვევებიც, რომლებსაც სხვადასხვანაირად გაუმკლავდნენ; მაგ: მოსწავლეებს ძალიან უნდოდათ ტბის ნახვა, მაგრამ ვერ შეძლეს, თუმცა გავიდნენ მდინარეზე, რომელიც მათ სოფელთან ახლოსაა.

მეორე გამოწვევა პროექტის განხორციელებისას იყო დროის ფაქტორი. როგორც რესპოდენტმა გვითხრა, დიორამა იმდენად რთულია შესაქმნელად მეორე კლასელი მოსწავლეებისათვის, რომ ამას მოსწავლეები ერთ გაკვეთილზე ვერაფრით გააკეთებდნენ. პედაგოგმა, როგორც ირკვევა, ყუთები მოატანინა ბავშვებს, ფილმიც ნახეს დიორამის გაკეთების შესახებ, ყუთები დაჭრეს, ცხოველები პლასტელინით გა-

მოძერწეს, ყუთის კედლები შეღებეს ჩაფიქრებული იმიტაციის შესაქმნელად, რამაც დიდი დრო წაიღო. როგორც პედაგოგი ამბობს, იძულებული გახდა, დაუსრულებელი სამუშაო სახლში გაეტანებინა.

პროექტმეთოდის გამოყენების მიზანი

როგორც რესპოდენტმა დაგვარწმუნა, დიორამაზე მუშაობა მიზნად ისახავდა ახალი მასალის შემოტანას. როგორც მან აღნიშნა, ისინი ხშირად მუშაობენ კომიქსებზე, რამოდენიმე კომიქსი ჰქონდათ კიდეც შექმნილი ქართულის გაკვეთილზე, ბუნების გაკვეთილზეც სთავაზობს პედაგოგი კომიქსების შექმნას, მაორგანიზებელ სქემებსა და ა.შ. დიორამა კი მათთვის ნამდვილად ახალი იყო. როგორც პედაგოგი ინტერვიუში აფიქსირებს, ეს იყო მათთვის შემაჯამებელი გაკვეთილიც და ახალი გამოცდილების მიღებაც. ბავშვებმა, იმასთან ერთად, რომ წყლისა და წყლის შემცველი გარემოს შესახებ უამრავი რამ შეიტყვეს და დაიმახსოვრეს, გამოცდილება მიიღეს ხელოვნების მიმართულებით.

რეკომენდაციები პედაგოგებს

პედაგოგის რეკომენდაციაა, რომ მოსწავლეებს უფრო ხშირადაც **უ**ნდა შეეთავაზოთ პროექტმეთოდი სხვადასხვა თემასა და სხვადასხვა საგანში, ვიდრე ერთჯერადად სემესტრში.

როგორც პედაგოგი ამბობს, ეს ერთგვარი გამოწვევაა თავად მასწავლებლისათვის, რადგან დამატებით დროსა და რესურსების დამუშავებას მოითხოვს, გასათვალისწინებელია თემატიკის აქტუალობა და ბავშვის საჭიროებებზე მორგებაც, მაგრამ პედაგოგი მოგვიწოდებს, რომ არ შევუშინდეთ გამოწვევებს და შემოქმედებითად მივუდგეთ თითოეულ თემას, რომ ის ბავშვისათვის მისაწვდომი, საინტერესო და გასაგები გავხადოთ.

დასკვნა

ამრიგად, პროექტმეთოდის გამოყენება მასწალებლებისათვის კარგად ნაცნობი პრაქტიკაა და მისი კონკრეტული მიზნები და შედეგები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნები-

სა და შედეგების თანხვედრია. თუმცა, მოსწავლეებს სრული თავისუფლება ეძლევათ, რომ ახალი იდეები შემატონ პედაგოგის მიერ უკვე დაგეგმილ პროექტს და, ამასთანავე, გაუმკლავდნენ პროექტის მიმდინარეობისას წამოჭრილ სხვადასხვა გამოწვევას. პროექტმეთოდის გაგეგმვა და განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერ საგანში, თუ იგი გონივრულად და საინტერესოდაა დაგეგმილი. მოსწავლეები ხალისით ერთვებიან პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ აქტივობებში და პროექტით შეთავაზებულ ახალ მასალასაც ძალდაუტანებლად და ფუნქციურად ითვისებენ.

რესპოდენტის პასუხებიდან ჩანს, რომ პროექტის განხორციელევბის მიზანი ახალი ცოდნის შეძენა იყო, თუმცა აღნიშნავს, რომ შემაჯამებელი გაკვეთილიც იყო მოსწავლეებისთვის, რაშიც, ალბათ, მასწავლებელი საკითხის შეჯამებას გულისხმობდა.

N5 რესპოდენტის ნარატივი

მეხუთე რესპოდენტი არის ახმეტის რაიონის სოფლის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელი. ის ასწავლის 1-4 კლასს შემდეგ საგნებს: ბუნებას, მათემატიკას და ქართულს.

პედაგოგი პროექტმეთოდით სწავლებას სემესტრში ჩვეულებრივ ერთხელ ან ორჯერ ახორციელებს (იშვიათ სამჯერ). მისი პროექტები ზოგი გრძელვადიანია, ზოგიც — მოკლე. მან მეორე კლასში განახორციელა პროექტი ბუნებაზე „ჩვენ გვიყვარს ბუნება“. მასში გაერთიანებული იყო ბუნება, მათემატიკა, ქართული და ხელოვნება. მისი მეორე პროექტი განხორციელდა მეოთხე კლასში და თემა იყო „ბულინგი“. ორივე პროექტი ეტაპებად იყო დაყოფილი და შემდეგი ნაწილებისგან შედგებოდა:

- საუბარი
- დისკუსია

- ფილმის ჩვენება
- დავალებების შესრულება
- სხვადასხვა აქტივობა

პროექტის დაგეგმვის პროცესში პედაგოგი იყო ჩართული. პრეზენტაციების წარმოდგენის პროცესს სკოლის მასწავლებლები, დირექტორი და მშობლები დაესწრნენ.

შეფასების პროცესში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა მხარეები: თავად კლასის მასწავლებელი, სკოლის დამსწრე მასწავლებლები და დირექტორი.

ზევით აღნიშნული პროექტების განხორციელებისას მასწავლებელმა და მოსწავლეებმა გამოიყენეს საკუთარი ნახატები და კომპიუტერული ტექნიკა.

ბუნების შესახებ პროექტი სამი კვირა მიმდინარეობდა, ხოლო ბულინგის თემაზე — თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

პედაგოგი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად პროექტის განხორციელების შეეშინდა დროის ფაქტორის გამო, თუმცა ბოლოს უკვე ჩვევად აქცია ამ მეთოდის გამოყენება. ცდილობს, რომ მოსწავლეთა ინტერესები, მონათხრობი გაითვალისწინოს და ამგვარად დაგეგმოს პროექტი.

მოსწავლეებს უხაროდათ და მოსწონდათ პროექტმეთოდით სწავლება. შედეგზე ყოველთვის გადის და მიზანს აღწევს. მოსწავლეების ცოდნა იზრდება, უნარები უვითარდებათ. ერთმანეთისთვის აზრების გაზიარება, მოსმენა, ხელს უწყობს მათ თანამშრომლობას.

პედაგოგი სირთულეს კლასში პირველი პროექტის განხორციელების დროს წააწყდა. ეს სიახლე უცხო იყო მოსწავლეებისთვის და მათ მშობლების დახმარება დასჭირდათ. თუმცა მას შემდეგ მოსწავლეები შეეჩვივნენ და თავად მშვენივრად ართმევენ თავს.

პედაგოგი კოლეგებს ურჩევს, რომ პროექტმეთოდით იმუშაონ, თუ უნდათ, რომ მალე გავიდნენ შედეგზე და აქტიური ახალგაზრდობა აღზარდონ. ის აგრეთვე აღნიშნავს, რომ ამ მეთოდის გამოყენება რთული არ არის.

N5 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი

პედაგოგის შესახებ ინფორმაცია

ეს რესპოდენტი არის ახმეტის რაიონის სოფლის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი. ის ასწავლის 1-4 კლასს შემდეგ საგნებს: ბუნებას, მათემატიკას და ქართულს.

პროექტმეთოდის გამოყენების სიხშირე; პროექტების განხორციელების ხანგრძლივობა

პედაგოგი პროექტმეთოდით სწავლებას სემესტრში ჩვეულებრივ ერთხელ ან ორჯერ ახორციელებს (იშვიათ სამჯერ). მისი პროექტები ზოგი გრძელვადიანია, ზოგიც — მოკლე. მაგალითად: ბუნების შესახებ პროექტი სამი კვირა მიმდინარეობდა, ხოლო ბულინგის თემაზე — თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

განხორციელებული პროექტების თემა

პედაგოგი აღნიშნავს, რომ მან მეორე კლასში განახორციელა პროექტი ბუნებაზე „ჩვენ გვიყვარს ბუნება“. მასში გაერთიანებული იყო ბუნება, მათემატიკა, ქართული და ხელოვნება. მისი მეორე პროექტი განხორციელდა მეოთხე კლასში და თემა იყო „ბულინგი“.

პროექტების დაგეგმვა და განხორციელების ეტაპები

პროექტების დაგეგმვის პროცესში პედაგოგი არის ჩართული. ის ცდილობს, რომ მოსწავლეთა ინტერესები, მონათხრობი გაითვალისწინოს და ამგვარად დაგეგმოს პროექტი.

მის მიერ განხორციელებული პროექტები ეტაპებად იყო დაყოფილი და შემდეგი ნაწილებისგან შედგებოდა:

- საუბარი
- დისკუსია
- ფილმის ჩვენება
- დავალებების შესრულება
- სხვადასხვა აქტივობები

პროექტის შედეგების გაზიარება საზოგადოებისათვის

პედაგოგი აღნიშნავს, რომ პროექტის შედეგები მოსწავლეებმა საზოგადოების სხვა წევრებსაც გაუზიარა. პროექტების პრეზენტაციების წარმოდგენის პროცესს მოწვეული სტუმრები — სკოლის პედაგოგები, დირექტორი და მშობლები — დაესწრნენ.

პროექტის შეფასება

პედაგოგმა ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ შეფასების პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა მხარე: თავად კლასის მასწავლებელი, სკოლის დამსწრე პედაგოგები და დირექტორი.

გამოყენებული რესურსები

ზევით აღნიშნული პროექტების განხორციელებისას ჩვენმა რესპოდენტმა და მისმა მოსწავლეებმა გამოიყენეს საკუთარი ნახატები და კომპიუტერული ტექნიკა.

პროექტმეთოდის გამოყენების სირთულეები და გადაჭრის გზები

პედაგოგი აღნიშნავს, რომ პროექტმეთოდის გამოყენების დროს სხვადასხვა სირთულეს შეხვდა. ერთ-ერთი მათგანი იყო კლასში პირველი პროექტის განხორციელება. როგორც რესპოდენტი აცხადებს, ეს სიახლე უცხო იყო მოსწავლეებისთვის და მათ მშობლების დახმარება დასჭირდათ. თუმცა მას შემდეგ მოსწავლეები შეეჩვივნენ და თავად მშვენივრად ართმევენ თავს. გარდა ამისა, პედაგოგი ერთ-ერთ დაბრკოლებად დროის ფაქტორსაც მიიჩნევდა. ინტერვიუში იგი აღნიშნავს, რომ გარკვეული შიშიც ჰქონდა, მიაღწევდა თუ ვერა მიზანს. თუმცა, მალევე დარწმუნდა პროექტმეთოდის გამოყენების ეფექტურობაში და ბოლოს უკვე ჩვევად აქცია.

პროექტმეთოდით სწავლების შედეგები

პედაგოგი აღნიშნავს, რომ მოსწავლეებს ძალიან უხარიათ და მოსწონთ პროექტმეთოდით სწავლება. შედეგზე ყოველთვის გადის და მიზანს აღწევს. მოსწავლეების ცოდნა იზრდე-

ბა, უნარები უვითარდებათ. ერთმანეთისთვის აზრების გაზიარება, მოსმენა, ხელს უწყობს მათ თანამშრომლობას.

პედაგოგის რეკომენდაციები

ჩვენი რესპოდენტი პედაგოგებს ურჩევს, რომ პროექტმეთოდით იმუშაონ, თუ უნდათ, მალე გავიდნენ შედეგზე და აქტიური ახალგაზრდობა აღზარდონ. ის აგრეთვე ხაზს უსვამს, რომ ამ მეთოდის გამოყენება რთული არ არის.

დასკვნა

რესპოდენტის პასუხებიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ:

- პროექტზე დაფუძნებული სწავლება ხელს უწყობს სწავლის პროცესის საინტერესოდ წარმართვას და მისი გამოყენების დროს იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია.
- მოსწავლეები იძენენ სხვადასხვა საჭირო უნარს: კვლევის, ძიების, ჯგუფური თუ ინდივიდუალი მუშაობის, პრეზენტაბელურობის და ა.შ.
- პროექტმეთოდის გამოყენებისას მნიშვნელოვანია პროცესის სწორად დაგეგმვა. ამ პირობებში სირთულეები მნიშვნელოვნად შემცირდება.

N6 რესპოდენტის ნარატივი

გამოკითხვაში მონაწილე N6 რესპოდენტი არის ახმეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი. ის ასწავლის 5-12 კლასებს.

იგი აღნიშნავს, რომ პროექტმეთოდს სწავლებაში, დაწყებით საფეხურზე, სემესტრში ერთხელ იყენებს. ამის მიზეზი ისაა, რომ მოსწავლეები მეხუთე კლასში იწყებენ რუსული ენის შესწავლას.

რესპოდენტი გვიამბობს მის მიერ მეხუთე კლასში განხორციელებულ პროექტზე. მისი სახელწოდება იყო „როგორ გავხდეთ ჯანმრთელები“. ამ პროექტის დაგეგმვა იმიტომ განიზრახა, რომ ხილს და ბოსტნეულს გადიან მოსწავლეები მეხუთე კლასში.

პროექტის დაგეგმვის დროს მან ჯერ შეარჩია თემა, დაგეგმა სამუშაო და მოიძია არსებული ინფორმაცია. მაგალითად, რომელი პროდუქტებია მავნე და რომელი სასარგებლო მით უმეტეს ბავშვებისთვის. შემდეგ თავი მოუყარა მთელ ინფორმაციას და წარუდგინა მოსწავლეებს. მასწავლებელმა შემდეგ ეტაპზე მოსწავლეებს მისცა დავალებები: მოეძიათ პატარა ლექსები ჯანმრთელობაზე, ბოსტნეულზე, ხილზე. N6 რესპოდენტი აღნიშნავს, რომ ეს პროექტი ძალიან საინტერესო და სახალისო გამოვიდა. ის არ იყო გრძელვადიანი და შეიძლება მას მინი-პროექტი ვუწოდოთ. მას სამი საგაკვეთილო დრო დაეთმო.

პროექტის დაგეგმვის პროცესში ჩართულები იყვნენ მასწავლებელი და მოსწავლეები. ხდებოდა შუალედური მოხსენებებიც იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა პროექტზე მუშაობა.

მოსწავლეთა ჩართულობა პროექტზე მუშაობის დროს, პედაგოგის აზრით, იყო მაღალი. პატარებს განსაკუთრებით მოსწონთ მინი-პროექტები, რომელიც დროში არ არის გაწელილი.

მოსწავლეებმა პროექტის განხორციელების პროცესში გამოიყენეს სხვადასხვა რესურსები. მათ შორის იყო წიგნი და კომპიუტერული ტექნიკა.

პროექტის შედეგად, პედაგოგი აღნიშნავს, რომ მოსწავლეებმა შექმნეს ხილისა და ბოსტნეულის ნახატები.

პროექტის შეფასების მიზნით, პედაგოგმა გამოიყენა წამახალისებელი, განმავითარებელი შეფასება.

რაც შეეხება სირთულეებს, მასწავლებლის აზრით, პროექტის განხორციელების პროცესს თან სდევდა ენის ბარიერი. ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ ზოგიერთი მოსწავლისთვის უცხო ენის სწავლების პირველი წელი იყო, ხოლო ზოგიერთი უკვე ფლობდა ამ ენას.

რესპოდენტი მასწავლებლებს ურჩევს აუცილებლად გამოიყენონ პროექტმეთოდი სწავლების პროცესში, რადგან უფრო სახალისო გახადონ თავიანთი გაკვეთილები.

N6 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი

პედაგოგის შესახებ ინფორმაცია

რესპოდენტი არის ახმეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის რუსული ენის პედაგოგი. ის ასწავლის 5-12 კლასებს.

პროექტმეთოდის გამოყენების სიხშირე; პროექტების განხორციელების ხანგრძლივობა

პედაგოგი აღნიშნავს, რომ პროექტმეთოდს დაწყებით საფეხურზე სემესტრში ერთხელ იყენებს. ამის მიზეზი ისაა, რომ მოსწავლეები მეხუთე კლასში იწყებენ რუსული ენის შესწავლას. ჩვენი რესპოდენტი აცხადებს, რომ ის მოკლევადიან პროექტებს გეგმავს, რომლებიც დაახლოებით სამ საგაკვეთილო დროზეა გათვლილი.

განხორციელებული პროექტის თემა

პედაგოგი გვიამბობს მის მიერ მეხუთე კლასში განხორციელებულ პროექტზე. მისი სახელწოდება იყო „როგორ გავხდეთ ჯანმრთელები“.

პროექტების დაგეგმვა და განხორციელების ეტაპები

პროექტის დაგეგმვის დროს მან ჯერ შეარჩია თემა, დაგეგმა სამუშაო და მოიძია არსებული ინფორმაცია. მაგალითად: რომელი პროდუქტებია მავნე და რომელი სასარგებლო მითუმეტეს ბავშვებისთვის. შემდეგ თავი მოუყარა მთელ ინფორმაციას და წარუდგინა მოსწავლეებს. პედაგოგმა შემდეგ ეტაპზე მოსწავლეებს მისცა დავალებები, მაგალითად: მოეძიათ პატარა ლექსები ჯანმრთელობაზე, ბოსტნეულზე, ხილზე.

პროექტის დაგეგმვის პროცესში ჩართულები იყვნენ პედაგოგი და მოსწავლეები. ხდებოდა შუალედური მოხსენებებიც იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა პროექტზე მუშაობა.

გამოყენებული რესურსები

მოსწავლეებმა პროექტის განხორციელების პროცესში გამოიყენეს სხვადასხვა რესურსი. მათ შორის იყო ლიტერატურა და კომპიუტერული ტექნიკა.

პროექტის შეფასება

პროექტის შეფასების მიზნით პედაგოგმა გამოიყენა წამახალისებელი, განმავითარებელი შეფასება.

პროექტმეთოდის გამოყენების სირთულეები და გადაჭრის გზები

რაც შეეხება სირთულეებს, პედაგოგის აზრით, პროექტის განხორციელების პროცესს თან სდევდა ენის ბარიერი. ეს გამომდინარეობდა იქიდან, რომ ზოგიერთი მოსწავლისთვის უცხო ენის სწავლების პირველი წელი იყო, ხოლო ზოგიერთი უკვე ფლობდა ამ ენას.

პროექტმეთოდით სწავლის შედეგები

მოსწავლეთა ჩართულობა პროექტზე მუშაობის დროს, პედაგოგის აზრით, იყო მაღალი. იგი აღნიშნავს, რომ პატარებს განსაკუთრებით მოსწონთ მინი-პროექტები, რომელიც დროში არ არის გაწელილი. რესპოდენტის თქმით, პროექტი ძალიან საინტერესო და სახალისო გამოვიდა.

პედაგოგის რეკომენდაციები

გამოკითხული მასწავლებელი სხვა პედაგოგებს ურჩევს აუცილებლად გამოიყენონ პროექტმეთოდი სწავლების პროცესში, რადგან უფრო სახალისო გახადონ თავიანთი გაკვეთილები.

დასკვნა

ამრიგად, შეიძლება ვთქვათ, რომ პროექტის ხანგრძლივობა მის ეფექტურობას არ განსაზღვრავს. პედაგოგმა, შესაძლებელია, დაგეგმოს მოკლევადიანი პროექტებიც. ამ დროს მოსწავლეები ისევე მოტივირებულები და დაინტერესებულები არიან, როგორც გრძელვადიანი პროექტმეთოდით სწავლების დროს.

N7 რესპოდენტის ნარატივი

რესპოდენტი სოფლის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგია და ასწავლის ქართულს, მათემატიკას და ბუნებისმეტყველებას. ასევე მოიპოვა უფლება, ასწავლოს ხელოვნება, მუსიკა და საგანი „მე და საზოგადოება“.

პედაგოგი ხშირად ატარებს მინი-პროექტებს კლასში, მაგრამ ძალიან იშვიათად იყენებს პროექტმეთოდს. ინტერვიუში იგი მოგვითხრობს ამ მეთოდით მე-2 კლასელებთან ჩატარებულ სასწავლო აქტივობაზე. მან დაგეგმა და განახორციელა პროექტი, სავარაუდოდ, 2018-19 წლებში, რადგან იგი იხსენებს, რომ ეს კორონა ვირუსის პანდემიამდე მოხდა.

პროექტი, რომელიც თესლის აღმოცენებას ეხებოდა, მოსწავლეებმა განახორციელეს ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკაში: მათ შეისწავლეს მცენარეთა ზრდა-განვითარება დაახლოებით 4 კვირის განმავლობაში. პედაგოგი ასრულებდა ფასილიტატორის როლს, აძლევდა მითითებებს და უკუკავშირს. მოსწავლეები აკვირდებოდნენ სხვადასხვა თესლიდან აღმოცენებულ მცენარეს, აკეთებდნენ გაზომვებს და შეჰქონდათ მონაცემები ცხრილებში. მასწავლებლის დახმარებით მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები. პროექტის დასასრულს, პედაგოგმა გადასცა მოსწავლეებს სიგელები. მასწავლებლის აზრით, პროექტი არ მოითხოვდა ფინანსებს და ადვილი იყო განსახორციელებლად.

N7 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი

პედაგოგის შესახებ ინფორმაცია

პედაგოგი ასწავლის სოფლის სკოლაში დაწყებით საფეხურზე ქართულს, მათემატიკას და ბუნებისმეტყველებას. მას აქვს საკმაოდ დიდი გამოცდილება პედაგოგიური მუშაობის და აქვს უფლება ხელოვნება და მუსიკასაც ასწავლოს. ხოლო მე-3 მე-4 კლასში „მე და საზოგადოების“ საგანსაც ასწავლის.

პროექტმეთოდის გამოყენების სიხშირე

პედაგოგი პროექტებს ატარებს სასწავლო დროის გათვალისწინებით „როგორ მოგვეცემა საშუალება ვატარებთ ხოლმე, ხან ცოტა უფრო დახვეწილი სახის პროექტს, ხან მინი პროექტებს ვატარებთ“. პედაგოგს სურს, რომ მოსწავლეებს ჰქონ-

დეთ წარმოდგენა პროექტთან დაკავშირებით და „პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებს ეძებდნენ ყოველთვის და განივითარონ აზროვნება.“ მისი აზრით, შეუძლებელია პროექტმეთოდის ხშირი გამოყენება, რადგან მასწავლებელს რთული გრაფიკი აქვს და „შეუძლებელია რომ ბევრი სამუშაო ხარისხიანად შეასრულოს ერთდროულად.“ მნიშვნელოვანია ფურცელზე ჩანაწერად არ დარჩეს, არამედ რეალურად მოხდეს განხორციელება და, რაც მთავარია, „ბავშვებმა შეიგრძნონ ამ პროექტის დადებითი მხარე, სურვილი ჰქონდეთ და ხალისით გააკეთონ.“ მეორე მიზეზი, რატომაც არ თვლის მასწავლებელი პროექტმეთოდის ხშირ გამოყენებას მიზანშეწონილად, არის ის, რომ სამუშაო შეიძლება მოსაწყენი გახდეს მოსწავლეებისთვის. პროექტის თემატიკა, რა თქმა უნდა, განსხვავებული იქნება, თუმცა ბავშვებისთვის „მსგავსი ტიპის სამუშაო იქნება,“ ამიტომ პედაგოგის აზრით, სხვა მეთოდების გამოყენება უფრო სასურველია. პედაგოგი გამოსავალს მეთოდების მრავალფეროვნებაში ხედავს „ზოგჯერ საკლასო აქტივობები იყოს უფრო ისეთი ხალისიანი, ზოგჯერ თამაშში გადასული, ზოგჯერ პროექტის სახე ჰქონდეს მიცემული.“ პედაგოგი ასევე აღიარებს, რომ სრულყოფილად პროექტმეთოდს არ იყენებს. წელიწადში შეიძლება 1-2 ჯერ განახორციელოს, უფრო ხშირად იგი მინი-პროექტებს უთმობს დროს. მათემატიკაში მინი პროექტები სასწავლო სახელმძღვანელოშია შეტანილი და სასწავლო თავის დასრულების შემდეგ „მაგალითად, ცხრილის შევსებასთან დაკავშირებით ან მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებით, მოსწავლეები ბუქნებს აკეთებენ, ვითვლით დროის გარკვეულ მონაკვეთში რამდენი ბუქნი შეასრულა და ცხრილში როგორ შევიტანთ ამ მონაცემებს.“ პედაგოგი ასეთ აქტივობებს უწოდებს მინი-პროექტებს. ისინი კონკრეტულ უნარს შეასწავლიან (მაგ. მონაცემთა შეგროვება) მოკლე დროში და არაა გათვლილი კვირებზე და რამდენიმე მეცადინეობაზე. ასეთი მინი-პროექტების მიზანია ნასწავლის შეჯამება.

პედაგოგის მიერ პროექტმეთოდის გამოყენება

პედაგოგმა შედარებით ხანგრძლივი პროექტი პროექტმეთოდის გამოყენებით რამდენიმე წლის წინ განახორციელა ბუნებისმეტყველებაში მეორე კლასის მოსწავლეებთან. პროექტის თემა იყო „თესლის აღმოცენება“, რომლის ფარგლებში მოსწავლეებმა შეისწავლეს მცენარეთა ზრდა-განვითარება, განვითარების დამოკიდებულება მზის სინათლესა და სითბოზე.

პედაგოგმა დამოუკიდებლად დაგეგმა პროექტი, რომელიც თესლის აღმოცენებას ეხებოდა. მოსწავლეებმა დათესეს სხვადასხვა მცენარის თესლები. ამისათვის საკლასო ოთახში იყო წყნარი კუთხე და „მართლაც სასიამოვნოდ იყო გადამწვანებული მთელი საკლასო ოთახის კუთხე და ბავშვები შეხაროდნენ პირდაპირ“.

პრაქტიკულად, მოსწავლეებმა დათესეს სხვადასხვა ტიპის მცენარის თესლები და აწარმოებდნენ დაკვირვებას, დაკვირვების ფურცელში, ცხრილში შეჰქონდათ მონაცემები და განივითარეს სხვადასხვა უნარი. დაკვირვება ხდებოდა გამჭირვალე ჭურჭელში ფესვთა სისტემაზე, ღეროზე, თუ რა გავლენას ახდენდა სინათლის მიმართულება და მორწყვის სიხშირე („როგორ გადაიხრებოდა სინათლეზე მცენარე, თუ მორწყვას რამდენად ხშირად საჭიროებდა“); აგრეთვე, მოსწავლეები აკვირდებოდნენ, რომელი თესლი გაღვივდა და აღმოცენდა სწრაფად.

რაც შეეხება პროექტმეთოდის მიმდინარეობას, იგი დაახლოებით 4 კვირას გაგრძელდა. პედაგოგს კონკრეტული ეტაპები არ ახსოვს. მან პროექტის მიმდინარეობა შემდეგნაირად დაყო: თესლის დათესვა, „სანამ თესლი გაღვივდებოდა, სანამ ამოვიდოდა და მერე სანამ გაიზარდა“. პედაგოგის მოსაზრებით, პროექტი მიმდინარეობდა ხანგრძლივად, რადგან „2 ფოთოლი რომ ამოაქვს მცენარეს, ნაკლებად შესაცნობია როგორი ფორმისაა მისი ფოთოლი იმიტომ, რომ... პაწია მცენარე არ ჰგავს ზრდასრული მცენარის ფოთოლს, ამიტომ

გაგრძელდა საკმაო დრო.“ პედაგოგი ინახავს პროექტის მასალებს: ფოტოებს, სამუშაო განრიგს და სამუშაო ფურცლებს. მან პროექტი გაგზავნა მკვლევართა ჯგუფთან შემდგომი გამოქვეყნების მიზნით.

მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა და შეფასება

პედაგოგი ასრულებდა ფასილიტატორის როლს და აძლევდა სიტყვიერ უკუკავშირს, თუ რა და როგორ უნდა გაეკეთებინათ. პედაგოგი შეფასებას პროექტის მიმდინარეობისას აკეთებდა „შეფასება ხომ მიმდინარე პროექტში რაც გამოიკვეთება, იმის მიხედვით უნდა მოხდეს.“

მასწავლებელი იხსენებს ერთ შემთხვევას პროექტის მსვლელობაში, თუ როგორ შეუწყო ხელი მოსწავლის სააზროვნო უნარის განვითარებას „ერთ-ერთმა მოსწავლემ მკითხა ასეთი რაღაცა, რომ მცენარემ გაღვივება დაიწყო და მიწა ამობერა ზემოდან, რომ ამოეხეთქა და ამოსულიყო. მე ვუთხარი, შეხედეთ ბავშვებო უკვე ამოსასვლელად მზად არის, ნახეთ, როგორ შეძლო მცენარემ, ძალა და ღონე მოიკრიბა თესლმა, რომ სიცოცხლეს ეზიაროს და ამოვიდეს მაღლა და ნახეთ, როგორ არის მიწა ამოწეული- მეთქი და ამ ბავშვმა, ყველას დათესილი რომ ჰქონდა, ყველას გვარი და სახელებით, აინტერესებდა, ვისი თესლი უფრო სწრაფად ამოვიდოდა, როგორი იქნებოდა მისი ნათესი და სტიკერებით გვქონდა გამჭირვალე ჭურჭლის ძირზე დაწერილი, ეს ფურცლები აიღო და მიწას დაადო ზევიდან. რატომ აკეთებ- მეთქი ამას, მეუბნება, მასწავლებელოო, მიწა რომ გახვრიტა თესლმა და ამოვიდაო, მაინტერესებს, ფოთოლსაც თუ გახვრეტავსო. მე ვუთხარი, რომ ვნახოთ ეხლა რა მოხდება. მე მივხვდი, რომ ამ ბავშვმა ვერ გაიაზრა მიწის შემადგენლობა როგორია, ფურცლის როგორია და ა. შ. მაგრამ ვუთხარი, რომ მოდი, დანარჩენებზე არ დავაწყოთ და ამ ერთზე კი, ბატონო, დავდოთ და აი, თესლი რას იზავს. თუ არ არის საკვები რაიმეში, იმას არ მოინდომებს და შესაბამისად, გადაადგდებს და მოიცილებს მეთქი. მართლაც, თესლმა რომ ამოიწია, ფურცელი ჩამოვარდა და ბავშვურ ენაზე შევეცადე, რომ

მისთვის ამეხსნა, რაც არ იცოდა და აქედან გამომდინარე, შეფასებას ვაკეთებდი, რომ ეს ბავშვი ძალიან კარგად აზროვნებს. დამატებითი კითხვები როცა უჩნდება, როცა ფიქრობს იმას, რომ აი, თესლს რაღაცა ძალა და ღონე აქვს, ახალ აღმონაცენს, მას შეუძლია რაღაცა ტიპის გაკეთება. ამის მიხედვით უკვე შეფასებებს ვაკეთებდი“.

პედაგოგი უკუკავშირს აძლევდა ცხრილში შეტანილ მონაცემებზე. მოსწავლეებისთვის რთული იყო სხვადასხვა მონაცემის შეტანა ცხრილში მაგ. მოსწავლეებმა ცხრილში მარცხენა მხარეს შეიტანეს თესლები სიმინდი, ხორბალი და სხვა. მარჯვენა მხარეს შეიტანეს კვირები და დღეები. გადაკვეთაზე მეორე კლასელებს უნდა შეეტანათ მონაცემები მორწყვის და თესლის გაღვივების შესახებ. პედაგოგის აზრით, ეს რთული დავალება იყო მოსწავლეებისთვის. პედაგოგმა ცხრილზე მუშაობისას ასევე შეამოწმა მათემატიკის უნარი, სახაზავით გაზომვა, რაც ინტეგრირებული იყო პროექტის სამუშაოში: „სწორად გაზომავდნენ თუ არა, ვაკვირდებოდი და შეფასებას იმის მიხედვით ვაძლევდი. აი, შეიძლება 0-დან კი არ ზომავს, სახაზავის დანაყოფების 0-ის იქიდან ზომავს და უჭირს გაზომვა.“

პროექტის შედეგი

პროექტის დასასრულს მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები, თუმცა პრეზენტაციების მომზადებაში მათ პედაგოგი დაეხმარათ, რადგან დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ მოსწავლეებს ამის გაკეთება. პედაგოგმა ჯილდოს სახით სიგელები გადასცა მოსწავლეებს.

სირთულეები და დაბრკოლებები პროექტში

პედაგოგმა ვერ გაიხსენა რაიმე სირთულე. ეს პანდემიამდე იყო და გაცდენებიც არ იყო ხშირი მოსწავლეების მხრივ. ბავშვები ხალისით მოდიოდნენ. პროექტი ფინანსებს არ მოითხოვდა: „ყველას ჰქონდა 1 მუჭა სიმინდი, ხორბალი და მზესუმზირა.“ პედაგოგის მოსაზრებით, პროექტის განხორციელება

ზოგადად მოითხოვს ფინანსებს: ზოგიერთ პროექტს გასვლითი აქტივობა სჭირდება და ესეც ფინანსებს მოითხოვს. პედაგოგმა შეარჩია ისეთი პროექტის თემა, რომ ფინანსები არ დასჭირვებოდა: „ერთჯერადი გამჭვირვალე კონტეინერები გამოვიყენეთ, ყველას აქვს სახლში, თესლიც ყველას აქვს და მიწაც უშურველად გვაქვს.“ ერთდაერთი სირთულე იყო ინტერნეტში ინფორმაციის მოძიება ამა თუ იმ მცენარეზე, რომელსაც მოსწავლეები თესავდნენ. ეს ცოტა უძნელდებოდათ მოსწავლეებს, რადგან სკოლაში არ იყო პირობები, კერძოდ, ინტერნეტი. „ცოტა ეს პრობლემა გვქონდა, მოძიების, რომ ჩვენი დაკვირვებები შეგვედარებინა ინტერნეტში მოცემული ინფორმაციისთვის, რომ რამდენად ჩვენმა ნათესმა ისევე მოახდინა განვითარება როგორიც უნდა ყოფილიყო. ამას რომ დავკვირვებოდით და შედარება მოგვეხდინა ან დამატებითი ინფორმაცია, თუ საიდან შემოვიდა სიმინდი ან სხვა მცენარე“. ამჟამად პედაგოგის სკოლაში რეაბილიტაცია ჩატარდა, ინტერნეტი საკლასო ოთახებში აქვთ და არანაირი პრობლემა არა აქვთ რესურსების გამოყენების მხრივ.

რეკომენდაციები სხვა პედაგოგებს

პედაგოგი დადებითად აფასებს პროექტმეთოდის გამოყენებას „ძალიან სახალისოა ბავშვებისთვის, ცოდნას… გამოცდილებას აძლევს და, რაც მთავარია, მეხსიერებაში რჩება ეს“. მოსწავლეებს საკუთარი ხელით გაკეთებული და თვალით დანახული, გაცილებით უკეთესად ამახსოვრდებათ, ვიდრე გაგონილი. იგი ურჩევს სხვა პედაგოგებს, რომ პროექტმეთოდის ხშირი გამოყენება შეუძლებელია, რადგან ბევრი რამ არის დასაგეგმი და ზედაპირულად გაკეთებას, იგი ფიქრობს, რომ უმჯობესია არ გაკეთდეს. იგი მოუწოდებს პედაგოგებს, შეეცადონ ხანდახან იმუშაონ ამ მეთოდით იმიტომ, რომ ბავშვებისთვის მრავალფეროვანი, საინტერესო და სახალისო იქნება სწავლა „შემოქმედებითიც იქნება და ცხოვრებაშიც გამოადგებათ და დაამახსოვრდებათ კიდევაც ასე ნასწავლი.“

დასკვნა

პედაგოგის დამოკიდებულება პროექტმეთოდის გამოყენების და მოსწავლეებში მიღებული შედეგების მიმართ დადებითია, თუმცა იგი ასევე აღნიშნავს სირთულეებს და მისთვის შეუძლებელია ამ მეთოდის ხშირი გამოყენება.

N8 რესპოდენტის ნარატივი

რესპოდენტი იყო სოფლის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი, მე-3 კლასის მასწავლებელი, რომელიც ინტერვიუს პერიოდში ასწავლიდა მათემატიკას. იგი სასწავლო წლის განმავლობაში 2-3 ჯერ იყენებდა პროექტმეთოდს. მის კლასში ბავშვებს ძალიან მოსწონდათ პროექტებზე მუშაობა. ინტერვიუში იგი მოგვითხრობს პროექტის შესახებ თემაზე „ჩემი სამშობლო“, რომლის სათაური იყო „ჩემი ქვეყნის (თემის) ღირსშესანიშნავი ადგილები“.

პედაგოგმა მისცა მოსწავლეებს დავალება გამოეკვლიათ სოფლის ღირსშესანიშნავი ადგილები; მან დაყო კლასში მოსწავლეები სამ ჯგუფად (თითეულ ჯგუფში — ხუთი მოსწავლე) და მისცა თითეულ ჯგუფს დავალება მოენახულებინათ სამი სხვადასხვა ადგილი. მასწავლებელმა გაანაწილა ვის სად უნდა ემუშავა და როგორ უნდა წარმართულიყო მუშაობის პროცესი.

პროექტი დაახლოებით 2 კვირა გაგრძელდა. დაიგეგმა ადგილების მონახულების გარდა, ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებები და ინფორმაციის მოგროვება. პროექტის დასასრულს მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები და შექმნეს ბროშურები/გზამკვლევი სოფლის სტუმრებისთვის. პროექტში მოსწავლეების გარდა ჩართულები იყვნენ მშობლებიც. პროექტი მნიშვნელოვანი იყო ყველა ჩართული პირისთვის და ემსახურებოდა სოფლის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

N8 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი

პედაგოგის შესახებ ინფორმაცია

რესპოდენტი, სოფლის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის პედაგოგი, ასწავლის ქართულს და მათემატიკას. იგი ცდილობს, წელიწადში ორჯერ ან სამჯერ მაინც განახორციელოს პროექტმეთოდის გამოეყენებით პროექტი, რადგან ბავშვებს ძალიან მოსწონთ ეს მეთოდი.

პროექტების განხორციელების სიხშირე

პედაგოგი სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ-სამჯერ მაინც იყენებს. იგი აღნიშნავს, რომ სასწავლო წიგნები ხელს უწყობენ ამ მეთოდის გამოყენებას, რადგან კონკრეტულ თემებს მოიცავს.

პროექტის თემა

პროექტის თემა იყო „ჩემი სამშობლო“ და პროექტის სათაური — „ჩემი ქვეყნის (თემის) ღირსშესანიშნავი ადგილები“. პედაგოგმა თვითონ დაგეგმა საკუთარი სოფლის ღისშესანიშნავი ადგილების შესახებ პროექტის გაკეთება, რადგან, მისი აზრით, „თვითონ მოსწავლეები კი არა, მშობლებიც ნაკლებად იცნობენ იმიტომ, რომ ცოტა მოშორებით არის და იქ თუ სპეციალურად არ წახვედი, ვერ მოინახულებ.“

პროექტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება

პედაგოგმა სამ ჯგუფად დაყო კლასი, რომ მოენახულებინათ სამი კულტურულ-ისტორიული ძეგლი. ჯგუფებში გაანაწილა დავალებები: რომელი ადგილი უნდა მოენახულებინათ, ასაკოვანი თემის წევრებისგან უნდა აეღოთ ინტერვიუები. პედაგოგის მოსაზრებით, ინფორმაცია ისტორიულ ძეგლებზე ინტერნეტში ნაკლებად არის. ამიტომ „ასაკოვანი ხალხის“ გამოკითხვა მშობლებთან ერთად დაიგეგმა. პროექტი ხანგრძლივობა იყო 2 კვირა. პროექტში შედიოდა შემდეგი აქტივობები: ვიზიტი ადგილზე, ფოტოების გადაღება, ინფორმაციის მოძიება და პრეზენტაციების გაკეთება. პროექტის დასასრულს, მოსწავლეებმა ბროშურები ანუ გზამკვლევი შექმნეს სოფლის სტუმრებისთვის: „სოფელში მოსული სტუმარი ან სკოლაში მოსული სტუმარი რომელ ადგილს შე-

არჩევდა, რას მოინახულებდა, იქ პატარა ინფორმაცია იყო დატანილი.“ პედაგოგი იხსენებს, რომ სკოლაში სტუმრები ჰყავდათ, რომლებმაც ისარგებლეს ბროშურით და გაითვალისწინეს რჩევები, რა მოენახულებინათ და რას ნახავდნენ იქ საინტერესოს.

მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა

პედაგოგის აზრით, მოსწავლეები შეთანხმებულად მუშაობდნენ პროექტზე, ახდენდნენ მასწავლებლის ინფორმირებას მიმდინარე სამუშაობზე და ეკითხებოდნენ რჩევებს: „სკოლაში მეტყოდნენ, რომ ხვალ მივდივართ და უნდა მოვინახულოთ. თუ რაიმე შეკითხვა ჰქონდათ, ზოგან ტრანსპორტით შეიძლებოდა მისვლა, ზოგან ფეხით უნდა მისულიყვნენ ისეთი სიშორის იყო.“ თუ მარშრუტი რთული იყო, პედაგოგი ცდილობდა სირთულეების გადაჭრას და უფროსების ჩართვას, ვისაც შეეძლოთ დახმარების გაწევა, ნებართის გაცემა „პერსონალთან დამეკავშირებინა და მეთხოვა, რომ შეეშვათ ბავშვები და იქ ყველაფერი და ფოტოები გადაეღოთ.“ პედაგოგი ვერ იხსენებს სხვა სახის მხარდჭერას, გარდა მითითებებისა.

მოსწავლეთა ჩართულობა

პედაგოგი აღნიშნავს, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად მუშაობდნენ პროექტზე, თუმცა მათ ეხმარებოდნენ მშობლები და თავად მასწავლებელიც, აძლევდა რჩევებს და მითითებებს: „ბავშვებმა კითხვები თვითონ ჩამოწერეს, შეიძლება მშობლებიც დაეხმარნენ, მაგრამ საშუალება მივეცი, რომ თვითონ ჩამოეწერათ კითხვები, რას შეეკითხებოდნენ, რა აინტერესებდათ, რომ მოსახლეობას ეთქვა, როგორ დაარსდა მაგალითად .... რაიმე ისტორიული ცნობები აქვთ თუ რაიმე წინაპრების გადმოცემული მითი და თვითონ გააკეთეს ეს ყველაფერი.“

პედაგოგის შეფასებით, პროექტში მოსწავლეების გარდა მშობლებიც იყვნენ აქტიურად ჩართული, რამაც მათი კმაყოფილება გამოიწვია „თვითონაც კი არ იცოდნენ რა ისტორია ჰქონდა ამა თუ იმ ადგილს. მიდიოდნენ, იცოდნენ რომ ეკლესია იყო. რა წარმომავლობის იყო. რომელ საუკუ-

ნეში აშენდა, ეს ყველაფერი ბავშვებისთვისაც სახალისო იყო, თანაც მშობლებიც ერთად იკრიბებოდნენ, ერთად მიდიოდნენ და ძალიან კარგი პროექტი გამოვიდა.“ პედაგოგი ხაზს უსვამს ღირებულებებს და ფასეულობას, რამაც პროექტის მუშაობისას გააერთიანა მოსწავლეები და მშობლები.

შედეგები

პედაგოგისთვის პროექტის შედეგი პრეზენტაცია და ბროშურა იყო. პრეზენტაციისთვის მოსწავლეებმა მოიწვიეს სკოლის პედაგოგები, დაარიგეს ბუკლეტები, თუ რა სახის შეხვედრაზე იწვევდნენ. ფოტო კოლაჟი ახლაც კლასში აქვთ გაკრული

პროექტის შეფასება

პედაგოგმა თითეულ ჯგუფში ხუთი მოსწავლე ჩასვა. პედაგოგი საუბარში გულწრფელად აღნიშნავს, რომ ნაკლებად აკვირდებოდა, მოსწავლეები თანამშრომლობდნენ თუ არა მუშაობის პროცესში. მან თხოვნით მიმართა მოსწავლეებს, რომ არ ემუშავა ერთს, არამედ ყველა ერთად წასულიყო დანიშნულ ადგილას და ერთნაირად ემუშავა, „თუნდაც პრეზენტაციის გაკეთების დროს, ვისაც ხატვა შეეძლო, იმას დაეხატა, კარგი წერა ვისაც შეეძლო, დაეწერა, ანუ ყველაფერი გაეკეთებინათ ჯგუფში თანამშრომლობით და არა ისე, რომ მარტო ვიზუალურად მოეტანათ.” პედაგოგს სჯერა, რომ ყველაზე მეტად პროექტი თანამშრომლობით სწავლებაზეა დაფუძნებული და, მისი აზრით, სწორად ეს იყო შეფასების კრიტერიუმი, „რომ ეთანამშრომლათ, გააქტიურებულიყვნენ, ინფორმაცია მოეძიებინათ ერთად, გაეზიარებინათ და ა. შ.”

გამოწვევები

პედაგოგის დაკვირვებით, არანაირი სირთულე არ შეუმჩნევია პროექტის განხორციელებისას: „მშობლებს არ დაეუჩივლიათ.“ მხოლოდ ერთ ამბავს იხსენებს, რომ ერთი ისტორიული ძეგლი ფეხით მიუვალ ადგილას იყო და მოსწავლის მშობლები „მამები დაეხმარნენ იმიტომ, რომ ტყეში მარტო ბავშვები და დედები ვერ წავიდოდნენ.“ პედაგოგი ასევე იხსნებს, რომ მოსწავლეები განიხილავდნენ გამოსა-

ვალს, რომ მოეძიათ ინტერნეტიდან ფოტოები და ისე გაეკეთებინათ პრეზენტაცია. საბოლოოდ გადაწყვიტეს „საკუთარი ფეხით წავიდნენ და იქვე გადაიღეს ფოტოები.“ გადაწყვეტილების მიღებაში მასწავლებელი დაეხმარათ „უარი ვუთხარი, მასეთი ინფორმაცია ინტერნეტშიც არის.“ აღსანიშნავია პედაგოგის დამოკიდებულება ფოტოების გადაღებასთან დაკავშირებით. იგი მოითხოვდა, რომ მოსაწავლეებს გადაეღოთ ძეგლებთან ფოტოები, როგორც ერთგვარი მტკიცეულება. მათ მოინახულეს ეს ძეგლი „თან ვეუბნებოდი ფოტოები ისეც გადაიღეთ, რომ იქ ჩანდეთ. ხომ შეიძლება, რომ ვიღაცამ, მართლაც, ინტერნეტში მოიძიოს და ის ფოტო მაჩვენოს.“ პედაგოგი სიამაყით აღნიშნავს, რომ „ყველა ბავშვს ფოტოები აქვთ ჯგუფურად გადაღებული, სადაც იყვნენ, რაც მოინახულეს, რომ რეალურად გააკეთეს და არა ჩემს დასანახად მხოლოდ.“

რეკომენდაციები სხვა მასწავლებლებს

პედაგოგის აზრით, რაც შეიძლება ხშირად უნდა იმუშაოს პედაგოგმა პროექტზე ბავშვებთან ერთად. მისი აზრით, 2-3-ჯერ წელიწადში „ძალიან ცოტაა.“ იგი ამყარებს თავის მოსაზრებას სახელმძღვანელოს თემებით „ვფიქრობ იმიტომ, რომ ეს პროექტი ხომ შესაბამისობაშია, თემამ მოიტანა და თემის განხილვას მოჰყვა ეს პროექტი.“ მისი აზრით, რაც უფრო მეტად იმუშავებენ მოსწავლეები ჯგუფურად, გუნდურად, უფრო მეტ ინფორმაციას მოიძიებენ. იგი ბევრ დადებით მხარეს ხედავს პროექტმეთოდის გამოყენებაში „ძალიან კარგია სწავლების კუთხით, ძალიან კარგია პროექტებით მუშაობა. ბავშვებსაც უხარიათ, უფრო მეტი მოტივაცია აქვთ, თავიანთ მოძიებულს უკეთესად იმახსოვრებენ. როცა არ უნდა შევეკითხო, რა ნახეს, თან მერე ერთმანეთისას ხომ უსმენენ.“

დასკვნა

პედაგოგი იყენებს პროექტმეთოდს სწავლებაში, მის მიერ არის გაწერილი ჯგუფებში მუშაობა და ეტაპები. აქტიურად რთავს მშობლებს, თუმცა ძალიან იშვიათად მიმართავს ამ მეთოდს, მიუხედავად მისი ეფექტურობისა.

N9 რესპოდენტის ნარატივი

ყვარლის რაიონის საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი, ასწავლის 1-4 კლასებში, კომბინირებულად, ქართულს, მათემატიკას, ბუნებას.

რესპოდენტს აქვს პედაგოგად მუშაობის დიდი გამოცდილება (36 წ). სრულიად ახალგაზრდამ, 18 წლ., დაიწყო მუშაობა სკოლაში და ამ ხნის მანძილზე მას არაერთხელ გამოუყენებია პროექტზე დაფუძნებული სწავლება .

რაც შეეხება გამოცდილებას და ცოდნას პროექტმეთოდის შესახებ, რესპოდენტმა საკმაოდ დიდი ხნის წინ თელავში გაიარა 120 კრედიტიანი მოდული, რომელიც საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი გამოდგა მისთვის ამ კუთხით.

რესპოდენტი იზიარებს იმ აზრს, რომ დაწყებით საფეხური გამოირჩევა სპეციფიკით-მოსწავლეები ძალიან ცნობისმოყვარენი არიან, ამიტომ „საგაკვეთილო პროცესს ცოტა უნდა გადაუხვიო და რაღაცა ახალი უნდა შესთავაზო, გაკვეთილს ცოტა უნდა მოაკლო და დამატებით რაღაც ინფორმაცია მოისმინო და შემდეგ აუცილებლად უნდა მიაწოდო. ფაქტის წინაშე დაგაყენებს ბავშვი და რა კითხვასაც დაგისვამს, რაც მისთვის საინტერესოა, აუცილებლად უნდა მოიძიო და გაკვეთილის ცოტა მიღმა გადაუხვიო და ის მიაწოდო“. ეს არის, მისი აზრით, პროექტებით სწავლება. ამის დასტურად მაგალითად მოიყვანა ორი კვირის წინ მე-4 კლასში განხორციელებული და დასრულებული პროექტი, რომელიც მოიცავდა სხვადასხვა სასკოლო საგნის ინტეგრირებას. პროექტის იდეა წარმოიშვა მოსწავლის შეკითხვით, თუ რას ნიშნავდა სიტყვა „ნაბაზრალი“. ამ შეკითხვაზე პასუხი უცნობი იყო

დანარჩენი მოსწავლეთათვისაც. ამ ფაქტმა დაბადა იდეა პროექტის, „უკეთ გავიცნო ჩემი სოფელი“, დაწყების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 3 თვემდე და დასრულდა ორი კვირის წინ.

პროექტზე მუშაობა საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ყველა მოსწავლემ მიიღო მნიშვნელოვანი ინფორმაცია სოფლის ისტორიის შესახებ: პედაგოგს თავდაპირველად ეგონა, რომ ბავშვებმა ყველაფერი იცოდნენ საკუთარი სოფლის ისტორიის შესახებ, მაგრამ დარწმუნდა, რომ ბევრი ფაქტი მათთვის იყო უცნობი. ამის გამო პედაგოგს აწუხებს საკითხი, რომ ბავშვები არ იცნობენ საკუთარ კუთხეს, მაშინ როდესაც მშობლების დახმარებით ბევრს მოგზაურობენ, დადიან ქალაქგარეთ, სხვა ქალაქში ღირსშესანიშნეობების სანახავად, სხვადასხვა კუთხეში.

განხორციელებული პროექტი აერთიანებდა სამ სასწავლო საგანს. ინფორმაციის (სოფელში კომლის რაოდენობა და ამ რაოდენობის ცვლილების სტატიკა ბოლო წლებში, მიგრაციის მაჩვენებელი, შობადობის რაოდენობა ვაჟები, გოგონები) მოძიებისა და აღრიცხვისათვის საჭირო იყო მათემატიკური თეორიის გამოყენება, ტაძრების (ღვთისმშობლის სახელობის და იოანე ნათლიმცემლის ტაძარი) მონახულებისას მოსწავლეებს დასჭირდათ ბანერზე რომაული ციფრებით გამოსახული ინფორმაციის წაკითხვა, სადაც ასევე მათემატიკური ცოდნა გამოადგათ. როდესაც ბავშვებმა მოინახულეს წმინდა გიორგის ტაძარი, აქ უკვე „ბუნებასთან“ კავშირი დასჭირდათ რიგი ინფორმაციის მოძიება: თუ რა გაანადგურა ხანძარმა, რომელიც წლების წინ მოხდა, რატომ არის საჭირო ბუნების გაფრთხილება და როგორ უნდა გავუფრთხილდეთ მას. თავისთავად, ცხადია, ამ პროექტს ისტორიის გამოყენების გარეშე არ ჩაუვლია. ამდენად, ასე, სამი სასკოლო საგნის ინტეგრირებით განხორიელდა ეს პროექტი. რესპოდენტი პროექტზე მუშაობას კვირაში 1-2 საათს უთმობდა.

რესპოდენტს გარდა აღნიშნულისა, თავისი პრაქტიკის განმავლობაში სხვა პროექტებიც აქვს განხორციელებული:

მათემატიკაში (ორი პროექტი), ქართულში (სამი) და ბუნებისმეტყველებაში (ორი), ნიადაგზე და წყალზე. სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს პროექტები იყო სხვადასხვა ხანგრძლივობის, ზოგი-ორ კვირიანი, ზოგიც-რამდენიმე საათი. მაგალითისთვის მან გაიხსენა ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ნიადაგის შესახებ იყო: „იქვე სკოლის ეზოში გავედით. ეს იყო ნიადაგზე, ნიადაგის შემადგენლობაზე, რა მცენარეები მოგვყავს სოფელში, რომელი კულტურები უფრო მნიშვნელოვანია და ნიადაგში რა ცხოვრობენ. ეხლა ამას არ დასჭირდა ნამდვილად დიდი დრო. ეს დამოკიდებულია თვითონ თემაზე. რა თემაა და ვადებიც შესაბამისად უნდა გაითვალისწინო.“ პედაგოგი სასიამოვნო ცვლილებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ახალი, პირველი-მეორე კლასის სახელმძღვანელოებში ბევრი პროექტებია, მაშინ როდესაც ძველი სახელმძღვანელოები არ შეიცავდა პროექტებს.

რესპოდენტის აზრით, პროექტის განხორციელებისას მნიშვნელოვანია პასიური მოსწავლეების გამოვლენა და მათი პასიურობის მიზეზების დადგენა. ამიტომ ამ მიზნით თვითშეფასების კითხვარში შეტანილი ჰქონდა შესაბამისი კითხვები, რითაც გამოავლენდა კონკრეტულ ფაქტებს. შემუშავებული კითხვარებით ქალბატონი ლალი ადგენდა რიგ საკითხებს, რომლიდანაც მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად ეხმარებოდა შემდგომი პროექტის დაგეგმვაში. დაგეგმვისას, ცხადია, ამავდროულად, ითვალისწინებდა მოსწავლეთა სურვილებს, ასევე, სხვა ფაქტორებსაც, როგორიცაა: სკოლის დირექციის ნებართვა, (შეძლებდნენ თუ არა გასვლას სკოლის გარეთ, სკოლის ადმინისტრაცია თუ დაგვრთავდა ნებას), მშობლების თანხმობა, ბავშვებისთვის თავისუფალი დროის პრობლემა (ბავშვები დადიან სხვადასხვა წრეებზე და ეს ყველაფერი უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული) და სხვა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით დაგეგმა და განახორციელა პროექტები.

პედაგოგი ღირებულად თვლიდა პროექტის განხორციელებაში მშობლების ჩართულობას, ამიტომ მისი ხელშეწყობით

მშობლები ხალისით მიიღეს მონაწილეობა პროექტში, კონკრეტულად- ინფორმაციის მოძიებაში. პროექტის განხორციელებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, ეს აისახებოდა რესურსებით უზრუნველყოფაზე, ბიბლიოთეკის დახმარებაზე და ა. შ. რესურსებად კი, გარდა ინტერნეტისა, პირადი ურთიერთობებით მიღებული ინფორმაცია (ინტერვიუ მოსახლეობასთან, ისტორიის პედაგოგთან), მონაწილეთა მიერ გადაღებული სურათებიც დაეხმარათ. ასეთი რესურსები იყო თამაზ ჭილაძის წიგნი, ასევე ეკლესიის ასაკოვანი დარაჯის გამოკითხვა, რომელმაც იცოდა გარკვეული ისტორიული ფაქტები და სხვა.

პროექტის განხორციელებისას, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპის, შეფასებისთვის, რესპოდენტი სარგებლობდა შუალედური შეფასების რუბრიკებით, რომლებსაც ყველა ეტაპზე იყენებდა. ასევე იყენებდა თითშეფასებას და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რომლითაც, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტით აფასებდა მოსწავლეს თუ რა შრომა გასწია მან ჯგუფის მუშაობაში, ან რამდენად კარგი იდეა შესძინა ამ პროექტს და ჯგუფს, რამდენად პოზიტიურად, ჯგუფისათვის სასარგებლოდ შეძლო მან ჯგუფის სხვა წევრების იდეების და წინადადებების გააზრება, მიღება და მოსმენა, რამდენად პასუხისმგებლობით და საიმედოდ ასრულებდა ის მისდამი დაკისრებულ მოვალეობას და რა წვლილი შეიტანა მან ჯგუფის საერთო პროდუქტის შექმნაში. მთლიანად პროექტის შედეგების შესაფასებლად კი, პედაგოგმა გამოიყენა კითხვარები 5 ქულიანი შეფასებით, როგორც მოსწავლეთა მოტივაციის აღძვრის საშუალება, ასევე, ხშირად იყენებდა განმავითარებელ შეფასებასაც და კომენტარებით აფასებდა პროექტზე მუშაობას. ამ შეფასებების გარდა რესპოდენტი იყენებდა მოსწავლეთა მხარდაჭერის სხვა მექანიზმებსაც, მაგალითად, სიგელებს. მათემატიკაზე პროექტის განხორციელებისას მან შეიძინა ფანქრები, საშლელები, სათლელები და მოსწავლეები დაასაჩუქრა, რამაც დიდი სიხარული მიანიჭა ბავშვებს.

რესპოდენტის შეფასებით, პროექტებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია. გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობა ბავშვებს შორის, რამაც მეტად დააახლოვა ისინი. ამიტომ პროექტებით სწავლება ძალიან მოსწონთ დაწყებით კლასებში, ძალიან სახალისოა. გაკვეთილების ჩატარების გარდა (ახსნა, გამოკითხვა, ახალი მასალის შეტანა და ა. შ.), არანაკლებ მნიშვნელოვანია პროექტები, თამაშით სწავლება, გასვლითი სწავლება. პროექტებით სწავლება მართლა კარგ შედეგს იძლევა დაწყებით კლასებში: მოსწავლეები იძენენ რიგ კომპეტენციებს, რაც მოიცავს აუდიტორიასთან ურთიერთობას, საკუთარი ნამუშევრის, აზრის პრეზენტირებას. ბავშვები ყოველთვის თავად ხატავენ, თავად ამზადებენ, ამიტომ ერთი სული აქვთ როდის წარსდგებიან აუდიტორიის წინაშე. მსმენელები ჰყავთ და ეს სიამოვნებას ანიჭებთ. რესპოდენტს მნიშვნელოვნად მიაჩნია ის ფაქტი, რომ დაწყებითებში მოსწავლეები ეჩვევიან დიდი აუდიტორიის წინაშე წადგომას, პრეზენტირებას და ეს უნარები, ლექსიკური მარაგი, რომელიც აქვთ და სჭირდებათ ცოდნა, რაც მოიპოვეს, დაწერეს, შემდგომშიც აუცილებლად გამოადგებათ. ამიტომ პედაგოგისთვის თავისუფალი მოქალაქის განცდა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ დაიზუთხოს რაღაც. მოსწავლეები უნდა იყვნან თავისუფლები.

რაც შეეხება გამოწვევებს, სირთულეებს, პროექტის დაგეგმვასთან დაკავშირებით არანაირი სირთულე არ გამოვლენილა. პროექტი დაიგეგმა ისე, რომ ყველა ბავშვი ჩართული იყო, მშობლებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა, ჩართულიყვნენ პროცესში. ერთადერთი სირთულე, რაც გამოვლინდა პროექტის განხორციელების დროს, უკავშირდებოდა მოსწავლეთა ჯანმრთელობას: ინფექცია ჩუტყვავილის გავრცელების გამო იყო პატარა შეფერხება, რამაც უარყოფითად იმოქმედა განხორციელების პროცესზე. პროექტის სხვა გამოწევვების გასამკლავებლად და სირთულეების თავიდან ასაცილებლად, რაც რესურსებს და ორგანიზაციულ მხარეს უკავშირდებოდა, რესპოდენტმა მოსწავლეებს წინასწარ გა-

აცნო მარშრუტი, ქცევის წესები, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავა უსაფრთხოების წესები, ნორმები, რომელთა დაცვაც ევალებათ ყველას, რამაც, ცხადია, დადებითად იმუშავა.

როგორც გამოცდილმა პედაგოგმა, რესპოდენტმა სხვა პედაგოგებისთვის შემოგვთავაზა ერთგვარი რეკომენდაციები:

- პირველი, რაც ყველაზე აუცილებელია, მოუსმინოთ საკუთარ მოსწავლეებს და დააკვირდნეთ თითოეულ ბავშვს, რა აინტერესებთ და რა არ არის მათთვის საინტერესო.
- ჩვეულებრივ, ტიპურად ჩატარებული გაკვეთილი მოსაწყენია, აუცილებლად რამე აქტივობები უნდა მოიძებნოს, მოიფიქროს, თუ რამ შეიძლება აუმაღლოს ბავშვს მოტივაცია. ეს შეიძლება იყოს პროექტი, გაკვეთილი-თამაში, ნებისმიერი აქტივობა, რაც მოტივაციას აუმაღლებს და გაახალისებს ბავშვს, სურვილს მისცემს, რომ სიამოვნებით იჯდეს გაკვეთილზე და სიამოვნებით შეისწავლოს თემა, ეს უკვე არის შედეგი.

N9 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი
გამოცდილება/პროფესიული გზა

რესპოდენტის ნარატივიდან მიღებული ინფორმაციით ირკვევა, რომ იგი ასწავლის ყვარლის რაიონის საჯარო სკოლის 1-4 კლასებს, კომბინირებულად რამდენიმე საგანს: ქართულს, მათემატიკას, ბუნებისმეტყველებას და აქვს პროფესიული გამოცდილების დიდი სტაჟი (36 წ).

ხედვა/ დამოკიდებულება პროექტმეთოდით სწავლებისას

როგორც რესპოდენტმა აღნიშნა, საგანთა კომბინირებული სწავლება მას ეხმარება ასევე კომბინირებულად განახორციელოს პროექტები დაწყებით საფეხურზე, ამის ნიმუშია ბოლო პერიოდში მე-4 კლასის მოსწავლეებთან განახორციელებული პროექტი, რომლის თემაც იყო: „უკეთ გავიცნო ჩემი სოფელი“. პროექტი აერთიანებდა სამ სასწავლო სა-

განს: მათემატიკას (რომლის გამოყენებაც აუცილებელი იყო სტატისტიკური მონაცემებისთვის, მოძიებული ინფორმაციის დამუშავებისთვის), ბუნებას და ისტორიას. ამ სამი სასკოლო საგნის ინტეგრირებით განხორიელდა ეს პროექტი. რესპოდენტის აზრით, ასეთი მიდგომა ბევრად ეფექტური და შედეგიანია მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავების, გაფართოების და შესაბამისი კომპეტენციების დაუფლების თვალსაზრისით სამივე საგანში, რადგან მოსწავლეები განცალკევებულად კი არ განიმტკიცებენ ცოდნას ცალკ-ცალკე საგანში, არამედ ხვდებიან და იაზრებენ ცოდნის ინტეგრირებულად ტრანსფერის საჭიროებას და ღირებულებას.

პროექტების განხორციელების სიხშირე/განხორციელების მიზეზი

36 წლიანი პროფესიული საქმიანობის მანძილზე რესპოდენტს არაერთხელ განუხორციელებია წარმატებით პროექტზე დაფუძნებული სწავლება, რაშიც მას დაეხმარა არა მარტო პედაგოგიური გამოცდილება, არამედ წლების წინ გავლილი ტრენინგების ციკლიც, რაც ეხებოდა პროექტ მეთოდით სწავლებას. რესპოდენტმა აღნიშნა, რომ დღემდე სხვადასხვა პროექტი აქვს განხორციელებული (ორი-მათემატიკაში, სამი-ქართულში და ორიც-ბუნებისმეტყველებაში). ზოგადად, პროექტზე მუშაობას იგი კვირაში 1-2 საათს უთმობდა. ამდენად, რესპოდენტი აქტიურად იყენებდა პროექტ-მეთოდს თავის პრაქტიკაში და გარკვეული სიხშირით ახორციელებდა მას.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პროექტის თემატიკის შერჩევისას რესპოდენტი პრიორიტეტს ანიჭებდა რეალურად გამოვლენილ გამოწვევებს, საჭიროებებს, რაც მოსწავლეთა ცოდნის გაღმავებასა თუ შესაბამისი კომპეტენციების დაუფლებას უკავშირდებოდა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ პედაგოგმა თავად კი არ შესთავაზა მოსწავლეებს მზა საპროექტო წინადადება, არამედ თემის შერჩევა მოახდინა მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი ინიცია-

ტივით, დაინტერესებით და სურვილით, რომ უკეთ გაეცნოთ საკუთარი სოფლის ისტორია, გარკვეულიყვნენ სოფლის სხვადასხვა ადგილების სახელწოდებების ეტიმოლოგიაში, ისტორიაში. როგორც რესპოდენტმა აღნიშნა, პროექტის იდეა წარმოიშვა მოსწავლის შეკითხვით, თუ რას ნიშნავდა სიტყვა„ნაბაზრალი“. ამ შეკითხვაზე პასუხი უცნობი იყო დანარჩენი მოსწავლეთათვისაც. სწორედ ამ ფაქტმა დაბადა პროექტის იდეა.

პროექტის თემა

რესპოდენტის მოსაზრებით, პროექტის, „უკეთ გავიცნო ჩემი სოფელი“, განხორციელება თემატიკის თვალსაზრისით იყო საინტერესო, რადგან გარდა იმისა, რომ მოსწავლეებმა ინტეგრირებულად განიმტკიცეს ცოდნა სხვადასხვა საგანში, ამავდროულად, პროექტის განხორციელებით გაეცნენ მშობლიურ კუთხეს, მის ისტორიას, რამაც მათში აღძრა ინტერესი, მოტივაცია და მშობლიური კუთხის სიყვარული, მისი ისტორიის უკეთ შეცნობის სურვილი.

პროექტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება

რაც შეეხება პროექტის დაგეგმვას, ამ მიმართულებით რესპოდენტის საუბრიდან ირკვევა, რომ ის ყოველი განხორციელებული პროექტის შემდეგ ეფექტიანად იყენებდა თვითშეფასების კითხვარებს მოსწავლეთათვის, რომლიდანაც მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად ეხმარებოდა შემდგომი პროექტის დაგეგმვაში. დაგეგმვისას, უპირველესად, ითვალისწინებდა მოსწავლეთა სურვილებს, მაგრამ გარდა აღნიშნულისა, ამავდროულად, ითვალისწინებდა სხვადასხვა ფაქტორსაც, რაც დაკავშირებული იყო პროექტის წარმატებით განხორციელებასთან. ამის მაგალითად რესპოდენტმა დაასახელა რამდენიმე ფაქტორი: „შევძლებთ თუ არა გასვლას სკოლის გარეთ, სკოლის ადმინისტრაცია თუ დაგვრთავს უფლებას, რომ ბავშვები გავიყვანო, მშობლებს თუ აქვთ ამისი სურვილი ან დრო, ეს ყველა ფაქტორი

ხომ გასათვალისწინებელია, უნდა გაითვალისწინო და ამის მიხედვით უნდა დაიგეგოს პროექტიც და პროექტის ვადებიც. ბავშვები დადიან სხვადასხვა წრეებზე და ეს ყველაფერი უნდა იყოს გათვალისწინებული.“

ამდენად, როგორც საუბრისას გამოიკვეთა, პროექტის განხორციელებისთვის პედაგოგი წინასწარ კარგად აფასებდა ყველა შესაძლო პრობლემას, გამოწვევას და ეძიებდა მათი გადაწყვეტის გზებს, საკითხებს უთანხმებდა სკოლის დირექციას, ინფორმაციას დროულად აწვდიდა მშობლებს, ითვალისწინებდა მოსწავლეთა შესაძლებლობებს და ა. შ.

პროექტების განხორციელების ხანგრძლივობა

როგორც საუბრიდან გამოიკვეთა, აღნიშნული პროექტის განხორციელება გაგრძელდა 3 თვემდე. თუმცა, როგორც რესპოდენტმა აღნიშნა, სპეციფიკიდან გამომდინარე, მის მიერ განხორციელებული პროექტები იყო სხვადასხვა ხანგრძლივობის, ზოგი ორ კვირიანი, ზოგიც-რამდენიმე საათი. მაგალითისთვის მან გაიხსენა ერთ-ერთი პროექტი, რომელიც ნიადაგის შესახებ იყო: „იქვე სკოლის ეზოში გავედით. ეს იყო ნიადაგზე, ნიადაგის შემადგენლობაზე, რა მცენარეები მოგვყვავს სოფელში, რომელი კულტურები უფრო მნიშვნელოვანია და ნიადაგში რა ცხოვრობენ. ეხლა ამას არ დასჭირდა ნამდვილად დიდი დრო. ეს დამოკიდებულია თვითონ თემაზე. რა თემაა და ვადებიც შესაბამისად უნდა გაითვალისწინო, „- აღნიშნა რესპოდენტმა.

პროექტისთვის საჭირო რესურსები

რესპოდენტის საუბრით დადგინდა, რომ რესურსებად გამოიყენეს ინტერნეტიდან და წიგნებიდან მოძიებული მასალები, მაგრამ გარდა ინტერნეტისა, პირადი ურთიერთობებით მიღებული ინფორმაციაც დაეხმარათ (ინტერვიუ მოსახლეობასთან, ისტორიის პედაგოგთან), ასევე ეკლესიის ასაკოვანი დარაჯის გამოკითხვაც, რომელმაც იცოდა გარკვეული ისტორიული ფაქტები სოფლის ისტორიული ძეგლის შე-

სახებ. გარდა აღნიშნულისა, გამოიყენეს ფოტო-მასალა — მონაწილეთა მიერ გადაღებული სურათები. პროექტისთვის ძალიან დაეხმარათ მხატრული ლიტერატურაც, კონკრეტულად, თამაზ ჭილაძის წიგნი.

მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა

როგორც რესპოდენტი აღნიშნავდა, პროექტის განმავლობაში მას არ გამორჩენია მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა. ამ მიზნით, პროექტის ფარგლებში, იგი იყენებდა სხვადასხვა სტრატეგიას. მათგან გამორჩეულად გამოყო პასიური მოსწავლეების გამოვლენა და მათი პასიურობის მიზეზების დადგენა, რისთვისაც შემუშავებული ჰქონდა მოსწავლეთა თვითშეფასების კითხვარები და მისი დახმარებით გამოავლენდა კონკრეტულ ფაქტებს, ამავდროულად, ადგენდა პროექტის შესახებ რიგ საკითხებს.

გარდა აღნიშნულისა, რესპოდენტი იყენებდა მოსწავლეთა მხარდაჭერის სხვა მექანიზმებსაც, მაგალითად, სიგელებს, მათემატიკაში პროექტის განხორციელებისას კი, მან მოსწავლეები დაასაჩუქრა სხვადასხვა საკანცელარიო ნივთებით (ფანქრები, საშლელები, სათლელები), რამაც დიდი სიხარული მიანიჭათ ბავშვებს. თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ ეს საუთარი ხარჯებით შეიძინა. როგორც რესპოდენტმა აღნიშნა, ასეთი საჩუქრები ძალიან ახალისებთ ბავშვებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სახის მხარდამჭერი მექანიზმების გამოყენებით პედაგოგი აღწევდა სასურველ შედეგს: ქმნიდა მოსწავლეთა პოზიტიურ დამოკიდებულებას პროექტის განხორციელებისადმი, ზრდიდა მათ ჩართულობას, ინიციატივას, მოტივაციას, რაც, ცხადია, დადებითად უნდა შეფასდეს მის საქმიანობაში.

მოსწავლეთა, მშობელთა და სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობა

როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, შემუშავებული თვითშეფასების კითხვარებით, რესპოდენტი ავლენდა პასი-

ურ მოსწავლეებს, ადგენდა მათი პასიურობის მიზეზებს და მოპოვებულ ინფორმაციას მიზნობრივად იყენებდა მათ გასააქტიურებლად. თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია გზები, რომლითაც ახერხებდა სასურველი შედეგების მიღწევას მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით.

გარდა მოსწავლეთა აქტიურობისა, რესპოდენტი მნიშვნელოვანად მიიჩნევდა როგორც სკოლის წარმომადგენელთა, ისე მშობელთა ჩართულობასაც. როგორც მან აღნიშნა, მშობლები ხალისით იღებდნენ მონაწილეობას ინფორმაციის მოძიებაში. პროექტის განხორციელების პროცესში ჩართულები იყვნენ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, რადგან ზოგჯერ საჭირო იყო მათი დახმარება, ხანაც ბიბლიოთეკის დახმარება და ა. შ.

შედეგები

რესპოდენტის შეფასებით, პროექტზე მუშაობა საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ყველა მოსწავლემ მიიღო მნიშვნელოვანი ინფორმაცია სოფლის ისტორიის შესახებ.

ზოგადი შეფასებისას კი, რესპოდენტმა აღნიშნა, რომ პროექტებით სწავლება ძალიან მოსწონთ დაწყებით კლასებში, ძალიან სახალისოა. გაკვეთილების ჩატარების გარდა (ახსნა, გამოკითხვა, ახალი მასალის შეტანა და ა. შ.), არანაკლებ მნიშვნელოვანია პროექტები, თამაშით სწავლება, გასვლითი სწავლება. პროექტებით სწავლება მართლა კარგ შედეგს იძლევა დაწყებით კლასებში. პროექტებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია. გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობა ბავშვებს შორის, რამაც მეტად დააახლოვა ისინი.

ისაუბრა რა პროექტებით სწავლების ღირებულებაზე, რესპოდენტმა ხაზგასმით გამოყო ის ფაქტი, რომ პროექტებზე მუშაობით მოსწავლეები იძენენ რიგ კომპეტენციებს: აუდიტორიასთან ურთიერთობას, საკუთარი ნამუშევრის, აზრის პრეზენტირების უნარებს და ეს პოზიტიურ განწყობას უქმნით მათ. ბავშვები ყოველთვის თავად ხატავენ, თავად ამზადებენ, ამიტომ ერთი სული აქვთ, როდის წარდგებიან აუდიტორიის წინაშე. მსმენელები ჰყავთ და ეს სიამოვნებას

ანიჭებთ,-აღნიშნა მან. ის ფაქტი, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ეჩვევიან დიდი აუდიტორიის წინაშე პრეზენტირებას, მნიშვნელოვანია, რადგან ეს უნარები, ლექსიკური მარაგი, ცოდნა, შემდგომშიც აუცილებლად გამოადგებათ. „ჩემთვის თავისუფალი მოქალაქის განცდა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რომ დაიზუთხოს რაღაც. მე მინდა თავისუფლები იყვნენ ჩემი მოსწავლეები“ .

პროექტის შეფასება

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი პროექტებით სწავლებისას არის შეფასება, რაც მიგვაჩნია, რომ მრავალმხრივად ჰქონდა განხორციელებული რესპოდენტს. შეფასების ინსტრუმენტებზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელებისას იგი სარგებლობდა შუალედური შეფასების რუბრიკებით, რომლებსაც ყველა ეტაპზე იყენებდა. გარდა აღნიშნულისა, იყენებდა თითშეფასებას და ურთიერთშეფასების რუბრიკებს, რასაც ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს რესპოდენტი. ამ რუბრიკებით აფასებდა მოსწავლეს, თუ რა შრომა გასწია მან ჯგუფის მუშაობაში, ან რამდენად კარგი იდეა შესძინა ამ პროექტს და ჯგუფს, რამდენად პოზიტიურად ჯგუფისათვის სასარგებლოდ შეძლო მან ჯგუფის სხვა წევრების იდეების და წინადადებების გააზრება, მიღება და მოსმენა, რამდენად პასუხისმგებლობით და საიმედოდ ასრულებდა ის მისდამი დაკისრებულ მოვალეობას და რა წვლილი შეიტანა მან ჯგუფის საერთო პროდუქტის შექმნაში. ამგვარ შეფასებას ღირებულად მიიჩნევს პედაგოგი. მთლიანად პროექტის შედეგების შესაფასებლად კი იგი იყენებდა კითხვარებს 5 ქულიანი შეფასებით. „შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი არ არის აქ ქულებით შეფასება, მაგრამ თვითონ ბავშვების მოტივაციისთვის ძალიან საინტერესოა. ძალიან იშვიათია, რომ 5-ზე ნაკლები შეფასება ვისმეს ჰქონდეს,“- აღნიშნა რესპოდენტმა. ამავდროულად, მიუთითა, რომ ხშირად იყენებდა განმავითარებელ შეფასებასაც და კომენტარებით აფასებდა პროექტზე მუშაობას.

გამოწვევები

რაც შეეხება გამოწვევებს, სირთულეებს, რესპოდენტმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროექტის დაგეგმვასთან არანაირი სირთულე არ ჰქონდათ: „ პროექტი იგეგმება ისე, რომ ეცალოს ყველა ბავშვს, ჰქონდეს საშუალება მშობელს, რომ გამოყვეს. . . სირთულე შესაძლოა, გვქონდეს მოსწავლეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, მაგალითად, გავრცელებული იყო ინფექცია ჩუტყვავილა, რამაც უარყოფითად იმოქმედა განხორციელების პროცესზე“. რაც შეეხება რესურსების გამოყენებისას ან პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილ სირთულეებს, საუბრიდან გაირკვა, რომ პედაგოგმა ამ მხრივაც იზრუნა დასაწყისიდანვე და ამის თავიდან ასაცილებლად მოსწავლეებს წინასწარ გააცნო მარშრუტი, ქცევის წესები, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავა უსაფრთხოების წესები და ნორმები, რომელთა დაცვაც ევალება ყველას. ეს, თავისთავად, მისასალმებელი ფაქტია, რადგან ამ პროცესში თავად მოსწავლეები იყვნენ ჩართულები, რაც, ცხადია, ზრდის მათ პასუხისმგებლობას და აქტიურობას, ამავდროულად, ისინი დაწყებითი ასაკიდანვე იძენენ საქმიანობის სწორად დაგეგმვის და სავალდებულო წესების შესრულების უნარ-ჩვევებს.

რეკომენდაციები სხვა მასწავლებლებს

როგორც გამოცდილმა პედაგოგმა, რესპოდენტმა სხვა პედაგოგებისთვის შემოგვთავაზა გარკვეული რეკომენდაციები, რომელთაგან უპირველესად მიიჩნია თავად მოსწავლეებთან ურთიერთობა, რომ პედაგოგმა კარგად შეისწავლოს ბავშვი, გაერკვეს მის ინტერესებში, შესაძლებლობებში. ასევე რესპოდენტი ღირებულად მიიჩნევს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების აქტივობების განხორციელებას, როგორიც არის, მაგალითად, პროექტი, გაკვეთილი-თამაში, ნებისმიერი აქტივობა, რაც მოტივაციას აუმაღლებს და გაახალისებს ბავშვს, სურვილს გაუჩენს, სიამოვნებით იჯდეს გაკვეთილზე და ხალისით შეისწავლოს თემა, ეს უკვე არის შე-

დეგი. ამის დასტურად რესპოდენტმა მოიყვანა კონკრეტული მაგალითი, ფაქტები განხორციელებული პროექტიდან, რამაც ბევრად ემოციურად და პოზიტიურად დატვირთა ეს აქტივობა და ხელი შეუწყო მოსწავლეთა დაინტერესებას და მოტივაციის აღძვრას.

და ბოლოს, რესპოდენტმა შეფასების მიზნით აღნიშნა, რომ პროექტებით სწავლებით ბავშვები იძენენ ბევრ მნიშვნელოვან კომპეტენციებს და უფროს კლასებში უკვე აღარ უჭირთ პროექტული სწავლება.

დასკვნა:

რესპოდენტის პასუხებიდან ნათლად ჩანს, რომ:

- პედაგოგს კარგად აქვს გათავისებული პროექტმეთოდის მნიშვნელობა მოსწავლეთა ინტერესის აღძვრისა და მოტივაციის ამაღლებაში, მათთვის რიგი აუცილებელი კომპეტენციების ჩამოყალიბებაში;
- რესპოდენტს კარგად ესმის პროექტის იდეის, თემის შერჩევაში მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობა, მოსწავლეთა მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობა და სწორედ ამ მიდგომით გეგმავს და ახორციელებს პროექტებს;
- დაგეგმვა-განხორციელების პროცესში რესპოდენტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არა მხოლოდ მოსწავლეთა, არამედ მშობელთა და დირექციის, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ჩართულობასაც, რაც გარკვეული წინაპირობაა პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის;
- სამი სასკოლო საგნის ინტეგრირებით განხორიელებული პროექტით პედაგოგი ბევრად ეფექტურად აღწევდა მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავებას, გაფართოებას და შესაბამისი კომპეტენციების დაუფლებას სამივე საგანში და ნათელყოფდა ცოდნის ინტეგრირებულად ტრანსფერის საჭიროებას და ღირებულებას.

- რესპოდენტს კარგად აქვს გათვითცნობიერებული შეფასების მნიშვნელობა და ამ მიზნით იყენებდა შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, თვითშეფასების კითხვარებს, რუბრიკებს, განმავითარებელ შეფასებას, რითაც მოსწავლეები იღებდნენ გარკვეულ უკუკავშირს მათ მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ამავდროულად, ეს ინფორმაცია თავად პედაგოგისთვის კი იყო სამომავლო პროექტების დაგეგმვის ერთგვარი წინაპირობაც.
- დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობებით, შეფასების და წახალისების სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით პედაგოგმა შეძლო მოსწავლეთა აქტიური ჩართვა პროექტის განხორციელებაში და პოზიტიურად განაწყო ისინი ამ საქმიანობისადმი, რაც სამომავლოდ დადებითად წაადგება მოსწავლეთა სასწავლო თუ კლასგარეშე საქმიანობას.

N10 რესპოდენტის ნარატივი

პედაგოგი ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში ისტორიას ასწავლის და წამყვანი მასწავლებელია (2 წელი). სკოლაში მუშაობს 1994 წლიდან. დაწყებით საფეხურზე ამ ეტაპზე არ ასწავლის, თუმცა გასულ წლებში ასწავლიდა დაწყებით საფეხურზე საგანს „ჩვენი საქართველო“. ამჟამად ასწავლის ისტორიას ზედა საფეხურზე. მომავალ წელს ისევ ექნება მე-5 კლასში საათები, რადგან ასე იწყებს მე-5 კლასიდან და მიყვება კონკრეტულ კლასს შემდეგ საფეხურებზეც.

რაც შეეხება პროექტმეთოდით სწავლებას, რესპოდენტი მიიჩნევს, რომ პრაქტიკულად ძალიან კარგი ეფექტი აქვს ამგვარ სწავლებას: „ძალიან კარგია ყველა კლასში ეს იქნება დაწყებითი თუ ზედა კლასი, პროექტები ყოველთვის მომგებიანია, რადგან ბავშვებს უკვე სხვა კონტექსტში წარმოუდგენიათ ეს ნასწავლი, ბევრად კარგად იმახსოვრებენ ხანგრძლივი დროით. ძალიან ეფექტურია და დაინტერესებაც უფრო მეტია“.

რესპოდენტმა დაწყებით საფეხურზე, მეხუთე კლასში, 4 წლის წინ განახორციელა პროექტი „ქართლის ციხე-სიმაგრეები“. რადგან ძირითადად საბაზო-საშუალო საფეხურზე ასწავლის, მისთვის გარკვეულად ცოტა სირთულეს წარმოადგენდა დაწყებით საფეხურზე პროექტებით სწავლება, ამიტომ ამ გამოწვევის გასამკლავებლად მან თამაშის ვარიანტები ჩართა ამ პროცესში, რამაც საოცრად კარგი შედეგები გამოიღო. თემას, რაც პროგრამით ისწავლებოდა და უკავშირდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის გაცნობას, ყველა კუთხის შესწავლა დაასრულა გარკვეული შემაჯამებელი აქტივობით: პროექტის ფარგლებში ბავშვებმა შექმნეს ბროშურები საქართველოს თითოეულ კუთხეზე, დახატეს ისტორიული ძეგლები, გადაიტანეს რუკები, შეავსეს ინფორმაციით, რომ ამ კუთხის დამთვალიერებლისათვის ყოფილიყო საინტერესო და სასარგებლო. დაამზადეს 20-მდე ციხე-სიმაგრის მოდელები სხვადასხვა მასალის გამოყენებით. ეს იყო საინტერესო და შემოქმედებითი პროცესი. ამ პროცესს დაემთხვა სკოლის საიუბილეო თარიღი და რესპოდენტის ინიციატივით, პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოაწყეს გამოფენა „ქართლის ციხე-სიმაგრეები“. პედაგოგის შეთავაზებით, მოსწავლეებმა შეისწავლეს ქართლის ციხე-სიმაგრეების ისტორია, როგორი იყო ან როგორ იგებოდა, რა დანიშნულება ჰქონდათ და ა. შ. რის შესახებაც პრეზენტაციას აკეთებდა მოსწავლე. იგი იდგა თავის ნამუშევართან და უხსნიდა დამთვალიერებელს, თუ რა და როგორ გააკეთა, რა მასალისაგან და სხვ. გამოფენამ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა. ამით დიდად დაინტერესდნენ სკოლის მასწავლებლები, უფროსკლასელები, დამსწრე საზოგადოება.

აღნიშნული პროექტის იდეა წარმოიშვა სპონტანურად, საგაკვეთილო თემიდან, რაც ეხებოდა ქართლის ციხე-სიმაგრეებს. ამავდროულად, მოსწავლეების შესაძლებლობებმაც (ხატვის ნიჭი, შემოქმედებითობა, სხვადასხვა მასალისგან ნივთების კეთება და ა. შ.) უბიძგა მასწავლებელს ამ იდეის განხორციელებისკენ და შესთავაზა მოსწავლეებს, ვისაც რა

მასალით (პატარა წვრილი კენჭები, კარდონის ყუთები, პლასტილინი, თიხა და ა. შ) და რა ხერხით შეეძლო (ხატვა, გამოძერწვა, შექმნა სხვადასხვა მასალით და ა. შ.), იმით დაემზადებინა მოდელები. „მართლაც მოსწავლეებმა საოცრად ლამაზი და საინტერესო ციხე-სიმაგრეების მოდელები შექმნეს სხვადასხვა მასალისაგან, როგორიცაა მაგალითად: თიხა, კარდონი, ზოგმა თავისი მინიატურული სათამაშოები ჩასვეს, ბრძოლის სცენები გააცოცხლეს. ზოგმა გველეშაპი ჩასვა და ციხე-სიმაგრეზე მეომრები ჩასვა. საოცარი რაღაც იყო, საქართველოს დროშები აფრიალებული, იყო წვრილი კენჭებით და ცხელი წებოთი გაკეთებული.“ თუმცა, ეს ლამაზი და საინტერესო მოდელები ვერ შეინარჩუნეს, რადგან გამოფენის შემდეგ კაბინეტში ჩატარდა რემონტში და შექმნილი ციხე-სიმაგრეების მოდელები განათავსეს დაბლა სართულზე, რამაც დააზიანა ისინი. რესპოდენტმა გაიხსენა პროექტზე მუშაობის სხვა შემთხვევაც: „მახსოვს შემაჯამებელიც გავაკეთეთ ასეთი, მე-5 კლასი რომ მთავრდებოდა, ივნისის თვეში, ყველა კუთხე დავანაწილე. ჩვენ გვქონდა კახეთზე, კახეთში 8 რაიონია და 8 ჯგუფი გავაკეთე კლასში. თითოეულ ჯგუფს მივეცი თითო რაიონი და საოცრად კარგი რამეები შექმნეს. მახსოვს გურჯაანზე ატმის ბაღები გააკეთეს, ყვარელში ვენახები. ვფიქრობ, რომ თუ კი მეყოლება დაწყებითი კლასები, ალბათ ისევ ისე გავაგრძელებ. მცირე გაკვეთილები, ინფორმაციები, კი ბატონო, კარგია, ფილმიც კარგია რომ ვაჩვენოთ, ასეთები გამოგვიყენებია, მაგრამ როცა თვითონ ქმნიან რაღაცას, ნახატს, ფიგურებს, ეს უკვე სხვა რამეა“.

რაც შეეხება პროექტის დაგეგმვის და განხორციელების ეტაპებს, იდეის წარმოშობის და მოსწავლეებთან შეთანხმების შემდეგ, პედაგოგმა თითოეულ ბავშვს საშინაო დავალების სახით ჩანაწერი გაუკეთა მშობლებისთვის, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, რატომ, რა თემასთან კავშირში, ამავდროულად, ეს ინფორმაცია ერთგვარ რეკომენდაციებსაც შეიცავდა უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ, რომ ნივთის

დამზადება აუცილებლად ყოფილიყო უსაფრთხო, ანუ არ გამოეყენებინათ საფრთხის მომცველი მასალა, როგორიცაა მაგ. მინა, ასევე, ბავშვებს თავადვე შეძლებოდათ დამზადებული ციხე-სიმაგრის სკოლაში მოტანა. ბავშვისთვის ეკითხათ, იცოდა თუ არა, როგორია ციხე-სიმაგრე, ან რა ტიპის ციხე-სიმაგრეები იყო ქართლში, რა პრინციპით შენდებოდა, საიდან იყო კარი, რისთვის იყო განკუთვნილი და ა. შ. ანუ, პირველი ეტაპი იყო მოსწავლეთა და მათი მშობლების ინფორმირება, რასაც მოჰყვა მშობელთა აქტიური ჩართულობა. მათ სისტემატურად ჰქონდათ პედაგოგთან კონტაქტები, იღებდნენ მისგან კონსულტაციებს, რეკომენდაციებს, თუ როგორ დაემზადებინათ მოსწავლეებს მოდელები. ამდენად, მეორე ეტაპზე ბავშვებმა დაამზადეს, ხოლო შემდეგ ეტაპზე კი უკვე გამზადებული ნიმუშები წარადგინეს გამოფენისთვის. ყოველივე ამ პროცესს დასჭირდა 3 გაკვეთილი.

რაც შეეხება მოსწავლეთა მხარდაჭერას, ამ მიზნით რესპოდენტი წინასწარ გაეცნო თითოეულ მათგანს, თუ რა იყო მათი ინტერესის სფერო, რა შესაძლებლობები, უნარები ჰქონდათ, ვის ეხერხებოდა ხატვა, ვის ძერწვა და ა. შ. ამ მიზნით ბავშვებს დაავალა, წარმოედგინათ საკუთარი ნამუშევრები, რამაც კარგი შედეგი გამოიღო. მაგალითად, ერთ-ერთმა ბავშვმა მიიტანა მინიატურული, რკოს ბუდეებისგან გაკეთებული სასწორი. ერთმა — ყავის მარცვლები მიაკრა ყუთზე, თავზე ჰქონდა გირჩის დამტვრეული ფერფლები, ძალიან ჰგავდა ქვით ნაგებს და კრამიტით დახურულ კოშკს. სხვადასხვა დავალებით და აქტივობით პედაგოგმა შეძლო ყველა ბავშვის დაინტერესება და ჩართვა პროექტის განხორციელებაში.

რაც შეეხება შეფასებას, პედაგოგს პროექტი ქულებით არ შეუფასებია. ეს პროცესი ძირითადად კომენტარებით ამოიწურებოდა: თითოეულ მოსწავლეს მისცა უკუკავშირი, რომ ძალიან კარგი იყო და შეძლო კონკრეტული ნივთის გაკეთება. ამით მოსწავლეებს მისცა სტიმული. ბავშვების წახალისების მიზნით, მან გამოიყენა პატარა სუვენირებიც, ყვე-

ლა დაასაჩუქრა ლამაზი საშლელებით, სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებით, ფლუმასტერებით, ფანქრებით. ამავდროულად, პროექტზე მუშაობისას პედაგოგმა გამოიყენა სხვადასხვა სტრატეგია: მაგალითად, წყვილებში მუშაობა, სადაც ნაკლებუნარიან ბავშვს უფრო აქტიურ მეწყვილესთან სვამდა, რათა ეაქტიურა. შემდეგ, მართალია, პანდემიამ შეუშალა ხელი, მაგრამ ბავშვები გააქტიურდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში აკეთებდნენ ყველაფერს, რამაც მათ შესძინა რიგი კომპეტენციები და, პედაგოგის შეფასებით, დღეს უკვე სანიმუშო მოსწავლეები არიან.

რაც შეეხება გამოწვევებს და სირთულეებს, პროექტზე მუშაობის და განხორციელების დროს არანაირი პრობლემა არ ყოფილა. გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ყველა ბავშვს ერთნაირად არ ამახსოვდებოდა დავალება, რასაც აძლევდა პედაგოგი, ამიტომ იგი ყველა ბავშვს უკეთებდა ჩანაწერს რვეულში დავალებების შესახებ, რაც, ცხადია, იყო შრომატევადი. მიუხედავად ამისა, პროექტი იყო სახალისო როგორც ბავშვებისთვის, ისე თავად პედაგოგისა და მშობლებისთვისაც.

შეკითხვაზე, თუ რა რჩევას მისცემდა კოლეგებს, ვისაც არა აქვს პროექტმეთოდით მუშაობის გამოცდილება, რესპოდენტმა უპირველესად მიიჩნია სიყვარული, რაც უნდა აგრძნობინო ბავშვს, რომ აქტიურად ჩაერთოს ყველა აქტივობაში. ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ ის მასწავლებლისთვის ღირებულია და ასევე იმის გათვალისწინება, რომ ყველა ბავშვი არის თავისებურად კარგი და ეს უნდა აგრძნობინო და გააგებინო ბავშვს. ბავშვს უნდა უყვარდეს მასწავლებელი, ეს არის მთავარი. პროექტზე მუშაობისას, პირველ რიგში კი, დასაწყისიდანვე, აუცილებელია პროექტის წინაპირობა, მოსწავლეებს ასწავლოს ის, რის გაკეთებასაც შემდგომში მათგან მოითხოვს, რომ არ დაითრგუნოს ბავშვი და არ დაიჩაგროს. ალტერნატივა უნდა ჰქონდეს არჩევანში და ამის ახსნაც უნდა მოხდეს შესაბამისად. მრავალფეროვნება აუცილებელია პროექტში. მასწავლებელმა

თავიდანვე უნდა იფიქროს ამაზე, რომ პროექტი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

N10 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი

გამოცდილება/პროფესიული გზა

რესპოდენტი არის ყვარლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი, სტატუსით-წამყვანი მასწავლებელია (2 წელი). სკოლაში მუშაობს 1994 წლიდან. დაწყებით საფეხურზე ამ ეტაპზე არ ასწავლის, თუმცა გასულ წლებში ასწავლიდა დაწყებით საფეხურზე საგანს „ჩვენი საქართველო". ამჟამად ასწავლის ისტორიას ზედა საფეხურზე. როგორც რესპოდენტმა აღნიშნა, მომავალ წელს ისევ ექნება დაწყებით საფეხურზე, კონკრეტულად, მე-5 კლასში საათები.

ხედვა/ დამოკიდებულება პროექტმეთოდით სწავლებისას

რესპოდენტი დადებითად აფასებს პროექტმეთოდით სწავლებას, იგი მიიჩნევს, რომ პრაქტიკულად ძალიან კარგი ეფექტი აქვს ამგვარ სწავლებას: „ძალიან კარგია ყველა კლასში ეს იქნება დაწყებითი თუ ზედა კლასი, პროექტები ყოველთვის მომგებიანია, რადგან ბავშვებს უკვე სხვა კონტექსტში წარმოუდგენიათ ეს ნასწავლი, ბევრად კარგად იმახსოვრებენ ხანგრძლივი დროით. ძალიან ეფექტურია და დაინტერესებაც უფრო მეტია", თუმცა, მიუხედავად ამ პოზიტიური განწყობისა, მას არ დაუკონკრეტებია, რამდენად ხშირად, რა ინტენსივობით იყენებს ამ მეთოდს.

როგორც საუბრისას გამოვლინდა, პედაგოგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროექტებით სწავლებას დაწყებითი საფეხურიდანვე: „ვფიქრობ, რომ თუ კი მეყოლება დაწყებითი კლასები, ალბათ ისევ ისე გავაგრძელებ. მცირე გაკვეთილები, ინფორმაციები, კი ბატონო, კარგია, ფილმიც კარგია რომ ვაჩვენოთ, ასეთები გამოგვიყენებია, მაგრამ როცა თვითონ ქმნიან რაღაცას, ნახატს, ფიგურებს, ეს უკვე სხვა რა-

მეა“. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა მიერ ამგვარი აქტივობების განხორციელება არის გარანტი იმისა, რომ მოსწავლეები შეიძენენ რიგ უნარ-ჩვევებს, რაც სასიკეთოდ წაადგება მათ შემდეგ საფეხურზეც.

პროექტების განხორციელების სიხშირე/განხორციელების მიზეზი

რესპოდენტს არ უსაუბრია პროექტის განხორციელების სიხშირეზე, თუმცა ამომწურავად ისაუბრა თითოეულ ეტაპზე და შედეგებზე.

პროექტის თემა

იმის გამო, რომ ამ ეტაპზე რესპოდენტი ასწავლის საბაზო-საშუალო საფეხურზე, ამიტომ მან ისაუბრა 4 წლის წინ, დაწყებით საფეხურზე, მეხუთე კლასში, განხორციელებულ პროექტზე „ქართლის ციხე-სიმაგრეები“.

პროექტის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პედაგოგს წინასწარ აქ ჰქონდა დაგეგმილი საპროექტო თემა, არამედ აღნიშნული პროექტის იდეა წარმოიშვა სპონტანურად, საგაკვეთილო თემიდან, რომელიც ეხებოდა ქართლის ციხე-სიმაგრეებს. ამავდროულად, მოსწავლეების შესაძლებლობებმაც (ხატვის ნიჭი, შემოქმედებითობა, სხვადასხვა მასალისგან ნივთების კეთება და ა. შ.) უბიძგა მასწავლებელს ამ იდეის განხორციელებისკენ.

რაც შეეხება პროექტის დაგეგმვის და განხორციელების ეტაპებს, იდეის წარმოშობის და მოსწავლეებთან შეთანხმების შემდეგ, პედაგოგმა აირჩია სწორი სტრატეგია, რომელიც მოიცავდა მშობელთა ინფორმირებას პროექტის შესახებ. ანუ, პირველი ეტაპი იყო მოსწავლეთა და მათი მშობლების ინფორმირება, რასაც მოჰყვა მშობელთა აქტიური ჩართულობა. მეორე ეტაპზე ბავშვებმა დაამზადეს მოდელები,

ხოლო შემდეგ ეტაპზე კი, უკვე გამზადებული ნიმუშები წარადგინეს გამოფენისთვის.

რაც შეეხება შეფასებას, რესპოდენტმა აღნიშნა, რომ პროექტი ქულებით არ შეუფასებია. ეს პროცესი ძირითადად კომენტარებით ამოიწურებოდა: თითოეულ მოსწავლეს მისცა უკუკავშირი, რომ ძალიან კარგი იყო და შეძლო კონკრეტული ნივთის გაკეთება. ამით მოსწავლეებს მისცა სტიმული. ამავდროულად, ყველა კუთხის შესწავლას ამთავრებდა გარკვეული აქტივობებით, შემაჯამებლი სახით.

ყოველი აქტივობის დასასრულს იგი იყენებდა შემაჯამებელ შეფასებას.

ბავშვების წახალისების მიზნით, რესპოდენტმა გამოიყენა პატარა სუვენირებიც, ყველა დაასაჩუქრა ლამაზი საშლელებით, სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებით, ფლუმასტერებით, ფანქრებით.

პროექტების განხორციელების ხანგრძლივობა

რესპოდენტის ინფორმაციით, პროექტის დაგეგმვა-განხორციელებას დასჭირდა 3 გაკვეთილი.

პროექტისთვის საჭირო რესურსები

რაც შეეხება პროექტისთვის საჭირო რესურსებს, უნდა აღინიშნოს რესპოდენტის პოზიცია, როდესაც მან შესთავაზა მოსწავლეებს, ციხე-სიმაგრეები დაემზადებინათ იმ მასალისაგან, რისი სურვილიც მათ ჰქონდათ (პატარა წვრილი კენჭები, კარდონის ყუთები, პლასტილინი, თიხა და ა. შ), ან რა ხერხით შეეძლოთ (ხატვა, გამოძერწვა, შექმნა სხვადასხვა მასალით და ა. შ.), რის გაკეთებაც მათ შეეძლოთ. ამით უბიძგა ყველას ჩართულობისკენ და არ შეზღუდა მათი ფანტაზიები, რითაც ბავშვები გახდნენ უფრო თავისუფალნი არჩევანში და გახსნილები, „მართლაც საოცარი რაღაცეები გააკეთეს. შექმნეს თიხისგან ციხე-სიმაგრეები, შექმნეს კარდონისგან, ზოგმა თავისი მინიატურული სათამაშოები ჩასვეს, ბრძოლის სცენები გააცოცხლეს. ზოგმა გველეშაპი ჩასვა და ციხე-სიმაგრეზე მეომრები ჩასვა. საოცარი რაღაც იყო, სა-

ქართველოს დროშები აფრიალებული, იყო წვრილი კენჭებით და ცხელი წებოთი გაკეთებული.“ აღნიშნა რესპოდენტმა, თუმცა გულდაწყვეტით თქვა, რომ ეს ლამაზი და საინტერესო მოდელები ვერ შეინარჩუნეს, რადგან გამოფენის შემდეგ კაბინეტში ჩატარდა რემონტში და შექმნილი ციხესიმაგრეების მოდელები განათავსეს დაბლა სართულზე, რამაც დააზიანა ეს მოდელები.

მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა

რაც შეეხება მოსწავლეთა მხარდაჭერას, უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტმა აირჩია სწორი სტრატეგია, წინასწარ გაეცნო თითოეული მოსწავლის ინტერესებს, მათ შესაძლებლობებს, რითაც, ცხადია, მიიღო საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია ყოველი მოსწავლის შესახებ: „პირველ რიგში ვეკითხები რა გიყვარს, რა მოგწონს, რას აკეთებ, რა გაგიკეთებია ვიდრე ჩემამდე მოვიდა-აღნიშნა მან. არიან ბავშვები, რომლებიც ხატავენ, არიან ბავშვები რომლებსაც რაღაცის გაკეთება შეუძლიათ. ერთერთმა ბავშვმა მომიტანა მინიატურული, რკოს ბუდეებისგან გაკეთებული სასწორი. ვისაც არ შეეძლო, ვუთხარი როგორც შეძლებთ, არა აქვს მნიშვნელობა, როგორი იქნება, შენ როგორც დაინახავ ისეთი გააკეთე. ერთერთმა ბავშვმა ყავის მარცვლები მიაკრა ყუთზე, თავზე ჰქონდა გირჩის დამტვრეული ფერფლები, ისეთი საოცარი რამე იყო, ჰგავდა ქვით ნაგებს და კრამიტით დახურულ კოშკს“.

გარდა აღნიშნულისა, როგორც რესპოდენტმა აღნიშნა, მან მოსწავლეთა მხარდაჭერის სხვადასხვა სტრატეგიაც გამოიყენა მუშაობის პროცესში: მაგალითად, წყვილებში მუშაობა, სადაც ნაკლებუნარიან ბავშვს უფრო აქტიურ მეწყვილესთან სვამდა, რომ ეაქტიურა. შემდეგ, მართალია, პანდემიამ შეუშალა ხელი, მაგრამ ბავშვები გააქტიურდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში აკეთებდნენ ყველაფერს, რამაც მათ შესძინათ რიგი კომპეტენციები და, პედაგოგის შეფასებით, დღეს უკვე სანიმუშო მოსწავლეები არიან.

მოსწავლეთა, მშობელთა და სკოლის ადმინისტრაციის ჩართულობა

რესპოდენტის შეფასებით, მოსწავლეთა ჩართულობის ამაღლების მიზნით, მის მიერ განხორციელებული სტარატეგია, პასიურ მოსწავლეთა მხარდაჭერა სხვა მოსწავლეთა დახმარებით, საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა, რადგან ბავშვებს უბიძგა ურთიერთთანამშრომლობისა და მხარდაჭერისაკენ. შედეგად, ამაღლდა მოსწავლეთა ინტერესი და მოტივაცია: „მყავდა რამდენიმე ბავშვი, რომლებიც არ ჩამერთნენ, მერე ვთხოვე ვინც აქტიურობდა მას, რომ ეს აკეთებს და ამას დაეხმარე-აღნიშნა მან- კენჭები შეუგროვე ან რაღაც მიუტანე და იმ ბავშვებს მივამაგრე ესეთები, რომლებსაც არ შეეძლოთ. ისეთი ბედნიერები იყვნენ ისინიც, გამოვიდა ფაქტიურად, რომ ყველა ჩაერთო ვისაც როგორ შეეძლო“. შედეგად გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა.

რაც შეეხება მშობლებთან თანამშრომლობას, რესპოდენტმა მათი ჩართულობის მიზნით, დროულად მიაწოდა ყოველ მათგანს ინფორმაცია პროექტის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობების და ამ პროცესში ჩართულობისთვის მათი ფუნქციების, ასევე, შესაბამისი რეკომენდაციების შესახებ. ამ მიზნით თითოეულ ბავშვს, საშინაო დავალების სახით, ჩანაწერი გაუკეთა მშობლებისთვის ერთგვარი ინსტრუქციის სახით, თუ რა უნდა გაეკეთებინათ: „პირველი რაც გავაკეთე, ეს იყო ოფიციალურად ჩანიშვნა, რომ თქვენმა შვილმა შეისწავლა ქართლის ციხე-სიმაგრეები და გვაქვს სურვილი ახლა პრაქტიკულად შევქმნათ პატარა, მინიატურული ციხე-სიმაგრეები და ავღნიშნე, რომ აუცილებლად ეს უნდა იყოს უსაფრთხო ანუ არ გამოიყენოთ ცოტა ისეთი საფრთხის მომცველი მინა ან რაღაც ესეთი, რომ ბავშვისთვის იყოს უსაფრთხო. პორტარტული რომ მოიტანონ, რომ თვითონვე შეძლონ მოტანა ამ ციხე-სიმაგრეებისა. თან მივუწერე, რომ თქვენს შვილს გამოჰკითხეთ, იცის როგორია ციხე-სიმაგრე, იცის ქართლში როგორი ციხე-სიმაგრეები იყო, რა პრინციპით შენდებოდა, საიდან იყო კარი, რისთვის იყო

განკუთვნილი და ამაში დაეხმარეთ მეთქი,“-აღნიშნა რესპოდენტმა. შედეგად მშობლებს სისტემატურად ჰქონდათ პედაგოგთან კონტაქტები, იღებდნენ მისგან კონსულტაციებს, რეკომენდაციებს, თუ როგორ დაემზადებინათ მოსწავლეებს მოდელები და მათი აქტიური ჩართულობა აისახებოდა შედეგებზეც. ბავშვებმა შექმნეს საინტერესო მოდელები, გაიღრმავეს ცოდნა და შეიძინეს სხვადასხვა უნარი.

შედეგები და პროექტის შეფასება

განხორციელებულ პროექტის შეფასებისას რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ეს იყო საინტერესო და შემოქმედებითი პროცესი და შედეგიც კარგი იყო, რადგან არც ერთ ბავშვს არ დაუტოვებია პროექტი. აქტივობები, რაც პროექტის ფარგლებში განხორციელდა, მართლაც, ინტერესს იწვედა მსმენელში თავისი მრავალმხრივობით: პროექტის ფარგლებში ბავშვებმა შექმნეს ბროშურები საქართველოს თითოეულ კუთხეზე, დახატეს ისტორიული ძეგლები, გადაიტანეს რუკები, შეავსეს ინფორმაციით, რომ ამ კუთხის დამთვალიერებლისათვის ყოფილიყო საინტერესო და სასარგებლო ინფორმაცია. დაამზადეს 20-მდე ციხე-სიმაგრის მოდელები სხვადასხვა მასალის გამოყენებით. ამ პროცესს დაემთხვა სკოლის საიუბილეო თარიღი და პედაგოგის ინიციატივით პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოაწყეს გამოფენა „ქართლის ციხე-სიმაგრეები“. მისივე შეთავაზებით, მოსწავლეებმა შეისწავლეს ქართლის ციხე-სიმაგრეების ისტორია, როგორი იყო ან როგორ იგებოდა, რა დანიშნულება ჰქონდათ და ა. შ. როგორც რესპოდენტმა აღნიშნა კმაყოფილებით, გამოფენამ ძალიან საინტერესოდ ჩაიარა: „მთელი სკოლის მასწავლებლები, უფროსკლასელებიც დაინტერესდნენ. ამავდროულად, ყოველი ბავშვი ახდენდა თავისი ნამუშევრის პრეზენტაციას, რა და როგორ როგორ გააკეთა“. რესპოდენტმა აღნიშნა, რომ ეს აქტივობა არ ჰქონდა წინასწარ დაგეგმილი, თუმცა ძალიან კარგი გამოვიდა.

გამოწვევები

რესპოდენტმა აღნიშნა, რომ მისთვის გარკვეულად სირთულეს წარმოადგენდა დაწყებით საფეხურზე პროექტებით სწავლება, ამიტომ ცდილობდა აქტივობები თამაშის სახით ჩაერთო სასწავლო პროცესში, რომელიც სახალისო იყო და იზიდავდა ბავშვებს. ხალისით ჩაერთვნენ და როგორც რესპოდენტმა აღნიშნა, საოცრად კარგი შედეგებიც მიიღეს. თუმცა რესპოდენტს არ დაუკონკრეტებია რა აქტივობების დახმარებით შეძლო ამ შედეგის მიღება.

რაც შეეხება გამოწვევებს და სირთულეებს, რესპოდენტმა აღნიშნა, რომ „პროექტზე მუშაობის და განხორციელების დროს არანაირი პრობლემა არ ყოფილა. უბრალოდ, სირთულეს წარმოადგენს ის რომ, ყველა ბავშვს ერთნაირად არ ამახსოვრდება, რას აძლევ დავალებად და ათმაგად იხარჯები მასწავლებელი, რომ სწორად და ზუსტად ჩაინიშნოს ეს დავალება, რასაც აძლევ. . . . ყველა ბავშვს ვუკეთებდი ჩანაწერს რვეულში და ეს ძალიან შრომატევადია. პატარები არიან და მუდმივად გჭირდება მშობელთან კომუნიკაცია. ეს იყო პრობლემა, თორემ არც ველოდი, პროექტი იმდენად სახალისო იყო ჩემთვისაც, ბავშვებისთვის და მშობლებისთვისაც,“- აღნიშნა რესპოდენტმა.

რეკომენდაციები სხვა მასწავლებლებს

შეკითხვაზე, თუ რა რჩევას მისცემდა კოლეგებს, ვისაც არა აქვს პროექტმეთოდით მუშაობის გამოცდილება, რესპოდენტმა უპირველეს პირობად დააფიქსირა ბავშვებისადმი კეთილგანწყობა და სიყვარული: „პირველ რიგში, ბავშვს აუცილებლად სჭირდება სიყვარული, ეს თუ არ დაინახა ბავშვმა, არც პროექტი დააინტერესებს მასწავლებლისა და არც აბსოლუტურად არაფერი. . . . თუ სიყვარული არ ჩადო მასწავლებელმა, არ ამართლებს ყვირილი, ხმის აწევა. ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ ის მასწავლებლისთვის ღირებულია და არც ვინმეს გამოკვეთა, რომ ის ძალიან კარგია, შეუდარებელია, დანარჩენ ბავშვებს მერე თვითშეფასება უნულდებათ.

სამწუხაროდ, ეს ძალიან ხშირია ხოლმე. . . . ყველა ბავშვი არის თავისებურად კარგი და ეს თუ მასწავლებელს თავიდანვე შეეშალა, მერე პროექტი კი არა, რაც გინდა დააწყოს და დაალაგოს, არაფერი არ გამოუვა. ბავშვს უნდა უყვარდეს, მე დღემდე ვგრძნობ მათ სიყვარულს და მეც ძალიან მიყვარს ისინი."-აღნიშნა რესპოდენტმა.

ამავდროულად მიუთითა, რომ პროექტზე მუშაობისას, პირველ რიგში, აუცილებელია პროექტის წინაპირობა, მოსწავლეებს ასწავლოს ის, რის გაკეთებასაც შემდგომში მათგან მოითხოვს: „აუცილებელია, ჯერ ცოდნა მისცეს, შემდეგ აუხსნას, რომ ეს ცოდნა შეუძლია გამოიყენოს ამ სახით და მისცეს ალტერნატივა, მხოლოდ ერთი სახის არა, როგორც შესძლებს ის ბავშვი. . . . რომ არ დააფრთხოს ბავშვი და არ დაიჩაგროს. ალტერნატივა უნდა ჰქონდეს არჩევანში და ამის ახსნაც უნდა მოხდეს შესაბამისად. მრავალფეროვნება აუცილებელია პროექტში. მასწავლებელმა თავიდანვე უნდა იფიქროს ამაზე, რომ პროექტი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს"- აღნიშნა რესპოდენტმა.

დასკვნა:

- რესპოდენტი მიიჩნევს, რომ პრაქტიკულად ძალიან კარგი ეფექტი აქვს პროექტმეთოდით სწავლებას, თუმცა არ დაუკონკრეტებია რამდენად ხშირად და რა ინტენსივობით იყენებდა ამ მეთოდს. ასევე, რესპოდენტს არ უსაუბრია პროექტის განხორციელების სიხშირეზე, თუმცა ამომწურავად ისაუბრა თითოეულ ეტაპზე და შედეგებზე.
- საუბრიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგს წინასწარ არ ჰქონდა დაგეგმილი საპროექტო თემა და აღნიშნული პროექტის იდეა წარმოიშვა სპონტანურად, საგაკვეთილო თემიდან, რაც ეხებოდა ქართლის ციხე-სიმაგრეებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იდეის წარმოშობის და მოსწავლეებთან შეთანხმების შემდეგ, პედაგოგმა აირჩია სწორი სტრატეგია, რაც მოიცავდა

მშობელთა ინფორმირებას, მათ დაკვალიანებას პროექტის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობების და პროექტის განხორციელებაში ჩართულობისთვის მათი ფუნქციების შესახებ.

- რაც შეეხება ჩართულობას, პედაგოგმა ისაუბრა მშობელთა ჩართულობაზე, მათთან კონტაქტებზე, მაგრამ არაფერი უთქვამს სკოლის დირექციის თუ სხვა წარმომადგენლების ჩართულობაზე პროექტის განხორციელების პროცესში. ეს ურთიერთობები რესპოდენტის განაცხადით ამოიწურებოდა მხოლოდ გამოფენაში მონაწილეობით და სკოლის წარმომადგენელთა დაინტერესებით ნამუშევრებით.
- მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რესპოდენტმა მოსწავლეებს მისცა დიფერენცირებული დავალებები შესასრულებლად, რამაც მოსწავლეებში აღძრა მეტი სტიმული და მოტივაცია, აქტიურად ჩართულიყვნენ პროექტის განხორციელებაში.
- უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად რესპოდენტის პოზიტიური შეფასებისა, მაინც ვერ გავარკვიეთ, რა ინტენსივობით იყენებს პროექტმეთოდს სწავლებაში, რა ხანგრძლივობით ახორციელებს მათ.
- რესპოდენტის საუბრიდან იკვეთება ის ფაქტი, რომ მოსწავლეებმა სახლში დაამზადეს ბოლო პროდუქტები მშობლებთან ერთად, თუმცა აღსანიშნავია, რომ ხანდახან ეს გამოწვევავაც არის, რადგან პედაგოგი ხშირად ვერ იგებს პროდუქტის შექმნაში დიდი როლი ვისია — მოსწავლის თუ მშობლის.

N11 რესპოდენტის ნარატივი

პედაგოგი თელავის ერთ-ერთი საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია 2017 წლიდან. იგი მთელ კოლექტივში გამოირჩევა აქტიურობითა

და ენერგიულობით. მის გაკვეთილებს ყველა მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ესწრებოდა.

რესპოდენტი პროექტმეთოდის გამოყენებას ძალინ დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა და სულ ცოტა, წელიწადში სამჯერ მაინც იყენებდა აღნიშნულ მეთოდს.

პედაგოგმა პროექტი განახორციელა საჯარო სკოლის მე-6 კლასში. მისი თემა იყო: კულტურული მემკვიდრეობა. პროექტის მიზანი იყო მათ მხარეში არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესახებ ტურისტული გზამკვლევის შექმნა ინგლისურ ენაზე.

აღნიშნული პროექტი პედაგოგმა განახორციელა 2018 წლის მაისში პროგრამა eTwinning- ის ფარგლებში გამოცხადებული ტურისტული გზამკვლევების კონკურსის შესახებ, რომლის ძირითად თემად მიჩნეული იყო „კულტურული მემკვიდრეობა“. კონკურსის პირობების მიხედვით, მოსწავლეებს უნდა მოემზადებინათ ტურისტული გზამკვლევი საქართველოში, კერძოდ, მის მხარეში არსებულ რომელიმე ისტორიულ-კულტურულ ძეგლზე. აღნიშნულ კონკურსში მოსწავლეების მიერ შექმნილმა გზამკვლევებმა დაიკავა მე-2 ადგილი. გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკათები და საჩუქრები 2018 წლის 1 ივნისს, თბილისში.

პროექტს, რასაკვირველია, დასჭირდა კარგი დაგეგმვა. კონკურსისთვის შექმნეს სოფლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ გზამკვლევი ბროშურა და ვიდეოგზამკვლევი.

აღნიშნული პროდუქტების შესაქმნელად პედაგოგმა და მისმა მოსწავლეებმა განახორციელეს შემდეგი ეტაპები:

1. მოიძიეს ინფორმაცია შერჩეულ ისტორიულ ძეგლებზე;
2. შექმნეს ბროშურა დოკუმენტური სახით;
3. შექმნეს მოსახერხებელი მარშრუტი;
4. მოაწყვეს ლაშქრობის და შერჩეული მარშრუტით დანიშნულების ადგილამდე მივიდნენ;
5. ლაშქრობის პროცესი ასახეს ვიდეოზე;

6. შექმნეს ბროშურისათვის საჭირო ფოტომასალა და ნახატები.
7. ჩაწერეს მარშრუტი My Track-ზე და მონიშნეს იგი რუკაზე;

მოსწავლეებმა თავად გადაინაწილეს სამუშაოები, რომელსაც შეასრულებდნენ პროექტის ფარგლებში დამოუკიდებლად, მეწყვილესთან თუ ჯგუფთან ერთად.

მოსწავლეებმა, რომლებიც მუშაობდნენ შერჩეულ ისტორიულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიებაზე, აღმოაჩინეს, რომ ძალიან მცირე ინფორმაცია არსებობდა ინტერნეტში აღნიშნულ ტაძრებზე, ამიტომ დახმარებისათვის მიმართეს ისტორიის მასწავლებელს, რომელმაც მიაწოდათ, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ინფორმაცია, რომელიც მას გაგონილი ჰქონდა უფროსი ასაკის სოფლის მაცხოვრებლებისგან, რაც მნიშვნელოვანი მასალა იყო ბროშურის შესაქმნელად.

პროექტის განმახორციელებლემა პედაგოგმა იმ მოსწავლეებთან ერთად, რომლებიც უკეთესად ფლობენ ციფრულ ტექნოლოგიებს, შეიმუშავა ბროშურის ფორმატი, მათ ერთად შექმნეს დიზაინი და ეტაპობრივად, პროექტზე მუშაობის პროცესში, ამატებდნენ და ავსებდნენ საჭირო მასალებით.

პედაგოგმა გეოგრაფიის მასწავლებელს სთხოვა დახმარება ტურისტისთვის მოსახერხებელი მარშრუტის შერჩევაში. პროექტის მონაწილეებმა გადაწყვიტეს ამ მარშრუტის განხორციელება დაეწყოთ თელავის იაკობ გოგაბაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. პროექტში მონაწილე მოსწავლეებმა მასწავლებლებთან ერთად მოაწყვეს ლაშქრობა და გაიარეს ის გზა, რომელიც მომავალში ტურისტმა უნდა გამოიაროს, ჩაწერეს ვიდეოები, გადაიღეს ფოტოები. Google earth-ზე დააფიქსირეს ძეგლების მდებარეობა და მონიშნეს განვლილი მარშრუტი.

პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა ლაშქრობის პროცესი ასახეს ვიდეოზე. მათ ლაშრობის მსვლელობისას მიმდინარე პროცესებზე, ისტორიული ძეგლების შესახებ, ამ

გზაზე არსებულ ღირშესანიშნაობებზე ისაუბრეს და ჩაწერეს ვიდეოზე. ასევე ამ ვიდეოში მიუთითეს გზა, რომლითაც უნდა მისულიყვნენ დანიშნულების ადგილამდე. მოსწავლეებმა ლაშქრობისას უამრავი ფოტომასალა შეაგროვეს. ხატვის ნიჭის მქონე მოსწავლეებმა შექმნეს ნახატები სპეციალურად ამ პროექტისთვის, რომლებიც გამოიყენეს ბროშურის გასაფორმებლად.

პროექტის დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში იყვნენ ჩართული მონაწილე მასწავლებლები და მოსწავლეები. პროექტის ხანგრძლივობა იყო ერთი თვე (კონკურსის პირობებიდან გამომდინარე). საბოლოო პროდუქტების შესაქმნელად მოსწავლეებმა გამოიყენეს შემდეგი კომპიუტერული პროგრამები:

https://www.flipsnack.com — ელექტრონული ბროშურების შესაქმნელად

https://earth.google.com — მარშრუტის რუკაზე ასახვისათვის

moviemaker — ვიდეოს მონტაჟისთვის.

პედაგოგი პროექტის მსვლელობისას მუდმივად ამხნევებდა და მხარს უჭერდა თავის მოსწავლეებს ნებისმიერი დავალების შესრულებისას, ყველა პრობლემის შემთხვევაში ერთად ეძებდნენ პრობლემის გადაჭრის გზას.

რაც შეეხება მოსწავლეთა ჩართულობას აღნიშნულ პროექტში, ყველა მონაწილე საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული. პროექტზე მუშაობის შედეგი იყო ძალიან შთამბეჭდავი, შეიქმნა გზამკვლევები, როგორც დოკუმენტური, ისე ელექტრონული სახით.

პროექტის განხორციელების პროცესში პედაგოგმა გამოიყენა განმავითარებელი შეფასება . მან პროექტში ჩართულობა და საბოლოო შედეგები სპეციალური შეფასების რუბრიკების საშუალებით შეაფასა. პედაგოგს პროექტის განხორციელების პროცესში ბევრი სირთულე და დაბრკოლება შეხვდა. აღნიშნულ პროექტზე მუშაობის პროცესში ვერ შეძლეს მარშრუტის My Track-ზე ჩაწერა, გაუჭირდათ

ასევე Google earth-ზე ძეგლების მდებარეობის დააფიქსირება და განვლილი მარშრუტის მონიშნვა, თუმცა, საბოლოოდ, ბევრი მცდელობის შემდეგ, მაინც გამოუვიდათ.

რესპოდენტის საუბრიდან გავიგეთ, რომ პროექტმეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში საკმაოდ შრომატევადი იყო და ბევრ დროს და ენერგიას მოითხოვდა, თუმცა შედეგი, რომელიც პროექტის განხორციელების ბოლოს მიიღწევა, ამად ღირდა. პედაგოგის აზრით, ზოგადად, პროექტზე მუშაობის პროცესში მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა საკმაოდ მაღალი იყო და მათ განსაკუთრებით განუვითარდათ კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა, ორგანიზება, პრობლემების გადაჭრის და უამრავი სხვა უნარი. პედაგოგის აზრით, ნებისმიერ მასწავლებელს, თუ სურს აღზარდოს პრაქტიკულად მოაზროვნე მომავალი თაობა, პროექტმეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში ამის საუკეთესო საშუალებაა.

N11 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი

<u>გამოცდილება</u>

პედაგოგი ქ. თელავის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია 2017 წლიდან. იგი მთელ კოლექტივში გამოირჩევა აქტიურობითა და ენერგიულობით. მისი გაკვეთილებს ყველა მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ესწრება.

<u>ხედვა/დამოკიდებულება პროექტმეთოდის შესახებ და განხორციელების სიხშირე</u>

რესპოდენტთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ იგი პროექტ მეთოდის გამოყენებას ძალიან დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა სასწავლო პროცესში და, სულ ცოტა, წელიწადში სამჯერ მაინც იყენებდა აღნიშნულ მეთოდს.

<u>პროექტის თემა , მიზანი და ხანგრძლივობა</u>

პროექტი განხორციელდა N8 საჯარო სკოლის მე-6 კლასში. მისი თემა იყო: კულტურული მემკვიდრეობა და მასზე მუშაობისათვის გამოიყენეს 1 თვე.

პროექტის მიზანი იყო არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესახებ ტურისტული გზამკვლევის შექმნა ინგლისურ ენაზე.

კონკურსის პირობების მიხედვით, მოსწავლეებს უნდა მოემზადებინათ ტურისტული გზამკვლევი საქართველოში, კერძოდ, მის მხარეში არსებულ რომელიმე ისტორიულ-კულტურულ ძეგლზე. აღნიშნულ კონკურსში მოსწავლეების მიერ შექმნილმა გზამკვლევებმა დაიკავა მე-2 ადგილი. გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკათები და საჩუქრები 2018 წლის 1 ივნისს თბილისში.

<u>პროექტის განხორციელების გზები და ეტაპეპები</u>

პედაგოგის განცხადებით, პროექტს, რასაკვირველია სჭირდებოდა კარგი დაგეგმვა. გადაწყდა, კონკურსისთვის შეექმნათ სოფლის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ გზამკვლევი ბროშურა და ვიდეოგზამკვლევი.

აღნიშნული პროდუქტების შესაქმნელად პედაგოგმა და მისმა მოსწავლეებმა განახორციელეს შემდეგი ეტაპები:

1. მოიძიეს ინფორმაცია შერჩეულ ისტორიულ ძეგლებზე;
2. შექმნეს ბროშურა დოკუმენტური სახით;
3. შექმნეს მოსახერხებელი მარშრუტი;
4. მოაწყვეს ლაშქრობის და შერჩეული მარშრუტით დანიშნულების ადგილამდე მივიდნენ;
5. ლაშქრობის პროცესი ასახეს ვიდეოზე;
6. შექმნეს ბროშურისათვის საჭირო ფოტომასალა და ნახატები.
7. ჩაწერეს მარშრუტი My Track-ზე და მონიშნეს იგი რუკაზე.

მოსწავლეებმა თავად გადაინაწილეს სამუშაოები, რომელსაც შეასრულებდნენ პროექტის ფარგლებში დამოუკიდებლად, მეწყვილესთან თუ ჯგუფთან ერთად.

მოსწავლეებმა, რომლებიც მუშაობდნენ შერჩეულ ისტორიულ ძეგლებზე ინფორმაციის მოძიებაზე, აღმოაჩინეს, რომ ძალიან მცირე ინფორმაცია არსებობდა ინტერნეტში აღნიშნულ ტაძრებზე, ამიტომ დახმარებისათვის მიმართეს ისტორიის მასწავლებელს, რომელმაც მიაწოდათ, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ინფორმაცია, რომელიც მას გაგონილი ჰქონდა უფროსი ასაკის სოფლის მაცხოვრებლებისგან, რაც მნიშვნელოვანი მასალა იყო ბროშურის შესაქმნელად.

პროექტის განმახორციელებლემა პედაგოგმა იმ მოსწავლეებთან ერთად, რომლებიც უკეთესად ფლობენ ციფრულ ტექნოლოგიებს, შეიმუშავა ბროშურის ფორმატი, მათ ერთად შექმნეს დიზაინი და ეტაპობრივად, პროექტზე მუშაობის პროცესში, ამატებდნენ და ავსებდნენ საჭირო მასალებით.

<u>პროექტზე მუშაობის პროცესი , განხორციელება და შედეგი</u>

პედაგოგმა გეოგრაფიის მასწავლებელს სთხოვა დახმარება ტურისტისთვის მოსახერხებელი მარშრუტის შერჩევაში. პროექტის მონაწილეებმა გადაწყვიტეს ამ მარშრუტის განხორციელება დაეწყოთ თელავის იაკობ გოგაბაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

პროექტში მონაწილე მოსწავლეებმა მასწავლებლებთან ერთად მოაწყვეს ლაშრობა და გაიარეს ის გზა, რომელიც მომავალში ტურისტმა უნდა გამოიაროს — უნივერსიტეტიდან ღვთისმშობლის და წმინდა გიორგის ტაძრებამდე. ჩაწერეს ვიდეოები, გადაიღეს ფოტოები. Google earth-ზე დააფიქსირეს ძეგლების მდებარეობა და მონიშნეს განვლილი მარშრუტი

პროექტში ჩართულმა მოსწავლეებმა ლაშქრობის პროცესი ასახეს ვიდეოზე. მათ ლაშრობის მსვლელობისას მიმდინარე პროცესებზე, ისტორიული ძეგლების შესახებ, ამ

გზაზე არსებულ ღირშესანიშნაობებზე ისაუბრეს და ჩაწერეს ვიდეოზე. ასევე ამ ვიდეოში მიუთითეს გზა, რომლითაც უნდა მისულიყვნენ დანიშნულების ადგილამდე.

მოსწავლეებმა ლაშქრობისას უამრავი ფოტომასალა შეაგროვეს. ხატვის ნიჭის მქონე მოსწავლეებმა შექმნეს ნახატები სპეციალურად ამ პროექტისთვის, რომლებიც გამოიყენეს ბროშურის გასაფორმებლად.

<u>გამოყენებული რესურსები</u>

პროექტის მონაწილეებმა საბოლოო პროდუქტების შესაქმნელად გამოიყენეს შემდეგი კომპიუტერული პროგრამები:

https://www.flipsnack.com — ელექტრონული ბროშურების შესაქმნელად

https://earth.google.com — მარშრუტის რუკაზე ასახვისათვის

moviemaker — ვიდეოს მონტაჟისთვის.

სკოლის სხვა პედაგოგის ჩართულობა/მხარდაჭერა

პედაგოგმა გეოგრაფიის მასწავლებელს სთხოვა დახმარება ტურისტისთვის მოსახერხებელი მარშრუტის შერჩევაში. პროექტის მონაწილეებმა გადაწყვიტეს ამ მარშუტის განხორციელება დაეწყოთ თელავის იაკობ გოგაბაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. პროექტში მონაწილე მოსწავლეებმა მასწავლებლებთან ერთად მოაწყვეს ლაშრობა და გაიარეს ის გზა, რომელიც მომავალში ტურისტმა უნდა გამოიაროს. მათ ჩაწერეს ვიდეოები, გადაიღეს ფოტოები. Google earth-ზე დააფიქსირეს ძეგლების მდებარეობა და მონიშნეს განვლილი მარშრუტი.

<u>მოსწავლეებისადმი მხარდაჭერა და ჩართულობა</u>

პედაგოგი პროექტის მსვლელობისას მუდმივად ამხნევებდა და მხარს უჭერდა თავის მოსწავლეებს ნებისმიერი დავალების შესრულებისას, ყველა პრობლემის შემთხვევაში ერთად ეძებდნენ პრობლემის გადაჭრის გზას.

რაც შეეხება მოსწავლეთა ჩართულობას აღნიშნულ პროექტში, ყველა მონაწილე საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული.

<u>პროექტზე მუშაობის შედეგი</u>

პროექტზე მუშაობის შედეგი იყო ძალიან შთამბეჭდავი, შეიქმნა გზამკვლევები როგორც დოკუმენტური, ისე ელექტრონული სახით. ასევე დამზადდა ვიდეო გზამკვლევები.

<u>პროექტის მონაწილეთა შეფასება</u>

პედაგოგმა მოსწავლეთა სწავლის და პროგრესის შესაფასებლად გამოიყენა განმავითარებელი შეფასება, პროექტში ჩართულობა და საბოლოო შედეგები სპეციალური შეფასების რუბრიკების საშუალებით შეაფასა.

<u>გამოწვევები</u>

პედაგოგის მოსაზრებით, პროექტის განხორციელების პროცესში ბევრი სირთულე და დაბრკოლება შეიძლება შეგხვდეთ, მაგ. აღნიშნულ პროექტზე მუშაობის პროცესში ვერ შეძლეს მარშუტის My Track-ზე ჩაწერა, გაუჭირდათ ასევე Google earth-ზე ძეგლების მდებარეობის დაფიქსირება და განვლილი მარშრუტის მონიშნვა, თუმცა, საბოლოოდ, ბევრი მცდელობის შემდეგ, მაინც შეძლეს. რესპოდენტის განცხადებით, პრობლემები იქნება, მაგრამ ყოველთვის არსებობს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზა, „ამიტომ არ დანებდეთ“,-ამბობს რესპოდენტი.

<u>რეკომენდაციები სხვა მასწავლებლებს.</u>

რესპოდენტმა განაცხადა, რომ პროექტმეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში საკმაოდ შრომატევადი იყო, ბევრი დრო და ენერგია მოითხოვა, თუმცა შედეგი, რომელიც ყოველი პროექტის განხორციელების ბოლოს მიიღწევა, ამად ღირდა. „პროექტზე მუშაობის პროცესში მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა საკმაოდ მაღალია და მათ განსაკუთრებით უვითარდებათ კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, გუნდური მუშაობის, ორგანიზების, პრობლემე-

ბის გადაჭრის და უამრავი სხვა უნარი, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებენ.“ პედაგოგის აზრით, „მასწავლებლებს თუ გვსურს აღვზარდოთ პრაქტიკულად მოაზროვნე მომავალი თაობა, პროექტმეთოდის გამოყენება სასწავლო პროცესში ამის საუკეთესო საშუალებაა“.

დასკვნა:

რესპოდენტის პასუხებიდან თვალნათლივ ჩანს:

● პედაგოგი პროექტმეთოდით სწავლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ნათლად იკვეთება, რომ პროექტმეთოდით სწავლებას, სულ ცოტა, წელიწადში სამჯერ მაინც იყენებდა.

● პედაგოგმა დაგეგმა პროექტი და განახორციელა შესაბამისი ეტაპების გათვალისწინებით. პროექტის დაგეგმვისას განისაზღვრა პროექტის მოსალოდნელი შედეგი და მასზე მიზანმიმართული მუშაობა ეტაპობრივად წარმართა. პროექტების განხორციელებისას გაითვალისწინა მოსწავლეების სურვილები,ინტერესები სამუშაოს გადანაწილების დროს.

●ნათლად იკვეთება, რომ პედაგოგი და მოსწავლეები კარგად ფლობენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ისინი აქტიურად იყენებენ სხვადასხვა ელექტრონულ რესურსებს პროექტის განხორციელების პროცესში.

N12 რესპოდენტის ნარატივი

გამოკითხული პედაგოგი თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში 1988 წლიდან მუშაობს. ის ბუნებისმეტყველების მასწავლებელია დაწყებით კლასებში, ხოლო ზედა კლასებს ბიოლოგიასა და გეოგრაფიასაც ასწავლის.

პედაგოგი პროექტზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც იყენებდა. ის პროექტს სხვადასხვა, მრავალფეროვან თემებზე ახორციელებდა: ნაკრძალებზე, სამკურნალო მცენარეებზე, ქვებსა და მინერალებზე. მოსწავლეები ხან ხატავდნენ, ხან წერდნენ და

წიგნად კინძავდნენ. პროექტებს გამოსახავდნენ ხან კედლის გაზეთში, ხან ბროშურაში, ხან წიგნის სახით. ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონდათ ბროშურების გაკეთება. პედაგოგის განცხადებით, პროექტები ძალიან შრომატევადი იყო.

პედაგოგი მოგვიყვა მის მიერ განხორციელებულ პროექტზე მე-5 კლასელებთან. პროექტი ეხებოდა ციურ სხეულებს. ბავშვებს ძალიან უყვარდათ კოსმოსი, ძალიან მოსწონდათ და წიგნის გარეშეც ბევრს სწავლობდნენ. მოსწავლეებმა ძალიან ბევრი წაიკითხეს, ვიდეოებს უყურეს.

პედაგოგმა და მოსწავლეებმა ერთად დაგეგმეს პროექტი და ერთად მოუყარეს თავი მასალას. პედაგოგმა შესთავაზა რამდენიმე სათაური, ოღონდ ყველაფერი კოსმოსთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, „მე რომ კოსმონავტი ვიყო“, „მე რომ კოსმოსში ვიმოგზაურო“, „ჩემი ოცნება-კოსმოსი“. ფაქტობრივად, ყველა თემა ერთი და იგივე იყო, სათაური იყო სხვადასხვა. მოსწავლეებმა თვითონ აირჩიეს თემის სათაურები. მასწავლებელმა ბავშვები ჯგუფებად არ დაყო, ინდივიდუალურად მუშაობდნენ და ტყუპებმაც კი ცალკ-ცალკე გააკეთეს პრეზენტაციები. ერთ-ერთმა მოსწავლემ პრეზენტაციისას წარადგინა საერთოდ შავი ფურცელი და აქა — იქ გააკეთა ვარსკვლავები, რაც ძალიან შთამბეჭდავი იყო და ძალიან ლამაზი სურათი გამოვიდა. იყვნენ ბავშვები, რომლებმაც ერთად იმუშავეს, მაგალითად ორმა და მართლა კარგი გამოუვიდათ.

პროექტის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ პედაგოგი და თვითონ ბავშვები. რაც შეეხება მშობელთა ჩართულობას, მასწავლებელი ფიქრობს, რომ მშობლები სრულებითაც არ იყვნენ ჩართულნი, მასწავლებელს არ სჯეროდა, რომ ფურცლები მაინც უყიდეს. პროექტში ჩართული ბავშვები მასწავლებელმა შეაფასა და თვითონ ბავშვებმაც შეაფასეს ერთმანეთი.

პროექტი გრძელდებოდა დეკემბრიდან თებერვლამდე, ამ პერიოდში მოსწავლეებს ძალიან დაეხმარათ TV სკოლა, სადაც გადიოდა უმარავი გადაცემა კოსმოსზე.

რაც შეეხება რესურსებს, პროექტის განხორციელებისას მოსწავლეებმა გამოიყენეს ფლომასტერები, ფერადი ქაღალდები, გუაშის საღებავები, ჩვეულებრივ პასტიტაც დახატეს. ინტერნეტი გამოიყენეს კარგად, სადაც ძალიან ბევრი წიგნია კოსმოსზე და უამრავი მასალა ამოიღეს იქიდან.

პროექტის განხორციელებისას პედაგოგი მხარში ედგა მოსწავლეებს, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ხან ეფერებოდა, ხან ეჩხუბებოდა. მოსწავლეებს გამუდმებით ჰქონდათ პედაგოგთან კომუნიკაცია.

მოსწავლეთა ჩართულობა პროეექტში იყო მაქსიმალური. აბსოლუტურად ყველა მოსწავლემ იმუშავა. პედაგოგისათვის მოულოდნელად დაბალი აკადემიური მოსწრების ბავშვებმაც კი ძალიან კარგად იმუშავეს.

პროექტის შედეგი იყო ძალინ კარგი, პედაგოგი 4 გაკვეთილის განმავლობაში იბარებდა პრეზენტაციებს. მასწავლებელმა ქულებით შეაფასა პროექტი. განმავითერებლი შეფასებასც მისცა.

მნიშვნელოვანი დაბრკოლება პროექტის განხორციელების პროცესში არ გამოვლენილა.

რაც შეეხება რეკომენდაციებს სხვა მასწავლებლებისათვის, პედაგოგი ყველას ურჩევს მის გამოყენებას, რადგან ბავშვებს უწევთ მეტი კითხვა და, შესაბამისად, მეტი კითხვებიც უჩნდებათ.

N12 რესპოდენტის ნარატივის ანალიზი

<u>გამოცდილება</u>

პედაგოგი თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში 1988 წლიდან მუშაობს. ის ბუნებისმეტყველების მასწავლებელია დაწყებით კლასებში, ხოლო ზედა კლასებს ბიოლოგიასა და გეოგრაფიასაც ასწავლის.

ხედვა/დამოკიდებულება პროექტმეთოდის შესახებ და განხორციელების სიხშირე

პედაგოგს მიაჩნდა, რომ პროექტ მეთოდი ძალიან სასარგებლოა და, ამავდროულად, ძალიან შრომატევადი იყო

და წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მაინც იყენებდა. ის პროექტს სხვადასხვა, მრავალფეროვან თემებზე ახორციელებდა: ნაკრძალებზე, სამკურნალო მცენარეებზე, ქვებსა და მინერალებზე. მოსწავლეები ხან ხატავდნენ, ხან წერდნენ და წიგნად კინძავდნენ. პროექტებს გამოსახავდნენ ხან კედლის გაზეთში, ხან ბროშურაში, ხან წიგნის სახით. ბავშვებს განსაკუთრებით მოსწონდათ ბროშურების გაკეთება.

პროექტის თემა, მიზანი და ხანგრძლივობა

პროექტი, რომელიც პედაგოგმა მე-5 კლასის მოსწავლეებთან განახორციელა, ეხებოდა ციურ სხეულებს. პროექტის მიზანი იყო კოსმოსის გამოკვლევა და მის ირგვლივ ინფორმაციის მოძიება. მოსწავლეებმა თვითონ აირჩიეს თემის სათაურები: „მე რომ კოსმონავტი ვიყო“, „მე რომ კოსმოსში ვიმოგზაურო“, „ჩემი ოცნება-კოსმოსი“ და სხვა. პროექტი გრძელდებოდა დეკემბრიდან თებერვლამდე, ამ პერიოდში მოსწავლეებს ძალიან დაეხმარათ TV სკოლა, სადაც გადიოდა უმარავი გადაცემები კოსმოსზე.

პროექტის განხორციელების გზები და ეტაპები

მასწავლებელმა ბავშვები ჯგუფებად არ დაყო, ინდივიდუალურად მუშაობდნენ და ტყუპებმაც კი ცალკ — ცალკე გააკეთეს პრეზენტაციები. ერთ-ერთმა მოსწავლემ პრეზენტაციისას წარადგინა საერთოდ შავი ფურცელი და აქა — იქ გააკეთა ვარსკვლავები, რაც ძალიან შთამბეჭდავი იყო და ძალიან ლამაზი სურათი გამოვიდა. „იყვნენ ბავშვები, რომლებმაც ერთად იმუშავეს, ორმა მაგალითად და მართლა კარგი გამოუვიდათ.“- განაცხადა პედაგოგმა. პროექტის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ პედაგოგი და თვითონ ბავშვები.

მშობელთა ჩართულობა

რაც შეეხება მშობელთა ჩართულობას, მასწავლებელი აღნიშნავს, რომ მშობლები არ იყვნენ ჩართულები განხორციელებაში და არ სჯერა, თუ ფურცლები მაინც უყიდეს ბავშვებს.

გამოყენებული რესურსები

პროექტის განხორციელებისას მოსწავლეებმა გამოიყენეს ფლომასტერები, ფერადი ქაღალდები, გუაშის საღებავები, ჩვეულებრივი პასტითაც დახატეს. ინტერნეტი გამოიყენეს კარგად, სადაც ძალიან ბევრი წიგნია კოსმოსზე და უამრავი მასალა ამოიღეს იქიდან. პედაგოგის განცხადებით, მოსწავლეებმა საკმაოდ ეფექტურად გამოიყენეს TV სკოლა, საიდანაც ძალიან საინტერესო ინფორმაცია მოიძიეს.

მოსწავლეებთან დამოკიდებულება

პროექტის განხორციელებისას პედაგოგი მხარში ედგა მოსწავლეებს, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ხან ეფერებოდა, ხან ეჩხუბებოდა. მოსწავლეებს გამუდმებით ჰქონდათ პედაგოგთან კომუნიკაცია.

მოსწავლეთა ჩართულობა

მოსწავლეთა ჩართულობა პროეექტში იყო მაქსიმალური. აბსოლუტურად ყველა მოსწავლემ იმუშავა. პედაგოგისათვის მოულოდნელად დაბალი აკადემიური მოსწრების ბავშვებმაც კი ძალიან კარგად იმუშავეს.

პროექტის შედეგების შეფასება

პროექტის შედეგად პედაგოგი 4 გაკვეთილის განმავლობაში იბარებდა პრეზენტაციებს. მასწავლებელმა ქულებით შეაფასა პროექტი და ასევე განმავითერებლი შეფასებაც მისცა.

გამოწვევები

მნიშვნელოვანი გამოწვევა პროექტის მსვლელობისას არ ყოფილა.

რეკომენდაციები სხვა მასწავლებლებს

რესპოდენტმა განაცხადა, რომ სხვა პედაგოგებსაც ურჩევს პროექტმეთოდის გამოყენებას, რადგან ამ პერიოდში ბავშვებს ბევრი მასალის კითხვა უწევთ და ძალინ ბევრს სწავლობენ.

დასკვნა:

რესპოდენტის პასუხებიდან თვალნათლივ ჩანს:

● რესპოდენტი პროექტ მეთოდის გამოყენებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და წელიწადში ერთხელ-ორჯერ მაინც იყენებდა. როგორც თავად აღნიშნავს, პროექტმეთოდის გამოყენება საკმაოდ საინტერესო და, ამავდროულად, შრომატევადიც იყო.

●მოსწავლეები თავისუფლები იყვნენ პროექტის თემის არჩევანში, მათ იმუშავეს ინდივიდუალურად და წყვილებში.

●მოსწავლეთა ჩართულობა პროექტში იყო საკმაოდ მაღალი, ყველა მოსწავლე, მიუხადავად აკადემიური მოსწრებისა, ჩართული იყო აქტიურად.

●მშობელთა ჩართულობა მინიმალური იყო პროექტში.

● პროექტის განხორციელება და ჩართულობაც შეაფასა პედაგოგმა, ის აღნიშნავს, რომ მაღალი ქულები დაწერა, თუმცა, საერთოდ არ ჩანს პროექტის მიმდინარე და საბოლოო შეფასება რა ფორმით გააკეთა პედაგოგმა.

ნარატივის ანალიზის საერთო დასკვნები და რეკომენდაციები

კვლევაში ჩართული 12 რესპოდენტის პრაქტიკისა და გამოცდილების შესწავლისას და ნარატივების დამუშავებისას, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თან ახლავს პროექტების განხორციელებას დაწყებითი განათლების საფეხურზე სხვადასხვა საგანში და თავლნათლივ წარმოაჩენს პროექტმეთოდით სწავლების პროცესებს და ხარისხს. გამოიკვეთა ისეთი ასპექტებიც, რომლებიც საერთო გამოწვევას წარმოადგენენ ამ მეთოდით სწავლების დროს.

რესპოდენტების ნარატივების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- პედაგოგები პროექტმეთოდით სწავლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და იყენებენ სწავლებაში. მათ გააზრებული აქვთ პროექტით სწავლების მნიშვნელობა და ეფექტურობა პრაქტიკული თუ აქტიური სწავლების, მოსწავლეებში სხვადასხვა უნარის განვითარების თვალსაზრისით. პროექტმეთოდის გამოყენება უმეტესად, ახალი მასალის შემოტანას ან უკვე ნასწავლის განმტკიცებას ემსახურება და ჩანს, რომ მოსწავლეების დიდ ჩართულობასა და დაინტერესებას იწვევს. თუმცა, უმეტესად პედაგოგები თავად არიან იდეიდან პროექტის დაგეგმვა/განხორციელების ჩათვლით ინიციატორები, ხოლო მოსწავლეები კი შემსრულებლები, მაგრამ, როგორც თავად აღნიშნავენ, ითვალისწინებენ მათ აზრებს, ინტერესებს და შესაძლებლობებს...
- პროექტმეთოდის გამოყენების სწორად დაგეგმვა მნიშვნელოვანია, რადგან თავიდანვე მცირდება სირთულეები პროცესში. პროექტის განხორციელება გარკვეულ ეტაპებს და გადასაჭრელ ამოცანებს მოიცავს, რომელიც თითქმის ყველა რესპოდენტის მიერ შესრულებულ პროექტში იყო გათვალისწიენებული, თუმცა სახელდება და შესაბამისი თანამიმდევრობით დასახელება რესპოდენტების უმეტესობას უჭირს.
- სწავლება ეფუძნება კურიკულუმით განსაზღვრულ მიზნებს, თემებს, საკითხებს, რესურსს თუ სწავლების მეთოდოლოგიას. კვლევის დროს განხილული პრაქტიკული მაგალითებიდან ჩანს, რომ უმეტეს შემთხვევებში, პროექტით სწავლება წინასწარ არ ჰქონდა მასწავლებელს განსაზღვრული კურიკულუმით და უკავშირდებოდა ძირითადად ღირშესანიშნავ დღეს ან რომელიმე პროგრამის ფარგლებში შესრულებას.
- პროექტების განხორციელებისას რესურსით უზრუნველყოფას ხშირ შემთხვევაში თავად პედაგოგები ცდილობენ საკუთარი ძალებით, თუმცა მშობლების მხარდაჭერაც იკვეთება რიგ შემთხვევებში.

- პროექტების განხორციელებას თან ახლავს ჯგუფური მუშაობის ფორმა, რასაც თავად პედაგოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუმცა, კონკრეტულად და დეტალურად უჭირთ საუბარი ჯგუფის წევრებს შორის ამოცანების გადანაწილების და თანამშრომლობის შესახებ, თუნდაც, თავად წევრებსა და ჯგუფებს შორის როგორ ხდება.
- პროექტმეთოდით სწავლებას ძირითადად სასწავლო წელში ერთხელ ან ორჯერ ახერხებენ, მიზეზად დროის დეფიციტს ასახელებენ მოსწავლეების თუ საკუთარი თავის მხრიდან და ასევე კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებებისთვის საჭირო დროის გამოყოფასაც უსვამენ ხაზს... დროის დეფიციტი, როგორც ერთ-ერთი სირთულე პროექტმეთოდის გამოყენებისას, დასახელდა უმეტესი რესპოდენტის შემთხვევაში.
- პროექტის განხორციელებისას მოსწავლეთა შეფასებასაც ახერხებენ პედაგოგები რუბრიკების, კომენტარების ან ქულების საშუალებით. პროექტის განხორციელების მიმდინარე და საბოლოო შეფასებას მხოლოდ რესპოდენტების მცირე ნაწილი აღნიშნავს.
- მაღალია პროექტის შედეგის მაჩვენებელი პრეზენტაციის სახით.
- მინი პროექტების გახორციელების ეფექტურობასაც უსვამენ ხაზს პედაგოგები და აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები ისევე მოტივირებულები და დაინტერესებულები არიან, როგორც გრძელვადიანი პროექტმეთოდით სწავლების დროს.
- პროექტების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში რესპოდენტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მშობელების და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ჩართულობას, რაც, მათი აზრით, გარ-

კვეული წინაპირობაც არის პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის.

- ინტეგრირებული პროექტების განხორციელებას ანიჭებენ უპირატესობას პედაგოგები და თვლიან, რომ ბევრად ეფექტურად ხდება მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება და ახალი ცოდნის დაუფლება საგნების ინტეგრაციის ჭრილში, რაც ნათელყოფს საგნების ინტეგრირებული სწავლების მნიშვნელობას.
- გამოიკვეთა პროექტების საბოლოო პროდუქტების სახლში შესრულების ტენდენციაც, რითაც, პედაგოგების აზრით, მშობელთა ჩართულობაც ხალისდება. სამწუხაროდ, ასეთ შემთხვევებში ხშირად ვერ იდენტიფიცირება მოსწავლისა და მშობელის როლი, არადა, საბოლოო პროდუქტი ათვისებული ცოდნის ერთგვარი შეფასების საშუალებაცაა.

რეკომენდაციები:

- პროექტმეთოდით სწავლების გაუმჯობესების მიზნით, მნიშვნელოვანია, საგნობრივი კურიკულუმით წინასწარ განსაზღვრული იყოს კონკრეტული სასწავლო ერთეულები/თემები, რისი სწავლებაც განხორციელდება პროექტმეთოდის საშუალებით.
- ·აუცილებელია, მოხდეს მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება, მათი ჩართვა პროექტის მიზნების შემუშავებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საკუთარი სამუშაოს მართვაში. მოსწავლეებმა შეაფასონ საკუთარი ნამუშევარი და მოახდინონ რეფლექსია. სასურველია, წინასწარ ნათლად გამოიკვეთოს პროექტის ძირითადი მიზნები და შესაძლო შედეგები.
- საყურადღებოა, გათვალისწინებული იქნეს, რომ პროექტმეთოდით სწავლება არ არის უბრალოდ „პროექტის კეთება", რითაც ხშირად მოსწავლეებს

სწავლის დონეს უფასებენ ან ეხმარებიან შესწავლილი საკითხის შესახებ მეტი ინფორმაციის მიწვდაში, არამედ სწავლების მთავარი მექანიზმია, რომელიც მოიცავს მუდმივი ძიების პროცესს და უნდა შესრულდეს გუნდთან თანამშრომლობით.

- მნიშვნელოვანია წინასწარ განისაზღვროს პროექტის განხორციელების ვადები.
- შედეგიანი იქნება გამოწვევების და შესაძლო სირთულეების წინასწარ განჭვრეტაც. ამ პროცესშიც მოსწავლეთა ჩართულობა აამაღლებს მათ დაინტერესებას და მობილიზებას.
- მნიშვნელოვანია, მოხდეს პროექტის მუშაობის პროცესში სკოლისა და კოლეგების მხარდაჭერა/ჩართულობა.
- საყურადღებოა პროექტის მიმდინარეობის და საბოლოო შეფასების წარმოება, რაც დაეხმარება თავად მასწავლებელსაც გამოწევევების დანახვაში.

თავი 5. პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ სტუდენტთა მომზადებისა და ცოდნის კვლევა

(რაოდენობრივი კვლევის ანგარიში)

წინამდებარე კვლევა ჩატარდა ჩვენი სამიზნე უნივერსიტეტების (თელავის, ბათუმის, ქუთაისის, გორის, ზუგდიდის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის, ილიას და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტები) განათლების მიმართულების ფაკულტეტების სტუდენტებთან, რომლებიც მასწავლებლის პროფესიას ეუფლებიან და გარკვეული შეხება აქვთ სკოლებთან.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა, დაგვედგინა, როგორი იყო მომავალ მასწავლებელთა ცოდნა და მზაობა სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ.

კვლევის მეთოდოლოგია:

კვლევის მეთოდოლოგია, ისევე, როგორც წინა რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში, მთლიანად დაეფუძნა შემთხვევითი შერჩევის პრინციპს, ხოლო კვლევის კითხვარი აიწყო რაოდენობრივი კვლევის დიზაინის გათვალისწინებით, რაც პიროვნული გამოცდილებების გაზიარებას და მის შესწავლას გულისხმობს.

კვლევის ფარგლებში, კითხვარები ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაიგზავნა სტუდენტებთან. საერთო ჯამში საკვლევი გენერალური ერთობლიობა გამოვიდა 3233 სტუდენტი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა საჯარო უნივერსიტეტში სწავლობენ. 2657 სტუდენტი სწავლობს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, ხოლო მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე (ე.წ. 60 კრედიტიანი პროგრამა)- 576 სტუდენტი.

კვლევაში მონაწილეობა იყო კონფიდენციალური და მიღებული შედეგები გამოყენებულია მხოლოდ ზოგადი სტა-

ტისტიკური მონაცემების სახით, სადაც პიროვნული იდენ-ტიფიცირება არის შეუძლებელი.

ძირითადი მიგნებები

- საუნივერსიტეტო დონეზე პროექტმეთოდის სწავლე-ბის თეორიული და პრაქტიკული სწავლების აკადემი-ური დროის გაზრდა.
- ინტენსიურად მოხდეს პროექტების დაგეგმვა/გან-ხორციელება სტუდენტების მიერ საუნივერსიტეტო პრაქტიკების თუ თეორიული ცოდნის მიღების პრო-ცესში.
- დაიგეგმოს და განხორციელდეს დამატებით სატრე-ნინგო, მოსამზადებელი კურსები პედაგოგებისთვის და სტუდენტებისთვის პროექტმეთოდის არსის უკეთ გაგებისთვის.
- საჭიროა პროექტმეთოდით სწავლების მნიშვნელობის პოპულარიზაცია საუნივერსიტეტო განათლების პე-რიოდში, რათა უშუალოდ სკოლაში სწავლების დროს მისი გამოყენება იყოს ეფექტური.

სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი

წინამდებარე კვლევა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, და-ვიწყეთ ელექტრონულ მისამართებზე კითხვარის ბმულის მიწოდებით. შესაბამისად, გამოკითხვა იყო თვითადმინის-ტრირებადი. გამოკითხული რესპონდენტების ჯამი არის 111 (N=111). კვლევა არის გამოყენებითი სახის (მასშტაბის გამო ექვემდებარება გაზიარებას), რადგან მასში მონაწილეობ-დნენ საქართველოს სხვადასხვა სახელმწიფო უნივერსიტე-ტების სტუდენტები. კვლევის ცდომილება არის ±5%.

გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა არიან გო-გონები 96% (N=107), ხოლო 4% (N=4) ბიჭები. ყველაზე უმ-როსი იყო მესამეკურსელი 19 წლის, ხოლო ყველაზე ასაკი-ანი- 52 წლის სტუდენტი. თუმცა გამოკითხულთა საშუალო

ასაკი არის 26.15 წელი. ხოლო გამოკითხულ რესპონდენტთა 75% (N=98) არიან 20-30 წლის სტუდენტები.

დიაგრამა №1 — სწავლების საფეხური.



აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 66% (N=73) ამჟამად სწავლობს საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ხოლო 34% (N=38)- 60 კრედიტიან პროგრამაზე. სწავლის კურსს რაც შეეხება, სტუდენტთა 26% არის მე-3 კურსზე (N=29), ასევე 26% არის მე-4 კურსზე (N=29), მე-5 კურსზეა 14% (N=15), ხოლო 60 კრედიტიან პროგრამაზეა სტუდენტთა 34% (N=37).

დიაგრამა №2 — კვლევაში მონაწილე სტუდენტების განაწილება კურსების მიხედვით

უნივერსიტეტების მიხედვით ჩართულ სტუდენტებს რაც შეეხება, 38% (N=42) არის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, 14% (N=16) — ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნვიერსიტეტიდან, ასევე 14-14% (N=15 — 15) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, 11% (N=12) — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, 6% (N=7) — ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, 3%

(N=3) — გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1% (N=1) — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.



დიაგრამა №3 — სტუდენტების მონაწილეობა უნივერსიტეტების მიხედვით.



დიაგრამა №4 — გამოკითხულთა სტატისტიკა საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით

რაც შეეხება საგანმანათლებო პროგრამულ მიმართულებას, რესპონდენტთა 66% (N=73) არის დაწყებითი საფეხუ-

რის ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგამის სტუდენტი, 34% (N=38) — მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო სამოცკრედიტიანი პროგრამის სტუდენტი.

დიაგრამა №5 — გამოკითხული სტუდენტების ცოდნის მაჩვენებელი პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით

დემოგრაფიული ბლოკის შემდგომ, ინტერვიუს გასაგრძელებლად, სტუდენტებს ვკითხეთ, ჰქონდათ თუ არა ინფორმაცია პროექტმეთოდით, ანუ პროექტზე დაფუძნებული სწავლების შესახებ, რაზეც რესპონდენტთა 39% (N=43) დადებითად გვიპასუხა, ხოლო 61% (N=68) — უარყოფითად. იმ რესპონდენტებმა, რომლებმაც დადებითი პაუხი გაგვცეს, დაასრულეს ინტერვიუ ბოლომდე და შემდგომ შეკითხვებსაც უპასუხეს, ხოლო ვინც უარყოფითად, მათი გამოკითხვა აღარ გაგრძელებულა აღნიშნულ საკითხზე.



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროცენტული მაჩვენებელი პროექტმეთოდის ცოდნისა და გამოყენების შესახებ, ემთხვევა არსებული პედაგოგების ცოდნასა და გამოყენების მაჩვენებელს, რომელიც ასევე თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე წლის გაზაფხულზე განხორციელდა. შესაბამისად, მჭიდრო კორელაციური კავშირია საუნივერსიტეტო რეალობაში პროექტმეთოდის შესახებ მიღებულ ცოდნასა და შემდგომ სკოლაში სწავლების პროცესში მის გამოყენებაზე, რაც მიუთითებს კიდევ ერთხელ მოცემული მეთოდის სწავლების პრობლემაზე და საჭიროებს უფრო მეტ ძალისხმევას მასწავლებლის მომზადების პროგრამებში მის თეორიულ და პრაქტიკულ სწავლაზე.



დიაგრამა №6 — პროექტმეთოდის გამოყენების მიზანი დაწყებით საფეხურზე.

ამის შემდგომ, იმ რესპონდენტებს, რომელთაც დადებითად გვიპასუხეს წინა შეკითხვაზე, ვკითხეთ, თუ რა არის მათი აზრით პროექტმეთოდის გამოყენების მიზანი სწავლებაში, რაზეც გამოკითხულთა

44% — გვისახელებს უნარების განვითარებას

26% — ნასწავლის პრაქტიკაში გადატანას

21% — ახალი ცოდნის აგება/გამოყენებას

2% — კლასგარეშე ღონისძიებას,

7%-მა სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა.

დიაგრამა №7 — პროექტმეთოდის გამოყენების შედეგად მიღწეული შედეგები

საინტერესო იყო სტუდენტების აზრი პროექტმეთოდის გამოყენების მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით, რადგან მათი ნაწილს უკვე პრაქტიკა გავლილი ჰქონდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ან მუშაობენ კიდეც პარალელურად (იგულისხმება მასწვ. მომზად. სამოცკრედიტიანის პროგრამის სტუდენტები). გამოკითხულთა

25% — მიღწეულ შედეგად ახალი უნარების შეძენას და განვითარებას გვისახელებს

18% — თეორიულ ცოდნის პრაქტიკაში გადატანას

15% — ძიების უნარებს და აზროვნებას უვითარებს

9% — ახალ ცოდნას ღებულობენ, 8-8% ცოდნის განმტკიცება და სწავლა კეთებით

6% — თანამედროვე სწავლებები

3% — გუნდურობა

2% — უვითარებს ტექნოლოგიების სწორად გამოყენებას

6% — სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა.



სხვა არაკლასიფიცირებად პასუხებში ძირითადად იყო ის აზრი გატარებული, რომ პროექტმეთოდის შედეგად განვითარებული უნარები სხვა კლასებშიც გამოადგებოდათ, ისევე როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე.

საინტერესო იყო, თუ რომელ სასკოლო საგნებში მიიჩნევენ სტუდენტები ეფექტურად პროექტმეთოდით სწავლებას.

17% — ბუნებისმეტყველებაში

14% — ქართულ ენასა და ლიტერატურაში

11% — მე და საზოგადოება

7% — მათემატიკა

4% — ინგლისური

4-4% — ჩვენი საქართველო და კომპიუტერული ტექნოლოგიები

3% — ხელოვნება.

ხოლო 35% ყველა საგანში რელევანტურად და შესაბამისად მიიჩნევს პროექტმეთოდით სწავლებას.

დიაგრამა №8 — სტუდენტების შეხედულებით პროექტმეთოდის გამოყენების ეფექტურობა საგნების მიხედვით



შესაძლოა, ამ ნაწილში იყოს გავლენა უშუალოდ პროფესიის, კერძოდ, სტუდენტთა ნაწილი კონკრეტული მიმართულების სტუდენტები არიან და სავარაუდოა, რომ ამ ფაქტმა იქონია გავლენა მათ პასუხებზე და სინამდვილეში პროექტმეთოდის გამოყენება ყველა საგანში არის მიზანშეწონილი და შედეგიანი. წინამდებარე შეკითხვაში დასახელებული პასუხებიდან გამომდინარე, ვთხოვდით არგუმენტები დაესახელებინათ, რაზეც 29% ამბობდა, რომ შესაძლებელია ყველა საგანთან შესაბამისი მოდიფიკაცია, 20% — პრაქტიკული ცოდნა უვითარდებათ უფრო მეტად, 16% — მეტად

დიაგრამა №9 — სტუდენტების არგუმენტები იმ არჩეულ საგნებთან დაკავშირებით, სადაც პროექტმეთოდის გამოყენება მიიჩნიეს ეფექტურად



არის კავშირი სოციალურ ცხოვრებასთან და საზოგადოებასთან

9% — უფრო მეტად ეფექტურია პროექტმეთოდით ამ საგნის სწავლება

5% — საგაკვეთილო პროცესი უფრო სახალისო და საინტერესოა

7-7% — უფრო სიღრმისეულად შეისწავლიან საგანს და გაიღრმავებენ ცოდნას საგანზე და მის გარეთ, ასევე

7% სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა. არაკლასიფიცირებად პასუხებში ძირითადად ისეთი კოდებია, რაც იყო მხოლოდ ერთი და არ მეორდებოდა სხვა რესპონდენტთან, შესაბამისად, იყო პასუხი, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით არ უნდა მოვახდინოთ ბავშვებში უნარების განვითარება და მრავალმხრივი უნარების განვითარებით ხდება მრავალმხრივი ინტელექტის მქონე პიროვნების განვითარება, რომელიც კონკურენტულია სოციუმში. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს პროექტმეთოდის გამოყენების შედეგებსა და ეფექტურობაზე ვკითხეთ, ასევე საინტერესო იყო მათი მოსაზრება, თუ რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მის გამოყენებას დაწყებითი საფეხურზე სწავლების პროცესში, რაზეც:



67%-მა სრულად დადებითად შეაფასა პროექტმეთოდის გამოყენების მნიშვნელობა დაწყებით საფეხურზე,

21% — დადებითად,

7% — უფრო დადებითად ვიდრე უარყოფითად,

5% — უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად.

საერთო ჯამში სტუდენტების დიდი უმრავლესობა დადებითად არიან განწყობილი დაწყებით საფეხურზე პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ.

დიაგრამა №10 — პროექტმეთოდის გამოყენების მნიშვნელოვნება დაწყებით საფეხურზე

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროექტმეთოდის განხორციელება ხშირად მოითხოვს სხვადასხვა მხარეის ჩართულობას და თანამშრომლობას, თუმცა არაყოველთვის. რესპონდენტებს ვთხოვეთ ეთქვათ, თუ ვისი მხარდაჭერა

არის მნიშნელოვანი პროექტმეთოდის გამოყენებისას, რა-ზეც გამოკითხულთა:



40% — მშობლები დაასახელა,

33% — აღნიშნა, რომ მხარეთა ჩართულობა დამოკიდე-ბულია პროექტის თემატიკაზე,

12% — სკოლის ადმინისტრაცია,

2% — დარგის ექსპერტები,

2-2% ადგილობრივი თვითმმართველობა და სხვა დარ-გის პედაგოგები,

9% იყო სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი.

დიაგრამა №11 — მხარეთა ჩართულობა პროექტმეთოდის განხორციელებისას



დიაგრამა №12 — სირთულეები პროექტმეთოდის გამოყენებისას

საინტერესოა, სტუდენტების პრაქტიკიდან გამომდინარე, გაგვეგო, რა სირთულეებს და გამოწვევებს აწყდებიან პროექტმეთოდის გამოყენებისას დაწყებით საფეხურზე, რაზეც:

21% -გვითხრა, რომ შესაძლოა ყველა ბავშვისთვის არ იყოს გასაგები და სათანადოდ ახსნილი,

19% — პროექტმეთოდის გაანალიზების და გამოყენების სირთულე, როგორც ბავშვებისთვის ისე პედაგოგებისთვის,

14% — რესურსების არ ქონა ან სიმწირე,

14% — მოსწავლეთა ჩართულობის დაბალი ინტერესი,

11% — დაგეგმვის და დროის მართვის პრობლემები,

7% — პედაგოგის დაბალი მოტივაცია,

2% — მშობლების ნეგატიური დამოკიდებულება, ხოლო პროექტეთოდის გამოყენება არანაირ სირთულეს არ უკავშირდება, გამოკითხულთა 2%-მა აღნიშნა,

11% — სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა.

კვლევისას მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, მოგვეპოვებინა ინფორმაცია, თუ რა წყაროდან აქვთ ცოდნა სტუდენტებს პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით, სადაც:

53%- დაგვისახელა უნივერსიტეტი,

19% — აქტიურად იყენებს ონლაინ პლატფორმებს და ბეჭდურ მედიას,

15% -მიღებული აქვს ცოდნა სპეციალურ საგანმანათლებლო კურსებზე,

6% — სკოლიდან აქვს ცოდნა,

4% — პრაქტიკიდან,

2% სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა.



დიაგრამა №13 — ცოდნის წყარო პროექტმეთოდის შესახებ.

ამის შემდგომ ჩვენი შეკითხვა საუნივერისტეტო განათლებას და პრაქტიკას შეეხებოდა, კერძოდ, რამდენად საკმარისია საუნივერისტეტო თეორია და პრაქტიკა პროექტმეთოდის დამოუკიდებლად განხორციელებისთვის, რაზეც სტუდენტთა

35%- აღნიშნავს, როგორც თეორია ისე პრაქტიკა საკმარისია,

23% — საკმარისია თეორიის მხრივ,
21% — არცერთი მიმართულებით არ არის საკმარისი,
9% — არასაკმარისია პრაქტიკის მხრივ,
7% — საკმარისია პრაქტიკის მიმართულებით,
5%- სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხები დაგვისახელა.



დიაგრამა №14 — საუნივერისტეტო განათლება და პრაქ-ტიკა პროექტმეთოდის სწაველბისას

გამომდინარე წინამდებარე შეკითხვიდან, სტუდენტებს ჩავეკითხეთ, თუ რა სახის კომპეტენციის განვითარებას ან შეძენას ისურვებდნენ პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაზეც:

47% — მიუთითა კომპეტენციებზე, რომელთა სწავლა და გამოყენება შესაძლებელი იქნება პრაქტიკაში,

20% — უკეთ გაიგონ პროექტმეთოდის არსი და მისი საჭიროება,

16% — თეორიული ცოდნის განვითარება,

7% — უკვე ფლობს საკმარის კომპეტენციას,

9% -სხვა არაკლასიფიცირებადი პასუხი დაგვისახელა.

სხვა პასუხებში ძირითადად დაგვისახელეს სანდო და არასანდო ინფორმაციების გარჩევა ერთმანეთისაგან, მის დახარისხებას პრიორიტეტულობის მიხედვით, ასევე ცოდნა ჯგუფურ მუშაობასთან დაკავშირებით და თანამედროვე სწავლების უნარების შეძენას.



დიაგრამა №15 — პროექტმეთოდის გამოყენებისთვის საჭირო უნარების შეძენა/განვითარების სურვილი.

ინტერვიუს ბოლოს, რესპონდენტებს ვთხოვდით რეკომენდაციებს, რჩევებს პროექტმეთოდთან და სასწავლო სილაბუსებთან დაკავშირებით, რომელსაც რეკომენდაციების ნაწილში იხილავთ ჩამონათვალის სახით.

შეჯამებისათვის აღსანიშნავია, რომ საუნივერსიტეტო განათლება მაინც ვერ იძლევა სრულფასოვან შესაძლებლობას პროექტმეთოდის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გამოყენებასთან დაკავშირებით, რადგან გამოკითხულთა მხოლოდ

39%-ს აქვს ცოდნა და აქედანაც რამდენად ხარისხიანად და სრულფასოვნად იცის სტუდენტმა, ეს კიდევ არის ცალკე კვლევის საკითხი. მნიშვნელოვანია, რომ უკეთ იყოს გაანალიზებული და გაგებული თანამედროვე და პროექტზე დაფუძნებული ცოდნის მიღება-გაცემის შესაძლებლობები, რომ ტრადიციული ფორმები ჩანაცვლდეს თანამედროვე მიდგომით, რომ შემდგომ საუნივერსიტეტო განათლებაშიც მეტად აქტიურად ჩაერთონ ახალგაზრდები და როგორც სტუდენტებმა აღნიშნეს, ცხოვრების და სოციუმის სხვა გამოწვევებისთვის სხვადასხვა უნარი განუვითარონ მომავალში მოსწავლეებს.

რეკომენდაციები:

1. სასწავლო პროგრამისა და სხვადასხვა საგნის მეთოდიკების სილაბუსების პროექტმეთოდის გამოყენების სწავლების კუთხით სრულყოფა, მოდერნიზაცია, რადგან საუნივერსიტეტო საფეხურზე ამის შესახებ ცოდნის შეძენა და მზაობა დაეხმარებათ მომავალში პროფესიული საქმიანობისას პრაქტიკულად მის განხორციელებაში.
2. საჭიროა, პროექტმეთოდის გამოყენების კუთხით, პრაქტიკული, მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა პედაგოგისთვის.
3. მნიშნელოვანია, კურსებში პრაქტიკული ქეისების გაზიარება პროექტმეთოდით სწავლებასთან და მის თანმდევ შედეგებთან დაკავშირებით.
4. საყურადღებოა პედაგოგიურ პრაქტიკებზე ამ კომპონენტის პრაქტიკულ ჭრილში სწავლება.

თავი 6. პროექტების ნიმუშების მიმოხილვა

კახეთის რეგიონის საჯარო სკოლების დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგებს, სწავლებაში პროექტმეთოდის გამოყენების კვლევის ფარგლებში, დაეგზავნათ თხოვნა ამავე საფეხურზე ნებისმიერ საგანში განხორციელებული პროექტების ნიმუშების გაზიარებას შესახებ, მათივე ავტორობით მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით. კვლევაში მონაწილე 451 პედაგოგიდან მხოლოდ 8 პედაგოგის მიერ იქნა გადმოგზავნილი 11 პროექტის ნიმუში ელექტრონული ფოსტის საშუალებით. სამწუხაროდ, ორი პროექტის ნიმუშის გაცნობა ვერ მოხერხდა, იყო PowerPoint-ის ფორმატით და არ იყო მასზე მოცემულიინფორმაცია, რა საგანში და რომელ კლასში განხორციელდა პროექტი, ასევე არ ჰქონდა ბევრი ის მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავდა პროექტის განხორციელებას.

მოცემული პროექტების შესწავლის მიზანი იყო, გამოკითხვების და ინტერვიუების პარალელურად ნიმუშების საფუძველზე, დაგვედგინა, პრაქტიკაში როგორ ახორციელებენ პედაგოგები პროექტებს და რამდენად ეფექტურია მათი გამოყენება. საინტერესო და მნიშვნელოვანი მიგნებები გამოიკვეთა პროექტების ნიმუშების გაცნობისას. მიუხედავად ნიმუშების მცირე რაოდენობისა, ჩავთვალეთ, რომ საყურადღებოა მათი განხილვა შემდგომი ნაბიჯებისთვის, რაც სკოლაში პროექტმეთოდით სწავლებას უკავშირდება.

თავდაპირველად საინტერესო იყო გამოგვეკვეთა, **ზოგადად როგორ იყო შესრულებული პროექტები, კერძოდ, ერთი საგნის ფარგლებში თუ საგანთა შორის ინტეგრირებით** მოცემული ნიმუშებიდან. ანალიზმა შემდეგი სურათი წარმოაჩინა, კერძოდ, საგანთაშორის ინტეგრირებული პროექტების ნიმუშები უფრო ნაკლებია, ვიდრე ერთი საგნის ფარგლებში შესრულებული:

დიაგრამა N1. პროექტების შესრულების სახე



აღსანიშნავია, რომ განხორციელებული პროექტებიდან სამ საგანს შორის ინტეგრირებული პროექტი აღმოჩნდა 1, ორ საგანს შორის ინტეგრირებული -3, ხოლო ერთი საგნის ფარ-გლებში შესრულებული პროექტების რაოდენობა კი 5 აღ-მოჩნდა. აღსანიშნავია, რომ არსებული ნიმუშებიდან ყველა-ზე მეტი მათემატიკასა და ბუნებისმეტყველების საგანთან ინტეგრაციაშია განხორციელებული.

დიაგრამა N2. განხორციელებული პროექტები საგნების მიხედვით



როგორც ანალიზიდან ჩანს, არც ერთი პროექტი არ მოიცავს მუსიკას, უცხო ენას, ჩვენს საქართველოს და კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნებს.

ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ კლასების მიხედვით მოცემული 9 პროექტიდან ასე ნაწილდება შესრულებული პროექტები: პირველ კლასში განხორციელებული პროექტის ნიმუშის რაოდენობაა -2, მეორე კლასში -3, მეოთხეში -2, ხოლო მეექვსე კლასში -2.

დიაგრამა N3. განხორციელებული პროექტები კლასების მიხედვით



პროექტის ნიმუშების შესწავლისას დავეყრდენით საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას და გამოვკვეთეთ ის ინდიკატორები, რასაც უნდა ითვალისწინებდეს პედაგოგი პროექტმეთოდით სწავლების დროს — პროექტის სახელწოდება, კლასი, პრობლემის განსაზღვრა/აქტუალობა საკითხის, მიზანი (შესაბამისობა ესგ-სთან,შედეგები), მიზნობრივი ჯგუფების შექმნა/გუნდური მუშაობა, პროექტის ამოცანები, ამოცანების განხორციელების გზები, ვადები, რესურსი/ ბიუჯეტი, რისკები/შესაძლებლობები, მონიტორინგი, შეფასება, კვლევითი და შემოქმედებითი უნარების განვითარება, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა და მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის როლი.

თითოეული სასკოლო პროექტის ნიმუში ამა თუ იმ თემაზეა წარმოდგენილი და უკავშირდება კურიკულუმით განსაზღვრული საკითხების შესაწავლას.

N1 პროექტის ნიმუში — თემა: ლაშქრობა. პროექტი ინტეგრირებულია მე და საზოგადოებისა და ხელოვნების სა-

განს შორის. განხორციელდა მე-4 კლასში. ნიმუშში არ არის, რას უკავშირდებოდა პროექტის განხორციელების იდეა, ან რა იყო საკითხის აქტუალობა. მასწავლებელმა მოსწავლეებს შესთავაზა ქეისი ლაშქრობის თემაზე, სადაც გადასაჭრელი პრობლემა იყო იდენტიფიცირებული. პროექტს აქვს განსაზღვრული გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, გამოკვეთილია ესგ-სთან შესაბამისობა მე და საზოგადოებისა და ხელოვნების სტანდარტის შედეგებთან მიმართებიტ. შექმნილი აქვს მიზნობრივად ჯგუფები და დასახული აქვთ განსახორციელებელი ამოცანები. პროექტის განხორციელება დაყოფილია ეტაპებად, თუმცა არ არის განსაზღვრული განხორციელების ვადები. აქვს მოსწავლეთა შეფასების რუბრიკა, რომლის საშუალებითაც პედაგოგი აფასებდა მოსწავლეებს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკის კრიტერიუმებიც შესაბამისია მისაღწევი მიზნებიდან გამომდინარე: „საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა, მისი მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება, მოსწავლისათვის ფულისა და ფინანსური რესურსების დაზოგვის და მიზან-მიმართულად გამოყენება, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა, ხელნაკეთი ნივთებისა და ნახატების შექმნა და პრეზენტაცია', თუმცა არ ჩანს პროექტისმიმდინარე მონიტორინგი და საბოლოო შეფასება როგორ განხორციელდა. პროექტს არ ახლავს ბიუჯეტი და ასევე როგორი რესურსი დასჭირდათ განხორციელებისას. აღსანიშნავია, რომ რისკების კუთხითაც პროექტში არაფერია ნათქვამი.

N2 პროექტის ნიმუში -თემა: ბუნებასთან ურთიერთობა. პროექტი შესრულებულია ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლების ფარგლებში მე-6 კლასში. პროექტის იდეა უკავშირდება გარემოს დაცვის ფარგლებში მოცემულ საგნობრივ თემატურ ერთეულს და დედამიწის დღეს. მოსწავლეებმა პროექტის სახით განახორციელეს კომპლექსური დავალება, რომლის შესრულების ფარგლებში დაამუშავეს მხატვრული ტექსტი რ.ინანიშვილის მოთხრობები „მუხა“ და „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი“. ნიმუშში გაწერილია

მიზნები და ჩანს ესგ-სთან შესაბამისობა, განსაზღვრულია მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები, აქტივობები და საბოლოო პროდუქტი. პროექტის საბოლოო პროდუქტთან ერთად, რომელიც წერილის დაწერას უკავშირდება, მოცემულია აქტივობების პროდუქტებიც. პროექტი განხორციელებულია ორი კვირის ვადაში. პროექტის ნიმუშს არ ახლავს მიმდინარე მონიტორინგის და საბოლოო შეფასების ამსახველი მასალა და რისკ ფაქტორები.

N3 პროექტის ნიმუში — თემა: ეკოლოგიური საფრთხეები. პროექტი ინტეგრირებულია მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის და ბუნებისმეტყველებას შორის, განხორციელებულია მე-2 კლასში. გამოკვეთილია თემის აქტუალობა და განსაზღვრულია გადასაჭრელი პრობლემა „როგორ დავეხმაროთ და როგორ დავიცვათ დედამიწა", მიზნები და ჩანს სამივე საგნის სტანდარტის შედეგებთან შესაბამისობა. პროექტისათვის განხორციელების ვადად მითითებულია 1 კვირა. მოსწავლეებმა იმუშავეს ჯგუფურად და ინდივიდუალურადაც. პროექტში განსაზღვრულია საჭირო რესურსი, თუმცა არ ჩანს მიმდინარე და საბოლოო შეფასება, რისკები და გამოწვევები. არ არის სრულად ეტაპები გამოკვეთილი. საბოლოო პროდუქტთან (წერილი) ერთად სხვადასხვა აქტივობის შედეგებიცაა გაერთიანებული მაგ.: პოსტერი და სვეტოვანი დიაგრამა.

N4 პროექტის ნიმუში — თემა: ბუნებრივი რესურსების დაცვა. პროექტი საგანთშორისია და განხორციელებულია მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების ფარგლებში მე-3 კლასში 1 კვირის ვადაში. იგი ეხმიანება მდგრადი განვითარების მე-12 მიზანს და აქედან გამომდინარე, პროექტის იდეა და აქტუალობა უკავშირდება ბუნებრივი რესურსების დაცვას და მათ რაციონალურ გამოყენებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. პროექტში განსაზღვრულია მიზნები, ესგ-სთან შესაბამისობა. წარმოდგენილია მოსალოდნელი შედეგები და საბოლოო პროდუქტი 'სა-

ინფორმაციო ბუკლეტის“ სახით . პროექტი დაყოფილია სამ ეტაპად და იწყება პროექტისა და პრობლემის გაცნობით. ეტაპები გამოკვეთილი არაა, ჩაშლილია ნაბიჯებად. მოსწავ-ლეებს შეუვსიათ კითხვარები „ჩემი ეკოლოგიური ნაკვალე-ვი“, დაუმზადებიათ საინფორმაციო ბუკლეტები და პრეზენ-ტაცია გაუკეთებიათ სასკოლო საზოგადოების წინაშე. პრო-ექტს აქვს სადისკუსიო შეკითხვები და რესურსი განსაზ-ღვრული. პროექტშის ნიმუშში არ ჩანს მიმდინარე და საბო-ლოო შეფასება, რისკები და გამოწვევები.

N5 პროექტის ნიმუში — თემა: პატარა მებაღეები. პროექტი ინტეგრირებულია ბუნებისმეტყველების და მათე-მატიკის საგნებს შორის, განხორციელებულია მე-2 კლასში 12 გაკვეთილზე 6 კვირის განმავლობაში. იკვეთება მცენარის ზრდა განვითარების შესწავლის საკითხი. მოსწავლეები თე-სავენ სხვადასხვა მცენარეს, უვლიან და აკვირდებიან მათი ზრდა განვითარების პროცესს. პროექტში ჩანს შესაბამისო-ბა საგნობრივ სტანდარტებთან. განსაზღვრულია მიზნები და მოსალოდნელი შედეგები, თუმცა არაა გამოკვეთილი პროექტის იდეა და აქტუალობა. ნიმუშში დევს შეფასების დროის ჩარჩო, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებსა და საშუალებებს პროექტის დასაწყისში, მსვლელობისას და და-სასრულს, ასევე შეფასების მოკლე მონახაზი. პროექტში ჩაშ-ლილია კვირების მიხედვით სასწავლო პროცედურები და აქ-ტივობები. აღნიშნულია, რომ კლასში არ არის სსსმ მოსწავ-ლე, ნიჭიერი ბავშვებისათვის მითითებულია საჭირო რეკო-მენდაციები. პროექტს აქვს საჭირო რესურსი, მასალები და ვებ გვერდები თავმოყრილი. არ აქვს რისკები და გამოწევვე-ბი გათვალისწინებული. საბოლოო პროდუქტი წარმოდგენი-ლია პრეზენტაციის სახით.

N6 პროექტის ნიმუში — თემა: მოგზაურობა ანბა-ნეთში. პროექტი შესრულებულია ქართულ ენასა და ლიტე-რატურაში პირველ კლასში ორი თვის განმავლობაში. უკავ-შირდება ასო-ბგერების შესწავლას. ნიმუშში მოცემულია შე-საბამისობა სტანდარტთან, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და

მიღწევის ინდიკატორები. პროექტის აქტუალობა უკავშირდება კითხვის სწავლას, ინტერესისა და მოტივაციის გაღრმავებას. განსაზღვრულია პროექტის მიზნები, ამოცანები და განხორციელების გზები შესასრულებელი აქტივობების სახით, რომელიც საზაფხულო დავალებებს და დიაგნოსტიკურ ტესტირებასაც მოიცავს. არ არის განსაზღვრული საბოლოო პროდუქტი. ჩანს პროექტი ეფუძნება კომპლექსური დავალების განხორციელებას, რომელიც მოიცავს „კ“ ლ“ „ ასო-ბგერების შესწავლას, „ანბანის ქალაქის „ შექმნას და სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობას.

პროექტის შესრულებას აკვირდებოდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შედიოდა დირექციის, ქართული ენის კათედრის წარმომადგენელი და მშობელი. პროექტში განსაზღვრულია რესურსები და ახლავს თან მასწავლებლის რეფლექსია პროექტის მიმდინარეობის შესახებ და პროექტის მდგრადობის განმაპირობებელი ნაბიჯები.. არ არის რისკები და გამოწევვები გათვალისწინებული.

N7 პროექტის ნიმუში-თემა: ბოსტნეული ჩვენი მეგობარია. პროექტი განხორციელდა მე-2 კლასში ბუნებისმეტყველების სწავლების ფარგლებში. იდეა და აქტუალობა უკავშირდება იმას, რომ მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული ბოსტნეულის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. პროექტში გაწერილია მიზნები და ჩანს კავშირი მდგრადი განვითარების მიზენებთანაც. განსაზღვრულია განხორციელების გზები და შესასრულებელი აქტივობები. გაწერიალია მოსალოდნელი შედეგები და შეფასების გზები წერილობითი უკუკავშირის სახით. იკვეთება, რომ პროექტს აკვირდებოდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შედიოდა დირექციის, ქართული ენის კათედრის წარმომადგენელი და მშობელი. პროექტში განსაზღვრულია რესურსი. ახლავს თან პროექტის მსვლელობასთან მიმართებაში პედაგოგის რეფლექსია. პროექტის მდგრადობასთან დაკავშირებით მშობლების ჩართულობით აქვს პედაგოგს აქტივობები

განხორციელებული. პროექტში არ არის რისკები და გამოწ-ვევები გათვალისწინებული.

N8 პროექტის ნიმუში-თემა: წიგნი. პროექტი ხორცი-ელდებოდა მე-6 კლასში ორი თვის განმავლობაში. იდეა უკავშირდება წიგნის კითხვის მიმართ ინტერესის გაზრდასა და წიგნის მნიშვნელობის გაგებას, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში, სასიკეთოდ შეცვალა მრავალი ადამიანის ცხოვ-რება. პროექტში განსაზღვრულია მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და ჩანს ესგ.-სთან შესაბამისობა. შექმნილია მოს-წავლეთა მიზნობრივი ჯგუფები და ფორმულირებულია აქ-ტივობები განსახორციელებული გზების შესაბამისად. მო-ცემულია, რა რესურსი დასჭირდათ პროექტის განსახორცი-ელებლად. აღნიშნულია, რომ პროექტი ხორციელდებოდა პა-რალელურ კლასებში. საბოლოო პროდუქტი იყო პოსტერის დამზადება. პროექტს ახლავს, თუ როგორ განხორციელდა მონიტორინგი და შეფასება. ხაზგასასმელია, რომ პროექტს ერთვის აღწერა მოსწავლეთა ჩართულობის შესახებ პროექ-ტის იდეის განვითარებაში, დაგეგმვაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში, ასევე პედაგოგის რეფლექ-სია. პროექტში არ არის რისკები და გამოწვევები გათვალის-წინებული.

N9 პროექტის ნიმუში- თემა: ჩვენი სოფელი. პროექტი განხორციელებულია მე-4 კლასში საგანში მე და საზოგადო-ება. იდეა და აქტუალობა უკავშირდება „ჩვენი სოფლის“ ისტორიის, სოფლის მკვიდრი გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობას. ასევე, პროექტის მიზნები მოიცავს სოფლის მიმდებარე ტყეებში ენდემური და წითელ წიგნში შეტანილი მცენარეების მოძიებას. პროექტის განხორციელებისას პედაგოგმა შექმნა მიზნობრივი ჯგუფე-ბი. პროექტი მოიცავს მოკლე აღწერას, გეგმას, აქტივობებს , მოსალოდნელ შედეგებს, თვითშეფასებისა და ურთიერთშე-ფასების რუბრიკას, პროექტის განხორციელების პროცესში დაკვირვების ცხრილს. წარმოდგენილ ნიმუშში არ ჩანს ბმა ესგ.-სთან, არ არის მოცემული, რა რესურსი დასჭირდათ

პროექტის განხორციელებისას, როგორი იყო შესრულების ვადები და არ არის გათვლილი რისკ ფაქტორები.

ნიმუშების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი სახის მიგნებები:

- პროექტების გაფორმება და სტრუქტურა უმეტეს ნიმუშში ერთი და იგივეა, თუმცა აღმოჩნდა ზოგიერთ მათგანში ისეთი კომპონენტები, რომელმაც უფრო გაამდიდრა და ეფექტურად წარმოაჩინა განხორციელებული პროექტი, მაგალითად : შეფასების დროის ჩარჩო, რომელიც მოიცავდა პროექტის დასაწყისში, მსვლელობისას და დასასრულს გამოყენებულ შეფასების მეთოდებსა / საშუალებებს და კვირების მიხედვით ჩაშლილი სასწავლო პროცედურები/ აქტივობები.
- განხორციელებული პროექტების ნიმუშებში ზოგიერთ მათგანში ხაზგასმულია, რომ პროექტის განხორციელება ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კვლევითი, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებას, თუმცა, რიგ შემთხვევებში, აკლია ნათლად წარმოჩენა, როგორ აკეთებს ამას პედაგოგი.
- განხორციელებული პროექტების უმეტეს რაოდენობაში იკვეთება კავშირი სასწავლო პროგრამასთან, სასწავლო ერთეულთან და ჩანს ბმა ესგ-სთან.
- ინტეგრირებული პროექტებიდან აქტუალურია სხვადასხვა საგნის ბუნებიმეტყველებასთან კავშირი. აღსანიშნავია ორ და სამ საგანთშორის ინტეგრირიბული პროექტების განხორციელება.
- ხაზგასასმელია პროექტებით მუშაობა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებზე, თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მიზნების არ-

სებობაც, რომლებსაც შევხვდით ზოგიერთ ნიმუშში.

- აღსანიშნავია, რომ ნაწილი პროექტების განხორციელებისას, ნიმუშებში ჩანს მშობელთა მხარდაჭერა და ჩართულობა.
- შესრულებულ პროექტებს აქვთ ვადები/ხანგრძლივობა, თუმცა ზოგიერთი შეუსაბამოა პროექტის შინაარსიდან გამომდინარე.
- მოსწავლეები თემის შერჩევაში, დაგეგმვასა და პრობლემის მართვაში აქტიურად არ იღებენ მონაწილეობას, ძირითადად მასწავლებელის მიერ ხდება დაგეგმვა, მოსწავლეები კი შემსრულებლები არიან. მასწავლებლის, როგორც ფასილიტატორის როლიც ეჭვქვეშ დგება.
- ნიმუშების უმეტეს ნაწილში არ იკვეთება საიდან მოდის პროექტის ინიციატივა, იმართება თუ არა ინიციატივის გარშემო დისკუსია მოსწავლეებში.
- განხორციელებული პროექტების ნაწილი უკავშირდება ღირშესანიშნავ დღეებს.
- პროექტების ნიმუშების უმეტესობაში არ არის ეტაპები მართებულად წარმოდგენილი, გაიგივებულია აქტივობებთან. მსვლელობა პროექტების უმეტეს შემთხვევებში მოცემულია მსხვილი ამოცანების სახით და არ არის ჩაშლილი.
- ხშირად საბოლოო პროდუქტად გამოკვეთილია განხორციელებული აქტივობების პროდუტები.
- პროექტების განხორციელებისას არც ერთ ნიმუშში არაა გათვალისწინებული რისკფაქტორები.
- გამოწვევას წარმოადგენს მიმდინარე პროექტის მიმდინარე და საბოლოო შეფასებაც, რასაც ვერ შევხვდით უმეტეს ნიმუშებში.

- ასევე ხაზგასასმელია მიზნების მრავალფეროვნებაც, რაც, ერთი შეხედვით, შეკითხვებს ბადებს მათ მიღწევაზე და პროექტის განხორციელების გზებზე.

დასკვნა/რეკომენდაციები

პროექტების ნაშრომების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ:

- სასწავლო პროექტები უნდა იყოს აქტუალური და მათი განხორციელების იდეა ინიცირებული და დაგეგმილი მოსწავლეების მიერ.
- არსებული საკითხის შესწავლა და პრობლემის გადაჭრა იყოს მოსწავლეთა მზაობისთვის შესაბამისი, კერძოდ, გათვალისწინებული იქნეს მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროება და ცხოვრებისეული გამოცდილება.
- პროექტმეთოდით სწავლებისას არ უნდა დაიკარგოს ახალი ცოდნის შეძენისა და მისი ცხოვრებაში ტრანსფერის მიზანი.
- ჯგუფებში მუშაობა იყოს მიზნობრივი და ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ურთიერთთანამშრომლობას.
- შემუშავდეს დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო, პროექტების ნიმუშთა ბანკი, რაც დაეხმარება პედაგოგებს პროექტმეთოდით სწავლების განხორციელებაში.

დასკვნა

ჩვენი მონოგრაფიის მიზანი იყო ამავე სახელწოდების სამეცნიერო პროექტის შედეგების აღწერა. კერძოდ, კახეთის რეგიონის მაგალითზე გამოვიკვლიეთ, თუ როგორ ხორციელდება პროექტმეთოდით სწავლება დაწყებითი განათლების საფეხურზე, დავადგინეთ ამ პროცესის ხელისშემშლელი ფაქტორები და გამოვკვეთეთ მიგნებები და რეკომენდაციები.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამაგიდე კვლევა, ორი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა; ასევე, ჩავატარეთ განხორციელებული პროექტების ანალიზი. კვლევაში მონაწილე პირები იყვნენ დაწყებითი საფეხურის პედაგოგები და მასწავლებლის მომზადების პროგრამის სტუდენტები.

უცხო და ქართულენოვანი ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ პროექტმეთოდი, როგორც ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთ მიდგომა, მეტად საყურადღებო და საპასუხისმგებლოა. მრავალი ნაშრომი წარმოაჩენს მის უპირატესობას საგაკვეთილო პროცესის ეფექტურად წარმართვაში და მოსწავლეთათვის შემოქმედებითი უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად. იგი მეტად აქტიური დასასარგებლო მეთოდია და მოსწავლეთა შემეცნებითი აქტიურობის გასაზრდელად გამოიყენება. თუმცა, ყურადსაღებია გამოწვევები და სიძნელეები, რასაც, შესაძლოა, წააწყდნენ მოსწავლეები და პედაგოგები ამ მეთოდის გამოყენებისას.

პროექტული სწავლება უფრო ეფექტურია, ვიდრე ტრადიციული სწავლება. ამ მეთოდით სწავლება მოითხოვს მასწავლებლის კვლევითი, შემოქმედებითი, კომუნიკაციური, თანამშრომლობითი, პროექტის დაგეგმვის, მართვის და სხვ. უნარების ფლობას. იგი მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია. მისი გამოყენებისას იზრდება მოსწავლეების მოტივაცია და ჩართულობის დონე. თუმცა, თანაბრად მნიშვნელოვანია პროექტების სწორად დაგეგმვა და ავთენტური განხორციელება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულენოვან ლიტერატურაში არ არის მკაცრი გამიჯვნა პროექტების გამოყენებას, როგორც აქტივობის, და პროექტმეთოდით სწავლებას შორის, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას აჩენს და ართულებს პედაგოგთა მიერ პროექტმეთოდის სწორ და შედეგიან გამოყენებას.

სხვადასხვა წლების ესგ-ს ანალიზმა გვიჩვენა, რომ დოკუმენტი საუბრობს მოსწავლეთა მიერ პროექტის მართვა-განხორციელების და პროექტის, როგორც სასწავლო აქტივობის შესახებ დაწყებით საფეხურზე. ამ დოკუმენტებში დაწყებით საფეხურზე პროექტის, როგორც მეთოდის, გამოყენება არ დევს მოთხოვნად. ხშირ შემთხვევაში „პროექტი“ ნახსენებია, როგორც საშინაო დავალება, შეფასების კომპონენტი ან შემაჯამებელი აქტივობა. სავალდებულო პროექტული სწავლება შემოდის საშუალო საფეხურზე კონკრეტულ საგნებში (მუსიკა, ხელოვნება და ა.შ.). ჩნდება კითხვა, გვაკმაყოფილებს ასეთი მოთხოვნები პროექტმეთოდის შესახებ ეროვნულ სასწავლო გეგმაში? შესაძლებელია ან სასურველია თუ არა დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულ იქნეს პროექტმეთოდის სწავლების მოთხოვნა?

ეროვნულ სასწავლო გეგმაში გამოყოფილია პრიორიტეტული თემები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად: მის კვალდაკვალ მითითებულია, რომ ამ თემებზე აქცენტირებული მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს სასკოლო პროექტების განხორციელებით.

ყოველივე ზემოთქმულს ადასტურებს პროექტმეთოდის შესახებ დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა გამოკითხვის შედეგები. გამოკითხულ მასწავლებელთა ნახევარზე მეტი არ ახორციელებს პროექტულ სწავლებას დაწყებით საფეხურზე, ხოლო ვინც იყენებს სწავლების ამ მიდგომას, მათი უმრავლესობა პროექტებს იყენებს ნასწავლის პრაქტიკაში გადასატანად.

პროექტმეთოდს იყენებენ ყველაზე ხშირად ბუნებისმეტყველების, ქართული ენისა და ლიტერატურის და ინგლი-

სური ენის გაკვეთილებზე. ცხადია, ესგ-ში გაწერილი მოთხოვნები ერთგვარი მხარდაჭერაა ამ საგნების პედაგოგებისთვის. გამოკითხვამ აჩვენა, რომ პროექტული სწავლების ყველაზე პოპულარული თემები საზოგადოებაში ყველაზე აქტუალური თემებია, როგორიცაა: გარემოს დაცვა და ნარჩენების გადამუშავება, ჯანსაღი კვება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ადგილობრივი/ეროვნული ღირს შესანიშნაობებზე ინფორმაციის მიწოდება, რაც ასევე დადებითი მიგნებაა.

საყურადღებოა უფრო მეტი აქტუალური და თანამედროვე თემის შემოტანა პროექტული სწავლების შემთხვევაში. რა თქმა უნდა, ამ მხრივ პედაგოგი არ უნდა აღმოჩნდეს მარტო. პროექტმეთოდის გამოყენებისას პედაგოგებმა დახმარებისთვის შეიძლება მიმართონ კოლეგებს, მოიწვიონ დარგის ექსპერტები, ბიზნეს ორგანიზაციები ან სხვა საპატიო სტუმრები, რომელთა ჩართულობაც გააუმჯობესებს პროექტის შედეგებს და გააძლიერებს მოსწავლეთა დაინტერესებას საზოგადოების სხვა აქტორების მიმართ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი პროექტმეთოდით სწავლებაში, მისი ხელშესახები შედეგია და პედაგოგებს მართებთ მეტი მუშაობა ამ შედეგების გამრავალფეროვნებისთვის, რადგან მხოლოდ Powerpoint-ით პრეზენტაციის გაკეთება შეიძლება არ იყოს საინტერესო გამოწვევა მოსწავლისთვის.

საჭიროა მეტი მუშაობა პედაგოგების ცნობიერების ამაღლების კუთხით, რადგან გამოკითხულ პედაგოგთა ნახევარზე მეტი არ იყენებს პროექტულ სწავლებას, ხოლო ვინც იყენებს, მხოლოდ მცირე რაოდენობამ იცის, რომ პროექტმეთოდით სწავლების მთავარი მიზანია ახალი ცოდნის შექმნა. თუ პროექტმეთოდით სწავლის შედეგი ახალი ცოდნის აგებაა, მაშინ პედაგოგებმა უნდა მოახერხონ მათ მიერ დასახელებული გამოწვევების გამკლავება, როგორიცაა მოსწავლეთა დროის დეფიციტი და ნაკლები ძალისხმევა მოსწავლეთა მხრიდან. პედაგოგებმა უნდა განუმარტონ მოსწავლეებს პროექტის მიზანი და აუხსნან ამ მიდგომის შემოქმედებითი

თავისებურება. მოსწავლეებს მაინც უწევთ ახალი ცოდნის შესწავლა ტრადიციული მეთოდით, პროექტმეთოდი კი უპირატესია მასთან შედარებით.

პედაგოგებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ პროექტის თემას თავად მასწავლებელი ირჩევს, გეგმავს და წარუდგენს მოსწავლეებს. ხშირია ორი და მეტი საგნის ინტეგრირებული პროექტული სწავლება, მაგ. ბუნებისმეტყველება და მათემატიკა; ქართული, ბუნებისმეტყველბა, მათემატიკა და ხელოვნება. მოსწავლეები მიჰყვებიან მასწავლებლის მითითებებს, მუშაობენ ჯგუფებში, იძიებენ ინფორმაციას, ახარისხებენ და ასრულებენ დაგეგმილ სამუშაოს ხშირ შემთხვევაში მშობელთა ხელშეწყობით. პროექტების ხანგრლივობა 1-დან 6-კვირამდე. იგი სრულდება პროექტის სამუშაოს პრეზენტაციით. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მეთოდი ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, შემოქმედებით მიდგომას, კრიტიკულ აზროვნებას და კომუნიკაციურ უნარებს, თუმცა პროექტის განხორციელებას თან სდევს სირთულეები, როგორიცაა: რესურსების ნაკლებობა/არარსებობა და დროის დეფიციტი. ამიტომაც მასწავლებლები წელიწადში 1-2-ჯერ იყენებენ პროექტულ სწავლებას ახალი მასალის სწავლების მიზნით. პედაგოგები აღიარებენ ამ მეთოდის ძლიერ მხარეებს, მაგრამ არსებობს დაბრკოლებები, რის გამოც ამ მეთოდს ხშირად არ მიმართავენ.

პროექტმეთოდის მიმართ მომავალი მასწავლებლების მზაობის და მათი დამოკიდებულების კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულეთა მეოთხედი ფიქრობს, რომ იგი ახალ უნარებს ავითარებს მოსწავლეებში და მესამედზე მეტი ფიქრობს, რომ ყველა საგნის სწავლებაში შეიძლება ამ მეთოდის გამოყენება, რაც პოზიტიური მიგნებაა. გამოკითხულთა უმრავლესობა ძალიან დადებითად აფასებს მის გამოყენებას დაწყებით საფეხურზე. ასევე ჩანს, რომ მშობლის მხარდაჭერის იმედი აქვთ ასევე მომავალ მასწავლებლებს და პროექტში მოიაზრებენ მათ ჩართულ მხარედ. მოსწავლეთა ნაწილისთვის პროექტმეთოდით სწავლებისას სირთულეს

წარმოადგენს მისი ახსნა და გახნორციელება, ხოლო ნაწილი ფიქრობს, რომ რესურსები დეფიციტი და მოსწავლეთა დაბალი ჩართულობა შეიძლება იყოს გამოწვევა. პროექტმეთოდის შესახებ სტუდენტები ცოდნას სასწავლო პროგრამიდან იღებენ. მომავალ მასწავლებელებში ერთგავარი დადებითი დამოკიდებულება მისასალმებელია, თუმცა ჩნდება კითხვები, თუ რამდენად გააზრებულია მათი ცოდნა პროექტმეთოდით სწავლების შესახებ, პრაქტიკაში ჰქონიათ თუარა გამოცდილება და რა გამოწვევები არსებობს მათთვის ამ მიმართებით.

რამდენიმე პროექტის ანალიზმა მოგვცა საშუალება, აღგვეწერა გამოწვევები პროექტის დაგეგმვის და განხორციელების მიმართულებით. მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს, ის, რომ არ არსებობს სტანდარტული ფორმა სავალდებულო კომპონენეტებით, რითიც იხელმძღვანელებს პედაგოგი პროექტის დაგეგმვისას. ხშირია დროის ხანგრძლივობის ან აქტივობების არათავსებადობა პროექტის მიზნებთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან პროექტმეთოდი, როგორც თანამედროვე სწავლების მეთოდი, უალტერნატივო მიდგომაა, რომელიც მოიცავს მოსწავლეზე-ორიენტირებული სწავლების ყველა სიკეთეს. განსაკუთრებით ახლა, როცა ხელოვნური ინტელექტის ფართოდ გამოყენება იწყება განათლებაში და ტრადიციული სწავლება არაეფექტურია, მნიშვნელოვანია, მოსწავლეები აღვჭურვოთ თემაზე/საკითხეზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევებით, კრიტიკული აზროვნებით და ჯგუფში მუშაობის უნარებით. ამისათვის შევიმუშავეთ შემდეგი რეკომენდაციები:

- განათლების პოლიტიკის ავტორებთან მოხდეს განხილვა პროექტმეთოდის დანერგვის შესახებ დაწყებით საფეხურზე.
- შემუშავდეს პროექტმეთოდის განმარტების თანმიმიდევრული დოკუმეტი, მისი სხვადასხვა საგანში განხორციელების, თემების და მოთხოვნების შესა-

ხებ დაწყებითი განათლების საფეხურისათვის, რაც აისახება ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

- მოხდეს მასწავლებელთა გადამზადება პროექტის დაგეგმვის, განხორციელების და ანგარიშის შედგენის შესახებ. გადამზადების შემდეგ სასურველია, თუ სკოლებში ჩამოყალიბდება პედაგოგთა მხარადაჭერის ჯგუფები პროექტმეთოდით სწავლებასთან დაკავშირებით.
- დაგეგმვის ეტაპზე მოხდეს მოსწავლეთა ჩართულობა არჩევანის შესაძლებლობით, რაც გააძლიერებს მოსწავლეთა დაინტერესებას პროექტში მონაწილეობის მიმართ.
- დაიხვეწოს პროექტის ფარგლებში მიმდინარე და საბოლოო შეფასების კომპონენტები და ინსტრუმენტები. შესაძლოა, ეს იყოს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ელექტრონული ფორმით ხმის მიცემა ან სხვა ფორმის შეფასება. გადაიხედოს იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც პროექტმეთოდის გამოყენება აპრობირეული მეთოდია.
- მოხდეს მასწავლებელთა ხელშეწყობა პროექტებში სხვა კოლეგების/ექსპერტების ჩასართავად. პროექტებში გაძლიერდეს კავშირი სკოლა-უნივერსიტეტი-ბიზნესი, რაც ასევე განათლების მდგრადი განვითარების პრინციპთან შესაბამისია.
- გამოიყოს სკოლაში რესურსები პროექტის მინიმალური რაოდენობის განსახორციელებლად (მაგ. საგანში წელიწადში 4-5 პროექტი).
- მოხდეს მასწავლებლის მომზადების პროგრამაში პროექტმეთოდით სწავლების პოპულარიზაცია და მისი პრაქტიკული გამოყენება. ანალოგიურად, უნივერსიტეტებში სასწავლო კურსებში აისახოს პრო-

ექტმეთოდით სწავლება, რაც სტუდენტებს დაეხმარება, გამოსცადონ აღნიშნული მეთოდი.

კვლევის შეზღუდვები

ჩვენ მიერ განხორციელებულ კვლევებს ჰქონდა რამდენიმე შეზღუდვა: პედაგოგთა გამოკითხვა, ინტერვიუ და პროექტის შესწავლა მოხდა მხოლოდ კახეთის რეგიონის ფარგლებში, რის გამოც კვლევის შედეგების განზოგადება ვერ მოხდება მთელი საქართველოს მასშტაბით. ინტერვიუში პედაგოგები მოგვითხრობდნენ რამდენიმე წლის წინ განხორციელებულ პროექტებზე. შესაძლებელია, მათ აღარ ახსოვდათ მნიშვნელოვანი დეტალები ან შეგნებულად შეალამაზეს ესა თუ ის გარემოება. რაც შეეხება პროექტების ანალიზს, მხოლოდ მცირე რაოდენობის პროექტები გავაანალიზეთ, რაც ვერ შექმნის რეალურ წარმოდგენას, თუ როგორ გეგმავენ და ახორციელებენ პედაგოგები პროექტულ სწავლებას.

სამომავლო კვლევის რეკომენდაციები

სასურველია, გაგრძელდეს პედაგოგთა გამოკითხვა სხვა რეგიონებშიც და შეიქმნას სრული წარმოდგენა საქართველოში დაწყებით საფეხურზე პროექტმეთოდის გამოყენების შესახებ. გარდა გამოკითხვისა, საინტერესო იქნება პროექტული სწავლების განხორციელებაზე დაკვირვება: დაგეგმვიდან-განხორციელებამდე. სასურველია, ამ შემთხვევაში თავად პედაგოგების მიერ წარმოებული ჩანაწერების/დღიურების შესწავლა და მოსწავლეთა გამოკითხვა.

მეორე კვლევის მიმართულება შეიძლება იყოს მშობელთა აზრის კვლევა სკოლაში პროექტულ სწავლებაზე და მათ ჩართულობაზე: როგორ ერთვებიან და ეხმარებიან შვილებს პროექტის განოხრციელბაში. არანაკლებ საინტერესო იქნება მასწავლებლის მომზადების პროგრამაში იმ სასწავლო კურსების გადახედვა, სადაც პროექტმეთოდის გაცნობა ხდება და მათ ავტორებთან გასაუბრება, თუ რამდენად იცნობენ პროექტმეთოდს თეორიულად და პრაქტიკულად.

დანართები

დანართი 1. მასწავლებელთა კვლევის კითხვარი

- ასაკი
- სქესი
- მუნიციპალიტეტი
- სკოლა
- მუშაობის გამოცდილება

1. ახორციელებთ თუ არა დაწყებით კლასებში პროექტმეთოდით სწავლებას?
2. გთხოვთ შემოხაზოთ ყველა შესაძლო საგანი, რომელსაც ასწავლით სკოლაში:
3. რომელ კლასებში ახორციელებთ პროექტმეთოდით სწავლებას?
4. რომელ საგანში ახორციელებთ პროექტმეთოდით სწავლებას? 1-4 კლასები
5. რომელ საგანში ახორციელებთ პროექტმეთოდით სწავლებას? 5-6 კლასები
6. თქვენს მიერ პროექტმეთოდის გამოყენება სწავლების პროცესში რა მიზანს ემსახურება?
7. რა სიხშირით იყენებთ ერთ სასწავლო სემესტრში პროექტმეთოდს სწავლებაში?
8. აღწერეთ თქვენი როლი პროექტმეთოდის გამოყენებაში?
9. როგორ არჩევთ პროექტის თემას? (გთხოვთ, შემოხაზოთ თქვენთვის მისაღები პასუხები)
10. გაქვთ თუ არა განხორციელებული საგანთაშორის ინტეგრირებული პროექტები?
11. რა თემებზე გაქვთ განხორციელებული პროექტები?(გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ)

12. როგორ გეგმავთ და ემზადებით პროექტმეთოდის გამოყენებისათვის კონკრეტულ საგანში (აღწერეთ მოსამზადებელი ეტაპი) ?
13. რომელი მხარეები გყავთ პროექტის განხორციელებაში ჩართული?
14. აღწერეთ პროექტის განხორციელების ეტაპები. (გთხოვთ ჩამოთვალოთ)
15. აღწერეთ, პროექტმეთოდით სწავლების შედეგი (პროდუქტი, მაგ. პრეზენტაცია, ესე, მოდელი და ა.შ.).
16. რა გამოწვევებს აწყდებით პროექტმეთოდით სწავლების პროცესში?
17. აკეთებთ თუ არა პროექტმეთოდით სწავლებისას შუალედურ და საბოლოო უკუკავშირს და შეფასებას?
18. როგორ აკეთებთ პროექტმეთოდით სწავლებისას შუალედურ და/ან საბოლოო უკუკავშირს შეფასებას? (მონიშნეთ ყველა შესაძლო პასუხი)
19. როგორ შეაფასებთ პროექტმეთოდის გამოყენების ეფექტურობას? (მონიშნეთ 1- 10 მდე, 1 — ყველაზე არაეფექტური; 10 — ძალიან ეფექტური)

თქვენი რეკომენდაცია/უკუკავშირი.

დანართი 2. სტუდენთა კვლევის კითხვარი

- სქესი
- ასაკი
- ამჟამინდელი სწავლის საფეხური
- სასწავლო კურსი
- გთხოვთ მონიშნოთ, სასწავლო დაწესებულება, სადაც სწავლობთ ამჟამად
- გთხოვთ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამა, რაზეც სწავლობთ

1. თუ გაქვთ ინფორმაცია პროექტმეთოდის/პროექტზე დაფუძნებული სწავლების შესახებ?

2. თქვენი აზრით, რა არის პროექტმეთოდის გამოყენების მიზანი სწავლებაში?
3. თქვენი აზრით, რა ძირითადი მიღწეული შედეგები ახლავს პროექტმეთოდის გამოყენებას სწავლა-სწავლების პროცესში? (პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგი/პროდუქტი)
4. რომელ სასკოლო საგნებში მიიჩნევთ ღირებულად პროექტმეთოდის გამოყენებას დაწყებითი განათლების საფეხურზე?
5. გთხოვთ, დაგვისახელოთ არგუმენტები თქვენს მიერ არჩეული საგნებიდან გამომდინარე, რატომ თვლით ასე?
6. რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ პროექტმეთოდის გამოყენება დაწყებით საფეხურზე? (1-6 კლასი)
7. გთხოვთ შეაფასოთ სკალის საშალებით 0-დან 5-ის ჩათვლით, სადაც 0 ნიშნავს ძალიან უარყოფით შეფასებას, ხოლო 5 ძალიან დადებითს.
8. თქვენი აზრით, სწავლების პროცესში პრექტმეთოდის გამოყენებისას მოსწავლეების და საგნის პედაგოგის გარდა ვისი მხარდაჭერა არის მნიშვნელოვანი?
9. თქვენი აზრით, რა სირთულეები და გამოწვევები შეიძლება ახლდეს პროექტმეთოდის გამოყენებას სწავლებაში დაწყებით საფეხურზე? (1-6 კლასები)
10. გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი ცოდნის წყარო პროექტმეთოდის სწავლებასთან დაკავშირებით.
11. როგორ ფიქრობთ, საკმარისია თუ არა საუნივერსიტეტო განათლება და პრაქტიკა პროექტმეთოდით სწავლებასთან დაკავშირებით?
12. რა სახის ცოდნის ან კომპეტენციის შეძენა/განვითარება გსურთ პროექტმეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით?

სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ გაგვიზიაროთ დამატებითი რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროცესთან, სილაბუსთან ან პროექტმეთოდთან დაკავშირე

დანართი 3. მასწავლებლებთან ინტერვიუს შეკითხვები

1. გთხოვთ წარგვიდგინოთ თავი (გვარი, სახელი, მუნიციპალიტეტი, სკოლა, კლასი, საგანი)
2. რამდენად ხშირად იყენებთ პროექტმეთოდს სწავლებაში?
3. მოგვიყევით თქვენს მიერ განხორციელებული პროექტმეთოდით განხორციელებული სწავლების შესახებ:

- რომელ სასწავლო ერთეულს ეხებოდა? რა თემაზე?
- როგორ დაგეგმეთ? რა ეტაპებისგან შედეგებოდა თქვენი პროექტი?
- ვინ იყვნენ ჩართული დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში?
- რა ხანგრძლივობის პროექტი იყო? რა რესურსები გამოიყენეს მოსწავლეებმა?
- როგორ ახდენდით მოსწავლეთა მხარდაჭერას პროექტზე მუშაობისას?
- როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა?
- რა იყო პროექტის შედეგი?
- რა სტრატეგიები გამოიყენეთ მოსწავლეთა სწავლის და პროგრესის შესაფასებლად?
- რაიმე სირთულეები ან დაბრკოლებები ხომ არ გქონიათ პროექტმეთოდის განხორციელების დროს?

4. რა რეკომენდაციას მისცემდით სხვა მასწავლებლებს ამ მეთოდის გამოყენებისას?

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-899-1